

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართველური ენათმეცნიერება

თეა ტეტელოშვილი

ტრანსლაცია/ტრანსპოზიცია ქართულში
(სუბსტანტივაცია და ადიექტივაცია)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ პროფესორი თედო უთურგაიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოც. პროფესორი კახა გაბუნია



უნივერსიტეტის
გამოცემლობა

თბილისი

2015

შესავალი

ქართული ენის მრავალფეროვანი ბუნება, ნაირგვარ სიტყვაფორმათა ქმნადობისა თუ ამ ფორმათა არაძირითადი, ზოგჯერ კი – მოულოდნელი ფუნქციებით აღჭურვის უნარი ხაზს უსვამს ქართული ენის მოქნილობას და მკვლევრებს აყენებს რთული გამოწვევის შინაშე – ამოხსნან ის მექანიზმი, რომლის წყალობითაც ენა ამ „სასწაულებს“ ახდენს. სწორედ ასე აღმოჩნდით ჩვენც „ტრანსლაციის“ ტყვეობაში და დავიწყეთ ამ ენობრივი მოვლენის კვლევა. მართალია, შესასწავლი საკითხი მისი დიდი მოცულობის გამო შემოვფარგლეთ სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის საზღვრებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შევეცადეთ გვეჩვენებინა ენაში მოქმედი ის ძირითადი ბერკეტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სიტყვათა/ენობრივ ერთეულთა საუნჯის უსასრულო ზრდა.

ტრანსლაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის, მეცნიერულ შესწავლას ქართულ ლინგვისტიკაში დიდი ხნის ისტორია არ აქვს, თუმცა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მას ირიბად მაინც ყველა გრამატიკოსი ეხება, ვინც ქართულ ენას მეტ-ნაკლები სისრულით იკვლევს. ამჯერად ჩვენ საკითხს წარმოვადგენთ კომპლექსურად, ენობრივი სისტემის გათვალისწინებით და ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი გარკვეულწილად მაინც გასცემს პასუხს იმ მრავალ კითხვას, რომლებიც ხსენებული გრამატიკული მოვლენის შესახებ დაისმის.

რამდენადაც საკითხი მასშტაბურია, ხოლო სადისერტაციო ნაშრომისთვის წაყენებული მოთხოვნები – მკაცრად განსაზღვრული, აქ ვერ განვიხილავთ ტრანსლაციის ყველა ნიუანსს. ვფიქრობთ, რომ მისი სრულყოფილი კვლევა მომავლის საქმეა და ჩვენი ნაშრომი მხოლოდ მოკრძალებული მცდელობაა ამ მეტად საინტერესო საკითხის გაშუქებისა.

I. საკითხის არსი და აქტუალობა

ენის მეცნიერული შესწავლა-დამუშავება განსხვავებული თუ იდენტური მეთოდოლოგია-მიდგომებით მრავალ წელს ითვლის. აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით ქართული ენის კვლევამ სერიოზულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლინგვისტური აზრი, არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი შეგვიძინა თეორიული ენათმეცნიერების მიმართულებით. მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა ყველა ენა და მათ შორის – ქართულიც. კერძოდ, საკომუნიკაციო საშუალებების სწრაფმა განვითარებამ და მისმა შეჭრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში განსაკუთრებული აქტუალობა მიანიჭა ენის მეცნიერული შესწავლის ისეთი ახალ მიმართულებებს, რომლებიც ბუნებრივი ენის კომპიუტერული დამუშავებისათვის სასიცოცხლოდ საჭიროა. როგორც ს. ლევენსონი და ნ. ივანსი აღნიშნავენ, „ლინგვისტიკა არის მონაცემების, მეთოდებისა და თეორიის დიდი ცვლილებების ზღვარზე“ (ლევენსონი, 2010: 2733). მნიშვნელოვანი გახდა ენობრივი ერთეულებისა და მათი ურთიერთკავშირის აღწერა სტრუქტურულ-ფუნქციური თვალსაზრისით. ენის ამგვარი შესწავლა, რა თქმა უნდა, ლოგიკური გაგრძელებაა ფუნდამენტური კვლევებისა და ეფუძნება კიდევ მას, თუმცა იგი განსხვავებულ ჭრილში აშუქებს გარკვეულ ენობრივ მოვლენებს, რითაც უდავოდ ხელს უწყობს როგორც ლინგვისტური აზრის განვითარებას, ისე ენათმეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენებითი დანიშნულების ზრდას.

მეოცე საუკუნის ლინგვისტური კვლევები, როგორც ცნობილია, ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. ეს ის მიმართულებებია, რომლებმაც ასახვა სტრუქტურულ და ტრანსფორმაციულ გრამატიკებში პოვა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარებაში (ელე, 2006: 181). იმ საკითხთა შორის, რომლებსაც სტრუქტურული ლინგვისტიკის მიმდევრები შეეხნენ, ერთ-ერთი ტრანსლაციაა. ხსენებული გრამატიკული მოვლენის შესწავლა დაკავშირებულია ფრანგი ენათმეცნიერის, ლუსიენ ტენიერის, სახელთან (ტენიერი, 1988). მისი თვალსაზრისით, მეტყველების წრფივი მიმდინარეობა გრამატიკულად სტრუქტურულ მოდელს ქმნის, რომელიც აგებულია დაქვემდებარებაზე. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ლ. ტენიერისა და მისი

მიმდევრების გრამატიკული შეხედულებები ცნობილია, როგორც დაქვემდებარებითი გრამატიკული თეორია. მნიშვნელოვანია, რომ XXI საუკუნის მეცნიერებაში ყურადღებას ამახვილებენ დაქვემდებარებითი მოდელების როლზე ბუნებრივ ენათა მანქანური თარგმნის პროცესში. მაგალითად, ს. ფუჯიტასა და ფ. ბონდის აზრით, „დაქვემდებარებითი ინფორმაციის გარეშე თარგმანი არის გაუგებარი“ (ფუჯიტა... 2007: 3) და ისინი მოდელების შექმნისას ხელმძღვანელობენ მეთოდით, რომელიც ეფუძნება შეხედულებას იმის თაობაზე, რომ „მსგავსი მნიშვნელობის ზმნებს ტიპობრივად მსგავსი დაქვემდებარებითი სტრუქტურები აქვთ“ (ფუჯიტა... 2007: 7).

რამდენადაც ტენიერის მიდგომა ენის სტრუქტურულ-ფუნქციურ შესწავლას გულისხმობს, მან სწორედ სტრუქტურული გრამატიკის საკითხებთან მიმართებით ჩამოაყალიბა ტრანსლაციის თეორია. ლუსიენ ტენიერი ტერმინ „ტრანსლაციით“ ასახავს მოვლენას, როდესაც „სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ერთი გრამატიკული კლასიდან გადადის მეორეში“ (ტენიერი, 1988: 378). სიტყვის კლასი და ფუნქცია იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ კლასის ცვლილება იწვევს სიტყვის ფუნქციის ცვლილებას და პირიქით. მკვლევარი უპირატესობას ტერმინ „ტრანსლაციას“ იმიტომ ანიჭებს, რომ იგი არ გვხვდება სხვა გრამატიკული მოვლენის გამოსახატავად, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ინგლისურისთვის აღნიშნული ტერმინის გამოყენებას გარკვეული უხერხულობა ახლავს (translation – თარგმნა) და ამ ენისთვის „ტრანსლაციის“ ფარდად „transference“-ს ასახელებს (ტენიერი, 1988: 380). თანამედროვე ენათმეცნიერებაში „ტრანსლაციის“ სინონიმურ ტერმინად გვხვდება „ტრანსპოზიცია“. კერძოდ, ენციკლოპედია „ქართულ ენაში“ „ტრანსპოზიცია“ (ვიწრო გაგებით) განმარტებულია, როგორც „სიტყვის გადასვლა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში – სრული, ანუ მორფოლოგიური ტრანსპოზიცია. ან სიტყვის გამოყენება სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით – უსრული, ანუ სინტაქსური ტრანსპოზიცია“ (ქართული ენა, 2008: 460). „ტრანსპოზიციის“ (ვიწრო გაგებით) მსგავსი განსაზღვრებაა წარმოდგენილი „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც“ (ლეღ, 1990: 519). ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ორივე ტერმინის გამოყენების პრაქტიკა არსებობს (არაბული, 2001; უთურგაიძე, 2005; უთურგაიძე... 2007; უთურგაიძე, 2009; ქურდაძე, 2013 და სხვ.). ჩვენც მეტი სიცხადისათვის ნაშრომის სათაურად ორივე სინონიმურ ტერმინს ვუთითებთ, თუმცა მსჯელობისას გამოვიყენებთ

„ტრანსლაციას“ (რამდენადაც ჩვენი კვლევა ითვალისწინებს ლ. ტენიერის „ტრანსლაციის თეორიას“). რაც შეეხება ინგლისურენოვან თარგმანს, საკითხზე მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, რომ უმჯობესია მივმართოთ ტერმინ „ტრანსპოზიციას“, როგორც ინგლისურენოვან პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტერმინს.


რამდენადაც ტრანსლირებისას სიტყვათა კლასების ცვლილებაზე ვსაუბრობთ, უნდა განიმარტოს, რა მოიაზრება მათში. „გრამატიკული აღწერისთვის სიტყვათა კლასების სისტემის მნიშვნელობა შენიშნეს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში“ (რობინსი, 1966: 5), თუმცა დღემდე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ამა თუ იმ ენაში სიტყვათა კლასების რაოდენობასა და მათი გამოყოფის კრიტერიუმებზე. ლ. ტენიერი აკრიტიკებს მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციას და სრულმნიშვნელოვნად და არასრულმნიშვნელოვნად სიტყვების დაჯგუფების საფუძველზე სრულმნიშვნელოვან სიტყვებში გამოყოფს არსებით სახელებს, ზმნებს, ზედსართავებსა და ზმნიზედებს, არასრულმნიშვნელოვან სიტყვებში – კავშირებს, ტრანსლატივებსა და მარკერებს, ცალკე ჯგუფად აერთიანებს ანაფორულ სიტყვებსა და სიტყვაწინადადებებსაც (შორისდებულები და ა.შ.). ტენიერის სიტყვათა კლასები არსით უფრო მეტია, ვიდრე ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფილი მეტყველების ნაწილები. დაისმის კითხვა – ქართულში ტრანსლაციის შესწავლისას ჩვენ გავითვალისწინებთ სიტყვების ტენიერისეულ თუ ტრადიციულ კლასიფიკაციას?!

თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში გამოყოფილია ათი მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული. მეტყველების ნაწილებად იწოდება როგორც სრულმნიშვნელოვანი, ისე არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ხსენებული კლასიფიკაციის შეფასება, თუმცა უნდა ითქვას, რომ იმ უხერხულობის გამო, რომელსაც ეს დაჯგუფება იწვევს, მისი მართებულობის შესახებ გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებანიც. კერძოდ, არნ. ჩიქობავა სტატიაში „ქართული ენა, მისი აგებულება-შედგენილობის ზოგადი საკითხები“ მეტყველების ნაწილთა დამკვიდრებული კლასიფიკაციის შესახებ წერს: „ასეთი დაჯგუფება გარკვეულ ვითარებაში გაჩნდა, სახელდობრ, როცა გრამატიკაში მხოლოდ ერთი დარგი იყო და მას ეკისრებოდა ყოველი

სიტყვის დახასიათება, რაც კი წინადადებაში იყო, მასთან – ფუნქციის მხრივაც, აღნაგობის მხრივაც. იმ ხანად ასეთი დაჯგუფება გარკვეულ მიღწევას წარმოადგენდა... ისიც უნდა ითქვას, რომ არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელი ერთ სიბრტყეზე არ იდგა, სამ ერთეულს არა ქმნიდა და „სახელებში“ იყრიდა თავს. სამ თანაბარ ერთეულად დაყოფა გვიან მოხდა, ფილოსოფიის ზეგავლენამ გამოიწვია, და მორფოლოგიის თვალსაზრისით უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერებაში დარგთა წყება ჩამოყალიბდა, ცხადია, დიონისე თრაკიელის სქემის დატოვებას მეცნიერული საფუძველი არ მოეპოვება: მორფოლოგია სიტყვას სწავლობს მისი სტრუქტურის თვალსაზრისით. ამიტომ მორფოლოგიაში მხოლოდ ის სიტყვა უნდა დარჩეს, რასაც სტრუქტურა აქვს, ე.ი. მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება. ასეთია სახელი და ზმნა. ზმნისართი და მისი ქვეჯგუფები ლექსიკური ნიშნის მიხედვით ერთიანდება და, ცხადია, ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული, თანდებულები – სინტაქსა და სტილისტიკაში; ასევე – კავშირი და ნაწილაკები. მაშინ არ იქნება ისეთი მდგომარეობა, როცა ერთი და იგივე სიტყვა ორ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება („ვინც“, „რაც“, „რომელიც“ ნაცვალსახელიც არის და კავშირიც; „სადაც“ – ზმნისართიცაა და კავშირიც... და ეს იმიტომ ხდება, რომ „კავშირი“ სხვა ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ერთეულია და „ნაცვალსახელი“ – სხვა ნიშნის მიხედვით“ (ჩიქობავა, 1964: 40). უფრო მეტიც, ცალსახად უარყოფითია არნ. ჩიქობავას შეფასება სიტყვების დამკვიდრებული დაყოფის მიმართ: „მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია უვარგისია, როგორც კლასიფიკაცია“, – აღნიშნავს იგი (ჩიქობავა, 2008: 197).

მეტყველების ნაწილთა ტრადიციულისგან განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს ბ. ჯორბენაძე: „თანდებული და ნაწილაკი არსებითად არის მორფემა, ნაწევარი – მორფემოიდა. შორისდებული ლექსიკოლოგიური ცნებაა და ამიტომაც ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული, ხოლო მორფოლოგიურად იგი ან სახელის ფუძედ იქცევა (ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე...), ან ზმნისა (ვიშობს, ვაგლახობს, არიქათ, სუთ!..). კავშირი სინტაქსური ცნებაა და სინტაქსში უნდა იქნეს განხილული. ზმნიზედა ზმნის მსაზღვრელია, ზმნას კი იგი ბრუნვაში ვერ შეუთანხმდება, ამიტომაც ტოვებს ფორმაუცვლელი სიტყვის შთაბეჭდილებას. სინამდვილეში ზმნიზედა ფორმაცვალებადი სიტყვაა“ (ჯორბენაძე, 1995: 23). ბ. ჯორბენაძეს

უმართებულად მიაჩნია ნაცვალსახელის ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფაც. თუ ნაცვალსახელი სუბსტანტივს ცვლის, როგორც მეტყველების ნაწილი – სუბსტანტივია, მეცნიერის აზრით, ხოლო, თუ ატრიბუტივს ცვლის – ატრიბუტივია. მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარი I და II პირის ნაცვალსახელებს არ თვლის ნაცვალსახელებად. „გუწოდოთ „მე“ და „შენ“ ფორმებს ნაცვალსახელი, ეს იგივეა „გივი“, „დავითი“ ფორმების მიმართ „კაცი“ გამოვაცხადოთ ნაცვალსახელად“, – აღნიშნავს იგი და საბოლოოდ გვაწვდის მეტყველების ნაწილთა შემდგენაირ კლასიფიკაციას (ჯორბენაძე, 1995: 25):



მეტყველების ნაწილთა ჯგუფებში სიტყვათა გაერთიანებისას ერთგვაროვანი პრინციპების არარსებობას უსვამს ხაზს გ. ნებიერიძე. „მოცემულ კლასიფიკაციას თუ განვიხილავთ სემიოტიკური თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ მასში გაერთიანებულია სრულიად სხვადასხვა დონისა და სტრუქტურის ელემენტები“, – აღნიშნავს მკვლევარი და შემდეგ აზუსტებს: „ერთგვაროვნება არა გვაქვს იმიტომ, რომ ერთი მხრივ, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა და ზმნიზედა, ხოლო მეორე მხრივ, თანდებული (წინდებული), კავშირი და ნაწილაკი სემანტიკური თვალსაზრისით ჰეტეროგენული (სხვადასხვაგვაროვანი) ელემენტებია“ (ნებიერიძე, 1999: 146-147). ამავე ხარვეზზე მიუთითებს „თეორიული ენათმეცნიერების კურსში“ გამოთქმული შემდეგი მოსაზრებაც: „ტრადიციულ გრამატიკაში მეტყველების ნაწილების გამოყოფა ხდება უპირატესად მნიშვნელობის მიხედვით, რაც ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოშობს, რომ არაფერი ვთქვათ საკლასიფიკაციო კრიტერიუმის ბუნდოვანებაზე“ (გამყრელიძე... 2008: 208), ამიტომ „მეტყველების ნაწილები უნდა განვსაზღვროთ მათი ფლექსიური მაჩვენებლების მიხედვით, ან, თუ ენაში ფლექსია არ არის წარმოდგენილი, – სინტაქსურ კონსტრუქციებში მათი ფუნქციის მიხედვით“ (გამყრელიძე... 2008: 208).

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ ავტორებიც მიიჩნევენ, რომ მეტყველების ნაწილთა „ტრადიციულ კლასიფიკაციას, როგორც კლასიფიკაციას,

ბევრი ნაკლი აქვს: ირღვევა საკლასიფიკაციო პრინციპი (მონაცვლეობს მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური და ლექსიკური პრინციპები)... მიუხედავად ამისა, ასეთი დაყოფით ტრადიციულად შემუშავებულ ტერმინებს შეიძლება დღესაც ჰქონდეს ტექნიკური გამოყენება მეცნიერულ გრამატიკაში“ (გოგოლაშვილი... 2011: 37).

მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში (ფილმორი, 1977; ბროდერიკი, 1975; ფრომკინი... 2009 და სხვ.) ენობრივ ერთეულთა საკლასიფიკაციო ჯგუფად აქტიურად გამოიყენება სიტყვათა კლასები, რომლებიც თავის მხრივ ფრაზის შემადგენელი ელემენტებია. რაც შეეხება ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურასა თუ გრამატიკულ სახელმძღვანელოებს, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებანიც ცხადყოფს, რომ არ გვაქვს ერთგვაროვანი სურათი კლასებსა თუ მეტყველების ნაწილთა ჯგუფებში სიტყვების განაწილებასთან დაკავშირებით და აღნიშნული საკითხი დამატებით კვლევა-დამუშავებას ნამდვილად საჭიროებს. მიუხედავად ხსენებული სირთულისა, ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ტერმინებს – მეტყველების ნაწილსა და სიტყვათა კლასს – პარალელურად გამოვიყენებთ, მხოლოდ დავაკონკრეტებთ: ჩვენთვის მნიშვნელოვანია არსებითი და ზედსართავი სახელების არა მარტო სემანტიკური ნიუანსი, არამედ მათი გრამატიკული კატეგორიები და ფუნქციური თავისებურებანიც. ამიტომ სუბსტანტივაციად განვიხილავთ ნებისმიერი სხვა კლასის სიტყვის სუბსტანტივად ქცევას, ხოლო ადიექტივაციად – თავდაპირველად არაადიექტივი ენობრივი ერთეულის ადიექტივის ფუნქციით გამოყენებას.

თანამედროვე ლინგვისტიკაში განარჩევენ სიტყვათა ღია და დახურულ კლასებს. ღიაა ის კლასი, რომლის შევსებაც შესაძლებელია ახალი სიტყვებით, დახურულ კლასში კი სიტყვების ჩამატება პრაქტიკულად არ ხდება. დახურული კლასის სიტყვებს აქვთ უფრო გრამატიკული, ვიდრე ლექსიკური მნიშვნელობა და მათ ფუნქციურ სიტყვებს უწოდებენ. ღია კლასის სიტყვებია, მაგალითად, ზმნა, არსებითი და ზედსართავი სახელები (ფრომკინი... 2009: 33). ჩვენ მიერ შესასწავლი საკითხიც არსებით და ზედსართავ სახელთა ღია კლასების ახალი, ტრანსლაციის გზით მიღებული, სიტყვებით შევსებას ეხება.

ამჯერად უნდა გაირკვეს, როდის შეიძლება ვისაუბროთ სიტყვის ტრანსლაციაზე, ანუ როდის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა ტრანსლირებულია.

უპირველესად აღსანიშნავია: არაერთ ენათმეცნიერს აქვს შენიშნული ფაქტი, რომ მეტყველების ნაწილებს აქვთ ძირითადი ფუნქციები და აგრეთვე ფუნქციები, რომლებსაც ისინი გარკვეულ პოზიციაში იძენენ.

ა. შანიძე ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის „თავისთავადად“ თუ „მსაზღვრელად“ გამოყენების შესახებ აღნიშნავს: „ერთი და იგივე სახელი შეიძლება თავისთავადადაც ვიხმართ და მსაზღვრელადაც, მაგრამ თავისთავადობა ახასიათებს უპირატესად არსებით სახელებს, წილობით რიცხვითებს, ზოგიერთ ნაცვალსახელს (პირისას და სხვ.), საწყისებს და მოქმედებითი გვარის მიმღებებს, მსაზღვრელობა – კი უმეტესად ზედსართავეებს, რაოდენობითსა და რიგობით სახელებს, ზოგიერთ ნაცვალსახელს (კუთვნილებითს და სხვ.) და ვნებითი გვარის მიმღებებს“ (შანიძე, 1980: 49). ქ. ფეიქრიშვილიც მიიჩნევს, რომ „ჩვეულებრივ, ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთან დაკავშირებულია რომელიმე ძირითადი ფუნქცია, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს სიტყვის გადასვლა მეტყველების ნაწილთა ერთი თანრიგიდან მეორეში. მაგალითად, **ჩქარი** (მდინარე) – ზედსართავი სახელი, მაგრამ: **ჩქარა** (მიდის) – ზმნიზება. შესაძლებელია, დამხმარე სიტყვა, აგრეთვე შორისდებული წინადადებაში გამოყენებულ იქნეს სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ფუნქციითაც: „და მაჯგუფებელი კავშირია“. აქ და ქვემდებარეა. „**ვაის** გავეყარე და **ვუის** შევეყარე“ – ორივე შორისდებული დამატება“ (ფეიქრიშვილი, 1996: 59).

მართალია, ქ. ფეიქრიშვილი ეთანხმება მეტყველების ნაწილთა ძირითადი ფუნქციის არსებობას, მაგრამ იგი არ უარყოფს წინადადებაში როლის გავლენით სიტყვის სინტაქსური ფუნქციის ცვლასაც.

ა. დავითიანს კი სიტყვის ფუნქციის განსაზღვრისას უმთავრესად მიაჩნია წინადადების მოდელში ამ სიტყვის ადგილი: „რადგან პრაქტიკულად წინადადებაში მეტყველების ნაწილთა ფუნქცია საკმაოდ აღრეულია, ცალკე აღებული მეტყველების ნაწილი კი არა, ზოგჯერ მისი გარკვეული ფორმაც არ განსაზღვრავს ზუსტად მის ფუნქციას. იმდენად დიდია მოდელის მნიშვნელობა, რომ ერთი და იგივე იზოლირებული სიტყვა ერთი და იმავე ფორმით შეიძლება წინადადების სხვადასხვა წევრად მოგვევლინოს; მაგალითად: ურემი ჭრიალით მიდიოდა (ქვემდებარე); ივანემ დაინახა ჭრიალით მომავალი ურემი (პირ. დამატება); ურემი შეშა ეწყო მანქანაზე (განსაზღვრება); ეს ივანეს ურემია (შემასმენელი). ასეთი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ყველა მეტყველების ნაწილის ფორმებთან გვაქვს“, – აღნიშნავს მეცნიერი (დავითიანი, 1973: 120).

პრინციპულად იმავე პოზიციაზეა ბ. ჯორბენაძეც. იგი მეტყველების ნაწილთა განსხვავებულ კლასიფიკაციას ფორმაცვალების პრინციპზე დაყრდნობით აყალიბებს, სახელებში განარჩევს სუბსტანტივებსა და ატრიბუტივებს და აღნიშნავს, რომ „მათ შორის არ არის მკაცრი სემანტიკური მიჯნა: ერთი და იგივე სახელი კონტექსტის შესაბამისად შესაძლოა იყოს სუბსტანტივიც და ატრიბუტივიც“ (ჯორბენაძე, 1995: 24). თქმულის საილუსტრაციოდ მეცნიერს მოჰყავს „გოდორი“ სიტყვის განსხვავებული ფუნქციები შემდეგ შესიტყვებებში: დიდი გოდორი (გოდორი სუბსტანტივია) და გოდორი სიმინდი (გოდორი ატრიბუტივია).

ლ. კვაჭაძე კი მეტყველების ნაწილთა ძირითადი ფუნქციისა და სიტყვის სინტაქსური როლის ცვლას ერთდროულ პროცესებად მიიჩნევს: „ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთან დაკავშირებულია რომელიმე ძირითადი სინტაქსური ფუნქცია, მაგრამ ენებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სიტყვის ერთი მეტყველების ნაწილიდან სხვა მეტყველების ნაწილში გადასვლის პროცესი, ე. ი. გადანაცვლება ერთიდან მეორეში, და ამის შედეგად მისი სხვა სინტაქსური ფუნქციით აღჭურვა. ეს პროცესი არც ქართულისთვის არის უცხო. ამის შედეგია სუბსტანტივაცია, ადიექტივაცია, ადვერბალიზაცია. ასე, მაგალითად, ზედსართავი სახელი წინადადებაში განსაზღვრებაა (მ ა ღ ა ლ ი სახელი), მაგრამ ის შეიძლება არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოვიყენოთ და ქვემდებარე ან დამატება გამოხატოს. მაგალითად: ამის გაგონებაზე მ ა ღ ა ლ მ ა , რომელსაც აბესალომი რქმეოდა, თვალები დააბრიალა... მ ა ღ ა ლ მ ა ქვემდებარეა“ (კვაჭაძე, 1996: 70).

ჩვენი აზრითაც, მართებულია სიტყვათა ძირითადი და პოზიციურად (კონტექსტში) შექმნილი ფუნქციების გამიჯვნა, მით უმეტეს, რომ ტრანსლაციის არსი სწორედ არაძირითადი ფუნქციით სიტყვის / ენობრივი ერთეულის გამოყენებაში გამოიხატება. ეს პროცესი შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: თითოეულ სიტყვას, როგორც ამა თუ იმ კლასის ერთეულს, აქვს ძირითადი ფუნქცია, რომელსაც იგი უმეტესად ავლენს წინადადებაში თავისი როლის შესრულებისას და რომელი ფუნქციის გათვალისწინებითაც ხდება მისი დახასიათება. მაგალითად, არსებითი სახელი ძირითადად ქვემდებარე-დამატებების ფუნქციით გვხვდება, ზედსართავი – საგნის ნიშან-თვისების განმსაზღვრელად, მაგრამ თავისუფლად შესაძლებელია, რომ მათ, მოსაუბრის საჭიროებისამებრ (სათქმელის უკეთ გამოხატვის მიზნით), წინადადებაში მათთვის არაძირითადი

როლის შესრულება იკისრონ. ხდება ისეც, რომ არათუ განსხვავებული, არამედ იდენტური სიტყვაფორმები სხვადასხვა ფუნქციით არის აღჭურვილი. თუ როგორ, რა საშუალებების დახმარებით იცვლიან სიტყვები კლასებს, სწორედ ეს არის ტრანსლაციის შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ტრანსლაციაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც სიტყვა იცვლის კლასს, გამოიყენება არაპირითადი ფუნქციით და ტრანსლირდება სწორედ იმ კლასის სიტყვად, კონკრეტულად რომლის როლსაც ასრულებს წინადადებაში.**

გამოთქმულია მოსაზრება (თ. უთურგაიძე), რომ ტრანსლაციად იქნეს მიჩნეული ისეთი სემანტიკურ-გრამატიკული ცვლილებაც, რომელიც შიდაკლასოვანი ხასიათისაა. ამგვარი შემთხვევების ტრანსლაციის სახელით განვიხილვა, ჩვენი აზრით, გარკვეულ სირთულეს წარმოშობს ენის სისტემის ზუსტი აღწერის პროცესში, ამიტომ ტერმინი „ტრანსლაცია“ წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იქნება მხოლოდ სიტყვათა კლასის ცვლილების მოვლენა-მექანიზმის აღსანიშნავად.

ტრანსლაცია, როგორც გრამატიკული მოვლენა, კარგად ავლენს ენის შინაგან პოტენციასა და ბუნებას, წარმოაჩენს ენობრივ სისტემას, ამიტომ ქართული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური შესწავლისთვის უაღრესად საინტერესოდ გვესახება მისი კვლევა. ამას გარდა, მიღებული შედეგები თავის როლს შეასრულებს თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიული თუ გამოყენებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სიტყვაფორმათა ქმნადობა-გენერირება, მათი ფუნქციური დატვირთვა წინადადებაში, ამ ერთეულთა სინტაქსური კვალიფიკაცია მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხებს, რომელთა კვლევა უმნიშვნელოვანესია სიტყვათა ყალიბებისა (მოდელების) თუ მანქანური ანალიზატორების შექმნის მიზნით. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომის შედეგები ამ მხრივაც შეიტანს წვლილს ქართული ენის კომპიუტერული დამუშავების საქმეში. ყოველივე ზემოთქმული უდავოდ ადასტურებს ტრანსლაციის მეცნიერული შესწავლის აქტუალურობას.

II. ტრანსლაციის სახეები და საშუალებები

ტრანსლაციის შედეგად მიიღება სხვადასხვა კლასის სიტყვა. იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს განეკუთვნება ტრანსლირებული ერთეული, განირჩევა ტრანსლაციის სახეები: სუბსტანტივაცია, ადიექტივაცია, ადვერბალიზაცია, ვერბალიზაცია და სხვ. ამ ეტაპისთვის ჩამოთვლილთაგან ჩვენი კვლევის სფეროში შემოდის მხოლოდ სუბსტანტივაცია და ადიექტივაცია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სუბსტანტივაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის, არსი ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის გაარსებითებაში მდგომარეობს. გამოყოფენ სრული, არასრული და ოკაზიონალური სუბსტანტივაციის სახეებს: „სრული, როცა ზედსართავი ან სხვა რომელიმე მეტყველების ნაწილი გაარსებითდება და თავისი პირვანდელი ფუნქციით აღარ გამოიყენება (სამკუთხედი, ცხენოსანი, საცივი...); არასრული, როცა ზედსართავი (ან სხვა მეტყველების ნაწილი) ზოგ შემთხვევაში გაარსებითებულია, სხვა შემთხვევაში კი ისევ ზედსართავია (მორიგე, სასადილო, სამხედრო...); ოკაზიონალური, როცა ზედსართავი არსებითის ფუნქციით მხოლოდ მოცემულ კონტექსტში გამოიყენება – ძუნწი და ალალმართალი“ (ქართული... 2008: 448). ადიექტივაცია კი წარმოადგენს ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ზედსართავის ფუნქციით გამოყენებას.

სიტყვას, რომელმაც უნდა განიცადოს ტრანსლაცია, ეწოდება „სატრანსლირებელი“ სიტყვა, რომელმაც განიცადა ტრანსლაცია – „ტრანსლირებული“, ხოლო „ტრანსლატივებად“ მოვისხენიებთ ტრანსლაციის მორფოლოგიურ მარკერებს (ტენიერი, 1988: 381). ტრანსლატივებს აქვთ უნარი, სიტყვა რომელიმე, მაგალითად, სუბსტანტივების, კლასში გადაიყვანონ. თუ სიტყვა თავდაპირველად არაა სუბსტანტივი, ხოლო მაწარმოებელი მას სუბსტანტივად აქცევს, გამოდის, რომ ეს მაწარმოებელი მასუბსტანტივებელი ტრანსლატივია. შესაძლებელია ერთი და იგივე ელემენტი ერთ ფორმასთან ტრანსლატივი იყოს, მეორესთან – არა. მაგალითად, მასუბსტანტივებელი ტრანსლატივი კლასს უცვლის ადიექტივს, ხოლო სუბსტანტივზე დართვის შემთხვევაში, მას მხოლოდ განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსს სძენს კლასის ცვლილების გარეშე. შდრ.: კარგი (ადიექტ.) → კარგ-ობა (სუბსტ.) და ბავშვი (სუბსტ.) → ბავშვ-ობა (სუბსტ.). პირველ შემთხვევაში „ობა“ მასუბსტანტივებელ

ტრანსლატივად გვევლინება, მეორეში კი სიტყვის სუბსტანტიურობის გამომხატველია მხოლოდ. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ტრანსლატივები (რომელთა დართვის შედეგადაც სიტყვები იცვლიან კლასს) და სხვადასხვა მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც სიტყვის ტრანსლირების მიზეზად ვერ მიიჩნევა, მაგრამ ამ ერთეულის რომელიმე კლასისადმი კუთვნილების მაჩვენებელი (ინდიკატორი) ნამდვილად არის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა ტრანსლატივი რომელიმე კლასის ინდიკატორიცაა იმავდროულად, მაგრამ ყველა ინდიკატორი ტრანსლატივი არ არის. განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება ინდიკატორს სინტაქსური ტრანსლაციის შემთხვევაში. მაგალითად, წინადადებაში – ვაის გავეყარე, უის შევეყარეო (სახოკია, 2012: 85) – ფორმებში „ვაის“ და „უის“ ბრუნვის ნიშნები ამ ერთეულების სუბსტანტიური ტრანსლაციის ინდიკატორებია.

სუბსტანტიურობის / ადიექტიურობის ინდიკატორის, როგორც ტერმინის, შემოტანა, ჩვენი აზრით, მართებულია სახელურ ფორმათა ზუსტი სინტაქსური კვალიფიკაციისათვის ენის კომპიუტერული დამუშავება-მოდელირების პროცესში თუ ანალიზატორების შექმნისას.

აქტიურობის თვალსაზრისით ტენიერი განარჩევს ცოცხალ და გაქვავებულ ტრანსლაციას. გაქვავებულს ის უწოდებს ისეთ ტრანსლაციას, როცა მატრანსლირებელი ელემენტი ცოცხალ ენაში გადის ხმარებიდან და მას მხოლოდ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აქვს (ტენიერი, 1988: 387). ამას გარდა, მკვლევარი განარჩევს ტრანსლაციის ორ საფეხურს: პირველი საფეხურისაა ტრანსლაცია, როცა სიტყვა ერთი კლასიდან მეორეში გადადის; ხოლო მეორე საფეხურისაა, როცა წინადადების ზმნური ბირთვი გადადის სხვა კატეგორიაში. ტენიერი გამოყოფს ასევე ერთმაც, ორმაც და მრავალჯერად ტრანსლაციას.

სიტყვათა ტრანსლაცია ხორციელდება როგორც მორფოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ისე წინადადების მოდელში დაკავებული ადგილის გავლენით. მეტი სიცხადისთვის მოვიყვანო მაგალითებს:

ა)

მდუმარედ იდგა **თეთრი** მყინვარი (**თეთრი** ადიექტივია);

ამ **სი-თეთრ-ემ** ჩემში უდიდესი ადფრთოვანება გამიწვია (**სითეთრე** სუბსტანტივია, ადიექტივისაგან ტრანსლატივებით მიღებული; **ცვლილება** მორფოლოგიური ხასიათისაა).

ბ)

იმ მთაზე დიდი ქვა დევს (დიდი ადიექტივია);

დიდმა პატარას ხელი გაუწოდა დასახმარებლად (დიდი ადიექტივად აღარ განიხილება, იგი უკვე სუბსტანტივია – გასუბსტანტივებულია; **ცვლილება სინტაქსური ხასიათისაა**).

როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური მექანიზმის გავლენით სიტყვამ შეიცვალა კლასი. პირველ შემთხვევაში სიტყვა საბოლოოდ იქცა სუბსტანტივად, მეორეში – სიტყვამ ტრანსლაცია წინადადებაში (წინადადების აბსტრაქტირებულ მოდელში) დაკავებული ადგილის გავლენით განიცადა და სუბსტანტივის ძირითადი ფუნქციებით აღიჭურვა კონკრეტულად ამ შემთხვევაში. მოდელის გავლენის გარეშე იგი ვერ გასუბსტანტივდებოდა. შესაბამისად, **ასეთი ტრანსლაცია პოზიციური ხასიათისაა**. თქმულიდან გამომდინარე, ტრანსლაციის მიზეზისა და მექანიზმის მიუხედავად, **ტრანსლაციად კვალიფიცირდება ნებისმიერი ის შემთხვევა, როდესაც სიტყვა ერთი კლასიდან გადაინაცვლებს მეორეში**.

ტრანსლაციის რთული ბუნებიდან გამომდინარე, მისი კვლევა ვერ მოექცევა ენათმეცნიერების მხოლოდ ერთი მიმართულების (მაგ., მხოლოდ მორფოლოგიის ან მხოლოდ სინტაქსის) ჩარჩოებში. მოვლენის არსს უკავშირდება ის, რომ ზოგჯერ მორფოლოგიური ცვლილება შეპირობებულია სინტაქსის გავლენით, ხოლო ზოგჯერ, პირიქით, მორფოლოგიის დონეზე განვითარებული პროცესები აისახება ამა თუ იმ სიტყვის სინტაქსურ ფუნქციაზე. შესაბამისად, ენობრივი ერთეულის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზი მრავალი ასპექტის გათვალისწინებას გულისხმობს, ამიტომაც მხოლოდ ერთი თვალსაზრისით ტრანსლაციის კვლევა არათუ სრულყოფილი ვერ იქნება, არამედ შეუძლებელიცაა. თუმცა აქვე დაისმის კითხვა: არსებობს ერთი გრამატიკული მოვლენის ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით (მორფოლოგია, სინტაქსი...) განხილვის პრეცედენტი თუ ამ მხრივ ტრანსლაცია გამონაკლისს წარმოადგენს?

ზოგადად, ენაში გარკვეული საკითხების შესწავლის დროს მორფოლოგიისა და სინტაქსის ურთიერთკავშირსა და მათი მკაცრი გამიჯვნის შეუძლებლობაზე არაერთი მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას. ამის შესახებ ჯერ კიდევ არნ. ჩიქობავა წერდა: „სინტაქსი მორფოლოგიისაგან საგნის მიხედვით კი არ განირჩევა, არამედ მხოლოდ თვალსაზრისით; საგანი ორივესათვის ერთია – ცალკე სიტყვა; მის ფორმას მორფოლოგია სწავლობს,

მნიშვნელობას – სინტაქსი.“ (ჩიქობავა, 1998-ბ: 39). დარგთა დიფერენცირებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს მისივე სიტყვები: „ამ დარგების დაკავშირება კი არაა ძნელი, – კავშირი მოცემულია, – არამედ გამიჯვნაა რთული. ზოგ შემთხვევაში ეს მეტად მწვავედ იგრძნობა“ (ჩიქობავა, 1940: 162).

თ. უთურგაიძესაც მიაჩნია, რომ „მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები გრამატიკაში საკმაოდ მკაფიოდ არის გამიჯნული ერთიმეორისაგან შემადგენელი ელემენტებისა და ელემენტთა ურთიერთობის კონონზომიერებათა მიხედვით სათანადო დონეთა ფარგლებში, მაგრამ მათი აბსოლუტური გამიჯვნა შეუძლებელია, რადგან ენის გლობალურ სისტემაში ისინი ერთდროულად მოქმედებენ და ერთიმეორის ფუნქციათა რეალიზაციაში სრულიად ბუნებრივად იღებენ მონაწილეობას“ (უთურგაიძე, 2009: 146).

ჟ. ფეიქრიშვილიც იზიარებს მოსაზრებას მორფოლოგიისა და სინტაქსის დიდი სიახლოვის შესახებ: „მორფოლოგია განიხილავს ფორმათსაწარმოებელ ანუ დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სიტყვათა შეკავშირება აზრის გამოსახატავად. სიტყვათა ასეთ შეკავშირებას კი სინტაქსი შეისწავლის. მაშასადამე, საკვლევი ობიექტის მიხედვით მორფოლოგია ერთგვარი შემამზადებელი საფეხურია სინტაქსისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორფოლოგია ამზადებს ნიადაგს სიტყვათა შეკავშირების შესასწავლად. აქედან გამომდინარეობს გრამატიკის ამ ორი ნაწილის მჭიდრო კავშირი“, – აღნიშნავს მკვლევარი (ფეიქრიშვილი, 1996: 5).

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ კი ვკითხულობთ: „გრამატიკის დაყოფა მორფოლოგიად და სინტაქსად ზოგჯერ პირობით ხასიათს იძენს: მორფოლოგიური საკითხების გარკვევა სინტაქსური ურთიერთობების გათვალისწინების გარეშე არ მოხერხდება ისევე, როგორც სინტაქსური პრობლემების გარკვევა – მორფოლოგიის საკითხების გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც ზოგჯერ ენათმეცნიერები საუბრობენ მორფოსინტაქსის საკითხებზე, მორფოსინტაქსურ კატეგორიებზე“ (გოგოლაშვილი... 2011: 5).

ა. ჰოლმბერგი და ი. რობერტსი კი აღნიშნავენ, რომ „სიტყვის სტრუქტურას ბევრი საერთო თვისება აქვს სინტაქსურ სტრუქტურასთან“ (ჰოლმბერგი... 2013: 111).

მოყვანილი ციტატებიც მოწმობს, რომ ტრანსლაცია არის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი გრამატიკული მოვლენა, რომლის შესწავლაც ერთდროულად შედის მორფოლოგიისა და სინტაქსის ამოცანებში.

თავიდანვე დავაზუსტებთ იმასაც, რომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ტრანსლაციას (სუბსტანტივაციასა და ადიექტივაციას) განვიხილავთ როგორც მორფოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ისე – სინტაქსური მექანიზმის გავლენით (წინადადებაში სიტყვის სტრუქტურულ-ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით). თავისთავად საინტერესოდ გვეჩვენება ტრანსლაციის მიზეზთა კვლევაც მეორე საფეხურის სინტაქსური ტრანსლაციის (რომელიც უკვე რთული წინადადების დონეზე გადის) დროს, თუმცა იგი მოიაზრებს საკითხთა წყებას და დიდი მოცულობის გამო თავისუფლად შეიძლება ცალკე განხილვის საგნად იქცეს. ამიტომ ჩვენი მიზანი ამ ეტაპისთვის ვერ იქნება ტრანსლაციის სრულად გაშუქება და, როგორც აღვნიშნეთ, შემოვიფარგლებით I საფეხურის ტრანსლაციასთან დაკავშირებული მორფოლოგიური და ზოგი სინტაქსური საკითხით.

III. ქართული ლინგვისტური აზრის ისტორია ტრანსლაციასთან მიმართებით

ტრანსლაციის კვლევა ქართულში შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა, თუ საკითხის არსის გათვალისწინებით მივადევნებთ თვალს ქართული ენათმეცნიერული აზრის გენეზისს, აღმოვაჩინებთ, რომ ერთი მეტყველების ნაწილის მეორეში გადასვლის შემთხვევები არაერთ მკვლევარს შეუნიშნავს და განუხილავს ნაშრომებში. მართალია, ტრანსლაციის კომპლექსურად შესწავლა თანამედროვე ლინგვისტიკის გამოწვევაა და ტერმინ „ტრანსლაციის“ სახელით აღნიშნული გრამატიკული მოვლენის კვლევა სულ ახალია, მაგრამ აუცილებელია ითქვას ისიც, რომ ამ მოვლენასთან დაკავშირებული თემატიკა ჯერ კიდევ ანტონ პირველის გრამატიკაში ჰპოვებს ასახვას. ამიტომ ერთიანი სურათის შესაქმნელად ქართულ საენათმეცნიერო

ლიტერატურაში ტრანსლაციასთან მიმართებით არსებულ საკითხებს წარმოვადგენთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

§ 1. ტრანსლაციასთან დაკავშირებული საკითხები გრამატიკის ადრინდელ სახელმძღვანელოებში

ანტონ I, რომელიც, აღ. ფოცხიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა მხოლოდ პირველი გრამატიკის ავტორი, არამედ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელია საერთოდ“ (ფოცხიშვილი, 1979: 11), „ქართულ დრამმატიკაში“ საინტერესო ხედვას წარმოადგენს ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის სათავეებთანაა, მისი ცალკეული მიგნებანი ნამდვილად დასაფასებელია.

ანტონ I გამოყოფს რვა მეტყველების ნაწილს: სახელს, ნაცვალსახელს, ზმნას, მიმდებობას, თანდებულს, ზმნიზედას, კავშირსა და შორისდებულს. მნიშვნელოვანია, რომ მისთვის ზედსართავი სახელი ცალკე მეტყველების ნაწილი კი არაა, არამედ – სახელის ერთ-ერთი სახე. გრამატიკოსი მათ შემდეგნაირად მიჯნავს: „არსებითი არს თავით თვსათ მდგომარე საუბარსა შინა და წერილსა, ხოლო ზედ-შესრული არს არა თავის თვსით მდგომარე არამედ მოსრული არსებასა ზედა“ (ანტონ I, 1885: 125). როგორც განმარტებიდანაც ჩანს, ანტონისთვის არსებითი სახელი დამოუკიდებელია, ხოლო ზედსართავი, პირიქით, – არსებითთან დაკავშირებული. „ამისთვის უკუჭ იზედ-წოდებიან რომელნიმე სახელნი ზედ-შესრულ, მით, რათა არსებასა ზედა შესლვთა ჰნიშუნენ რაოდენობასა, ანუ ვითარებასა არსებისასა“, – წერს მკვლევარი (ანტონ I, 1885: 125). აღნიშნული ციტატიდან ჩანს, რომ ანტონი სიტყვათა კლასიფიკაციისას ითვალისწინებს მათ როლს წინადადებაში. მნიშვნელოვანია, რომ სისტემური გრამატიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებიც კი ხშირად ვერ გვაწვდიან ამ თვალსაზრისით ერთგვაროვან განმარტებებს, რაც შეიძლება შემსწავლელისთვის დამაბნეველი აღმოჩნდეს.

ანტონს უყურადღებოდ არც სიტყვაწარმოება დარჩა. იგი განარჩევს მარტივ („პირველსახე“) და ნაწარმოებ ფუძეებს („სხმითგარდასლვთი“) და გამოყოფს

წარმოქმნილი სახელების ჯგუფებს. ცნობილია, რომ სიტყვაწარმოება მეტყველების ნაწილთა ერთმანეთში გადასვლის საუკეთესო საშუალებაა. ანტონის გრამატიკული ნააზრევებიდან ფასეულია ისიც, რომ მან ასევე შეამჩნია ნათესაობითში დასმული სახელის სხვა სახელთან სინტაქსური კავშირის არსებობა.

გაიოზ რექტორის „ქართული დრამატიკა“ ჩვენთვის საინტერესო საკითხების მხრივ თვისობრივად დიდ სხვაობას არ იძლევა ანტონ I-ის გრამატიკისგან. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გაიოზ რექტორი სიტყვათა წარმოებაზე საუბრისას გამოყოფს 10 ჯგუფს და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ჯგუფთა შორის შემოაქვს „ზმნასხმითნი ანუ სახელზმნანი, რომელნიცა წარმოებენ ზმნათაგან“ (გაიოზი, 1970: 56) და მაგალითებად მოჰყავს „წერა, კითხუა“ და სხვ. ზმნისაგან სახელების მიღების (ტრანსლირების) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევა საწყისების (მასდარის) მიღებაა. ამიტომ, ჩვენი აზრით, გაიოზ რექტორის მიერ სიტყვათა წარმოების ჯგუფებში სახელზმნების გამოყოფა არსობრივად გამართლებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

რამდენიმე არსებითი საკითხის გამო მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს მ. ჯანაშიელის „ქართული გრამატიკაც“. მკვლევარი არა მარტო აღნიშნავს იმას, რომ არსებითი სახელი შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა მეტყველების ნაწილისგან, არამედ ცდილობს მაწარმოებელი აფიქსების გამოყოფასაც. მიმდებარისაგან მიღებულ სახელებად იგი მიიჩნევს სრულად გასუბსტანტივებულ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: მწერალი, მხატვარი, ნაყოფი, ნაფოტი, სამართალი, სამოსელი, მოსავალი და სხვ. (ჯანაშიელი, 1906: 8-9).

მ. ჯანაშიელს არ გამორჩენია ზმნისართებისაგან მიღებული ზედსართავებიც, რომლებსაც იგი „დამოკიდებით ზედშესრულებს“ უწოდებს: შარშანდელი, გუშინდელი... აქაური, იქაური... მკვლევარს ამავე ჯგუფში შემოაქვს ისეთი სიტყვები, როგორებიცაა არსებითებისგან ნაწარმოები: ველური, თუშური, ფშაური და სხვ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მ. ჯანაშიელმა ზედსართავებთან გააერთიანა -ა მწარმოებლიანი თვისების მატარებელი სიტყვები (ტიკტიკა, მიინარა, ტრაბახა, მყვირალა, მკვეხარა...) და ნაცვალსახელებისგან -ურ-ის დართვით მიღებული ფორმებიც (ჩემებური, მისებური...). ყოველივე ზემოაღნიშნული, რა თქმა უნდა, იმსახურებს ყურადღებას სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის თვალსაზრისით.

§ 2. სიტყვათქმნადობის ისტორიული პროცესები ტრანსლაციის ჭრილში

ქართული ლინგვისტური აზრის ისტორიას თუ თვალს გადავაგვლებთ ტრანსლაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის თვალსაზრისით, აღმოვაჩინოთ, რომ საენათმეცნიერო კვლევა ჩვენთვის საინტერესო თემას ქართული ენის განვითარების ყველა დონესთან მიმართებით შეხება. ამჯერად გაქვავებულ ტრანსლირებულ ფორმათა მაგალითზე მიმოვიხილავთ სიტყვათქმნადობასთან, როგორც ტრანსლაციის გამოსატულებასთან, დაკავშირებულ იმ რამდენიმე გამოკვლევას, რომლებიც ჩვენთვის საგულისხმო დებულებებს შეიცავს.

უპირველესად ამ თვალსაზრისით შევეხებით არნ. ჩიქობავას მონოგრაფიას „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“. ხსენებული ნაშრომი უდიდესი ღირებულებისაა არა მარტო ქართული ენის ბუნების სიღრმისეულად შესწავლის თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ მასში განხილული საკითხები, კერძოდ კი, არსებითი სახელის, ზედსართავის, მასდარისა თუ მიმღეობის წარმოებისთვის ე. წ. დეტერმინანტი მაწარმოებლების გამოყოფა, უდიდეს ინტერესს იწვევს ტრანსლაციის ისტორიის კვლევის კუთხით.

მეცნიერი მასალის ანალიზს მიჰყავს დასკვნამდე, რომ „მიმღეობის სუფიქსები იმეორებენ არსებითი და ზედსართავი სახელების სუფიქსებს“ (ჩიქობავა, 1942: 70). უფრო მეტიც, „მიმღეობიდან კი არ გადასულა არსებითსა და ზედსართავ სახელებში ეს აფიქსები, არამედ, პირუკუ, მიმღეობის საჭიროებისათვის იღებენ იმას, რაც უკვე გამოიყენებოდა არსებითსა და ზედსართავ სახელებში. ეს აფიქსები პირველადია სახელებისთვის, მეორეული – მიმღეობისათვის“ (ჩიქობავა, 1942: 112). არნ. ჩიქობავა მიიხნევს, რომ აღნიშნული აფიქსები არსებით სახელთა ფუძის მაწარმოებლები უნდა ყოფილიყო და მათ დეიქტური ნაწილაკების ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ხოლო იმავე აფიქსების ზედსართავ სახელთა ფუძის საწარმოებლად გამოყენებას მეცნიერი არსებითისა და ზედსართავის, როგორც მორფოლოგიური ოდენობის, გაუდიფერენცირებლობით ხსნის: „ფუძის ერთნაირი დეტერმინანტების გამოყენება ზედსართავსა და არსებით სახელებში მორფოლოგიური საბუთია სუბსტანტივისა და ატრიბუტივის გაუდიფერენცირებლობისა“, – აღნიშნავს იგი და იქვე განმარტავს მიმღეობებში სახელური აფიქსების გამოყენების მიზეზს: „რატომ არის ფუძის

დეტერმინანტი მიმდებარის საწარმოებელი აფიქსი? იმიტომ, რომ მიმდებარე ნაზმნარი სახელია, **ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელი**; ფუძის დეტერმინანტი კი სახელის ფუძის საწარმოებელი აფიქსია“ (ჩიქობავა, 1942: 120). ანუ ზმნისაგან მიმდებარის საწარმოებლად სახელის ფუძის დეტერმინანტების გამოყენება ბუნებრივია.

ნაზმნარ სახელადაა მიჩნეული მასდარიც (საწყისი). მეცნიერი შენიშნავს, რომ ქართულში მასდარი მოდის ზმნისგან და არა – პირიქით, ანუ იმიჯნება მასდარი, როგორც ზმნისგან მიღებული სახელი, და ინფინიტივი, როგორც საწყისი ფორმა ზმნისა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულშივე გვაქვს გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც ზმნისგან ნაწარმოები არაა. აღნიშნულის დასადასტურებლად ნაშრომში დამოწმებულია შემდეგი სიტყვები (მასდარები): **გრიალ-ი, ჭრიალ-ი, ფრიალ-ი, კანკალ-ი, ძუნძულ-ი, გუგუნ-ი, ჭიხვინ-ი** (ჩიქობავა, 1942: 218) და სხვ. ამ ფაქტს მეცნიერი შემდეგნაირად ხსნის: „ეს ხდება იმიტომ, რომ ამ პირველადს სახელებს უკვე აქვთ ის მნიშვნელობა, რომელთა გამოსახატავადაც მასდარი იწარმოება: **გრიალ-ი, გუგუნ-ი, ტიტინ-ი, კანკალ-ი** და მსგავსი სახელები **მდგომარეობა-მოქმედების** აღმნიშვნელი პირველადი სახელებია“ (ჩიქობავა, 1942: 219). ამგვარ სიტყვებს ავტორი „პირველად მასდარებს“ უწოდებს.

რაც შეეხება პრეფიქსიან წარმოებას, არნ. ჩიქობავა ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „მასდართა პრეფიქსიანი წარმოება ამჟამად მკვდარია; მათი უმეტესობა გასუბსტანტივებულია ჯერ კიდევ ძველ ქართულში (**სიყმილ-ი, სიკუდილ-ი, სიტყუა-ი, სიმდერა-ი, სახარება-ი...**), თუმცა აქა-იქ კონტექსტებში დაჩნდება ზმნურობა (მაგალ.: და იწყო სიტყუად...)“ (ჩიქობავა, 1942: 230). საგულისხმოა ისიც, რომ მეცნიერს მასდარულ ფორმებში დადასტურებული პრეფიქსები (**ს-, ს-ი, ს-ა**) იმავე ბუნებისად მიაჩნია, რა ფუნქციასაც ისინი მიმდებარისა და სხვა ნაწარმოებ სახელებში ავლენენ. „ამაში გვარწმუნებს ერთი გარემოებაც: ამავე პრეფიქსს ენა იყენებს ატრიბუტივთაგან განყენებულ სახელთა საწარმოებლად“, – აღნიშნავს მკვლევარი (ჩიქობავა, 1942: 235).

არნ. ჩიქობავას ზემოაღნიშნული ნაშრომი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით. კერძოდ, ზმნისგან სახელის (მიმდებარის, საწყისის) მისაღებად ენა ისტორიულად იმავე ინვენტარს იყენებს, რასაც სახელის საწარმოებლად. **ეს კი თვალსაჩინოს ხდის ზმნის სუბსტანტივაცია-**

ადიექტივაციის ისტორიულ და, შესაძლოა, ქართული ენისათვის განვითარების ყველა ეტაპზე მოქმედ მექანიზმს.

გაქცევებულ ტრანსლაციას ეხება ვ. თოფურიას სტატიაც – „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“. მეცნიერი ნე-, ნა-, ნი- პრეფიქსებს გამოყოფს შემდეგ სიტყვებში: ნე-: ნერწყვი, ნერგი, ნერჩი, ნესტი, ნეშტი, ნეზვი, ნეტარი; ნა-: ნატრვა → ნატვრა, ნათელ, ნახვა; ნი-: ნიჩვი, ნიდაყვი, ნიკაპი. მკვლევარი ჩამოთვლილ ფორმათა ანალიზის შედეგად ასკვნის: „ნათლად ჩანს ნე-, ნა-, ნი-ს პრეფიქსობა, ოღონდ სარკვევია, თუ რა ფუნქციით არის აღჭურვილი ეს ელემენტები. ნიმუშებით ესეც გამოაშკარავებულია: ნ ე - (ნ ე ზ ვ ი , ნ ე რ წ ყ ვ ი , ნ ე შ ტ ი ...) = ქართ. ს ე -სა და სვან. ლ ე -ს. იგი მადიექტივებელია, დანიშნულების გამომხატველი. შემდეგ ეს ე. წ. ადიექტივები სუბსტანტივებად ქცეულა. ხოლო ნ ა -, ნ ი - = ქართ. ს ა -, ს ი -სა და სვან. ლ ა -, ლ ი -ს. ესენი უმთავრესად სუბსტანტივებს აწარმოებენ. გამოდის, რომ ქართულში ერთისა და იმავე მოვალეობის შემსრულებლად ფონეტიკურად განსხვავებული ორი თავსართი გვექონია: ს ე - // ნ ე -, ს ა - // ნ ა -, ს ი - // ნ ი -.“ (თოფურია, 1979-ა: 71).

ვ. თოფურია ხმოვანპრეფიქსებს გამოყოფს რიგ სიტყვებში: ა-ბანო, ა-დგილი, ა-ლაგი, ა-ჩრდილი; ე-ნა, ე-რ-ქვან-ი, ეჭვი; ი-გავი, ი-დაყვ, ი-დუმალ, ი-ფქლი, ი-ძუ-ლება, ი-სარი, ი-ღლია; სა-ოცარი; მე-უფე... და მათ საერთოქართველური მონაცემების საფუძველზე შეისწავლის. მეცნიერი ასკვნის: „ხმოვანთავსართოვან სახელებს შემდგომ ერთოდა ს, ნ, ლ თუ დ თანხმოვანპრეფიქსები... ამ ელემენტთაგან ხმოვანთავსართი, თუ ის ფონეტიკურ ნიადაგზე არაა განვითარებული, აწარმოებს სახელებს სახელისაგან და ზმნისაგან და თანხმოვანთავსართი გარკვეული ფუნქციის მატარებელია, სახელდობრ, ს, ნ, ლ, დ პრეფიქსები სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია კლასკატეგორიის ნიშნებად. უთუოდ ამ გარემოებით აიხსნება, რომ როგორც ხმოვანელემენტები, ისე თანხმოვანელემენტები ყველა ტიპის წარმოქმნილ სახელებში ჩანს“ (თოფურია, 1979-ბ: 99).

ზმნურ და სახელურ ფუძეთქმნადობასთან მიმართებით ტრანსლაციას ავთ. არაბული შეესო მონოგრაფიაში „ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“. აღნიშნულ ნაშრომში ავთ. არაბული ისევე, როგორც არნ. ჩიქობავა წიგნში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, ენის შინაგან პოტენციას – გამოხატოს ქმედება და

საგნობრიობა – ისტორიულ ჭრილში წარმოაჩენს და იმ ინვენტარს შეისწავლის, რომელიც ხსენებული ფუნქციით გამოიყენება.

ზმნურ და სახელურ ფუძეთა ურთიერთმიმართებას ავთ. არაბული რამდენიმე თვალსაზრისით იკვლევს. იგი ეხება როგორც „ძირეულ სახელებს“ (რომლებსაც საერთო ძირი აქვთ ზმნასთან და გაფორმების გარეშე წარმოდგებიან სუბსტანტივებად თუ ატრიბუტივებად), ალტერნაციას (როგორც ზმნური და სახელური ძირების დიფერენციაციის საშუალებას) და სახელის ფუძის ზოგ დერივაციულ მოდელს. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაშრომის ცალკე თავი – „მდგომარეობისა და თვისების სემანტიკათა ურთიერთშეხვედრისა და ტრანსპოზიციის პროცესისათვის ისტორიულ მასალაში“. მონოგრაფიის ამ ნაწილში მეცნიერი ეხება მიმდებარე წარმოების საფუძველზე ზედსართავ სახელთა წარმოქმნას. მას მიაჩნია, რომ „მიმდებარე შინაარსი გულისხმობს ზმნური სუბიექტისა და ობიექტის მდგომარეობას დასრულებული მოქმედების (მისი შედეგის) მიმართ. საგნის (მოვლენის) მდგომარეობა კი მის „ჩვეულებრივ ვითარებას“ გამოხატავს, რაც შესაბამის სახელთან (ყოფილ სუბიექტთან, ობიექტთან) ატრიბუტული მიმართების დროს ნიშან-თვისების რანგში გვევლინება“ (არაბული, 2001: 287). მეცნიერი გამოყოფს მიმდებარე ფუნქციონირების ორ მოდელს. ერთში წინა პლანზე სახელური, ხოლო მეორეში – ზმნური სემანტიკა გამოდის. პირველ მოდელში (ავტორი ამას ატრიბუტულ მოდელს უწოდებს) „მიმდებარე ბუნებრივად ექვემდებარება ადიექტივაციის ან, უფრო იშვიათად, სუბსტანტივაციის ტენდენციას. ამგვარი ტრანსპოზიციის (ტრანსლაციის) პროცესი თავს იჩენს მიმდებარე ენობრივი ფუნქციონირების ყოველ სინქრონიულ დონეზე, მოვლენის შედეგები კი განსაკუთრებით ისტორიულ ჭრილში ხდება ხელშესახები“, – ვკითხულობთ დასახელებულ ნაშრომში (არაბული, 2001: 288). მიმდებარე ისტორიული ტრანსლაციის მაგალითად ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

ტფილ-ი: მოიღი თავადმან მან დეღამან ფილი და ლაკნად, აღსავსე წყლისა მიერ ტ ფ ი ლ ი ს ა .

თხრილ-ი: და-რე-აღრმეთ თ ხ რ ი ლ ი ეგე; მიეყრდნა იგი თ ხ რ ი ლ ს ა მას შინა (არაბული, 2001: 289).

მეცნიერი მიიჩნევს, რომ „ისტორიული ტრანსპოზიციის პროცესი მიმართულია როგორც სუბსტანტივაციისაკენ (ძირითადად), ასევე ადიექტივაციისაკენ (შედარებით იშვიათად): **ჭერი, ძღვენი, კვეთი, ჯარი...** სუბსტანტივებად

ჩამოყალიბდა, ხოლო ჭყეტი (ტანსაცმელი), კელი (საქონელი), ჭვირი (საშუალო გამჭვირვალე, მჭვირობი), ჭიკი (ვიწრო, შეკრული, მოჭერილი)... ფუძეებში ატრიბუტულმა მნიშვნელობამ იჩინა თავი“ (არაბული, 2001: 294).

ამას გარდა, მკვლევარი ეხება -ელ სუფიქსიან სახელურ ფუძეებს და ასკენის, რომ მათი უმეტესობის – ადიექტივაცია და შედარებით მცირე ნაწილის სუბსტანტივაცია განხორციელდა. ამის მაგალითებია: ყველი, წნელი, სახელი, ბედელი, დინდგელი, კედელი... (სუბსტანტივები) და წითელი, ყვითელი, თხელი, ზრქელი, გრძელი, ვრცელი, ბრტყელი, ცხელი, მრთელი, ძუელი, სუელი, ნათელი (ატრიბუტივები).

რაც შეეხება იმას, რომ „სახელზმნური“ ელემენტები ხან ატრიბუტული და ხან სუბსტანტიური ფუნქციით გვევლინებიან, ამას მეცნიერი ასე ხსნის: „თუ აქცენტირებულია საგნის ნიშან-თვისება – ატრიბუტული შინაარსი დომინირებს, თუ თვით საგანზე გადადის ნომინაციის მახვილი – სუბსტანტივის გაგება იწვევს წინა პლანზე. ეს კავშირი განაპირობებს ტრანსპოზიციის ისტორიულ პროცესს პარადიგმატულ და სინტაგმატურ საფუძველზე. ტრანსპოზიციის ისტორიულ ლოგიკას გამოხატავს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ფორმა გვევლინება როგორც ადიექტივის, ისე სუბსტანტივის პოზიციაში“ (არაბული, 2001: 322).

ამგვარად, ზემოთ განხილული ნაშრომები ძალიან საინტერესო სურათს გვიჩვენებენ ტრანსლაციის ისტორიულ-ეტიმოლოგიულ ჭრილში წარმოჩენისა და გაქვავებული ტრანსლაციის ფორმათა ანალიზისთვის. ამას გარდა, ისინი ცხადყოფენ იმ ტენდენციას, რომელიც ისტორიულად თავს იჩენს ენაში და მნიშვნელოვანია, როგორც ენის შინაგანი პოტენციის გამოხატულება; ტრანსლაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის, ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპისათვის აქტიურობის დასტური.

§ 3. ძველი ქართული ენის კვლევა და ტრანსლაციასთან დაკავშირებული საკითხები

მეტყველების ნაწილთა ერთმანეთში გადასვლის უნარსა და საშუალებებს ძველი ქართული ენის არაერთი მკვლევარი შეეხო. რამდენადაც ჩვენი მიზანია ტრანსლაციის (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის) მეცნიერული შესწავლა თანამედროვე ქართულში, ხოლო ენის შინაგანი პოტენციისა და ერთიანი სურათის ჩვენების თვალსაზრისით უდავოდ ღირებულია ძველი ქართული ენის მონაცემების ჩვენებაც, შევეცდებით, მეტ-ნაკლებად წარმოვაჩინოთ ძველი ქართული ენის მკვლევართა მოსაზრებანი ტრანსლაციასთან დაკავშირებით.

ი. იმნაიშვილი ჩვენთვის საინტერესო საკითხს აშუქებს მონოგრაფიაში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“. იგი აღნიშნავს, რომ „ძველ ქართულში, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ახალ ქართულში, შეიძლება ყოველი სიტყვა იბრუნოს. აქ, რასაკვირველია, სახელზე არაა ლაპარაკი (სახელი თავისთავად ბრუნებადი სიტყვაა), აქ მხედველობაში გვაქვს უფორმო სიტყვები, როგორცაა ნაწილაკები, ზმნიზედები, თანდებულები, კავშირები; აქ მხედველობაში გვაქვს აგრეთვე ზმნებიც; ზმნათა პირიანი ფორმებიც შესაძლებელია იბრუნოს, მას ბრუნვის ნიშნები გაუჩნდეს (ე. ი. ზმნის პირიანი ფორმა ფუძედ იქნეს გაგებული და ჩვეულებრივი წესით იბრუნოს); ბოლოს, აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ასეთ ფუძედ მთელი შესიტყვება ან წინადადება არის გაგებული და იგი იბრუნება“ (იმნაიშვილი, 1957: 17). თქმულს ავტორი მაგალითებით ადასტურებს: „არა იყო ჰე და არა, არამედ ჰჳ იგი მას შინა იქმნა“; „სადა ხარ აწ, რომელმან-იგი გიხაროდენი მარქუ მე“ (იმნაიშვილი, 1957: 18) და სხვ. ცხადია, აღნიშნულ მაგალითებში გასუბსტანტივებული სიტყვები (შორისდებული და ზმნა) იბრუნვის. ბრუნების უნარი მხოლოდ სახელს აქვს და, შესაბამისად, გასუბსტანტივების გარეშე ვერც ერთი არასახელი ვერ შეიძლება ამას.

ი. იმნაიშვილი ხაზს უსვამს საწყისების სახელებთან სიახლოვეს ბრუნების უნარისა და წინადადებაში დაკისრებული მსგავსი ფუნქციების გამო და ასკვნის, რომ „საწყისის სახით ჩვენ წინაშე არსებით სახელთა ერთი ფრთა, ერთი ჯგუფი, რომელსაც ზოგი ნიშანი ზმნისა აქვს, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი – ბრუნება და ფუნქციები – სახელთან აერთებს“ (იმნაიშვილი, 1957: 422).

თუ საწყისები არსებით სახელებთან მსგავსებას ამჟღავნებენ, მიმღეობები ყურადღებას იქცევენ „ზედსართავის როლში“ გამოსვლის უნარით, რის შესახებაც მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავს: „არც ბრუნების თავისებურებით, არც ხარისხის წარმოების უნარით, არც მრავლობითი რიცხვის წარმოებით მიმღეობები არ განსხვავდება ჩვეულებრივი ზედსართავი სახელებისაგან. აღნიშნული თვალსაზრისით ერთნაირად არის გამოყენებული ენაში, მაგალითად, ტკბილი და აღწერილი, ახალი და მთვრალი, მეწამული და ფარული, ყვთელი და საწამებელი. მართალია, აქ წარმოდგენილი წყვილების მეორე წევრებს (მიმღეობებს) გადმოყოლილი აქვთ ზმნური კატეგორიები დროისა, გვარისა, ასპექტისა და მით მკვეთრად განსხვავდებიან წყვილის პირველი წევრისაგან, მაგრამ ეს სიტყვის სემანტიკური მხარეა და მას მნიშვნელობა არა აქვს ამ სიტყვათა ბრუნებისა და წარმოქმნისათვის“ (იმნაიშვილი, 1957: 437).

აღნიშნული თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ზმნისგან ადიექტივების მიღების საშუალებად, თანაც ძველ ქართულში ამგვარ სახელთა უფროობითი ხარისხის წარმოების უნარის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ ხსენებული შემთხვევა ადიექტივაციის უფრო სრულყოფილი სახეა, ვიდრე ახალ ქართულში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ი. იმნაიშვილის შენიშვნა ნაწარმოები ზედსართავი სახელების გასუბსტანტივების ტენდენციასთან დაკავშირებით. კერძოდ, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბევრი ამგვარი სახელი ძველ ქართულშივე აღარ აღიქმება ზედსართავად და ისინი არსებით სახელად არის ქცეული. იგი ამგვარ სუბსტანტივებად შემდეგ სიტყვებს ასახელებს: **საფრცქ, საუნჯც, საფასც, საკრებულო, სამდღელო, სამწყსო, სამნო, სამარც, მემტილც, მეკეცც, მენინაცც** (იმნაიშვილი, 1957: 424)...

მონოგრაფიაში არც ისაა გამორჩენილი, რომ არსებობს სიტყვები, რომლებიც ერთი და იმავე ფორმით გამოიყენებიან ზედსართავ სახელადაც და არსებითადაც და მათი დიფერენცირება მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. მკვლევრის მტკიცებით, ასეთი სახელებია: **ბნელი, ნათელი, ბორცტი, საძაგელი, სამართალი** და სხვ. (იმნაიშვილი, 1957: 425-426). უკანასკნელი შემთხვევა უკავშირდება ტრანსლაციის სინტაქსურ მექანიზმს და ჩვენთვის განსაკუთრებულ ფასეულობას იძენს, რამდენადაც ტრანსლირების აღნიშნული ტენდენცია თანამედროვე ქართულშიც საკმაოდ აქტიურია.

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ზოგჯერ მსაზღვრელად გამოყენებულ არსებით სახელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი არ სჭირდება ადიექტივაციისათვის. ამგვარ სახელთა ჯგუფს განეკუთვნება საზღვრულთან (ჩვეულებრივ პირის სახელით გამოხატულთან) შეთანხმებული „პროფესიის, თანამდებობის, წარმომავლობისა (სადაურობისა) და სხვა წოდების აღმნიშვნელი სიტყვა, როგორცაა, მაგალითად: მეფე (ჰეროდე მეფე), კეისარი (ნერონ კეისარი)“ (იმნაიშვილი, 1957: 575)...

ი. იმნაიშვილი ასევე საგანგებოდ მსჯელობს როგორც სახელების სხვადასხვა ბრუნვის (მაგ., მიცემითი და მოქმედებითი ბრუნვების) ფორმისგან გარემოებების მიღებაზე, ასევე ზედსართავი სახელის სუბსტანტივად გამოყენების შემთხვევებსა და მაწარმოებელი აფიქსების მეშვეობით თუ ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე სიტყვის ადიექტივაციაზე და სხვ.

როგორც წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, ი. იმნაიშვილი მონოგრაფიაში – „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“ – ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით არაერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო და საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინა. რაც ყველაზე ფასეულია, ხსენებულ ნაშრომში ასახული ენობრივი მონაცემები უდავოდ ადასტურებს ტრანსლაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის, ძველ ქართულში არსებობა-ფუნქციონირებას.

სუბსტანტივაციასა და ადიექტივაციაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ა. შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკას“. მეცნიერი ერთმანეთისგან მიჯნავს ცალკე მდგომ და მსაზღვრელად გამოყენებულ სახელებს. იგი მიიჩნევს, რომ ზედსართავი და რიცხვითი სახელები ბრუნების თვალსაზრისით არაფრით განსხვავდებიან არსებითი სახელებისგან (შანიძე, 1976: 45-46). ეს, რა თქმა უნდა, გამოწვეულია იმ როლით, რომელსაც ისინი ასრულებენ წინადადებაში. სწორედ სინტაქსური დატვირთვის შედეგია პირუკუ პროცესიც – სუბსტანტივის ადიექტივაცია, რომელიც, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩენია ა. შანიძეს. იგი ხაზს უსვამს არსებითი სახელების დანართად გამოყენების შემთხვევებს: „საკუთარი სახელის მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი და მასთან ბრუნვაში შეთანხმებული დანართია. დანართი ჩვეულებრივ მოსდევს საკუთარ სახელს. დანართის მაგალითებია: ესაია **წინააღწარმეტყველი**, იოვანე **წინამორბედი**, პავლე **მოციქული**, კირიონ **კათალიკოზი**, დავით **ეპისკოპოსი**, ჯსართან **ხუცესი**“ (შანიძე, 1976: 165)...

„ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ ადგილი ეთმობა ზმნისაგან საწყისის მიღებას: „ა სუფიქსი აწარმოებს საწყისებს გარდამავალი ზმნებისაგან, მათვე ემატება ნ-არიანი საწყისი, ხოლო დანარჩენი აფიქსები (ო, ოლ, ილ, ს და სი) გარდაუვალი ზმნების საწყისის მაწარმოებლებია“, – აღნიშნულია ნაშრომში და იქვე ვკითხულობთ შემდეგსაც: „ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებსა და ვნებითისას ერთი და იგივე საწყისი აქვთ; მაგ., წ ე რ ა დ საწყისია როგორც ვ წ ე რ ზმნისა, ისე ვ ი წ ე რ ე ბ ი -სა; მ ა ლ ვ ა დ საწყისია ვ მ ა ლ ა ვ და ვ ი მ ა ლ ვ ი ზმნებისა, შ ე წ უ ხ ე ბ ა დ საწყისია მოქმედებითი შ ე ვ ა წ უ ხ ე ბ ზმნისა და ვნებითი შ ე ვ წ უ ხ ე ბ ი -საც“ (შანიძე, 1976: 137). მოხმობილი ციტატა განსაკუთრებით ღირებულია საკითხის არსისთვის – ზმნის სუბსტანტიური ტრანსლაციის დროს მეორე პლანზე გადადის თვით ამ ზმნის რომელიმე გვარისადმი კუთვნილების ნიუანსი.

ჩვენი აზრით, საინტერესოა შემდეგი საკითხიც: ა. შანიძე ერთ შემთხვევაში ნათესაობითის სიტყვათმაწარმოებელ ფუნქციაზე მსჯელობს და აღნიშნავს: „ნათესაობითის ფორმა (საზოგადო სახელებში გავრცობილი) შეიძლება ახალი სახელის ფუძედ იქნეს გამოყენებული: ასეთია, მაგ., მსაზღვრელი, დაყენებული ნათ. ბრუნვაში: ტაძარ ძ ე ლ ი ს ა , ტაძარ ძ ე ლ ი ს ა დ , ტაძარმან ძ ე ლ ი ს ა მ ა ნ , ტაძარსა ძ ე ლ ი ს ა ს ა , ტაძრისა ძ ე ლ ი ს ა დ ს ა , ტაძრითა ძ ე ლ ი ს ა დ თ ა , ტაძარო ძ ე ლ ი ს ა ო“ (შანიძე, 1976: 49), ხოლო მეორე შემთხვევაში, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების განხილვისას, როდესაც ეხება არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებას, წერს: „მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში. ეს ნათესაობითში დაყენებული მსაზღვრელი შეიძლება უძღოდეს საზღვრულს და შეიძლება მოსდევდეს მას. თუ მოსდევს, მაშინ უთანხმდება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, რის შედეგადაც წარმოიშობა ორმაგი ბრუნვები: ნათესაობით-წრფელობითი, ნათესაობით-სახელობითი, ნათესაობით-მოთხრობითი და სხვა“ (შანიძე, 1976: 164). მეორე დებულებას თუ ისე გავიგებთ, როგორც ფორმაში არსებულ ბრუნვის ნიშანთა ინვენტარობრივ განმარტებას ეტიმოლოგიის გათვალისწინებით, მაშინ სადავო არაფერია – ფორმაში რეალურად წარმოდგენილია ორი ბრუნვის ნიშანი, ოღონდ განსხვავებული ფუნქციით: ერთი სიტყვის მაწარმოებელია (დერივატი აფიქსია), ხოლო მეორე – მიმოსახრელი (ანუ ბრუნვის ნიშანი და არა ახალი ფუძის მაწარმოებელი). მაგრამ თუ ჩვენ ასეთ შემთხვევებს ორმაგი

ბრუნვის კვალიფიკაციას მივცემთ, ანუ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანსაც ისევე აღვიქვამთ მოქმედ ფორმანტად, როგორც – შემდგომ ბრუნვის ნიშანს, მაშინ იგი წარმოქმნის ელემენტი აღარ გამოვა. აქტუალურობის გამო ე. წ. მართული მსაზღვრელის საკითხს ქვემოთაც შევეხებით.

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძველ ქართულში სიტყვათა წარმოებასაც. მეცნიერი ენობრივ მონაცემთა გათვალისწინებით ხაზს უსვამს ზოგი ბრუნვის ნიშნის სიტყვათმწარმოებელ ძალას საილუსტრაციო მაგალითების მოხმობის ფონზე: „ბუნებითი“ („რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შეილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა შჯულსა“), „მარჯვენითი“, „მარცხენითი“ – მოქმედებითი ბრუნვა; აღორძინებადი, კლვადი, მოწვენადი, ყოფადი, შობადი, ჭამადი – ვითარებითი ბრუნვა (შანიძე, 1976: 49-50)...

გრამატიკოსი საუბრობს თანდებულების დერივაციულ ფუნქციაზეც. მასვე აქვს შენიშნული, რომ „შეიძლება ზმნიზედა ფუძედ იქნეს გამოყენებული და მისგან მივიღოთ ზედსართავი: მუნ – იქ, მუნ-ი – იქაური; აქა – აქ, აქად – აქაური; წინა – წინ, წინა-დ – წინ მყოფი; უკუანა – უკან, უკუანა-დ – უკანა, უკან მყოფი“ (შანიძე, 1976: 51)...

ზემომოყვანილი მასალის მრავალმხრივობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ ა. შანიძის საგანგებო ინტერესს არ წარმოადგენდა სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის კვლევა, დასახელებული ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო არაერთ საკითხს ეხება.

ძველ ქართულ ენას ზურაბ სარჯველაძემაც მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი, რომელშიც განიხილა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები. აღნიშნულ გამოცემაში ყურადღებას იქცევს მეცნიერის მოსაზრებანი ცალკე მდგომი რიცხვითი და ზედსართავი სახელების სუბსტანტივაციასთან დაკავშირებით. იგი წერს: „საკმაოდ ხშირად ზედსართავი სახელი არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება (იგუემნეს იგინი სიბრმითა მცირითგან ვიდრე დიდადმდე; რად ბოროტი უქმნიეს მაგას...). ასეთ შემთხვევებში ზედსართავი სახელი გაარსებითებულია; იგი საგანს გამოხატავს და არა მის თვისებას. ამგვარი ზედსართავი ისევე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი“ (სარჯველაძე, 1997: 55). ამას გარდა, „საკმაოდ ხშირად რიცხვითი სახელი არსებითის ფუნქციით გამოიყენება. მაგალითად: სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის; პირველმან შეერთო ცოლი; მრავალი

მეგნო მე ჩუენებით დღეს მაგისტრს. ცხადია, გაარსებითებული რიცხვითი სახელი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის“, – დასძენს მეცნიერი (სარჯველაძე, 1997: 61). ასევე მნიშვნელოვანია ზ. სარჯველაძის დებულება ძველ ქართულში სახელის ფუნქციით საწყისის გამოიყენების თაობაზე. ჩვენი აზრით, ეს სწორედ იმისი დასტურია, რომ საწყისი ზმნისგან ტრანსლირებული სუბსტანტივია. მეცნიერი აქვე საუბრობს მიმღეობის უმთავრესად – ზედსართავის, ხოლო გარკვეული სიხშირით არსებითი სახელის ფუნქციით არსებობის შესახებაც.

მკვლევარს არც ბრუნვის ნიშნების სიტყვათმწარმოებელი ძალა დარჩენია უყურადღებოდ. იგი აღნიშნავს, რომ ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ნიშნები ზოგჯერ ახალ ფუძეს ქმნიან და მაგალითებად მოჰყავს შემდეგი ფორმები: ტფილ-ის-ი, ქუთათ-ის-ი, ურბნ-ის-ი, აპნ-ის-ი, მა-ის-ი, ივნ-ის-ი, მყ-ის-ი, მამასახლ-ის-ი; მარჯუენ-ით-ი, მცირე-დ-ი, დიდ-ად-ი, ფერ-ად-ი (სარჯველაძე, 1997: 187)...

განსაკუთრებით საინტერესოა ზ. სარჯველაძის მსჯელობა ზმნისგან მიღებულ სახელებზე: „არის შემთხვევები, როცა ზმნის პირიანი ფორმებისგანაა სახელი ნაწარმოები (არს-ი, მრწამს-ი, ღირს-ი, იყო-ღ, იძრვის-ი, იქცევის-ი...)“ (სარჯველაძე, 1997: 188). ხაზი უნდა გაესვას, რომ მეცნიერის მიერ მოხმობილი მაგალითები წარმოადგენს სუბსტანტივაციის ბოლომდე მისული პროცესის ილუსტრაციას.

ტრანსლაციის (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის) სინტაქსური მექანიზმის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ანტონ კიზირიას ნააზრევიც, გამოთქმული ნაშრომში – „მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“. იგი აღნიშნავს: „ქვემდებარედ შეიძლება იყოს არსებითი სახელი (მასდართურთ), ზედსართავი სახელი (მიმღეობითურთ), რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი, ე. ი. ბრუნვისა და რიცხვის მქონე ყველა სიტყვა, რომელთაც წინადადებაში შეუძლიათ მიიღონ არსებითი სახელის გაგება“ (კიზირია, 1963: 114).

ა. კიზირია ზედსართავი სახელის ქვემდებარედ გამოყენების მიზეზს შემდეგნაირად ხსნის: [ზედსართავი სახელი] „ქვემდებარედ გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო არსებითი სახელი დაკარგულია და მისი ფუნქცია შეთვისებული აქვს გაუჩინარებული არსებითი სახელის ატრიბუტივს. ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი იგუებს ნაწევარსაც, რომელიც მას

მიჰკედელეებია არსებითი სახელის დაკარგვის შემდეგ. ახალ გაგებასთან ერთად, რომელიც ასეთმა ზედსართავებმა მიიღეს წინადადებაში არსებითი სახელის მნიშვნელობით ხმარებისას, მიჩქმალულია ზედსართავი სახელის თვისებები“ (კიზირია, 1963: 199). განსაკუთრებით საინტერესოა ამ დებულების დასასაბუთებლად წიგნში მოყვანილი მაგალითები: „წმიდა“ ზედსართავი სახელია. იგი თანაბრად განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის არსებით სახელს (წმიდა ადგილი, წმიდა სჯული, წმიდა სული...). მაგრამ, თუ ასეთი სიტყვა ქვემდებარედ (ან პირმიმართ დამატებად) იქნება წინადადებაში, მიიღებს არსებითი სახელის შინაარსს. მაგალითად: მოიღო წმიდამან მან ჯელითა თვისითა შეშად“ (კიზირია, 1963: 119).

მკვლევრის მტკიცებით, არსებითი სახელის გაგება აქვს ქვემდებარედ გამოყენებულ რიცხვით სახელსა და ნაცვალსახელსაც.

ადიექტივაციის სინტაქსური მექანიზმისთვის საინტერესოდ გვესახება ა. კიზირიას მსჯელობა ატრიბუტულ და ე.წ. „მართულ“ მსაზღვრელებზე. იგი აღნიშნავს, რომ მსაზღვრელებად ზედსართავის გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს რიცხვითი და არსებითი სახელები, ნაცვალსახელები და ნაწევარი. აქედან „ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩვეულებრივია ზედსართავი სახელი მიმდებარებითურთ, უფრო ნაკლებად გვხვდება ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი, იშვიათად – არსებითი სახელი (კიზირია, 1963: 216). ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოყენებული არსებითი სახელი ა. კიზირიასთანაც ისევე როგორც ი. იმნაიშვილთან, არის პირის მსაზღვრელად გამოყენებული პროფესიის, თანამდებობის, წამომავლობა-სადაურობისა და წოდების გამომხატველი სიტყვები.

ე. წ. „მართულ“ განსაზღვრებასთან დაკავშირებით მეცნიერი აღნიშნავს, რომ იგი „საზღვრულს უკავშირდება პრეპოზიციულად... გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით და უცვლელია ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით“ (კიზირია, 1963: 252). მკვლევარი მიიჩნევს, რომ ზოგჯერ შეიძლება მართული განსაზღვრება შეეთანხმოს კიდევ საზღვრულ წევრს ბრუნვასა და რიცხვში. მოხმობილია შემდეგი მაგალითები: რ ე ბ ა კ ა დ ს ი ძ მ ა დ ი ეო, რომელსა სახელი ერქუა ღაბან; მიიღო მ რ ო კ ვ ა ლ ი ს ა მ ა ნ მ ო ძ ლ უ ა რ მ ა ნ უკეთურებისა მის მოძღურებისათვის სამოძღურებელად; ი ო ვ ა ნ ზ ს ს ა მ ა ს ნ ა თ ლ ი ს - ც ე მ ა ს ა ყოველთა მათ ეზიარებოდა;

რკინისანი საჯივნი... ა. კიზირიას აზრით, „მართული მსაზღვრელი მომდევნო საზღვრულს ბრუნვაში რომ ეთანხმება, ეს მეორეული მოვლენაა, რომელიც ენამ არც კი შეითვისა“ (კიზირია, 1963: 255). იგი თვისებრივად სხვად მიიჩნევს „მართული“ განსაზღვრების გადაადგილებით (ანუ პრეპოზიციიდან – პოსტპოზიციამში) მიღებულ ე.წ. „მართულ-შეთანხმებულ“ განსაზღვრებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნათესაობითის ფუძე მეცნიერს განუყოფელად მიაჩნია: „ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ამ შემთხვევაში ფუძის ორგანული ნაწილია, მასთან შეხორცებულია და გამოწვეულია ბრუნვაში მართვით. ბრუნებისას განსაზღვრება ახალ ნიშანს ირთავს და საზღვრულთან ახალი სინტაქსური ურთიერთობა მყარდება, რის გამოც ბრუნვაში მართული სახელი ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება მმართველ სახელს“ (კიზირია, 1963: 257). რასაკვირველია, მართალია ა. კიზირია, როდესაც „მართულ-შეთანხმებული“ მსაზღვრელის შესახებ მსჯელობისას ნათესაობითბრუნვისნიშნის ფუძეს ერთიან ოდენობად აღიქვამს, ოღონდ, საკითხავია: თუ ეს ფორმა ერთი ოდენობაა, მაშინ როგორაა შესაძლებელი სინტაქსურ წყვილებს შორის ერთდროულად მყარდებოდეს მართვა-შეთანხმება?! ხსენებული ფორმის განუყოფელ ნაწილად მიჩნევა იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს მაწარმოებელ ელემენტად ჩავთვლით, როგორადაცაა იგი კვალიფიცირებული ა. დავითიანისა და თ. უთურგაიძის შრომებში.

ძველი ქართული ენა საკმაოდ სიდრმისეულად არის შესწავლილი და, ბუნებრივია, არაერთი ნაშრომი ეხმიანება მეტ-ნაკლებად ჩვენს საკვლევ თემას, თუმცა აქ მხოლოდ ისინია განხილული, რომლებიც საგულისხმო მოსაზრებებს შეიცავდნენ ტრანსლაციასთან (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან) მიმართებით.

თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი – მოყვანილი მასალა და ნააზრევი (მიუხედავად იმისა, გავიზიარებთ თუ არა მათ) უდავოდ ადასტურებს ტრანსლაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის, არსებობას ძველ ქართულში. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ხსენებული გრამატიკული მოვლენის დიაქრონიულ ჭრილში წარმოჩენისა და ერთიანი სურათის შექმნის თვალსაზრისით.

§ 4. თანამედროვე ენათმეცნიერული აზრი ახალ ქართულში ტრანსლაციის შესახებ

აკაკი შანიძე, რომელმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლინგვისტური აზრი და შეეხო ქართული ენის ფუნქციონირების თითქმის ყველა ასპექტს, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ წერს: „ქართულ ენას შეუძლია აბრუნოს არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნიზედაც, თანდებულებიც, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებულებიც, ე. ი. ყოველგვარი სიტყვა, მათ შორის ჩვეულებრივი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმაც. მეტიც შეიძლება ითქვას: ქართულს შეუძლია აბრუნოს მთელი წინადადებაც კი“ (შანიძე, 1980: 76).

მოყვანილი ციტატა თანამედროვე ქართულში ტრანსლაციის უჩვეულო არსებობის დეკლარირებაა, რადგან იგი გასუბსტანტივებულ სიტყვათა თუ ერთ ოდენობად ქცეულ წინადადებათა ბრუნებას ეხება. სუბსტანტივაცია კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანსლაციის ერთ-ერთი სახეა. საყურადღებოა ნათქვამის დასამოწმებლად მეცნიერის მიერ მოხმობილი მაგალითებიც: „მისმა თ ა ვ ო ჩ ე მ ო მ ყურები წაიღო“, „ერთი მ ა ქ ვ ს სჯობს ათას მ ქ ო ნ დ ა ს“, „ისევ მოჭორება ირჩივა არ ვ ი ც ი ს თქმასა“, „თვალი და გული ხ ვ ა ლ ი ს კ ე ნ მიგვირბოდა, ხ ვ ა ლ ე ს ვ ე ლ ო დ ი თ, ხ ვ ა ლ ე გ ვ ა ხ ს ო ვ დ ა, ხ ვ ა ლ ე ს ვ ნ ა ტ რ ო ბ ლ ი თ“, „გ ა ი ს გ ა ვ ე ყ ა რ ე და ვ უ ი ს შევეყარეო“, „მ ე ხ ი კ ი და გ ე ც ე ს ა ც ზედ დაატანდა“ და ა.შ. (შანიძე, 1980: 77-78).

რამდენადაც ჩვენი საკვლევი თემა სწორედ ტრანსლაციაა (სუბსტანტივაცია-ადიექტივაცია) თანამედროვე ქართულში და ქვემოთ საკითხის დაწვრილებითი განხილვისას ამა თუ იმ მეცნიერულ მოსაზრებას საჭიროებისამებრ წარმოვადგენთ, აქ ზოგადად მიმოვიხილავთ თანამედროვე ქართულ ლინგვისტურ ნააზრევს ტრანსლაციასთან მიმართებით.

ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ეხება ტრანსლაციის მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ საშუალებებს. იგი განიხილავს, როგორც სიტყვათმაწარმოებელ აფიქსებს, ასევე ბრუნვის ნიშნებსაც აღნიშნული ფუნქციით. „ბრუნვის ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოქმნილი სახელის ფუძედ. ჩვეულებრივ ასეთებია: მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები. ად და ით უპირატესად საბრუნებელი აფიქსებია, მაგრამ ისინი

ზოგჯერ წარმოსაქმნელადაც არიან გამოყენებული“, – წერს იგი და მაგალითებად მოჰყავს ფორმები: „გულადი“, „შემთხვევითი“ (შანიძე, 1980: 110)...

მნიშვნელოვანია მეცნიერის მიგნება, რომ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს მეტ-ნაკლებად აქვს ტენდენცია „თავისთავადად“ თუ „მსაზღვრელად“ გამოყენებისა. თუმცა სინტაქსის გავლენით ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი შეიძლება ერთი ფუნქციითაც აღიჭურვოს და მეორითაც.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შესაძლოა მრავალი მეცნიერის კვლევის ამოცანა უშუალოდ სუბსტანტივაციისა და ადიექტივაციის ანალიზი არ ყოფილა, მაგრამ ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების ენათმეცნიერული შესწავლის დროს ისინი ხშირად ეხებოდნენ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. ამჯერად წარმოვადგენთ არნ. ჩიქობავას ნააზრევს ტრანსლაციასთან დაკავშირებულ თემატიკასთან მიმართებით.

ნაშრომში „სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში“ მეცნიერი საუბრობს ქართული ენის გრამატიკის სწავლებისას გასათვალისწინებელ მრავალ ფაქტორზე და მათ შორის სინტაქსის გავლენით მორფოლოგიური ცვლილებების ანალიზზეც: „ქართული ბრუნების ერთი საგულისხმო თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ სახელი ცალკე აღებული სხვანაირად იბრუნვის და სხვანაირად იბრუნვის სახელი, რომელიც მეორე სახელის მსაზღვრელად არის გამოყენებული და მას წინ უძღვის... მოვლენა სინტაქსური ბუნებისაა; სინტაქსური მოვლენების ზეგავლენით მორფოლოგიურმა პროცესმა სახე იცვალა“ (ჩიქობავა, 1998-გ: 10). მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენების ამ ურთიერთკავშირს ტრანსლაციის სინტაქსური საშუალების ანალიზისთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცალკე აღებული სახელი სუბსტანტივია, სხვა სახელის მსაზღვრელად გამოყენებული კი – ადიექტივი. ამასთანავე შესაძლებელია თითოეული მათგანი ტრანსლირების შედეგად იყოს მიღებული.

სუბსტანტივაციასთან დაკავშირებით საინტერესოა „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ არნ. ჩიქობავას მიერ შენიშნული შემდეგი ფაქტიც: „ნაზმნარი არსებითი სახელი ხშირად კარგავს შინაარსობრივ კავშირს ზმნასთან და, ჩვეულებრივ, არსებითი სახელი ხდება (სუბსტანტივდება); ასეთია, მაგალ.: შენიშვნა (შდრ. შენიშნავს), მითითება (შდრ. მიუთითებს)... ამგვარი სახელები მრავლობითს აწარმოებს როგორც -ნ- სუფიქსით, ისე – -ებ-ით: შენიშვნანი და

შენიშვნები, მითითებანი და მითითებები, შეტყვანი და შეტყვები“ (ჩიქობავა, 1998-
ა: 36).

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრანსლაციის ვრცელი და სიღრმისეული შესწავლა ქართულ ლინგვისტიკაში უკავშირდება თ. უთურგაიძის სახელს. მეცნიერი ხსენებულ საკითხს პირველად 1986 წელს შეესო ნაშრომში „ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი“. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერის მოსაზრება ამა თუ იმ ბრუნვის ნიშნის წარმოქმნის ელემენტად მოქცევის შესახებ. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დერივატული ფუნქცია ნათესაობით-ბრუნვისნიშნიან ფორმათა მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში. თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „{-ის} მორფემით წარმოქმნილი სახელი ხშირად გათანაბრებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ბრუნვის ნიშნისა და წარმოქმნის ელემენტის მატერიალური იდენტურობის გამო, რაც გაუმართლებელია, როგორც, ვთქვათ, ის, რომ /-ად/ მივიჩნიოთ ბრუნვის ნიშნად მსაზღვრელად გამოყენებულ გულად ფორმაში. როცა /-ის/ წარმოქმნის ელემენტია, ბრუნვის ნიშანი ამ დერივატის შემდეგ მოდის და ხშირად ნულოვანი ალმორფით არის წარმოდგენილი, რაც იწვევს აღრევას“ (უთურგაიძე, 1986: 53). მან დაასაბუთა კიდევ ზემოხსენებულ ფორმებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის წარმოქმნის ელემენტად მიჩნევის მართებულობა. მეცნიერმა სახელთა ფორმებში ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიათა მარკერების განაწილების წესის განხილვის საფუძველზე გამოყო რამდენიმე მთავარი პრინციპი: „1. წინადადებაში სახელი უთუოდ რომელიმე ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი (გამორიცხულია ფუძით!); 2. სახელის ერთ ფორმაში შეუძლებელია ორი ან მეტი ბრუნვის ნიშანი; 3. სახელის ერთ ფორმაში შეუძლებელია ორი ან მეტი რიცხვის ნიშანი“ (უთურგაიძე, 1986: 109).

ტრანსლაციას თ. უთურგაიძე შემდეგდროინდელ ნაშრომებშიც შეესო. სტატიაში „სუბსტანტიური მსაზღვრელი ძველსა და თანამედროვე ქართულში“ მეცნიერმა უარყო დამკვიდრებული თვალსაზრისი სახელებისგან შემდგარ წყვილში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის „მართვად“ ან „მართვა-შეთანხმებად“ კვალიფიცირების თაობაზე. იგი ძველი ქართულის -ის/-ისა აფიქსებს ე. წ. „მართულ“ და „მართულ-შეთანხმებულ“ ფორმებში წარმოქმნის ელემენტებად მიიჩნევს. ყველა ენაში მსაზღვრელი მას საზღვრულის ბრუნვის, რიცხვისა თუ სქესის გამომხატველად მიაჩნია, ამიტომაც

დასძენს: „საკმარისია მსაზღვრელად გამოყენებულმა სახელმა შეიძინოს საკუთარი ბრუნვა, რიცხვი, სქესი, ის მაშინვე სუბსტანტივად მოიქცევა, გამოვა მსაზღვრელის სტატუსიდან“ (უთურგაიძე, 2004: 171). მკვლევარი გამოხატულების პლანის თვალსაზრისით სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმაში საზღვრულის შესაბამისი ბრუნვის ნიშნების მატერიალურ არარსებობას ნულოვანი აღმორფების არსებობით ხსნის.

ტრანსლაციის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია თ. უთურგაიძის მონოგრაფია – „ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთხემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში“. წიგნის დასაწყისშივე მეცნიერი იმოწმებს ლუსიენ ტენიერს და წერს: „აქტანტის როლში მხოლოდ არსებითი სახელი გამოდის. სხვა მეტყველების ნაწილთათვის აუცილებელია სუბსტანტივაცია – არსებით სახელად მოქცევა, რომ ქმედების მონაწილედ იქცნენ“ (უთურგაიძე, 2009: 48). ამას გარდა, ნაშრომში ვკითხულობთ, რომ სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნები „ნებისმიერ არასახელს სახელად მოაქცევენ ისე, რომ თვითონ ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნის ფუნქციას“ (მაგ.: ღირ-ს (ზმნა) ~ ღირს-ი, ღირს-მა, ღირს-ს (სახელი); პირველად (ზზ.) ~ პირველად-ი, პირველად-მა, პირველად-ს (სახელი) მაშინ, როცა ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები „ტრანსლაციის დროს თვითონ მოიქცევიან წარმოქმნის ელემენტებად და ფუძის შემადგენლობაშიც შედიან“ (მაგ.: პირობა (სახ.) ~ პირობით (ზზ.), პირველი (სახ.) ~ პირველად (ზზ.) (უთურგაიძე, 2009: 52-53).

დასახელებულ ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ე. წ. სუბსტანტიური მსაზღვრელის თემას. მეცნიერი მონოგრაფიაში საკმაოდ ვრცლად საუბრობს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ბევრ პრობლემატურ საკითხზეც, მათ შორის შეთანხმებული მსაზღვრელის ფორმებში ბრუნვის ნიშნის მატერიალური არარსებობის მიზეზებზე და სხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევს მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებულ არაერთ გრამატიკულ მოვლენას.

სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ბ. ჯორბენაძის შრომებიც, რომლებსაც საჭიროებისამებრ დავიმოწმებთ ქვემოთ. ახლა საგანგებოდ შევჩერდებით მის „ქართული ენის მორფოლოგიაზე“ (პროგრამა-პროსპექტი).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბ. ჯორბენაძე მეტყველების ნაწილთა განსხვავებულ კლასიფიკაციას წარმოგვიდგენს. იგი სახელებში განარჩევს სუბსტანტივებსა და ატრიბუტივებს და აღნიშნავს, რომ „მათ შორის არ არის მკაცრი სემანტიკური მიჯნა: ერთი და იგივე სახელი კონტექსტის შესაბამისად შესაძლოა იყოს სუბსტანტივიც და ატრიბუტივიც“ (ჯორბენაძე, 1995: 24). თქმულის საილუსტრაციოდ მოყვანილია „გოდორი“ სიტყვის განსხვავებული ფუნქცია შესიტყვებებში: დიდი გოდორი (გოდორი სუბსტანტივია) და გოდორი სიმინდი (გოდორი ატრიბუტივია) (ჯორბენაძე, 1995: 24). მეცნიერი არსებით სახელებში გამოყოფს საგნისა და მოვლენის გამომხატველ სახელებს და უკანასკნელში შეაქვს მასდარებიც. ბ. ჯორბენაძისთვის მასდარი ნაზმნარი სუბსტანტივია, ამიტომ მიაჩნია, რომ მისი წარმოება სუბსტანტივების წარმოებასთან ერთად უნდა განიხილებოდეს.

მეცნიერი ვრცლად აშუქებს სუბსტანტივაციისა და ადიექტივაციის საშუალებებს და ამ ფუნქციით გამოყენებულ ელემენტებსაც გამოყოფს. იგი მორფემებს დანიშნულების მიხედვით აერთიანებს ორ კლასში: **მიმართებითი მორფემები** (გამოიყენება წინადადების რომელიმე წევრისადმი მიმართების გამოსახატავად) და **წარმომქმნელი მორფემები** (წარმოქმნიან ახალ ფუძეს). მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ „მორფემებმა შეიძლება იცვალონ დანიშნულება“ (ჯორბენაძე, 1995: 10) და მაგალითად მოჰყავს -ად სუფიქსის მნიშვნელობა „პურად“ ფორმაში. საგულისხმოა ისიც, რომ ბრუნვებს მეცნიერი ორ ჯგუფად ყოფს იმის მიხედვით მხოლოდ ფორმათწარმოებისათვის გამოიყენებიან ისინი, თუ სიტყვაწარმოების უნარიც შესწევთ.

ბ. ჯორბენაძე ამავე ნაშრომში ეხება წინადადებაში სიტყვის ადგილით (პოზიციით) გამოწვეულ ფუნქციურ თავისებურებასაც. იგი აღნიშნავს, რომ „ატრიბუტივს აქვს პოტენცია, იქცეს სუბსტანტივად, ანუ: კონსტრუქციაში დაიკავოს ის ადგილი, რომელსაც ჩვეულებრივ იკავებს სუბსტანტივი (ამ რიგისაა: მშობელი, მასწავლებელი, მწერალი, მხატვარი...) და იბრუნოს სუბსტანტივივით... გვაქვს პირიქითი შემთხვევებიც: „ნებისმიერი სუბსტანტივი, რომელიც კონსტრუქციაში დაიჭერს ატრიბუტივის პოზიციას, იბრუნვის ატრიბუტივის მსგავსად: ერთი გაბმა ძაფი, ერთი ხელადა ღვინო“ (ჯორბენაძე, 1995: 41-46)...

ტრანსლაციასთან (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან) მიმართებით ხაზი უნდა გაესვას ა. დავითიანის რამდენიმე მოსაზრებასაც. ერთ-ერთი უკვე

წარმოადგინეთ ზემოთ წინადადების მოდელის როლზე მსჯელობისას. „ქართული ენის სინტაქსში“ მკვლევარი ასევე შეეცადა აეხსნა სიტყვათა კლასის ცვლილების მექანიზმიც. მისი აზრით, „სიტყვათა კლასის შენაცვლება ნაირგვარი გზით ხდება; მათგან მთავარია ორი: ა) ლექსიკური ტრანსფორმაცია (სიტყვაწარმოება) და ბ) წინადადებაში ლოგიკურ-გრამატიკული ფუნქციის შეცვლა... ენობრივი ფაქტი ან მოვლენა ერთი ფენის განკარგულებაში არ რჩება. იგი ხშირად იცვლის ადგილს მოდელში, რაც მეტყველებაში მისი ფუნქციის შეცვლის შედეგია“ (დავითიანი, 1973: 199).

განსაკუთრებით საინტერესოა ა. დავითიანის არგუმენტები „ხის სახლის“ ტიპის შესიტყვებებში „ხის“ სიტყვაფორმის ნათესაობითი ბრუნვის ფორმად არმიჩნევის თაობაზეც. მკვლევრის აზრით, „ბრუნვის ნიშნად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის აფიქსი, რომელიც იცვლება ბრუნვათა მიხედვით; წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი უბრუნველი სიტყვა (მაგალითად ზმნიზედები) გარკვეული ბრუნვის ფორმად უნდა ჩაგვეთვალო“ (დავითიანი, 1973: 282).

ტრანსლაციასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხო ანტონ კიზირიაც წიგნში „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართულ ენებში“. იგი მარტივი წინადადების შედგენილობისა და შემადგენელ ელემენტთა (წინადადების წევრების) მიმოხილვისას მსჯელობს სინტაქსური ურთიერთობის როლზე წინადადების წევრთა კვალიფიკაციის პროცესში. იგი ვრცლად განიხილავს მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებულ სხვადასხვა მეტყველების ნაწილსა და მსაზღვრელთა სახეებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მკვლევარს უყურადღებოდ არ დარჩენია ისეთი შემთხვევები, როდესაც მთელი შესიტყვება შეიძლება გამოვიდეს წინადადების ერთი წევრის ფუნქციით. თქმულის საილუსტრაციოდ ნაშრომში მოყვანილია შემდეგი მაგალითები: თევდორემ ცოლს „დაბერდი და გამოტვინდიო“ მიაყვირა; „მეხი კი დაგეცესაც“ ზედ დაატანდა; მათიკომ შემოსძახა კვნესით „ჭმუნვის მახვილი გულსა მსობიაო“ (კიზირია, 1982: 135).

ტრანსლაციის შესწავლის ისტორიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ლ. კვაჭაძის რამდენიმე მოსაზრებაც. კერძოდ, „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ იგი ხაზს უსვამს ენის ფუნქციონირების ჩვენთვის საყურადღებო ასპექტს – ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის უნარს შეიცვალოს კლასი და გამოვიდეს სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით. ლ. კვაჭაძე ნაშრომში ასევე განიხილავს ქვემდებარე-დამატებებად თუ მსაზღვრელად გამოყენებულ სიტყვებს,

საუბრობს ე. წ. მართულ და მართულ-შეთანხმებულ განსაზღვრებასა და ჩვენთვის საინტერესო ბევრ სხვა საკითხზეც.

ტრანსლაციასთან მიმართებით მოკლედ უნდა შევეხეთ ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომსაც – „ქართული ენის სინტაქსი“. გრამატიკოსი ეხმაურება არაერთგზის საზგასმულ მოვლენას მეტყველების ნაწილთა კლასის ცვლასთან დაკავშირებით და ქვემდებარის გამოხატვის საშუალებების შესახებ აღნიშნავს, რომ ქვემდებარედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სხვადასხვა ენობრივი ერთეული. მკვლევარი ასევე საინტერესოდ მსჯელობს ე.წ. მართულ და მართულ-შეთანხმებულ განსაზღვრებებზე. მას მიაჩნია, რომ ასეთ წყვილთა შორის მყარდება შეთანხმებაზე დაფუძნებული სინტაქსური ურთიერთობა. „ჩვენი აზრით, ორივე ტიპის (ატრიბუტულსა და სუბსტანტიურ) მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არის შეთანხმება. შესაბამისად, მაღალი სახლი, მწვანე ველი, ლამაზ ყვავილს, ამ საქმემ, ხის სახლი, მეზობლის ბავშვი, რომლის თვალები ტიპის სინტაგმებში როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობის დროს შეთანხმებაა სრული თუ ნულოვანი დაბოლოებით,“ – აღნიშნავს მკვლევარი (ფეიქრიშვილი, 1996: 29).

სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ა. პაპიძის სტატია „მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები“. ხსენებულ სტატიას ტრანსლაციის საშუალებათა განხილვისას წარმოვადგენთ ვრცლად. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მკვლევრის აზრით, ზედსართავი და რიცხვითი სახელები საზღვრული წევრის გარეშე, ჩვეულებრივ, არ ფუნქციონირებენ და მათი დამოუკიდებლად არსებობა მხოლოდ სუბსტანტივაციის შემთხვევაშია შესაძლებელი. მეცნიერისთვის გასუბსტანტივებული ზედსართავი და რიცხვითი სახელები სემანტიკურად მსაზღვრელ-საზღვრულის მთლიან შესატყვისს წარმოადგენენ.

ა. პაპიძე აშუქებს ადიექტივაციის პროცესსაც და ამ უკანასკნელის მაგალითებად ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელები მოჰყავს ისეთ შესიტყვებებში, როგორებიცაა: **ურემი** შეშა, **ქილა** ერბო, **კილო** ვაშლი და ა. შ., სადაც **ურემი**, **ქილა** და **კილო** უკვე „ამხსნელი“ სიტყვებია. მეცნიერი ადიექტივაციურ პროცესად მიიჩნევს აგრეთვე ე. წ. მართულმსაზღვრელიან შესიტყვებაში არსებითი სახელის გამსაზღვრელებას და აღნიშნავს, რომ „შესიტყვებაში **ხის სახლი** შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთობა სემანტიკურად ისეთივეა, როგორიც **დიდი სახლისა** და **კონტა**

სახლისა“ (პაპიძე, 1998: 110). მსჯელობიდან გამომდინარე ა. პაპიძე მიზანშეწონილად მიიჩნევს ზედსართავი თუ რიცხვითი სახელების ბრუნება მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების კონტექსტში იქნეს განხილული.

სიტყვაწარმოებას, რომელიც ტრანსლაციის ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა, არაერთი სტატია თუ ნაშრომი მიეძღვნა. აქ, რა თქმა უნდა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ საზგასმით წარმოვადგენთ მხოლოდ ერთს – მ. ტუსკიას ნაშრომს „სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში“. აღნიშნულ მონოგრაფიაში კომპლექსურადაა შესწავლილი აფიქსების საშუალებით ახალ სახელთა მიღება. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ტენდენციები, რომლებსაც გარკვეული მაწარმოებლები უჩვენებენ სახელთა სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით.

ამრიგად, ზემომოყვანილ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას: მართალია, ტრანსლაციის შესწავლას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს ქართულ ლინგვისტიკაში, მაგრამ მისი კონკრეტული სახეების – სუბსტანტივაციისა და ადიექტივაციის – დამოუკიდებლად თუ სხვა საკითხებთან ერთად კომპლექსური განხილვა არაერთი გრამატიკის თუ გამოკვლევის საგანი გამხდარა.

ზემოთ წარმოდგენილი ნაშრომებიც მოწმობს, რომ ტრანსლაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საშუალებაა ნაირგვარ ფორმათა მისაღებად და მისი მეცნიერული კვლევა ენის სისტემის შესწავლის თვალსაზრისით უდავოდ საინტერესოა. მით უმეტეს, რომ XXI საუკუნეში, როდესაც პრიორიტეტულია ენის მანქანური დამუშავება და აქტუალურად მიიჩნევა მორფოლოგიური თუ სინტაქსური ანალიზატორების შექმნა, ცხადია, ენის სტრუქტურის წარმოსაჩენად, ამა თუ იმ სიტყვის მორფოლოგიური და სინტაქსური კვალიფიკაციისათვის უმნიშვნელოვანესია სიტყვაფორმათა ფუნქციის დადგენა-განსაზღვრა, რაშიც, ჩვენი აზრით, თავის წვლილს შეიტანს ტრანსლაციის კვლევა.

IV. საკითხის კვლევის მეთოდები

ტრანსლაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ისეთი ენობრივი მოვლენა, რომელიც თავისი არსით უკავშირდება როგორც მორფოლოგიას, ისე – სინტაქსს. საგულისხმოა ისიც, რომ კლასის ცვლილების ორივე მექანიზმი ხშირად მოიაზრებს სემანტიკურ ფაქტორებსაც. შესაბამისად, ტრანსლაციის შესწავლისთვის აუცილებელია სხვადასხვაგვარი მიდგომა და მეთოდები. ლ. ტენიერთან ტრანსლაცია ენის სტრუქტურულ აღწერას უკავშირდება და სტრუქტურული სინტაქსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად განიხილება. თუ ჩვენ ტრანსლაციას სიტყვათა კლასების ცვლილების, ენობრივი ერთეულისთვის ახალი ფუნქციის მინიჭების საშუალებად მივიჩნევთ, მისი კვლევისთვის აუცილებელია ენობრივ მონაცემთა აღწერა, ანალიზი, ცვლილების არსისა და მექანიზმის დადგენა, ხოლო მიღებული შედეგების განზოგადებით – სათანადო დასკვნების გამოტანა. ენის შინაგანი პოტენციის წარმოჩენის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა მოვლენის ზოგადენობრივ ჭრილში წარმოჩენაც და ენის განვითარების ისტორიისთვის თვალის მიდევნებაც. თქმულიდან გამომდინარე, ტრანსლაციის კვლევისა და შესაბამისი მასალის დამუშავებისთვის ჩვენ ვიყენებთ აღწერით, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს, ხოლო საჭიროებისამებრ მივმართავთ ისტორიულ-შედარებით მიდგომასაც. მონაცემთა შესწავლის დროს ვითვალისწინებთ ენობრივ ერთეულთა ფუნქციურ თავისებურებებსაც ტრანსლაციური ტრანსფორმაციის საწყის და საბოლოო ეტაპებზე.

კვლევის შედეგების მაქსიმალური სანდობის მისაღწევად მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფერო, ამიტომ საანალიზო მასალა მოვიპოვეთ როგორც თანამედროვე ქართული პროზისა და პოეზიის ნიმუშებიდან, ასევე პრესიდან და ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (საილუსტრაციო მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი). ცალკეული ლექსიკური ერთეულების ბაზის შექმნისას დავეფუძნეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეულს, ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონსა და სხვ. (ჩამონათვალი სრულად წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ნუსხაში). წინამდებარე ნაშრომში

საჭიროებისამებრ, დებულებების დასასაბუთებლად, წარმოვადგენთ საილუსტრაციო მაგალითებს.

მოპოვებული მასალის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ტრანსლაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის, ფუნქციონირების არსი და მექანიზმი, რაც, ჩვენი აზრით, საინტერესოა ქართული ენის როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული შესწავლის თვალსაზრისით.

I თავი

ტრანსლაციის (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის) მორფოლოგიური საშუალებები თანამედროვე ქართულში

I. ზოგადი მიმოხილვა


ტრანსლაციის არსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვის კლასის ცვლილებაში მდგომარეობს, ჩვენი საკვლევი საკითხი კი ეხება ხსენებული გარდაქმნის მორფოლოგიური თუ სინტაქსური გზების შესწავლა-განხილვასა და ამ ცვლილების მექანიზმის ანალიზს.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში გავაშუქებთ სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის მორფოლოგიურ საშუალებებს და ამ საშუალებათა სახეებს მატრანსლირებელ ელემენტთა ტიპებისა და სახელისგან – სახელისა თუ ზმნისაგან სახელის მიღების შემთხვევების გათვალისწინებით.

როგორც უკვე აღვნიშნულია ზემოთ, სიტყვის ტრანსლირების საწყისსა და რეზულტატიურ მდგომარეობას გამოხატავს ტერმინები: **სატრანსლირებელი** და **ტრანსლირებული**, ხოლო ტრანსლაციის მორფოლოგიურ მარკერს **ტრანსლატივი** ეწოდება. მაგალითად, სიტყვა „ქუდიანი“, რომელიც არის ზედსართავი, მიღებულია არსებითი სახელისგან „ქუდი“ მასზე -იან მაწარმოებლის დართვით: **ქუდი-ი + -იან → ქუდი-იანი** – სატრანსლირებელი არსებითი სახელი (**ქუდი-ი**) + მადიექტივებელი ტრანსლატივი (**-იანი**) = ტრანსლირებული სიტყვა, ადიექტივი (**ქუდი-იანი**). ტრანსლაციის ეს პროცესი შესაძლებელია გრაფიკულადაც

გამოისახოს. კერძოდ, ლ. ტენიერი ამისათვის გამოიყენებს ტრანსლაციის გრაფიკულ სიმბოლო **T**-ს, რომლის თავზეც იწერება ტრანსლირების შედეგად მიღებული სიტყვა, ხოლო ქვემოთ – სატრანსლირებელი ერთეული და ტრანსლატივი. თუ ტრანსლატივი არის პრეფიქსი, მაშინ ჯერ ტრანსლატივი იწერება, ხოლო შემდეგ სატრანსლირებელი სიტყვა; თუ მატრანსილებელი ელემენტი სუფიქსია, იგი მოსდევს სატრანსლირებელ სიტყვას. მნიშვნელოვანია, რომ **T**-ის ფეხთან ტენიერი სვამს პატარა ხაზს, რომელიც ყოველთვის ტრანსლატივის მხარეს კეტავს (ტენიერი, 1988: 381).

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ტრანსლაციის მაგალითი ტენიერისეული მეთოდით გრაფიკულად შემდგენაირად გამოისახება:



თუ ტრანსლატივი სატრანსლირებელი ერთეულის წინ იქნებოდა, მაშინ **T**-ის ფეხის ჩამკეტი ბოლო წარმოდგენილის საპირისპირო მიმართულებით უნდა დაგვესვა.

ტენიერი სიტყვათა კლასებს აღნიშნავს სიმბოლოებით, რომლებიც მომდინარეობს ხელოვნური ენის – ესპერანტოს – სიტყვათა კლასების დაბოლოებებისგან. არსებითი სახელისთვის ის იყენებს **O**-ს, ზედსართავისთვის – **A**-ს, ხოლო ზმნისთვის – **I**-ს. ტრანსლატივი მასთან გამოისახება **t**-თი (ტენიერი, 1988: 76). ჩამოთვლილი სიმბოლოებიდან ჩვენ გამოვიყენებთ **t**-სა (ტრანსლატივი) და **A**-ს (ადიექტივი), ხოლო სხვა კლასის სიტყვებისთვის მიემართავთ საერთაშორისო ტერმინოლოგიის ანალოგიით შემუშავებულ, ქართულ ლინგვისტიკაში დამკვიდრებულ შემდეგ სიმბოლოებს:


არსებითი სახელი, სუბსტანტივი – **N**

რიცხვითი სახელი – **Num**

ზმნა – **V**


ზმნიზედა – **Adv**

წარმოდგენილი სიმბოლოების გამოყენებით **ქუდიანი** ფორმის ტრანსლირების გრაფიკული გამოსახულება შემდეგ სახეს მიიღებს:



ქართულში ტრანსლატივების როლში მხოლოდ აფიქსები არ გვაქვს. ამ ფუნქციით გამოიყენება პრეფიქს-სუფიქსებიც, ანუ კონფიქსები. ამგვარი შემთხვევის გრაფიკული გამოსატვისთვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ტენიერისეული გამოსახულების მცირე მოდიფიკაცია. კერძოდ, ტრანსლირებულ სიტყვაში ერთი ფუნქციის მქონე ორი მაწარმოებლის ზუსტი ადგილის მისათითებლად **T**-ის ვუკეთებთ ორ ფეხს, რომელთა ბოლოები კეტავს ტრანსლატივებს. გრაფიკულ გამოსახულებას ვუჩვენებთ კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე.

პრეფიქს-სუფიქსი (კონფიქსი) – ტრანსლატივი



ტრანსლირებასთან მიმართებით ზემოთ წარმოდგენილი პროცესი გამოსახება შემდეგნაირად:



რამდენადაც ტრანსლაციის გრაფიკული გამოსახულების შესახებ საუბრისას უკვე შევეხეთ ტრანსლატივებად გამოყენებულ აფიქსთა ადგილს სიტყვაში, აუცილებელია აქვე მოკლედ განვიხილოთ მათი სახეები ქართულში.

ზოგადად აფიქსების კლასიფიკაციისას გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს. არნ. ჩიქობავა განარჩევს დამოკიდებულების აღმნიშვნელ (მაგ., ბრუნვის ნიშნები) და მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს (მათში მეცნიერი აერთიანებს სიტყვათმაწარმოებელ ელემენტებს: -ოსან, -ოვან...). ამას გარდა, იგი ასახელებს

ე.წ. გარდამავალ ტიპსაც და მაგალითად მოჰყავს მრავლობითი რიცხვის ფორმანტი **-ებ**, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ უცვლის სიტყვას მნიშვნელობას – მასში შეაქვს სიმრავლის გაგება (შდრ.: ცხენ-ი – ცხენ-ებ-ი).

ბ. ჯორბენაძეც აფიქსების სამ სახეს განარჩევს:

„ა) მიმართებითი მორფემები, ე.ი. მორფემები, რომლებიც გამოხატავენ წინადადების რომელიმე წევრისადმი მიმართებას. ასეთებია ბრუნვის ნიშნები: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს...

ბ) წარმოქმნილი მორფემები, ე. ი. მორფემები, რომლებიც წარმოქმნიან ფუძეს და არ არიან დამოკიდებული წინადადების სხვა წევრების ფორმასა თუ მნიშვნელობაზე. ასეთებია: მორფემები, რომლებიც ცვლიან ლექსიკურ მნიშვნელობას: თეთრ-ი → ა-თეთრ-ებ-ს, წიგნ-ი → წიგნ-იან-ი // წიგნ-იერ-ი...

გ) დამაზუსტებელი მორფემები (თანდებულები, ნაწილაკები)“ (ჯორბენაძე, 1995: 9).

კლასიფიკაციის იგივე პრინციპია გატარებული „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაშიც“ (გოგოლაშვილი... 2011).

ფუნქციის გარდა აფიქსების დიფერენცირება ხორციელდება სიტყვაში მათი ადგილის მიხედვით. ამ პრინციპის გათვალისწინებით ქართულში გამოიყოფა პრეფიქსები, სუფიქსები, ინფიქსები და ა.შ.

ტრანსლაცია, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, სხვადასხვა კლასის სიტყვათა მიღების გზაა. შესაბამისად, ენა ამ მიზნისთვის მიმართავს ყველა შესაძლო საშუალებას და ტრანსლირებისთვის აქტიურად გამოიყენებს როგორც სიტყვათმაწარმოებელ აფიქსებს, ისე ბრუნვის ნიშნებსა თუ თანდებულებს. უკანასკნელ ორ შემთხვევაში აშკარაა მიმართებითი და დამაზუსტებელი მორფემების ფუნქციური ცვლილება, რასაც მომდევნო თავებში დაწვრილებით განვიხილავთ.

აქ კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, რომ ტრანსლაციის სხვადასხვა სახიდან ამ ეტაპისთვის ჩვენს საკვლევ თემაში შემოდის მხოლოდ სუბსტანტივაცია და ადიექტივაცია. მართალია, სახელისგან სახელის წარმოქმნა და ზმნისგან სახელის მიღება რეზულტატიური თვალსაზრისით არ განსხვავდება ერთმანეთისგან (შედები ერთია – მიღებულია სახელი), მაგრამ პროცესისა და მაწარმოებელი ელემენტების (ტრანსლაციების) უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ცალ-ცალკე განხილვა. წინამდებარე ნაშრომში გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევები, როცა ტრანსლაციებად

გამოყენებულია განსხვავებული ფუნქციური ელემენტები: სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები, ბრუნვის ნიშნები თუ თანდებულები და ა. შ. შესაბამისად, თითოეული მათგანის მონაწილეობით ტრანსლაცია სხვადასხვა ქვეთავადაა წარმოდგენილი.

II. ტრანსლაცია (სუბსტანტივაცია-ადიექტივაცია)

სიტყვათმაწარმოებელი აფიქსებით

§ 1. ზოგადი მიმოხილვა

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „ქართველური ენების გარდა არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენას არ შეუძლია სახელის ფუძისგან ისეთი ნაირნაირი ახალი ფუძეები აწარმოოს, როგორც ქართულში გვაქვს“ (ჩიქობავა, 1998-ა: 20). მართლაც, აფიქსაციით ახალი სიტყვების შექმნა ენის ლექსიკური მარაგის შევსების ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა სახელებისგან სახელთა მისაღებად.

ა. შანიძე მიიჩნევს, რომ წარმოქმნით მიღებული ფორმები „ერთია გრამატიკულად და განსხვავებულია ლექსიკურად“ (შანიძე, 1980: 108), თუმცა იქვე შენიშნავს არსებით სხვაობას ძირეულსა და მისგან ნაწარმოებ სახელთა შორის: „წარმოქმნილი სახელები უმეტესად სხვა მეტყველების ნაწილს განეკუთვნებიან, ვიდრე მათ-მათი ძირეულები“ (შანიძე, 1980: 109). მოყვანილი ციტატებიდან უკანასკნელი აშკარად უსვამს ხაზს იმას, რომ სიტყვაწარმოებით მხოლოდ ახალ ლექსიკურ ერთეულს კი არ ვიღებთ, არამედ ამგვარი ცვლილების შედეგად შესაძლოა მოგვევლინოს სხვა კლასის სიტყვაც.

მნიშვნელობის მცვლეელი აფიქსები, რა თქმა უნდა, ახალ ლექსიკურ ერთეულებს ქმნიან. არსებული ტრადიციის გათვალისწინებით ამგვარ ელემენტებს მათ მიერ წარმოქმნილი სიტყვების სემანტიკის შესაბამისად აერთიანებენ სხვადასხვა ჯგუფში. კერძოდ, გამოყოფენ კნინობით, ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, აბსტრაქტულ, დანიშნულების, ხელობის, გეოგრაფიულ და სხვ. სახელთა მაწარმოებელ აფიქსებს. ამას გარდა, ცალ-

ცალკე განიხილავენ მათ სიტყვის ფუძეზე დართვის ადგილის გათვალისწინებითაც, ანუ წარმომქმნელი ელემენტი პრეფიქსია (თავსართია), სუფიქსია (ბოლოსართია) თუ კონფიქსია (პრეფიქს-სუფიქსი) და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის არსიდან გამომდინარე, აფიქსური სიტყვაწარმოება ქართული ენის გრამატიკის ყველა ვრცელ თუ შედარებით მოკლე, მიმოხილვითი ხასიათის, სახელმძღვანელოში არის წარმოდგენილი (ჯერ კიდევ ანტონ პირველის გრამატიკაშია ამაზე საუბარი), სხვა კლასის სიტყვათა მიღებასთან მიმართებით კომპლექსურად არსადაა განხილული და დაჯგუფებული სიტყვათმაწარმოებელი საშუალებანი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფიქსთა ამგვარ კლასიფიკაციას, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად მიიჩნევდა ბ. ჯორბენაძე, რადგან „ქართული ენის მორფოლოგიის“ პროგრამა-პროსპექტში იგი მოკლედ ეხება ხსენებულ საკითხს. მეცნიერი განასხვავებს ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების ცვლას და იქვე აზუსტებს ახალი სახელის მიღების პროცესის არსს: „სახელთა წარმოება გულისხმობს სუბსტანტივისა და ატრიბუტივის წარმოებას. ამის მიხედვით გამოიყოფა მასუბსტანტივებელი და მათრიბუტივებელი ფორმანტები. ფორმანტების ამ სახით განაწილება არ არის მკაცრად დაცული ენაში: ერთი და იგივე ფორმანტი იმის მიხედვით, თუ რა ფუძეს მიერთვის, ერთ შემთხვევაში შეიძლება მასუბსტანტივებელი იყოს, მეორე შემთხვევაში – მათრიბუტივებელი“ (ჯორბენაძე, 1995: 48). მკვლევარი სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით აღნიშნავს, რომ სუბსტანტივები მიიღება თვით სუბსტანტივებისგან, ატრიბუტივებისა და ზმნებისაგან, ხოლო ატრიბუტივები იწარმოება სუბსტანტივებისგან, ატრიბუტივებისა და ზმნებისაგან.

ტრანსლაციის კვლევისათვის ახალ სახელთა მიღების მხოლოდ ის შემთხვევებია საინტერესო, რომელთა რეზულტატიც განსხვავებული კლასის სიტყვებია. მაწარმოებლის დართვით ოდენსემანტიკური ცვლილება ჩვენთვის არ არის ტრანსლაცია. მართალია, უკანასკნელ შემთხვევაში იცვლება სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ იგი რჩება იმავე კლასში – არ გადადის სხვა მეტყველების ნაწილთა ჯგუფში. შესაბამისად, ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოვა კნინობით-აღერსობითი, ხარისხის, მცენარეთა კრებულის, რიგობითი და წილობითი სახელების წარმოება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელთა მაწარმოებლებს ძირითადად აჯგუფებენ სემანტიკური ნიშნით. ამგვარმა კლასიფიკაციამ გარკვეული სამსახური შეიძლება გაუწიოს ტრანსლაციის კვლევას, რამდენადაც მიღებული

სიტყვის მნიშვნელობა ხშირად გადამწყვეტია ამ ლექსიკური ერთეულის ძირითადი ფუნქციური როლის განსაზღვრისთვის. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ხშირად ტრანსლირებული სიტყვის სემანტიკა წყვეტს ამა თუ იმ კლასისადმი მისი მიკუთვნების საკითხს, ამიტომ სახელთა მაწარმოებლებს სემანტიკური ჯგუფების მიხედვით წარმოვადგენთ და სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის უნარის თვალსაზრისით ისე განვიხილავთ.

§ 2. ქონების სახელები

ქონების გამომხატველი სახელები ერთ-ერთ საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნიან ქართულ ლექსიკურ მარაგში. მათ მაწარმოებლებად სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია შემდეგი სუფიქსები: **-ა, -ედ, -იან, -იერ, -ოვან, -ოსან.**

ამგვარი სიტყვათქმნადობის პროდუქტიულობის საფუძველი რამდენიმე მიზეზში შეიძლება ვეძებოთ. ქონების ერთ-ერთი სუფიქსი (**-იან**) გვარების საწარმოებლადაც გამოიყენება (მაგ.: ყიფ-**იან**-ი, რატ-**იან**-ი, ლიპარტელ-**იან**-ი); მისივე მონაწილეობით შექმნილია გეოგრაფიული პუნქტების, კერძოდ, სოფელთა სახელები აღმოსავლეთ საქართველოში (ძირითადად – კახეთში): მელა-**ან**-ი, მაჩხა-**ან**-ი, ტიბა-**ან**-ი (შანიძე, 1980: 123); იგი გამოიყენება მცენარეთა კრებულის გამოსახატავადაც (თხილ-**იან**-ი, ნიგვზ-**იან**-ი, ლელ-**იან**-ი)...

ქონების **-ა** აფიქსი, გარდა იმისა, რომ საკმაოდ აქტიურად აწარმოებს ქონების სახელებს (პერანგ-**ა**, ტუჩ-**ა**, ცხვირ-**ა**...), გადააზრების საფუძველზე ქმნის მსგავსებისა (აბრეშუმ-**ა**, გვირგვინ-**ა**, ისარ-**ა**...) და თვისების (ბარბაც-**ა**, ხამხამ-**ა**, შრიალ-**ა**...) გამომხატველ სახელებსაც (ტუსკია, 2004: 35-38). მნიშვნელოვანია მისი როლი ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში. რ. დამბაშიძის დაკვირვებით „ჩვეულებრივი დანიშნულების გარდა, იგი გამოიყენება: ა) საობიექტო მიმდევობისაგან მანქანების, იარაღების, ხელსაწყოების და ა. შ. სახელწოდებათა საწარმოებლად“ (დამბაშიძე, 1986: 134), რის დასადასტურებლადაც მკვლევარს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: **სათესელა, საკაწრელა, სატკეპნელა, საცეხველა, სამსხვრეველა, საპობელა, საფხეკელა, საღვენთელა** და სხვ. მეცნიერი ხაზს უსვამს იმასაც, რომ **-ა** საკმაოდ ხშირად ერთვის ქონების სხვა აფიქსით უკვე ნაწარმოებ ფუძესაც. აღნიშნული მოდელი განსაკუთრებით ფეხმოკიდებულია

ენტომოლოგიაში მწერების სახელწოდებათა აღსანიშნავად (ფრთ-იან-ა, ფარ-იან-ა, ცრუფარ-იან-ა, კუდფეხ-იან-ა, ლორწ-ოვან-ა, ჯვარ-ოსან-ა...) და ასევე ტექნიკური ტერმინოლოგიის შენებაში (წებ-ოვან-ა, შარდ-ოვან-ა, ფრთ-ოვან-ა, მინაბოჭკ-ოვან-ა, ნისლ-ოვან-ა...) (ღამბაშიძე, 1986: 134).

-ოვან მაწარმოებელი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ეს შენიშნული (ტუსკია, 2004: 44), მქონებლობის გარდა გამოხატავს მეტ სიმრავლეს (კლდ-ოვან-ი...), ხოლო ერთი და იმავე ფუძიდან -იან და -ოვან სუფიქსებით სიტყვათა პარალელური ქმნადობისას „-იან მაწარმოებელიანი სახელი ქონების მაჩვენებელია, -ოვან სუფიქსიანი ფორმა კი თვისება-მსგავსებას აღნიშნავს. შდრ.: ხავერდ-იან-ი (ხავერდის მქონე) და ხავერდ-ოვან-ი (ხავერდივით რბილი)“ (ტუსკია, 2004: 45).

ასევე აქტიურად გამოიყენება -ოსან სუფიქსი როგორც მქონებლობის აღსანიშნავად, ისე ხელობისა თუ ბოტანიკურ-ზოოლოგიურ ტერმინთა შექმნაშიც (რქ-ოსან-ი პირუტყვი, პარკ-ოსან-ი მცენარე...).

რ. ღამბაშიძე ხაზს უსვამს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგებში -იან, -ოვან, -ოსან აფიქსების მონაწილეობით გარკვეულ სახეობათა ტიპის, კლასის, რიგის, ოჯახის, გვარისა თუ ქვესახეობების გადმოცემას და მოჰყავს ამის საკმაოდ ბევრი მაგალითი: რბილფეხიანები, წინაღაყურებიანები, საჭრელკბილიანები, ორსაგდულიანები, ნაწლავღრუიანები, ხეშეშფრთიანები, ღრუშკერდიანები, ბადეფრთიანები, მრავალფეხებიანები, ორსაფრთიანნი, ორლებნიანნი, მრავალშოლტიანნი, მილყავილიანნი, მთლიანსაცეცებიანნი, კენკრღვანნი, თესლღვანნი, ერთწლღვანნი, ფირფიტღვანნი, წიწვღვანნი, ციტრუსღვანნი, ქოლგღვანნი, ტუჩოსანნი, ტაროსანნი, ჯვაროსანნი და სხვ. (ღამბაშიძე, 1986: 137-138).

უნდა აღინიშნოს ქონების ძველი აფიქსის, -ედ-ის, პროდუქტიულობა ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში. ი. ჯიბუტი ამგვარ სიტყვათა კვლევის საფუძველზე ადგენს: „ა) ტერმინოლოგიაში -ედ სუფიქსი შედარებით მეტი ინტენსივობით ხასიათდება, თანაც, ბ) -ედ სუფიქსს ყოველთვის არა აქვს მქონებლობის ფუნქცია და იგი სახელის კატეგორიის სიტყვათა საწარმოებლად იხმარება (ჩონჩხ-ედ-ი, თანავარსკვლაფ-ედ-ი, წრ-ედ-ი, გრძ-ედ-ი, გან-ედ-ი) და არა ზედსართავებისა, გ) ქიმიის ტერმინოლოგიაში -ედ სუფიქსს სხვადასხვა მარილის (კერძოდ, უჟანგბადო მჟავათა მარილების) ერთი ჯგუფის საკლასიფიკაციო ნიშნის გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული:

ნიკელდარიშხან-ედ-ი, ნიკელგოგირდ-ედ-ი, ურანნახშირ-ედ-ი, ლითიუმკაუბად-ედ-ი და სხვ.“ (ჯიბუტი, 1988: 122).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია ქონების ამა თუ იმ აფიქსთა როლი სხვადასხვა კლასის სიტყვათა წარმოებისას. კერძოდ, თუ ი. ჯიბუტის ზემოთ დამოწმებულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია -ედ-ით არსებით სახელთა შექმნაზე, მ. ტუსკია -ა სუფიქსის შესახებ შენიშნავს: „თვისების აღმნიშვნელ სახელებში -ა მაადიექტივებელია, ხოლო მსგავსების სახელებში – მასუბსტანტივებელი“ (ტუსკია, 2004: 40), ხოლო უკვე წარმოებულ ფუძეზე მისი დართვის შედეგად, მკვლევრის დაკვირვებით, მიიღება სუბსტანტივები. შდრ.: მტვრ-იან-ი – მტვრ-იან-ა, კუდ-იან-ი – კუდ-იან-ა, კაჟ-ოვან-ი – კაჟ-ოვან-ა და სხვ. დანარჩენი მაწარმოებლების შესახებ ჩვენ დავამატებთ, რომ ისინი (-იან, -იერ, -ოვან, -ოსან) იჩენენ მადიექტივებელ უნარს, გამონაკლისს ქმნის -ოსან-ით ნაწარმოები პროფესია-ხელობის გამომხატველი სახელები, რომელთაც სუბსტანტივის გაგება აქვთ (პროფესიის აღმნიშვნელ სახელთა სუბსტანტივაციის ტენდენცია შენიშნული აქვს მ. ტუსკიას).

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია ქონების აფიქსთა კლასიფიკაცია მათი სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის უნარის გათვალისწინებით.

მაწარმოებელი	მაგალითები
-ა (აწარმოებს როგორც სუბსტანტივებს, ისე ადიექტივებს)	აბრეშუმ-ა, აზნაურ-ა, ანგელოზ-ა, ზღარბ-ა, ღამაზ-ა, ლურჯან-ა, მწარ-ა, ნაცარ-ა, უკვდავ-ა, უემურ-ა, ანჩხლ-ა, ციმციმ-ა, ფუფუჩ-ა, ხრაშუნ-ა, ტკაცუნ-ა, ისარ-ა, კელაპტარ-ა, კიდობან-ა, მარგალიტ-ა, მუზარად-ა, მეჭეჭ-ა, მჭად-ა, სავარცხელ-ა, სანთელ-ა, ქალამან-ა ცვილ-იან-ა, ცვრ-იან-ა, ბუშტ-ოსან-ა, კრიალ-ოსან-ა, ფის-ოვან-ა, წებ-ოვან-ა, ტყ-იურ-ა
-ედ (ნაწარმოებ ერთეულებს სუბსტანტივის გაგება აქვთ)	უჯრ-ედ-ი, წრ-ედ-ი, ჩონჩხ-ედ-ი, გან-ედ-ი, გრძ-ედ-ი, პწკარ-ედ-ი, ყვავილ-ედ-ი შვიდწლ-ედ-ი, ხუთკუთხ-ედ-ი, თანავარსკვლავედ-ი, კვერცხუჯრ-ედ-ი, მრავალკუთხ-ედ-ი
-იან (აწარმოებს ადიექტივებს)	აირ-იან-ი, აზრ-იან-ი, ბად-იან-ი, ბან-იან-ი, ბალახ-იან-ი, გაზ-იან-ი, გოგირდ-იან-ი, დისკო-იან-ი, ტვირთ-იან-ი, ჭალ-იან-ი, წებო-იან-ი, წვეტ-იან-ი, ფესვ-იან-ი, ცოლ-იან-ი, ეფექტ-იან-ი, ღაზურ-იან-ი, მადნ-იან-ი, მანკ-იან-ი, მარილ-იან-ი, მილ-იან-ი, ჟანგ-იან-ი, ყინულ-იან-ი, წიწვ-იან-ი, წვერ-იან-ი, სახელ-იან-ი, შედეგ-იან-ი, სევდ-იან-ი, სუსხ-იან-ი, სურათებ-იან-ი, სხივ-იან-ი, სახ-იან-ი ხუთას-იან-ი, ცოლშვილ-იან-ი, წვერულვაშ-იან-ი, საყელო-იან-ი, წვრილბოჭკო-იან-ი, ხშირფოთლ-იან-ი, ფეხფარფლ-იან-ი, ფეხსახსრ-იან-ი, დიდფას-იან-ი, დიდწონ-იან-ი, ერთბუტკო-იან-ი, გრძელვად-იან-ი, უჯრედებ-იან-ი

-იერ (აწარმოებს ადიექტივებს)	სინდის-იერ-ი, სიტყვ-იერ-ი, წიგნ-იერ-ი, წუთ-იერ-ი, ხან-იერ-ი, ზეც- იერ-ი, გან-იერ-ი, ნიჭ-იერ-ი, ღონ-იერ-ი
	სვებედნ-იერ-ი, ხელღონ-იერ-ი, პირმშვენი-იერ-ი, ღვთისნ-იერ-ი
-ოსან (აწარმოებს ადიექტივებს)	აბჯრ-ოსან-ი, ჩანთ-ოსან-ი, ჩლიქ-ოსან-ი, ცხენ-ოსან-ი, რქ-ოსან-ი, ფრიად-ოსან-ი, გვირგვინ-ოსან-ი, ჯავშნ-ოსან-ი, პატი-ოსან-ი, საქმ-ოსან-ი, სხივ-ოსან-ი
-ოვან (აწარმოებს ადიექტივებს)	აირ-ოვან-ი, ბუშტ-ოვან-ი, ბალახ-ოვან-ი, გოგირდ-ოვან-ი, კუნთ-ოვან-ი, კუთხ-ოვან-ი, მიღ-ოვან-ი, მარცვლ-ოვან-ი, სახელ-ოვან-ი, სპორ-ოვან-ი, ხელ-ოვან-ი, ძელ-ოვან-ი, ცვილ-ოვან-ი, ცხიმ-ოვან-ი, ფოთლ-ოვან-ი, ფოლად-ოვან-ი, ყინულ-ოვან-ი, წებ-ოვან-ი, წლ-ოვან-ი
	არასრულწლ-ოვან-ი, ათასფერ-ოვან-ი, ერთფერ-ოვან-ი, ერთსულ-ოვან-ი, ერთგვარ-ოვან-ი, ერთსახ-ოვან-ი, დიდსულ-ოვან-ი, ორაზრ-ოვან-ი, სრულფას-ოვან-ი, საუკუნ-ოვან-ი, უჯრედ-ოვან-ი, ტბილხმ-ოვან-ი, ძვალსახსრ-ოვან-ი, ხშირფოთლ-ოვან-ი

ცხრილში მოყვანილი მაგალითები ადასტურებს იმ ტენდენციას, რომელსაც ესა თუ ის მაწარმოებელი იჩენს სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ **-იან, -იერ, -ოვან, -ოსან მაადიექტივებელი ტრანსლატივებია, როდესაც ისინი დაერთვიან არადიექტიური გაგების სიტყვას**. მეორეული უნდა იყოს ის შემთხვევები, როდესაც ჩამოთვლილსუფიქსიანი ერთეულები გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისთვის სუბსტანტივდებიან. ამ მაწარმოებლებიდან სუბსტანტივაციის ყველაზე მეტ ტენდენციას **-ოსან** აფიქსიანი სიტყვები იჩენენ.


-ა სუფიქსი კი ჭრელ სურათს გვიჩვენებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ სართიანი სიტყვები რაღაცასთან მსგავსებას, რაიმე თვისების ქონას გამოხატავენ ხოლმე. -ა ზოგჯერ ადიექტიურ შინაარსს ანიჭებს სიტყვას, მაგრამ ხშირად ასეთი სიტყვები ბოტანიკურ თუ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში სუბსტანტიური გაგებისანი ხდებიან. -ა-ს მასუბსტანტივებელი უნარი კარგად იკვეთება ქონების სხვა მაწარმოებლიან ფორმაზე მისი დართვისას სიტყვის არსებით სახელად ქცევაში. ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ არ განვახორციელებთ -ა-ს საბოლოო კვალიფიკაციას სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით, რადგან აღნიშნული თვალსაზრისით მის ფუნქციას ყოველთვის კონკრეტული შემთხვევა განსაზღვრავს.

-ედ-სუფიქსიანი სიტყვები რომ სუბსტანტივებია, ეს აშკარად ჩანს, მაგრამ, მისი მიჩნევა მასუბსტანტივებელ ტრანსლატივად უიშვიათესი შემთხვევების გარდა ჭირს, რადგან **-ედ** ძალიან ხშირად სიტყვებს ისედაც სუბსტანტივებისგან

აწარმოებს, ამიტომ **-ედ შეიძლება განვიხილოთ როგორც სუბსტანტიურობის ინდიკატორი (მაჩვენებელი).**

ამრიგად, უდავო ტრანსლაცივებად, კერძოდ, მაადიექტივებულ ტრანსლაცივებად, შეიძლება მივიჩნიოთ **-იან, -იერ, -ოვან, -ოსან**. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილათქსიანი სიტყვებიც შესაძლოა გარდაიქმნან სხვა მეტყველების ნაწილად ამ ფორმათა კვლავ ტრანსლირების გზით.

ახლა თითოეული ტრანსლაცივისთვის წარმოვადგენთ ტრანსლაციის გრაფიკულ გამოსახულებას.



ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

-იან სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ქალები – ყველაზე **სევდიანი** ემიგრანტები დედამიწის ზურგზე (ტურაშვილი, 2011: 5).

გულს დაევანა **მთვარიანი**, წყნარი საღამო (კალანდაძე, 1987: 22).

უფროსმა იატაკიდან **ჟანგინი** ჩაიღანი აიღო (ხვედელიძე, 2010: 356).

იქ **რიყანი** და **ხმიანი** იორი მასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას! (ლეონიძე, 2011: 3)

შემდეგ **წვერებიანი** და **სათვალნი** დათო გავიცანი (ქართველიშვილი, 2010: 202).

მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები **კელაპტრინი!** (ლეონიძე, 2008: 57)

არ უკენესიათ სიკვდილის დროსაც **სისხლიან** პერანგს გაშლიდნენ ქარში (კორპ.: 1).

იმ ზაფხულს **ბერეტანი** ბებოს სხვა წიგნები გამოჰქონდა ჩემთვის (კორპ.: 2).

სული სწუხს **ჭუჭყანი** ქარებს, მკვრადშობილ ოცნებებს ვალაღებს (ლებანიძე, 2006: 24).

მადლიანი ოსტატის ხელითა და ყალბით იყო მოხატული საყდრის შინამო (გოთუა, 1980: 5).

-ოვან სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ერთიც ვნახოთ, ეს **წლტვანი** კაცი უკანასკნელად ვხედავ ტფილისს? (გოთუა, 1980: 99)

საქალეთზედა იყო მიმდგარი **სახელტვანი** გვარი (ლენონიძე, 2011: 76).

დიდად **სახელტვანი** მცოდნე გახლავსთ ვარსკვლავთმრიცხველობისა (ტურაშვილი, 2011: 61).

და ისევ... აყანებული, **ყვაილტვანი** მინდვრები (ლენონიძე, 2011: 4).

ხელტვანმა სუტკნენინამ ძალიან ცბიერობითა თქვა ეს უკანასკნელი სიტყვა (კორპ.: 3).

ის გადახუნებულ **ბალახტვან** ნაპირებს შორის მიედინება (კორპ.: 4).

ქალი მძიმედ წამოდგა, როგორც ქერივსა და **ასაკტვან** ადამიანს შეშვენის (კორპ.: 5).

... **ცეცხლტვან** სიტყვებს უბეველესი ანბანით აწერს (ჩიტიშვილი, 2010: 87).

ვიტყვი, თუ როგორ გვიყვარდა გულით ფიროსმანი და თბილისის ღამე, **ლაჟვარდტვანი** მტკვარის დუდუნი... (ასათიანი, 1988: 30)

...**ნულტვანი** ათვლის წერტილი თავისთვის მონიშნა (ტაველიძე, 2010: 551).

-ოსან სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

უხაროდა **ბროლტსანი** ლაჟვარდი, ვარდნარი, თავაყრილი ყანა... (ლენონიძე, 2011: 43)
მორიელების ამბავი კი იმ ჭაღარათმიანმა, **შავტსანმა** ქალმაც დაადასტურა (კორპ.: 6).

აბა მე რა უფლება მაქვს, ვინმე **პატიტსან** ქიმიკოსს ვტაცო ხელი?! (კორპ.: 7)

...დიდკაცების **თორტსან** ცხენებს დაასეირნებდნენ მეჯინიბენი (კორპ.: 8).

სამართლიან და **პატიტსან** ციციკორეს არ უყვარდა არც ღლეტურა და განსაკუთრებით, ქლარცი ენის პატრონი... (ლენონიძე, 2011: 166)

დედოფალი დარეჯანი გაეშურა თავისი **გვირგვინტსანი** მეუღლის მისაგებებლად (კორპ.: 9).

აქ მეფეთ მეფე თამარი იყო ნახატი თავისი **გვირგვინტსანი** მამაშვილითურთ (გოთუა, 1980: 5).

სიბრძნე წარმოდგენილია **გვირგვინტსან** დედაკაცად, დედოფლად, რომელიც დღენიდავ უნდა ახლდეს მეფეს (კორპ.: 10).

-იერ სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

აქ მიწიერი ქალურობა ებრძოდა ანგელოზურ ზეციურობას (გოთუა, 1980: 14).

ძლიერი ტენიანობა მრავალ ავადმყოფობას აჩენს (ტურაშვილი, 2011: 65).

წერილებში ნათლად ჩანს... ის სულიერი ნათესაობა, რაც მათ შორის არსებობდა (ტურაშვილი, 2011: 56).

გუამ მაღლიერი და გაცეცხული თვალებით შეხედა (ერგემლიძე, 2010: 175).

მერე ყველაზე გონიერმა ძმამ თქვა: ვაცალოთ... სიკვდილი ვაცალოთ (კორპ.: 11).

ნეტავ რა აქვს დასაღონებელი ამ ყოველმხრივ ბედნიერ ბატონიშვილს, რომ ესე საბრალოდ უტირის გული?! (კორპ.: 12)

ერთ მშვენიერ დღეს რომ არ დაიმსახურეს ამ ციხეების ცხრაკლიტულები (ამაღლობელი, 2011: 27).

§ 3. უქონლობის სახელები

საენათმეცნიერო ლიტერატურაში უქონლობის სახელთა მაწარმოებლებად სახელდება უ-, უ-ო, უ-ურ (//უ-ულ) და უ-არ. მიიჩნევა, რომ ჩამოთვლილთაგან ყველაზე ძველი არის უ-, რომელიც თანამედროვე ქართულში „მხოლოდ ორიოდე სახელში გვხვდება: უ-რიცხვი-ი, უ-სრულ-ი. მათ შეიძლება მივამატოთ ო-ზე დაბოლოებული რამდენიმე სახელიც: უ-შნო, უ-ღვინო, უ-სამშობლო, უ-სახელო“ (გოგოლაშვილი... 2011: 217).

უარყოფის ყველაზე აქტიური კონფიქსია უ-ო. მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული სიტყვები უარყოფას აწარმოებენ ერთდროულად უ-ო და უ-ურ (//უ-ულ) პრეფიქს-სუფიქსებით. ასეთ შემთხვევაში ენა მიღებულ სიტყვებს მცირე სემანტიკურ სხვაობას სძენს. „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ წარმოდგენილია ამგვარ პარალელურ ფორმათა მნიშვნელობის მხრივ გამიჯვნის მცდელობა: „ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა მაწარმოებლის დართვისას გვაქვს სემანტიკური სხვაობა: უ-ო საგნის უქონლობას გამოხატავს, უ-ურ კი – ნიშან-თვისების უქონლობას: უწიგნო – უწიგნური, უკაცო – უკაცური, უსახო – უსახური, უდაბნო – უდაბური“ (გოგოლაშვილი... 2011: 218)...


იშვიათი გამონაკლისების გარდა, როდესაც უქონლობის აფიქსთა დართვის შედეგად მიღებული სიტყვა გასუბსტანტივებულია (შდრ.: უ-დაბნ-ო ← უ-დაბა-ნ-ო), ძირითადად ამგვარი წარმოების რეზულტატი ადიექტივია, რომელიც ან ისევ ადიექტივისგან მომდინარეობს, ან სუბსტანტივისგან. შესაბამისად, ტრანსლაციის თვალსაზრისით ამგვარი მაწარმოებლები თავისუფლად შესაძლებელია, რომ მივიჩნიოთ მათ ადიექტივებელ ტრანსლაციებად (სხვა მეტყველების ნაწილი → ზედსართავი პროცესის შემთხვევაში) ან ადიექტიურობის ინდიკატორებად (ზედსართავი → ზედსართავი პროცესის დროს).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით წარმოვადგენთ უქონლობის აქტიურ მაწარმოებელთა ცხრილს ტრანსლაციასთან (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან) მიმართებით.

მაწარმოებელი	მაგალითები
უ-ო (აწარმოებს ადიექტივებს)	უ-ადგილ-ო, უ-ალაგ-ო, უ-ამინდ-ო, უ-ამის-ო, უ-ავტორ-ო, უ-ბედ-ო, უ-ბილეთ-ო, უ-ბინა-ო, უ-ფას-ო, უ-ფერ-ო, უ-ფესვ-ო, უ-მიწ-ო, უ-ფულ-ო, უ-მეფ-ო, უ-მიზეზ-ო, უ-მიზნ-ო, უ-ნიჭ-ო, უ-პირ-ო, უ-ყბ-ო, უ-ქმრ-ო, უ-ტყე-ო, უ-თუ-ო, უ-თვის-ო, უ-ჩემ-ო, უ-შენ-ო, უ-ზამბარ-ო, უ-თიხ-ო, უ-ინერცი-ო, უ-სადენ-ო, უ-ქარ-ო, უ-ქვიშ-ო უ-სულგულ-ო, უ-შვილძირ-ო, უ-ძალღონ-ო, უ-ცოლშვილ-ო, უ-თვისტომ-ო, უ-უჯრედ-ო, უ-ხელფას-ო, უ-გემბან-ო
უ-ურ (//უ-ულ) (აწარმოებს ადიექტივებს)	უ-ბედ-ურ-ი, უ-დაბ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, უ-ფას-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-ნებ-ურ-ი, უ-საქმ-ურ-ი, უ-სახ-ურ-ი, უ-წიგნ-ურ-ი, უ-წმინდ-ურ-ი, უ-ფერ-ულ-ი
უ-არ (აწარმოებს ადიექტივებს)	უ-შიშ-არ-ი, უ-ტყუ-არ-ი, უ-წყინ-არ-ი, უ-ჩუმ-არ-ი, უ-ტიფ-არ-ი

საინტერესოა, რომ უარყოფით ფორმათა წარმოებისას დადასტურდა ისეთი არასრულმნიშვნელოვანი ერთეულის ადიექტივაციის შემთხვევაც, როგორცაა: კავშირი თუ (უ-თუ-ო).

ახლა თითოეული ტრანსლაციისთვის წარმოვადგენთ ტრანსლაციის გრაფიკულ გამოსახულებას.



წინა სამი შემთხვევის ზოგადი გრაფიკული გამოსახულება

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

უ-ო კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ჟწიგნღ კაცი იყო, მაგრამ წიგნებს მაკითხებდა (ლეონიძე, 2011: 42).

დიოდა ჟამი **ჟნდღ** და მტრული... (ჩიტიშვილი, 2010: 86)

ცა ლურჯზე ლურჯი და **ჟწარწერღ**, მერცხლებმა კალმად ფრთა ამოაწეს (ჩიტიშვილი, 2010: 205).

ვეჟო, სად უნდა სდიო იმ **ჟნამჟსღ** მაიორს? – უთხრა მამამ (კორპ.: 13).

ასულიც იღვა და ამზიურებული თვალებით მას უმზერდა, მას – შორიდან მოსულს, მარტოხელასა და სულ **ჟსიტყვღ** მხატვარს (გოთუა, 1980: 8).

ეზოს შუაგულში მდგარ **ჟფანჯრღ** და სახურავახდილ სახლს ფოტო გადავუღე (ხვედელიძე, 2010: 347).

ღმერთს ვევედრები, გაგხადოს კვეთებული ღოცვის მსხვერპლი, რომ საჭირველ გაორებას, გასამებას, **ჟბოლოღ** დახაციცებას მოედოს ბოლო! (კეარაცხელია, 2010: 409)

თავის რხევით **ჟსიამოგნღ** ფიქრების განდევნას ვცდილობ (მაღაცაძე, 2010: 168).

და მართლაც **ჟმამულღ**, **ჟსარჩოღ** ელიოზის ჩამონგრეული მიწურის წინ მუდამ გუბე იღვა (ლეონიძე, 2011: 10).

უ-ურ კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

აი მისი ხმა – იგი იქ, დილეგში... ის იქ, **ჟბედჟღი** მამა კი გარეთ (გოთუა, 1980: 34).

...ნებისმიერი ტექსტი სიტყვების, ფრაზების, სინტაქსური კონსტრუქციების სახელდახელოდ შეთითხნილ ნაზავს ემსგავსება და სრულიად უშინაარსო ხდება, **ჟამჟღი** სუნი აქვს (ტაველიძე, 2010: 553).

შორიშორ მიდის ჩვენი ცხოვრება – ცივი, უმზეო და **ჟამჟღი** (ჩიტიშვილი, 2010: 50).

მრავალი გონჯი ქალი გათხოვილა კოსტად შედერებულ ბიჭზე და მრავალი **ჟსახუტი**, მაგრამ შეძლებული, ვაჟი მღვდლის იმედით, ღამაზი ქალის პატრონი გამხდარა (ლეონიძე, 2011: 225).

...ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის და ძალით ყლაპავს **ჟგემჟღ** ფაფას (კორპ.: 14).

კნენა სდუმდა. **ჟფერჟღ** თვალეში სიამის ნაპერწკლები უკრთოდა (კორპ.: 15).

ჟგზაჟღ ნიშარძეულის წყალი სოფელში ჩამოვიყვანოთ (ლეონიძე, 2011: 231).

მარა სხვის **ჟგუნჟღ** სიტყვას არ ავყოლივარ ჩემს დღეში (კორპ.: 16).

ჟ-არ კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ჟშიშარმა მაძიებელმა მას ირგვლივ შემოუარა (კორპ.: 17).

ომში **ჟშიშარ** მეფეს მუხლებში ჟრჟოლამ ჩაურბინა და სთქვა... (კორპ.: 18)

... შენი წყალობით მომდის მე ეგ, შენ გადამკიდე **ჟტიფარ** სულიერს, შენ, ვაჟბატონო! (კორპ.: 19)

ისინი ღოცულობდნენ ზეგს, იუპიტერს, ცეცხლს, ელვას და ათას ცხადსა და **ჟჩინარ** ღმერთს (კორპ.: 20).

ნებსითი თუ უნებლიე! არავითარი! – ხმამაღლა ირწმუნებდა თავის **ჟჩუმარ** ფიქრებს (კორპ.: 21).

... ხოლო დანიშნულება ესე დააკისრა ისეთ მარტივ და ამ შემთხვევაში **ჟწყინარ** საგანს, როგორცაა სიგარეტი (კორპ.: 22).

ვენაცვალე ბიჭიკოსა. – ჩაურთო ფიქრია მ გარსიას გახსენებაზე, რომელიც ზაალის სასახლეში არსენას **ჟტყუარ** თვალად და ყურად ჰყავდა (კორპ.: 23).

§ 4. წარმომავლობის სახელები

თანამედროვე ქართულში წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად ყველაზე აქტიურად გამოიყენება **-ელ** და **-ურ** (→ **-ულ**). პირველის დართვის შედეგად ვიღებთ ადამიანთა წარმომავლობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს, მეორე კი ადამიანის გარდა ყველაფრის სადაურობის აღსანიშნავად მიერთვის სიტყვებს:

თბილისი – თბილის-**ელ**-ი, თბილის-**ურ**-ი

გორ-ი – გორ-ელ-ი, გორ-ულ-ი

ინგლისი – ინგლის-ელ-ი, ინგლის-ურ-ი...

გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც -ურ-ის დართვით მიიღება ადამიანის წარმომავლობის გამომხატველი სახელი: გურია – გურ-ულ-ი (გურ-ულ-ი ღვეზელი, გურ-ულ-ი კაცი), მაგრამ შდრ.: გური-ელ-ი (გურიის მფლობელთა საგვარეულოს აღმნიშვნელად).

-ურ (-ულ) სუფიქსის კვლევისას თ. ვაშაკიძემ დაასკვნა, რომ „თანამედროვე ქართულში -ურ (→ -ულ) დაერთვის: ა) საზოგადო არსებით სახელებსა და გვარებს, აგრეთვე – ზედწოდებებს (რუსთველ-ურ-ი, ბარათაშვილ-ურ-ი, ვახტანგ-ურ-ი, პლატონ-ურ-ი...), გ) ადგილის სახელებს (თბილის-ურ-ი, ქუთაის-ურ-ი...), დ) ზედსართავ სახელებს (ლაჩრ-ულ-ი, გაიძვერ-ულ-ი, ახალგაზრდ-ულ-ი...), ე) რიგობით რიცხვით სახელებს: მეორე-ულ-ი, მეოთხე-ულ-ი (პერიოდი) გეოლ., ვ) წილობით რიცხვით სახელებს (მეოთხედ-ურ-ი, მერვედ-ულ-ი...), ზ) ზმნისართებს (აქა-ურ-ი, იქა-ურ-ი...), თ) თანდებულს: თანა-ურ-ი“ (ვაშაკიძე, 2009: 103).

ა. შანიძე ხაზს უსვამს იმასაც, რომ „წარმომავლობის სუფიქსი -ურ (-ულ) გეოგრაფიულ სახელთაგან სადაურობას გვიჩვენებს, მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელთაგან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით: კაც-ურ-ი, ქალ-ურ-ი, ბავშვ-ურ-ი, მგლ-ურ-ი, მხეც-ურ-ი და სხვ.“ (შანიძე, 1980: 128).

ჩვენი აზრით, თვისების გამომხატველი უნდა იყოს -ურ ისეთ ტერმინებშიც, რომლებშიც იგი ქონების მაწარმოებელ -ა-სთან ერთად დასტურდება: კუბ-ურ-ა, ზოლ-ურ-ა, წვეტ-ურ-ა, ღარ-ულ-ა, გვირისტ-ულ-ა და სხვ. შდრ.: კუბ-ურ-ი → კუბ-ურ-ა, ზოლ-ურ-ი → ზოლ-ურ-ა...

ადიექტივაციის თვალსაზირობით საინტერესოა, რომ -ურ თვისების გამომხატველ სახელებს აწარმოებს როგორც არსებითი და რიცხვითი სახელებისგან, ისე – ზმნიზედებისგანაც. სუბსტანტივაციასთან მიმართებით კი ყურადღებას იქცევს ის, რომ -ურ ქართულმა გამოიყენა გვარების საწარმოებლად: ბექა-ურ-ი, წიკლა-ურ-ი, გოგოლა-ურ-ი, გომელა-ურ-ი...

რაც შეეხება -ელ-ს, მას შესწევს უნარი სადაურობის გარდა გამოხატოს მიმდევრობა (კანტიან-ელ-ი, ჰეგელიან-ელ-ი...) ან საქმიანობა-პროფესია (რაზმ-ელ-ი, კალათბურთ-ელ-ი, ფეხბურთ-ელ-ი...). -ელ სუფიქსი, მისგან ნაწარმოები სიტყვების სპეციფიკის გათვალისწინებით,

მაადიექტივებელ ტრანსლატივად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თანამედროვე ქართულის დონეზე გამონაკლისი იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც -ელ-ით საქმიანობა-პროფესიის გამომხატველი სიტყვები მიიღება: ჩოგბურთ-ელ-ი, კალათბურთ-ელ-ი, წყალბურთ-ელ-ი, ფეხბურთ-ელ-ი, გვარდი-ელ-ი, გიმნაზი-ელ-ი, არმი-ელ-ი, სემინარი-ელ-ი, პარტი-ელ-ი, პოლიცი-ელ-ი, რაზმ-ელ-ი, პარტიზან-ელ-ი... ასეთ დროს აღნიშნული სუფიქსი მასუბსტანტივებელია, რაც, ჩვენი აზრით, ისეთივე მეორეული მოვლენა უნდა იყოს, როგორც საზღვრულჩავარდნილ პოზიციაში წარმომავლობის სხვა სიტყვათა სუბსტანტივაცია. განსხვავება ისაა, რომ საქმიანობა-პროფესიის სემანტიკის ლექსიკურ ერთეულებს თანამედროვე ქართულში საზღვრული წევრი არ სჭირდება.

გარდა -ელ და -ურ სუფიქსებისა, წარმომავლობას თანამედროვე ქართულში სხვა აფიქსებიც აწარმოებს, მაგალითად, -ელ-ის გართულებული ვარიანტები -დელ და -მდელ. ა. შანიძე თვლის, რომ დელ-ი დე-ელ-ისგან არის მიღებული, ხოლო მდელ-ი „მდე + ელ“ კონტამინაციის შედეგად მიიჩნევა ლინგვისტურ ლიტერატურაში. -დელ გამოიყენება დროის სემანტიკის სახელებთან (გუშინ-დელ-ი, ახლან-დელ-ი, ხვალინ-დელ-ი), -მდე სუფიქსი კი „გამოხატავს დროის თვალსაზრისით წარმომავლობას, ვინ ჯგუფის სახელებთან აღნიშნავს ასაკს, რა ჯგუფის სახელებთან – განსაზღვრულ დროში არსებობას: სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ომამდელი ამბავი“ (გოგოლაშვილი... 2011: 225).

გართულებული ვარიანტი მოეპოვება -ურ სუფიქსსაც – -იურ (→ -იულ), რომელსაც ა. შანიძე -იგ-ურ-ისგან მომდინარედ თვლის (შანიძე, 1980: 129). ამ კონტამინირებული აფიქსის გამოყენების მაგალითებია: წლ-იურ-ი, ქვეყნ-იურ-ი, ზეც-იურ-ი, მზ-იურ-ი და სხვ.

წარმომავლობის გამოსახატავად თანამედროვე ქართულში გვხვდება -ეულ ფორმანტიც. იგი ფუძეს დაერთვის ან პირდაპირ (ჩემ-ეულ-ი, შენ-ეულ-ი, ღირს-ეულ-ი), ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შემდეგ: დედაჩემის-ეულ-ი, მამის-ეულ-ი, რუსთაველის-ეულ-ი და სხვ. აღსანიშნავია, რომ -ეულ-ს წარმომავლობის გარდა, ამ სიტყვებში კუთვნილებითობისა ან თვისების ნიუანსიც შეაქვს.

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ სახელმძღვანელოში გარჩეულია არსებით და რიცხვით სახელებზე -ეულ-ის დართვის შედეგად მიღებულ სიტყვათა სემანტიკაც: „თანამედროვე ქართულშიც არსებით სახელთა ფუძეზე დართული -ეულ სუფიქსი გამოხატავს კრებითობას ერთი ნიშნით

გაერთიანებული საგნებისას და ამ ფუნქციით იგი განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება: ხილ-**ეულ**-ი, თევზ-**ეულ**-ი, ბოსტნ-**ეულ**-ი, რკინ-**ეულ**-ი, ბეწვ-**ეულ**-ი... რიცხვით სახელებზე დართული **-ეულ** გამოხატავს გარკვეული საგნებისა და ადამიანების შემცველობას, ერთიანობას: სამ-**ეულ**-ი, ას-**ეულ**-ი, ათას-**ეულ**-ი“ (გოგოლაშვილი... 2011: 227).

ზემომოყვანილი მსჯელობა ერთ საინტერესო ნიუანსს უსვამს ხაზს – **-ეულ** როდესაც ერთვის ნაცვალსა ხელსა და არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, სიტყვა განიცდის ტრანსლაციას და ვიდებთ ადიექტივს. რიცხვით სახელს თუ დაერთვის **-ეულ**, ხდება სიტყვის სუბსტანტივაცია, ხოლო არსებითი სახელის მარტივ ფუძეზე **-ეულ**-ის დართვა ტრანსლაციის თვალსაზრისით არაფერს ცვლის.

წარმომავლობის მაწარმოებლად მ. ტუსკია გამოყოფს **-ონ-საც**, მაგრამ იგი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არაპროდუქტიულია და ამიტომ აქ მას არ განვიხილავთ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ **-ელ**, **-ურ**, **-იურ**, **-ეულ**, **-მდელ**, **-დელ** მ ა ა დ ი ე ქ ტ ი ვ ე ბ ე ლ ი ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი ა . გამონაკლისს ქმნის:




- 1) **-ურ**-ზე მქონებლობის **-ა** დართული ვარიანტები ტერმინოლოგიურ ლექსიკაში;
- 2) **-ელ**-ით მიღებული პროფესია-ხელობისა და გარკვეული მიმდინარეობა-მიმდევრობის გამომხატველი სახელები;
- 3) არსებითი სახელის მარტივ ფუძეს მირთული **-ეულ** სუფიქსიანი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს ერთი ნიშნით გაერთიანებული საგნების კრებითობას.




თანამედროვე ქართულის გადასახედიდან გამონაკლისად ვერ ჩაითვლება **-ურ** მაწარმოებლით მიღებული გვარები, რადგან ეს სიტყვები დიდი ხანია გასუბსტანტივდა და ამჟამად ამგვარი სიტყვათქმნადობა არ გამოიყენება.

სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან დაკავშირებით ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია განვახორციელოთ ქონების მაწარმოებელთა კლასიფიკაცია ტრანსლაციასთან მიმართებით.



მაწარმოებელი		მაგალითები
-ელ	აწარმოებს ადიექტივებს	უკრაინ-ელ-ი, ლიტვ-ელ-ი, ამერიკ-ელ-ი, აზერბაიჯან-ელ-ი, ჩინ-ელ-ი, ბრიტან-ელ-ი, ეგვიპტ-ელ-ი, იმერ-ელ-ი, კახ-ელ-ი, აჭარ-ელ-ი
	არ აწარმოებს ადიექტივებს	ნეოკანტ-ელ-ი, ნიცშეან-ელ-ი, ვეგეტარიან-ელ-ი, წყალბურთ-ელ-ი, კალათბურთ-ელ-ი, ფეხბურთ-ელ-ი
-ურ // -ულ	(აწარმოებს ადიექტივებს)	აბსოლუტ-ურ-ი, ადეკვატ-ურ-ი, ავტონომი-ურ-ი, აბსტრაქტ-ულ-ი, გრაფიკ-ულ-ი, ზღვრ-ულ-ი, ლაზერ-ულ-ი, მარწუხ-ულ-ი, სხივ-ურ-ი, პერიოდ-ულ-ი, პროპორცი-ულ-ი, ეფექტ-ურ-ი, სტატისტიკ-ურ-ი, რგოლ-ურ-ი, ვაკუუმ-ურ-ი, მოლეკულ-ურ-ი, სტადი-ურ-ი, სტიქი-ურ-ი, სტატიკ-ურ-ი, შემოდგომ-ურ-ი, სექცი-ურ-ი, სუბიექტ-ურ-ი, სტამბ-ურ-ი, თეორი-ულ-ი, ტექნიკ-ურ-ი, შინა-ურ-ი, არაბ-ულ-ი, უკრაინ-ულ-ი, სომხ-ურ-ი, სპარს-ულ-ი, შვედ-ურ-ი, ბერძნ-ულ-ი, შენებ-ურ-ი, ჩემებ-ურ-ი, აქა-ურ-ი, იქა-ურ-ი
		ინდუქცი-ურ-ი, უჯრედ-ულ-ი, დიაგონალ-ურ-ი, ანტისეპტიკ-ურ-ი, ანტიფრაქცი-ულ-ი, ასტრონომი-ულ-ი, სტომატოლოგი-ურ-ი, ტერმინოლოგი-ურ-ი, ბიპოლარ-ულ-ი, სოციოლოგი-ურ-ი, ტერორისტ-ულ-ი, ვაჟაკ-ურ-ი, ვირტუალ-ურ-ი, ქვეშევეშ-ურ-ი
-იურ	(აწარმოებს ადიექტივებს)	დღ-იურ-ი, ზეცი-ურ-ი, ზღვი-ურ-ი, თვი-ურ-ი, მზი-ურ-ი, მიწ-იურ-ი, ტყ-იურ-ი, ც-იურ-ი, წლ-იურ-ი
-დელ	(აწარმოებს ადიექტივებს)	ადრინ-დელ-ი, ახლან-დელ-ი, დღევან-დელ-ი, შარშან-დელ-ი, დიღან-დელ-ი, გუშინ-დელ-ი, გვიან-დელ-ი, უწინ-დელ-ი, წვდან-დელ-ი, წლევან-დელ-ი, წუხან-დელ-ი, ხვალინ-დელ-ი, ზეგინ-დელ-ი
		ამდიღან-დელ-ი, ამჟამინ-დელ-ი, ბოლოდროინ-დელ-ი, გუშინწინ-დელ-ი, იმდამინ-დელ-ი, იმდროინ-დელ-ი, იმჟამინ-დელ-ი, იმდღევან-დელ-ი, წინადროინ-დელ-ი, შარშანწინ-დელ-ი
-მდელ	(აწარმოებს ადიექტივებს)	ისტორია-მდელ-ი, სკოლა-მდელ-ი, წვევა-მდელ-ი, წარდგნა-მდელ-ი, ომა-მდელ-ი, რეფორმა-მდელ-ი, რევოლუცი-ა-მდელ-ი
-ეულ	აწარმოებს ადიექტივებს	ადრ-ეულ-ი, ჩემ-ეულ-ი, ბუნების-ეულ-ი, ბოსტნ-ეულ-ი, დედის-ეულ-ი, დედნის-ეულ-ი, მამის-ეულ-ი, მეფის-ეულ-ი, მის-ეულ-ი, პაპის-ეულ-ი, ქმრის-ეულ-ი
	არ აწარმოებს ადიექტივებს	მარცვლ-ეულ-ი, ფუნთუშ-ეულ-ი, თევზ-ეულ-ი, ხილ-ეულ-ი, ხორც-ეულ-ი

თითოეული მაწარმოებლისთვის წარმოვადგენთ ტრანსლაციის გრაფიკულ გამოსახულებას.





წინა სუთი შემთხვევის ზოგადი გრაფიკული გამოსახულება



უკანაენელი შემთხვევის გრაფიკული გამოსახულება

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

-ელ სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

პატარა ტობის **ავსტრალიელი** ბაბუა სამოცი წლის ბიზნესმენი იყო (კორპ.: 24).

ბაღდადში ძველი **ქართველი** მეომარი უფრო ადვილად შედიოდა, ვიდრე დღევანდელი ამერიკელი ჯარისკაცი (ტურაშვილი, 2011: 414).

მაგალითად, **ავსტრიელი** სოციოლოგი გუმპლოვიჩი ეროვნებას ახასიათებს... (კორპ.: 25)

რად დაივიწყეს ისინი დღევანდელმა **ქართველმა** დედებმა (ლეონიძე, 2011: 137).

ოლიამ ყველას ჩამოართვა ხელი, მერე ახალგაზრდა მიმტანს უხმო და შამპანური შესთავაზა **ამერიკელ** სტუმრებს (კორპ.: 26).

გავიხსენოთ არშუშა პიტიახში, რომელიც სპარსეთის მეფის იეზდიგერ II-ის ბრძანებით სხვა **ქართველ**, სომეხ და **ალბანელ** წარჩინებულებთან ერთად ქტესიფონს ჩავიდა (კორპ.: 27).

ავსტრალიელი აბორიგენების რელიგიური წარმოდგენებისა და რიტუალების განხილვისას დიურკჰეიმმა დაასკვნა... (კორპ.: 28)

იმ **ქართველი** მგოსნის სევდიანი ამბავი მიაბო (ტურაშვილი, 2011: 36).

... წერდა ერთი **ქართველი** ათონელი ჰაგიოგრაფი **ქართველი** მოღვაწის გარდაცვალებაზე (კორპ.: 29).

ხალხო **ქართველო**, შენ გაიხარე, ბედნიერების ვარ მომლოცველი! (ლეონიძე, 2008: 116)

-**ურ** (→ **ულ**) სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

რა არის ის **ადამიანური** გრძობა, რომლის მეშვეობითაც ოსია ცდილობს შეიცნოს უფლისა და მისი ერის ურთიერთობა? (კორპ.: 30)

დიოდა ჟამი უნდო და **მტრული** (ჩიტიშვილი, 2010: 86).

ყველა **აზიურ** მოგონებას ცრემლით მორეცხავს თქვენით უზომოდ მოხიბლული კავკასიელი (კორპ.: 31).

ჩემს **ბავშვურ** ღიმილს სევდამ უყველა (ჩიტიშვილი, 2010: 86).

ერთხელ, თიანეთში კიდევ შეჰყროდა ვაჟას და ღვინოც ერთად გადაეკრათ **იქაურ** დუქანში (ლეონიძე, 2011: 89).

... გუშინდელი **ვაჟაკური** პასუხის შემდეგ, კავკასიურს რომ ეძახიან, უარის თქმა მოერიდა (იმედაშვილი, 2010: 240).

...ნებისმიერი ტექსტი სიტყვების, ფრაზების, **სინტაქსური** კონსტრუქციების სახელდახელოდ შეთითხნილ ნაზავს ემსგავსება... (ტაველიძე, 2010: 553)

ისევ მომინდა ჩემი სოფელი **ხალხურ** ლექსებით და საკრავებით (ასათიანი, 1988: 32).

ალბათ, შუბლიც სტკიოდა, მაინც, **მეფურ** იერით, იწვა... (ლებანიძე, 2006: 104)

დიდება შენდა, ჩემო ნათელო, – **ქართული** სიტყვავ, **ქართული** სიტყვავ! (ლეონიძე, 2008: 11)

-**იურ** სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

მის ახალგაზრდული პერიოდის ფეტვებსაც იმთავითვე ეტყობოდათ **ღვთიური** ნიჭი (ტურაშვილი, 2011: 33).

მეშინია, წარსულის აჩრდილმა მყუდროების **ღღიური** ულუფა ხელებიდან არ გამომგლიჯოს (ტაველიძე, 2010: 548).

ვის, ვის უნდა გაეზომნა მისი **ღღიური** საზრუნავი, საყოველთაო ფიქრები სოფელზე (ლეონიძე, 2011: 174).

ახლა, აქ მყოფს, მისი მჭახე სიცილი ყურებში მიდგას, როგორც ყველაფერ იმ ღირებულის **მარადიული** დაცინვა (ხვედელიძე, 2010: 349).

შემოდგომამდე მაგდანამ **ღღიურ** ლუქმას იმდენი გადაარჩინა, რომ... (კორპ.: 32)

რჯული ამბობდა, რომ ხალხს არ უნდა ჰყოლოდა კერპები და მხოლოდ **ზეციურ** უფალს უნდა დამორჩილებოდა (კორპ.: 33).

... ბოლოს მთის მწვერვალზე მიაღწევს **მიწიურ** სამოთხეს (კორპ.: 34).

ყოველღღიური ხეტიალისა და წანწალისათვის მუდამ ჩანთით, წერაქვითა და ჭოგრიტით მავალს წანწალოსანს უწოდებდნენ (ლეონიძე, 2011: 218).

მშობლიურ ბალიდან გადმოყვანილი, უცხო მიწაზე ვერ გავიხარებ (ასათიანი, 1988: 39).

პატარძეულო, **ღვთიურ** ვარდო, შენთან სიზმრებით გადაჭდობილი... (ლეონიძე, 2008: 141)

-ეულ სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა დედა და ხალხის ფიქრი **ათასწლეული** (ლეონიძე, 2008: 118).

ლაშამ პირველმა ალლო აულო ენის შესწავლის **ჩემეულ** მეთოდს (ტაველიძე, 2010: 551).

მე კვლავ **ჩემეულ** ბილიკებს მივდეგ (ჩიტოშვილი, 2010: 32).

ამით **ავტორისეულ** მსოფლმხედველობრივ პოზიციასაც მოესინჯება ნიადაგი (კორპ.: 35).

დედისეულ ტახტზე მიწვა და ჩამავალ მზეს გაუსწორა თვალი (კორპ.: 36).

ეს ნუსხა ჩაწერილია **ილიასეულ** ერთ ხელნაწერში (კორპ.: 37).

ახლა სხვა ცხოვრობს მაიკოს ეზოში, მაგრამ **მაიკოსეული** ბოსტნის კვლები ისევ სიცოცხლით ხარობენ და საამოდ ფშვინვარებენ (ლეონიძე, 2011: 149).

რა საოცარიც არ უნდა იყოს, ის, რაც **გალაკტიონისეულ** სიახლედ არის მიჩნეული, სინამდვილეში აკაკი წერეთლის პოეზიის კუთვნილებაა (კორპ.: 38).

იმ ხის ფესვებში მელანდებოდა ხალხის მზის ოქრო და **განძეული** (ლეონიძე, 2008: 118).

-დელ სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

წლევანდეული ზამთარი გაცილებით თბილია, ვიდრე წინა და მით უმეტეს – როგორც ამბობენ – წინისწინა (ტურაშვილი, 2011: 254).

ბაღდადში ძველი ქართველი მეომარი უფრო ადვილად შედიოდა, ვიდრე **დღევანდეული** ამერიკელი ჯარისკაცი (ტურაშვილი, 2011: 414).

... **გუშინდეული** ვაჟკაცური პასუხის შემდეგ, კავკასიურს რომ ეძახიან, უარის თქმა მოერიდა (იმედაშვილი, 2010: 240).

რად დაივიწყეს ისინი **დღევანდეულმა** ქართველმა დედებმა (ლეონიძე, 2011: 137).

ამას გარდა, დავალებული გვაქვს, გთხოვოთ, ჩვენს **დღევანდეულ** მიტინგს მთელი შემადგენლობით დაესწროთ (კორპ.: 39).

არც ერთი მათგანი არც საერთო განწყობილებით, არც თუნდაც რომელიმე ცალკეული პოეტური სახით ან მოტივით, არ იმეორებს **ადრინდეულ** ლექსს (კორპ.: 40).

წელანდელ დაღლასაც აღარ გრძობდა (გოთუა, 1980: 186).

შინაარსის და ფორმის გარკვეული ურთიერთკონტრასტულობა, როგორც თავისებური მხატვრული ხერხი, ილია ჭავჭავაძის **ადრინდელ** ლექსებშიც შეიმჩნევა (კორპ.: 41).

კულტუროლოგიის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესებში თაობათა ამგვარი ცვლის წარმატებულ მაგალითებს **დღევანდელ** ქართულ რეალობაშიც ვხვდებით (კორპ.: 42).

... და რა დავწერო, არ ვიცი, – **წუხანდელ** ღამის ნამღერი? (ლეონიძე, 2008: 166)

-მდელ სუფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

აღჩერა **ისტორიამდელი** დრო და ადგილია (კორპ.: 43).

პირველ პრაქტიკულ განხორციელებას სპარტა წარმოადგენს, სხვათა შორის, **პლატონამდელი** ქალაქი-სახელმწიფო (კორპ.: 44).

ამ დროს მიღებული ტრავმა კი მისი არაცნობიერის ფუნდამენტს ქმნის, რომელიც, როგორც **ენამდელი** შთაბეჭდილება, ენობრივ სტრუქტურაში არ ითარგმნება (კორპ.: 45).

აქ **გადამდელი** არჩევნების ისმის გნიასი... (კორპ.: 46)

ჩვეულებრივ, ვერ ხვდებიან, თუ რა მოცულობის იყო **მეცნიერებამდელი** საზოგადოების ადამიანების გაურკვეველობა იმის აღსაქმელად, რასაც... (კორპ.: 47)

საკუთარი მიწიდან დევნილი აფხაზეთის **ომამდელი** მოსახლეობის 80%-ის ბედი... (კორპ.: 48)

...სადაც გურამიშვილი **ყოფნამდელი** ყოფნის, ადამისწინარე, **დაბადებამდელი** მდგომარეობის ხსოვნას აცოცხლებს (კორპ.: 49).

... გავიფიქრე პლატონისებურად და **წარღვნამდელი** ვენეციის ჩამუქებულ ცას ავხედე (კორპ.: 50).

... შევეცადეთ, გვეჩვენებინა **ისლამამდელი** და ისლამის შემდეგდროინდელი არაბული კულტურის ზოგადი სურათი (კორპ.: 51).

შედეგად საბჭოთა კავშირში **რევოლუციამდელი** ეპოქისგან განსხვავებით, სადაც მართლმადიდებელ ქრისტიანობას განსაკუთრებული როლი ჰქონდა... (კორპ.: 52)

§ 5. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტული სახელების მაწარმოებლებად თანამედროვე ქართულში გამოიყენება **-ობა**, **-ება**, **სი-ე**. აღსანიშნავია, რომ სამივე გვხვდება ძველ ქართულში, სხვაობა ისაა, რომ ძველ ქართულში უფრო პროდუქტიული **სი-ე** იყო, რომელიც თანამედროვე ქართულში პოზიციებს თმობს სუფიქსური წარმოების სასარგებლოდ. ამას ა. მარტიროსოვი შემდეგნაირად ხნის: „ისტორიულად პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოებიდან ოდენსუფიქსიანი წარმოებაზე სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება და ახალ სალიტერატურო ენაში სუფიქსური წარმოების წარმოჩენა და გაბატონება **სი-** პრეფიქსის უძველესი ფუნქციის თანდათანობითი მოშლის შედეგია“ (მარტიროსოვი, 1958: 125). დ. მელიქიშვილი კი იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის ენის შესწავლის საფუძველზე ერთ საინტერესო დასკვნას აკეთებს. კერძოდ, მეცნიერმა მასალის კვლევის საფუძველზე აღმოაჩინა, რომ ფილოსოფიურ ტერმინთა ქმნადობისათვის იოანე პეტრიწიცა და ეფრემ მცირეც აქტიურად იყენებენ აბსტრაქტულობის **-ობა** სუფიქსს. აღნიშნულის შესახებ მკვლევარი წერს: „იოანე პეტრიწი **-ობა** სუფიქსს ურთავს ყოველგვარ ძირს, თუკი ამას ცნების სწორად გამოხატვის საჭიროება მოითხოვს. ამასთან, აღნიშნულ სუფიქსს იგი ურთავს არსებით სახელებს, ზედსართავებს, რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებს, თანდებულებს, ზმნის პირიან ფორმას (რომელიც მიმღეობის ფუნქციის მქონეა), ბრუნვიან ფუძეს, წარმოქმნილ ფუძეს, კომპოზიტს... ასევე იქცევა ეფრემ მცირეც“ (მელიქიშვილი, 1974: 117).

ამჟამად აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად უფრო აქტიურად **-ობა** და **-ება** გვხვდება, ვიდრე **სი-ე**. მნიშვნელოვანია, რომ მეტ-ნაკლებად გამიჯნულია მათი გამოყენების სფეროები. მ. ტუსკიას დაკვირვებით, **-ობა** სუფიქსით აბსტრაქტული სახელები მიიღება: მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობებისგან, არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელებისგან, ნაცვალსახელებისგან, ზმნიზედებისა და ნაწილაკებისგან. **-ება** კი ხსენებული დანიშნულებით დასტურდება წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობებთან, ზედსართავებთან, იშვიათად, არსებით და რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებთან. ასევე აღნიშნულია ისიც, რომ **სი-ე** ძირითადად მიმართებითი ზედსართავი სახელებისგან აწარმოებს აბსტრაქტულობის გამომხატველ სიტყვებს (ტუსკია, 2004: 76-80).

ზოგჯერ -ობა აწარმოებს გარკვეული დროის, დღესასწაულის აღმნიშვნელ სიტყვებს. მაგალითად, რთვლობა, ატმობა, ალუჩობა, შოთაობა, ილიაობა, ვაჟაობა, ალილოობა, ელიაობა, ალავერდობა. აღნიშნულ შემთხვევებში -ობა არ არის აბსტრაქტულობის გამომხატველი და ვერც სუბსტანტივის მაწარმოებლად ჩაეთვლით, რადგან ჩამოთვლილ სიტყვებს უფრო დროული გაგება აქვთ.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც -ობა-თი ნაწარმოები სახელი არაა აბსტრაქტული და იგი სიმრავლეს, კრებითობას აღნიშნავს. მაგალითად, „ახალგაზრდობა“ წინადადებებში: ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობა ხეების დასარგველად შეიკრიბა („ახალგაზრდობა“ აქ კრებითობის გამომხატველია); ქალბატონი ქეთევანი თვალცრემლიანი იგონებდა თავის ახალგაზრდობას, უცებ გაფრენილ წლებს (აქ „ახალგაზრდობა“ აბსტრაქტული სახელია). მასალის ანალიზმა დაგვანახა, რომ -ობა აფიქსის კრებითობის სემანტიკა კიდევ უფრო იკვეთება -ეულ-ით წარმოქმნილ ისეთ სიტყვებზე დართვისას, რომლებიც ერთნაირ საგანთა ერთობლიობას გამოხატავენ: თევზ-ეული – თევზ-ეულ-ობა, ხილ-ეული – ხილ-ეულ-ობა....


-ობა-ს მიერ კრებითობის ნიუანსის გამოვლენას ლ. ბაკურაძე -ობა სუფიქსიანი სახელების გადააზრებით ხსნის: „-ობა სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციაც უნდა იყოს თვისების და არა სიმრავლის, რიცხვის გამოხატვა. -ობა სუფიქსიანი კრებითი სახელები ხშირად ითხოვენ მსაზღვრველად სიმრავლის სისრულის მახასიათებელს მთელი, რადგან, არა მხოლოდ რიცხვი, არამედ გარკვეული თვისების, მახასიათებლის სიმრავლეა გამოხატული კონკრეტული ელემენტებით“ (ბაკურაძე, 2009: 21).

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ო ბ ი ს ა ფ ი ქ ს ე ბ ი და კ ო ნ ფ ი ქ ს ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ხ ე ლ ი ს გ ა ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ნ ა რ ს ე ბ ი თ ს ა ხ ე ლ ე ბ ს, ა მ ი ტ ო მ ა დ ნ ი შ ნ უ ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი თ ა მ ა მ ა დ შე გ ვ ი ძ ლ ი ა მ ი ვ ი ჩ ნ ი ო თ მ ა ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი ვ ე ბ ე ლ ტ რ ა ნ ს ლ ა ტ ი - ვ ე ბ ა დ, გ ა რ დ ა ი მ შე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი ს ა, რ ო დ ე ს ა ც ძ ი რ ე უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ა (ა ს ე თ შე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ი გ ი ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი უ რ ო ბ ი ს ი ნ დ ი კ ა ტ ო რ ი ა) ა ნ მ ი ღ ე ბ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ე რ თ ე უ ლ ი (-ობა სუფიქსიანი ფორმა) ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ა დ დ რ ო ი ს / დ დ ე ს ა ს წ ა უ ლ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი ა .

თქმულის გათვალისწინებით, წარმოვადგენთ აბსტრაქტულობის მაწარმოებელთა კლასიფიკაციის ცხრილს ტრანსლაციასთან მიმართებით.


მაწარმოებელი		მაგალითები
-ობა	აწარმოებს სუბსტანტივებს	<p>აღბათ-ობა, დამწერ-ობა, ერთ-ობა, მე-ობა, დაქანცულ-ობა, ბრმ-ობა, ბრძნ-ობა</p> <p>აქაურ-ობა, იქაურ-ობა, აქტუალურ-ობა, მადლიან-ობა, მაგიერ-ობა, აგზნებად-ობა, ააღებად-ობა, ავტონომიურ-ობა, აირიან-ობა, ცოლიან-ობა, ამორჩევი-ობა, ანთებად-ობა, ბმულ-ობა, არაზომვად-ობა, ანტიკოროზიულ-ობა, ანტიფრაქციულ-ობა, აორთქლებად-ობა, არათანაზომვად-ობა, არამდგრად-ობა, აფეთქებად-ობა, აქტიურ-ობა, ბენზინმდეგ-ობა, ბიპოლარულ-ობა, ბურღვად-ობა, გაზიან-ობა, ამოსავლიან-ობა, გამოყენებად-ობა, განათებად-ობა, განსაზღვრულ-ობა, განშლად-ობა, განხორციელებად-ობა, გაფხვიერებად-ობა, დეფორმირებად-ობა, დაფენად-ობა, დენად-ობა, დნობად-ობა, დრეკად-ობა, ზომვად-ობა, თბიმდგრად-ობა, თბოტევად-ობა, თვითაფეთქებად-ობა, თვითანთებად-ობა, ინდუქციურ-ობა, კრებად-ობა, კუმშვად-ობა, მადნიან-ობა, მანკიან-ობა, პერიოდულ-ობა, პოლარულ-ობა, პროპორციულ-ობა, სტადიურ-ობა, ტევად-ობა, შედუღებად-ობა, უგზო-ობა, ღუნვად-ობა, შეგუებად-ობა, შევსებად-ობა, შეწყობად-ობა, წებოიან-ობა, წვად-ობა, წონად-ობა, წროთობად-ობა</p>
	არ აწარმოებს სუბსტანტივებს	<p>აღუბლ-ობა, აღუწ-ობა, ელია-ობა, ბარბარ-ობა, ბედ-ობა, რთვლ-ობა, ალავერდ-ობა, შოთა-ობა, ილია-ობა, ბალახეულ-ობა, ბამბეულ-ობა, დედაშვილ-ობა</p>
-ება (აწარმოებს სუბსტანტივებს)		<p>სამ-ება, არს-ება, თქმულ-ება, თხზულ-ება</p> <p>აბრეშუმოვნ-ება, ერთსახოვნ-ება, წებოვნ-ება</p>
სი-ე (აწარმოებს სუბსტანტივებს)		<p>სი-ადვილ-ე, სი-ამაყ-ე, სი-ანც-ე, სი-ავე-ე, სი-ახლ-ე, სი-ახლოვ-ე, სი-ბევრ-ე, სი-ბრიყვ-ე, სი-ბრმავე-ე, სი-ცივე-ე, სი-ჩქარ-ე, სი-ცრუ-ე, სი-ცუდ-ე, სი-ჩუმ-ე, სი-დიდ-ე, სი-გიჟ-ე, სი-მაგრ-ე, სი-მადლ-ე, სი-მსუქნ-ე, სი-მწვან-ე, სი-ღარიბ-ე, სი-ყრუ-ე, სი-ღრმ-ე, სი-შავ-ე, სი-წვრილ-ე, სი-წმინდ-ე, სი-ხამ-ე, სი-ხშირ-ე</p> <p>სი-ავკაც-ე, სი-მშვენიერ-ე</p>

არსებული მასალის ბაზაზე სუბსტანტივაციასთან მიმართებით სანიმუშოდ წარმოვადგენთ ტრანსლაციის გრაფიკულ გამოსახულებებს. რამდენადაც ტერმინოლოგიურ სიტყვათქმნადობაში აბსტრაქტული სახელები ხშირად უკვე ნაწარმოები ან რთული ფუძიდან მიიღება, მაგალითისთვის წარმოვადგენთ როგორც სუბსტანტივის მიღების მარტივ, ისევე რთულ გზას. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით – ერთმაგი და ორმაგი ტრანსლაციის ნიმუშებს.




ცნობილია, რომ ქართულში ბრუნებისას თუ სიტყვაწარმოებისას შესაძლოა ფუძემ განიცადოს ცვლილება: შეიკუმშოს ან შეიკვეცოს. ჩვენ ძირეულ ფუძეს წარმოვადგენთ აფიქსის დართვამდე მდგომარეობით, ანუ სრული ფორმით.

ზემოთ წარმოდგენილი გამოსახულებები სიმბოლოებით შემდეგნაირ სახეს მიიღებს:



ახლა ვუჩვენებთ ორმაგი ტრანსლაციის შემთხვევების გრაფიკულ გამოსახულებებს.



ორმაგი ტრანსლაციის პირველ ნიშნულში სუბსტანტივისგან მივიღეთ ადიექტივი, რომლის ხელახალი ტრანსლირების შედეგი კვლავ სუბსტანტივია, ოღონდ თავდაპირველისგან განსხვავებული მნიშვნელობით. მეორე მაგალითი გვიჩვენებს ზმნისართისგან – ზედსართავის, ხოლო შემდეგ არსებითი სახელის წარმოების გზას. წარმოდგენილი გრაფიკული გამოსახულებები თვალსაჩინოს ხდის რამდენიმეჯერადი ტრანსლაციის განხორციელების პროცესს.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

-ობა სუფიქსიანი სიტყვები

სუბსტანტივის ფუნქციით:

დაძლეულ იქნა სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტულობა და სხვ. (კორპ.: 53).

ლელაიმ იგრძნო მუნჯის მარტობა (გოთუა, 1980: 16).

... მისი უპრეცედენტო საქციელის გამო ბეწვზე ეკიდა მისი არსებობა (კორპ.: 54).

მიზეზად ზნეობის უცოდინარობა მოუდეს (ლეონიძე, 2011: 95).

წააგონდებოდა თავისი უკბილობა, უძღურება... (ლეონიძე, 2011: 95)

გაქრეს მზისნობა, მწვანოსნობა... (ლეონიძე, 2011: 141)

...ზედმეტი რეალიზმი კი ადამიანს ყველაზე მთავარს, ადამიანურებას, ართმევს (კორპ.: 55).

შიდა მხატვრებას კი სულ ცოტა აკლდა (გოთუა, 1980: 5).

შენ რომ გმირებას უწოდებ, მე ის სილაჩრე მგონია (ჩიტიშვილი, 2010: 104).

-ება სუფიქსიანი სიტყვები

სუბსტანტივის ფუნქციით:

... და ამგვარად შეიქმნა მზის სიმბოლური სამება (კორპ.: 56).

ეგ ჭეშმარიტება მეც ათჯერ და ასჯერ გამომიცდია (კორპ.: 57).

უცროსი ვაჟის ბედნიერება უნდოდა ენახა (ლორთქიფანიძე, 2010: 10).

ეს, შვილიერება ჩემი დასრულდა! (ლეონიძე, 2011: 47)

წააგონდებოდა თავისი უკბილობა, უძღურება... (ლეონიძე, 2011: 95)

მისი აზრის ბუნდოვანება გალაქტიკის ბუნდოვანებას ჰგავს (კორპ.: 58).

ოდესღაც ნაჩუქარ ავგაროზს გულში ისეთი სასოებით იკრავდა, თითქოს დაკარგულ ბედნიერებას დასტიროდა (კორპ.: 59).

მე კი მეგონა, რომ, რაც უნდა შორს გადგე ადამიანებისგან, ამ ცხოვრების ბიწიერებას ვერ გაექცევი (კორპ.: 60).

ამ ქვეყნად მაინც არსებობს სამართალი, ჯაყო! ის ურმით დასდევს-მეთქი ბოროტებას... ბოლოს უეჭველად წამოეწევა (კორპ.: 61).

შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბოებითა და იდუმალებით (ლეონიძე, 2011: 3).

სი-ე კონფიქსიანი სიტყვები

სუბსტანტივის ფუნქციით:

რას იზამ, ჩემო მაქსიმე! კაცის ბუნება ასეთი ყოფილა, ყველა **სიავე** მალე ავიწყდება (კორპ.: 62).

გარე კამარებისა და კაბადონების გამოფარგელის **სიზუსტე** და **სიმსუბუქე** შეაფასა (გოთუა, 1980: 9).

სახეს ატყვია **სიმწუხარე** და გულში ელავს სხვა ტრაგედია (გრანელი, 2005: 44).

შენ რომ გმირობას უწოდებ, მე ის **სილაჩრე** მგონია (ჩიტიშვილი, 2010: 104).

ზღვის **სიახლოვემ**, ნესტმა თუ ქარმა სახე დაუშაშრა (კორპ.: 63).

თავი უხერხულად იგრძნო, რომ **სიზარმაცემ** ლამის დაჯაბნა (კორპ.: 64).

შერცხვა და თავი დახარა, **სიწითლემ** გადაუარა... (ასათიანი, 1988: 44)

მაშინ ჩემგვარი ენამწარენიც ვერ გაკილავენენ ძველ **სილამაზეს**... (ასათიანი, 1988: 50)

... მავთულზე ჩიტი თვლემას მიეცეს, ყველაფერი მიეცეს ნელა ძილს და **სიმშვიდეს** (ამაღლობელი, 2011: 88).

§ 6. დანიშნულების სახელები

დანიშნულების მაწარმოებლებად საენათმეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია **სა-ო**, **სა-ე**, **სა-ურ**, მ. ტუსკია და „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ ავტორები ამ ფუნქციით გამოყოფენ **სა-არ-საც**. თითოეულ მათგანს ერთნაირი პროდუქტიულობა არ ახასიათებს. როგორც ქართული, ისე უცხოური ფუძეებიდან დანიშნულების სახელთა მისაღებად ყველაზე აქტიურია **სა-ო**. იგი გამოირჩევა აღნიშნული შინაარსით ახალ ტერმინთა შექმნაშიც. ამის შესახებ მ. ოსაძე და ნ. დათეშიძე წერენ: „**სა-ე** და **სა-ო** კონფიქსები დანიშნულებისა და კუთვნილების გამომხატველი მაწარმოებლებია. **სა-ო-ს** დამატებით თვისების გამოხატვაც შეუძლია. ტერმინოლოგიურ სისტემაში ამ კონფიქსთაგან უფრო პროდუქტიულია **სა-ო**“ (ოსაძე... 2009: 171).

მ ა რ თ ა ლ ი ა , დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა რ ს ი თ ა დ ი ე ქ ტ ი უ რ ი ბ უ ნ ე ბ ი ს ა ნ ი ა რ ი ა ნ , მ ა გ რ ა მ ი ს ი ნ ი ი ჩ ე ნ ე ნ გ ა ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი ვ ე ბ ი ს ძ ლ ი ე რ ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ს . მაგ., სა-სტუმრ-ო, სა-

მაჯ-ურ-ი, სა-ყურ-ე, სა-კაც-ე... ამიტომ ტრანსლაციის თვალსაზრისით აღნიშნული მაწარმოებლების კვალიფიცირება საკმაოდ ჭირს. ხშირად ერთი და იმავე ფორმის ორივე: ადიექტიური და სუბსტანტიური – ფუნქციით გამოყენებაა შესაძლებელი. შდრ.: *ეს თინას საავადმყოფო ფურცელია და თინა საავადმყოფოშია*. ზოგი ასეთი სიტყვის სუბსტანტივაციის მიზეზი, შესაძლოა, მისი ხშირი ხმარება და საზღვრული წევრის დაუსახელებლობის შესაძლებლობა იყო, რამაც ხელი შეუწყო ასეთი ლექსიკური ერთეულების არსებით სახელად ქცევას. და მაინც, ისინი ადიექტივები მეტად არიან, ვიდრე – სუბსტანტივები. მასალის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ სუბსტანტივაციას უფრო ხშირად სა-ურ მაწარმოებლიანი ლექსიკური ერთეულები განიცდიან. აქვე უნდა შევნიშნოთ ერთიც: დანიშნულების სახელთა კლასიფიკაციისათვის არაიშვიათად მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს.


წარმოვადგენთ დანიშნულების კონფიქსთა კლასიფიკაციის ცხრილს, რომელშიც გათვალისწინებულია მათი სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის უნარიც.

მაწარმოებელი		მაგალითები
სა-ო	უმეტესად აქვთ ადიექტივის ფუნქცია	სა-აღერს-ო, სა-ამაყ-ო, სა-დავ-ო, სა-თავ-ო, სა-მგზავრ-ო, სა-პატრონ-ო, სა-ვარაუდ-ო, სა-ტვირთ-ო, სა-აქცი-ო, სა-ამის-ო, სა-იმის-ო, სა-ადრე-ო, სა-ჩემ-ო, სა-დღეის-ო, სა-ერთ-ო, სა-გარე-ო, სა-გუნდ-ო, სა-იმათ-ო, სა-იუბილე-ო, სა-კადრ-ო, სა-ლექცი-ო, სა-მაგალით-ო, სა-მოდელ-ო, სა-მის-ო, სა-მოგზაურ-ო, სა-მონასტრ-ო, სა-მთ-ო, სა-ძიებ-ო, სა-ლაზერ-ო, სა-ვარაუდ-ო, სა-მაგიერ-ო, სა-მუხრუჭ-ო, სა-მშენებლ-ო, სა-საქონლ-ო, სა-სისტემ-ო, სა-სოფლ-ო, სა-სტამბ-ო, სა-ტელეფონ-ო, სა-ფეიქრ-ო
		სა-ლაქლაქ-ო, სა-კონსულტაცი-ო, სა-ადგილმამულ-ო, სა-ამდრო-ო, სა-იმდრო-ო, სა-იმპევენ-ო, სა-ბედისწერ-ო, სა-ჭირბოროტ-ო
	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	სა-აგენტ-ო, სა-ამქრ-ო, სა-ამწყობ-ო, სა-ბად-ო, სა-ელჩ-ო, სა-ლარ-ო, სა-მრეკლ-ო, სა-მხერხა-ო, სა-რძლ-ო, სა-სიძ-ო, სა-წარმ-ო, სა-ყელ-ო, სა-ლაპარაკ-ო, სა-ჭორა-ო, სა-აქა-ო, სა-იქი-ო, სა-ბედ-ო, სა-დურგლ-ო
	სა-ავადმყოფ-ო, სა-ხელოსნ-ო, სა-ავტოსარემონტ-ო	
სა-ე	უმეტესად აქვთ ადიექტივის ფუნქცია	სა-ქსელ-ე, სა-ღვედ-ე, სა-ყუთ-ე, სა-ცეცხლ-ე
	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	სა-აგურ-ე, სა-თავ-ე, სა-ქუსლ-ე, სა-ყალიბ-ე, სა-შხაპ-ე, სა-ჭურჭლ-ე
სა-ურ	უმეტესად აქვს ადიექტივის ფუნქცია	სა-ამ-ურ-ი

	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	სა-ხელ-ურ-ი, სა-ყელ-ურ-ი, სა-დგურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი, სა-გზ-ურ-ი, სა-მაჯ-ურ-ი, სა-მსახ-ურ-ი, სა-ცდ-ურ-ი, სა-თა-ურ-ი, სა-თიბ-ურ-ი, სა-წვეთ-ურ-ი
სა-არ	უმეტესად აქვთ ადიექტივის ფუნქცია	სა-ფიც-არ-ი, სა-ქებ-არ-ი, სა-ზიზღ-არ-ი, სა-ომ-არ-ი
	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	სა-გუბ-არ-ი, სა-წვიმ-არ-ი, სა-ბუდ-არ-ი, სა-მძიმ-არ-ი

ადიექტივაციად ვერ მივიჩნევთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადიექტიური გაგების სიტყვის ამოსავალიც (ძირეული ერთეულიც) ადიექტივია. შესაბამისად, სუბსტანტივაციის კვალიფიკაციას ვერ მივცემთ ისეთ ნაწარმოებ ფორმებს, რომლებიც სუბსტანტივიდან მომდინარეობს.

ამჯერად წარმოვადგენთ დანიშნულების კონფიქსიან ისეთ ფორმათა გრაფიკულ გამოსახულებებს, რომელთა ტრანსლაციაც ეჭვს არ იწვევს.



ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

სა-ო კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

იმხანად გაზეთში ვმუშაობდი. **საავტორლ** სვეტი მქონდა (კორპ.: 65).

მხატვარს **სამგზავრლ** კაბა არც კი გაუხდია, ისე შეუდგა საქმეს (გოთუა, 1980: 12).

შელამდა თუ არა, მახლობელი სოფლებიდან ხალხმა თავი იქ მოიყარა, სადაც გაშლილი **საგარაკლ** ადგილი მდებარეობდა (კორპ.: 66).

მას ეცვა ძველი, ერთ დროს **საუცხოლ**, შვიდთუმნიანი პალტო შავი ფერისა და ეყრდნობოდა ხელჯოხს (მორჩილაძე, 2010: 305).

ვის, ვის უნდა გაეზომნა მისი დღიური საზრუნავი, **საყოველთაღ** ფიქრები სოფელზე (ლეონიძე, 2011: 174).

იქნებ საიუბილელ სუფრაზე მოწვეული რომელიმე სტუმარი სიურპრიზს გვიწყობს (ლდოკონენი, 2010: 116).

სხვისი საგმირლ საქმეების გამგონე თინას მეუღლის დანახვა აღარ უნდოდა (იმედაშვილი, 2010: 254).

ამას ავადმყოფობის სამედიცინლ ტერმინოლოგიით აღწერა მოჰყვებოდა (იათაშვილი, 2010: 77).

ჩემო პაწია, საბრალლ დედავ, ბედკრულს, გატანჯულს, გაძარცვულს გხედავ (ლუბანიძე, 2006: 73).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ეს ჩვენი კლუბია, ჩვენი ფორუმი, ჩვენი ასამბლეა, ჩვენი საინფორმაციო სააგენტლ (კორპ.: 67).

სა—ე კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ნაკუთვნილარი საბალახე მთა უკან დაებრუნებინათ... (ლენონიძე, 2011: 47)

ერთი თვის მერე იმ დღეის სწორს მოიგო საფურე ხბო ძროხამ (კორპ.: 68).

ხომ სიყვარულით და ხუმრობით შევიპატიუეთ: სახინკლე ხორცი ხომ დაგკეპე, ხომ გაგახარეთ? (კორპ.: 69)

... ერთი სიტყვით, არ ვიყავი საჯარე ყმაწვილი (კორპ.: 70).

წარმოდგენა კი ალბათ გრძელდება, გუგუნებს, ზანზარებს სასულე ორკესტრის აკომპანიმენტით (კორპ.: 71).

დროთა განმავლობაში გაიზარდა სასურათე სიბრტყის ზომები (კორპ.: 72).

ცხელ აგვისტოს უკვე დაუხრუკია ხეივანზე ფოთოლი, სასუფრე ყურძნის დიდრონი, მარცვლებზაჩუტული მტევნები, გამოდეჭილი ჯიქნებივით ჰკიღია (კორპ.: 73).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ტყავის ბუდეში მოთავსებული სათვალე... (კორპ.: 74)

ჩემი სახლი და საძვალე რჩება დუშმანს და მაცილსა... (ჩიტიშვილი, 2010: 23)

რა კარგი იყო ჩვენი წყნარი საფუტკრე! (ლენონიძე, 2011: 4)

ალექსი მარტო დარჩა, ალექსი საცოლემ მიატოვა, ალექსიმ წვერი მოუშვა (კორპ.: 75).

სა—ურ კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ოთახში რკინის ჟანგიანი ღუმელი დავდგი, საკვამუღი მილი ქუჩაში გავაყოფინე (კორპ.: 76).

სადამუდრ პერანგს მოგცემ და იმაში დაიძინებ (კორპ.: 77).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ეს სათაური სწორედ რომ ქართულად მასსოვს (კორპ.: 78).

აი, ეს სამაჯური, მოიცათ... (კორპ.: 79)

ამ კედელში გამოჭრილი იყო ის სათოფური, საიდანაც დღის შუქი აღწევდა (კორპ.: 80).

... ჩაილაპარაკა გრიშამ და ვაგონის სამი მაღალი საფეხური აიარა (კორპ.: 81).

მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი! (ლეონიძე, 2008: 57)

... საგზურის მიხედვით სრული უფლება გვაქვს საკუთარი მანქანის გაჩერებისა (კორპ.: 82).

სა—არ კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

მე ვემსგავსები საწვიმარ ამინდს, ზეცას ღრუბლიანს და ღრუბელს ცაზე (კორპ.: 83).

აი, ის მეორე კი, აგრე ჩაფიქრებით რომ დასცქერის იმ გაფენილ საომარ რუკას, უთუოდ ღანჩელოტია (კორპ.: 84).

... სტატიის უცნობი ავტორი არც თავის მხრივ იშურებს საქებად სიტყვებს „კავკასიის მომღერლის“ თვითმყოფადი ნიჭის დასახასიათებლად (კორპ.: 85).

კაცი ძალიან ძველ და სახიზღარ მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა, თავი გამოყო და თქვა... (კორპ.: 86)

ყველაზე საშიშარ ყოფაში ამ შემთხვევაში გერმანიაა (კორპ.: 87).

იქ დღესაც საწყევარ სიტყვად ითვლება „გამორჩეული“ (კორპ.: 88).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ნეტავ რა გქონდათ შესანდობარი და რით ვაწვეთებ მე პურზე ღვინოს (ლეონიძე, 2008: 157).

... მოცეცხლე ველი, წივის ხანძარი, იწვის ქალაქთა გასადევარი (ლეონიძე, 2008: 20).

ახლა ფარნა შეიქნა ჩენებისთვის საფიცარი (იმედაშვილი, 2010: 156).

§ 7. წინა ვითარების სახელები

წინა ვითარების სახელებს აწარმოებს ნა-არ (→ ნა-აღ), ნა-ეგ (//ნა-ებ), ნა-ურ კონფიქსები და ნა- პრეფიქსი. ამათგან ნა- – ყველაზე ძველ, ხოლო ნა-არ და ნე-ეგ ყველაზე აქტიურ მაწარმოებლებად არის მიჩნეული. ამგვარი სახელები ძირითადად მიიღება არსებითი სახელებისა და სახელწმინებისგან (რომლებიც ზმნური წარმოშობის სახელებია). ძირეულ ფუძედ ნაკლები სიხშირით, მაგრამ მაინც, გამოიყენება ზედსართავი სახელი და ზმნიზება.

ა. შანიძემ წინა ვითარების სახელთა კლასიფიკაცია მათი შინაარსობრივი ასპექტების გათვალისწინებით განახორციელა. მეცნიერის დასკვნით, ასეთი სიტყვები „აღნიშნავს: ა) საგანს, რომელიც წინათ იგივე იყო, რაც ძირეულით აღნიშნული (მწყემსი: ნა-მწყემს-არ-ი); ბ) ადგილს, სადაც წინათ ის საგანი იყო, რომელსაც ძირეული აღნიშნავს (სოფელი: ნა-სოფლ-არ-ი); გ) საგანს, რომელიც იმ ადგილას იყო, რომელზედაც ძირეული მიუთითებს (მთა: ნა-მთ-ეგ-ი); გ) დროს, როდესაც უკვე გავლილია ძირეულით აღნიშნული ხანი (შუალამე: ნა-შუალამ-ეგ-ი)“ (შანიძე, 1980: 133). მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი წარმოება ზოგჯერ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაშიც გვხვდება, ასეთებია: ნა-ტახტ-არ-ი, ნა-ქალაქ-ეგ-ი და სხვ.


წინა ვითარების სახელთა სემანტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, ძნელია მათი ზუსტი გამიჯვნა სუბსტანტივაცია-ადიექტივაცია სთან მიმართებით, რადგან ზოგჯერ შესაძლებელია ამგვარ სახელთა გამოყენება როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელის ფუნქციით. შდრ.: ეს ნა-სოფლ-არ-ი ადგილია // ეს ნა-სოფლ-არ-ია; ნა-მწყემს-არ-ი ივანე ახლა შინ იჯდა // ნა-მწყემს-არ-ის მოგონებები... თუმცა თუ ჩავუღრმავდებით წინა ვითარების სიტყვათა არსს, შევამჩნევთ, რომ ისინი ისეთი ადიექტიური მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებია, რომელთაც მკვეთრად აქვთ გამოხატული გასუბსტანტივების უნარი. ეს შესაძლოა იმანაც გამოიწვიოს, რომ აღნიშნული წარმოება ძალიან პროდუქტიულია გეოგრაფიულ სახელთა მიღებისას. სახელდება კი, რა თქმა უნდა, სუბსტანტივაციას მოიაზრებს, თუმცა ასევე ჭირს მათი მასუბსტანტივებულ ტრანსლატივებად ცალსახა მიჩნევა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საწარმოებელი ძირიც და

მიღებული სიტყვაც სუბსტანტივია. შესაბამისად, **ზემოთ დასახელებული მარკერები ან სუბსტანტიურობის ინდიკატორები** (არს. სახელი / სახელზმნა → არს. სახელი შემთხვევაში) ან მაადიექტივებელი ტრანსლატივები გამოდიან (არს. სახელი / სახელზმნა → ზედსართავი სახელი შემთხვევაში).

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ წინა ვითარების სახელთა მკაცრი გამიჯვნა სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით არ ხერხდება, მაგრამ, მიუხედავად ამ სიტყვებისა, შევეცადეთ წარმოდგენილ ცხრილში მაწარმოებელთა კვალიფიკაცია შეძლებისდაგვარად ზუსტად განგვესაზღვრა. რათქმა უნდა, აქ არ ვითვალისწინებთ ისეთ შემთხვევებს, როცა წინა ვითარების სახელთა აფიქსები გეოგრაფიული ტერმინების შექმნაში მონაწილეობს.

მაწარმოებელი		მაგალითები
ნა-არ	უმეტესად აქვთ ადიექტივის ფუნქცია	ნა-ომ-არ-ი, ნა-ავადმყოფ-არ-ი, ნა-ბატონ-არ-ი, ნა-ციხ-არ-ი, ნა-გიჟ-არ-ი, ნა-მწვემს-არ-ი, ნა-ავაზაკ-არ-ი, ნა-მეხ-არ-ი, ნა-ჩინოვნიკ-არ-ი, ნა-მოწაფ-არ-ი, ნა-მუხლ-არ-ი, ნა-ყვავილ-არ-ი, ნა-კრუხ-ალ-ი, ნა-მეწყრ-ალ-ი
// ნა-ალ	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	ნა-ცოდუ-არ-ი, ნა-მოდვაწ-არ-ი, ნა-ფუძ-არ-ი, ნა-ემმაკ-არ-ი, ნა-ჭაობ-არ-ი, ნა-დედოფლ-არ-ი, ნა-მეფ-არ-ი, ნა-მოსახლ-არ-ი, ნა-ოსტატ-არ-ი, ნა-მინისტრ-ალ-ი, ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სახლ-არ-ი, ნა-სოფლ-არ-ი, ნა-ბაღჩ-არ-ი, ნა-თავად-არ-ი, ნა-ვენახ-არ-ი, ნა-ყაჩაღ-არ-ი, ნა-ტერფ-ალ-ი, ნა-მეგობრ-ალ-ი, ნა-ოფიცრ-ალ-ი, ნა-სადგურ-ალ-ი, ნა-შეგირდ-ალ-ი, ნა-სუფრ-ალ-ი,
ნა-ევ	უმეტესად აქვთ ადიექტივის ფუნქცია	ნა-მარხულ-ევ-ი, ნა-მძინარ-ევ-ი, ნა-აბრაგ-ევ-ი, ნა-ადრ-ევ-ი, ნა-ჩქარ-ევ-ი, ნა-გვიან-ევ-ი, ნა-იარ-ევ-ი, ნა-მთვრალ-ევ-ი, ნა-ძალად-ევ-ი, ნა-აბანო-ებ-ი
// ნა-ებ	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	ნა-ანდერძ-ევ-ი, ნა-აზრ-ევ-ი, ნა-მხრ-ევ-ი, ნა-ნგრ-ევ-ი, ნა-ქმრ-ევ-ი
ნა-ურ	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	ნა-ფეხ-ურ-ი, ნა-მზე-ურ-ი, ნა-წიბ-ურ-ი
ნა-	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	ნა-მხარ-ი, ნა-კბილ-ი, ნა-სისხლ-ი, ნა-სეტყვ-ი, ნა-სიტყვ-ი, ნა-ბუქ-ი, ნა-ცვარ-ი, ნა-წვიმ-ი, ნა-ქაფ-ი, ნა-ქარ-ი, ნა-სიცხ-ი

წარმოვადგენთ წინა ვითარების სახელის, როგორც ტრანსლირებელი ერთეულის, გრაფიკულ გამოსახულებას.



ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ნა—არი (→ ნა—ალი) კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ნაკუთვნილარი საბალახე მთა უკან დაებრუნებინათ... (ლეონიძე, 2011: 47)

საქართველო **ნაქარალი**, **ნაქორალი**, გაგლეჯილი, გამოგლეჯილი, – დაჭრილი არწივი, ვეფხვი უსულოდ დანარცხებული (ლეონიძე, 2011: 212).

ჰოდა, უზერს ღომთათა **ნაომარ** ადგილებს და უსმენს უცნობის კრიჭაშეკრულ თხრობას (კორპ.: 89).

ფიფქი პირველი ატმის ტოტის **ნაადრალ** სულს ახალისებს (კორპ.: 90).

აქ ყოველი სიტყვა **ნაწერაქვალ** ქვასავით ქუსს და ხმიანობს (კორპ.: 91).

ოსერო და **ნამეხარლ**, მარტოსეო ოლე! (ლეონიძე, 2008: 77)

სუბსტანტივის ფუნქციით:

საერთოდ **ნასოფლარები**, **ნაქალაქარები**, **ნასაყდრალეები**, **ნაფუძეები**, **ნაბაზრალეები** იმდენია საქართველოში, რომ დიდზე დიდი ერის ისტორიასაც ყველა ხარვეზს ამოუვსებდა (გოთუა, 1980: 113).

ვარდებიანი ბარდნარი, ბულბულთა **ნამბორალი**... (ასათიანი, 1988: 46)

მზის ჩასვლისას მიადწია **ნაბანაკარს** (გოთუა, 1980: 39).

ვინ იცის, რამდენს ვითვლი **ნატყვიარს** (ჩიტიშვილი, 2010: 189).

ნა—ეგ (// ნა—ებ) კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ფერმერთალ სახეზე **ნადრევი** ღარული დასდებოდა (გოთუა, 1980: 8).

ნადრევი ხილი მშვენიერი იცის დასავლეთში (კორპ.: 92).

შავგვრემანი, მომლიმარი ჭაბუკი **ნაგვიანებ** სტუმარს კარებში შეეგება (კორპ.: 93).

ის ჩქარობდა, **ნადრევი** სიკვდილს თუ უგრძნობდა გული (კორპ.: 94).

დედის წერილი ზეპირად იცის, ამ **ნაგვიანევი** სტუმრობასაც ისე შეხვდა, როგორც აუცილებელსა და გარდაუვალს (კორპ.: 95).

ნაბახუსევი თავში ტკბილი მოგონებანი მწარე ფიქრებს შეერთო (კორპ.: 96).

ის იმდენად ღმობიერია, რომ **ნაბახუსევი** თავებში მილიონობით ახალი იდეა ფეთქდება და გვეწყება თავის ტკივილი (კორპ.: 97).

აგონდება ხევისთავს შორეული წარსული და გულში **ნადრეგ** სიბერის ურჯოლას გრძნობს (კორპ.: 98).

სუბსტანტივის ფუნქციით:

მეურმემ პაპის შუბლზე მხოლოდ ახლა შეამჩნია **ნაიარევი** (გოთუა, 1980: 56).

ნა-ურ კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

მლაშე ტბა, **ნაზღვაური** უდაბნო... (კორპ.: 99)

ნამზეურ სახეზე თვალეები უგიზგიზებს კაცს (კორპ.: 100).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ამის ნაკვალევს დევის **ნაფეხური** ჰქვია (კორპ.: 101).

ახალ მოსულ თოვლს, ყინვა-დაკრულს, არსად არ აჩნდა **ნაფეხური** ადამიანისა (კორპ.: 102).

მუცელზე განივი, გრძელი ნაიარევი შევნიშნე – სქელი **ნაწიბური** ზედ ჭიპზე გადიოდა (კორპ.: 103).

ნა- პრეფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ეფრემ ბერმა ფეხი რომ მოინაცვლა, **ნასისხლი** კვალი დარჩა სენაკის ლორფინზე (კორპ.: 104).

შენ შემამშრალე **ნაწვიმი** სევდა და წიწვებგაშლილ ნაძვს დამამსგავსე (კორპ.: 105).

...გაგაყოლებ წვიმით **ნასეტყვ** თვალებს საგზლადა... (კორპ.: 106)

გავიხედოთ და... ერთხელაც ჩამოვარდა ჩოგნის ბურთი. **ნაქარი** ატამივით არ გაგორდა დიბის ქათიბში?! (კორპ.: 107)

მზის ქორწილს ესწრება ციერი მაყარი, **ნაქარი** ფოთლების ნამქერში ვქრები (კორპ.: 108).

ნასისხლი ხელებით სხვების დალოცვაც ვერ მიყო გულმა (კორპ.: 109).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ბელეტაჟის კუთხეში, მავთულის წნულით შემორტყმული, ბებერი ვაზის **ნამხარი** თითქმის მთელ ეზოს ფარავს (კორპ.: 110).

მოჩქეფს „კომეტას“ ღვინო შეფეხვად, ორთქლავს როსტ-ბიფი სისხლით **ნაცვარი** (კორპ.: 111).

მაცოცხლებელი იყო სიყვარული იგი, ვით უკვდავებისა ზეცით **ნაცვარი** (კორპ.: 112).

§ 8. ხელობა-პროფესიის სახელები

ხელობა-პროფესიის სახელთა მაწარმოებლებად ა. შანიძე გამოყოფდა **მე-ესა** და **მე-ურ-ს** (→ **მე-ულ**). ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ დანიშნულებით დამატებით წარმოდგენილია **მო-ე** კონფიქსიცი (მ. ტუსკია, გ. გოგოლაშვილი...). მართალია, აღნიშნული ჯგუფის სიტყვებს ხელობის სახელებად მოიხსენიებენ უმეტესად, მაგარამ ზოგჯერ ამგვარ სახელთა სემანტიკა სცილდება ხელობა-პროფესიის გამოხატვას და უფრო თვისება-დანიშნულებას უახლოვდება. ასეთებია, მაგალითად, **მე-ანაბრ-ე**, **მე-თაფ-ე**, **მე-ძვირ-ე**, **მე-ოცნებ-ე** და ა. შ. ერთი წარმოების ფარგლებში ამდენად მრავალფეროვანი მნიშვნელობის სიტყვათა არსებობამ აფიქრებინა მ. ტუსკიას, რომ „ხელობის სახელები“ ზუსტად ვერ გამოხატავს ხსენებული ჯგუფის სემანტიკურ სპეციფიკას და აღნიშნული წარმოებისათვის მოსაძებნია ახალი, უფრო შესატყვისი, ტერმინი (ტუსკია, 2004: 105).

ხელობა-პროფესიის სახელები მიიღება უმეტესად არსებითი სახელებისგან (**მე-ქათმ-ე**, **მე-ნაფ-ე**, **მე-ბად-ურ-ი**, **მო-წილ-ე...**), იშვიათად ამ დანიშნულებით გამოიყენება ზედსართაული (**მე-დიდ-ურ-ი**), ზმნისართული (**მო-წინა-ე-ე...**) და სახელზმნური (**მე-მარხ-ულ-ე...**) ძირები.

ჩამოთვლილი მაწარმოებლებიდან უფრო აქტიურად გვხვდება **მე-ე** და **მე-ურ**, ვიდრე **მო-ე**. ეს უკანასკნელი წარმოებისა და მნიშვნელობის მხრივ დიდ მსგავსებას იჩენს საშუალო გვარის მიმღეობებთან (**მო-ციმციმ-ე**, **მო-ციგურავ-ე**). მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მიმღეობები ხშირად სუბსტანტივებიან კიდევ (ტუსკია, 2004).




ხ ე ლ ო ბ ა - პ რ ო ფ ე ს ი ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ზ ე შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი თ ქ ვ ა ს ,
რ ო მ ი ს ი ნ ი ძ ი რ ი თ ა დ ა დ ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი ვ ე ბ ი ა რ ი ა ნ . ჩვენი აზრით, ამგვარ სახელთა ადიექტივად გამოყენების შემთხვევები მეორეული ხასიათისაა და პირვანდელი ფუნქცია ამგვარი სახელებისა მაინც სუბსტანტიურია. ქართულ ენას რომ უდიდესი პოტენცია აქვს სიტყვათა კლასების ცვლილებისა, ეს ცნობილი ფაქტია და საკვირველი ნამდვილად არაა ადიექტივის როლში ხელობა-პროფესიის სახელების გამოსვლა მაშინ, როდესაც ძირეული სუბსტანტივების ადიექტივაციასაც არ ერიდება ენა საჭიროების შემთხვევაში. შდრ.: ორი ჭიქა წყალი, ერთი გოდორი სიმინდი, სამი ბოთლი ღვინო და ა. შ.

თქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელობა-პროფესიის კონფიქსები მასუბსტანტივებელ ტრანსლაციითა რიგში შევიყვანოთ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სიტყვები იწარმოება არსებითისაგან განსხვავებული მეტყველების ნაწილებისგან, დანარჩენ ვითარებაში ხელობა-დანიშნულების მარკერები სახელთა სუბსტანტიურობის ინდიკატორები (მაჩვენებლები) იქნებიან მხოლოდ.

ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას ემყარება ხელობა-პროფესიის მწარმოებელთა კვალიფიკაცია სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით.

მაწარმოებელი		მაგალითები
მე-ე	უმეტესად აქვთ ადიექტივის ფუნქცია	მე-ალილო-ე, მე-მარცხენ-ე, მე-მარჯვენ-ე, მე-ოცნებ-ე, მე-ოჯახ-ე
	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	მე-ანაბრ-ე, მე-ბაჟ-ე, მე-ბაღ-ე, მე-ბუხრ-ე, მე-ჩაი-ე, მე-ჩექმ-ე, მე-კარ-ე, მე-ჩონგურ-ე, მე-ცხვარ-ე, მე-დავითნ-ე, მე-დოღ-ე, მე-დროშ-ე, მე-ეტლ-ე, მე-ეზოფ-ე, მე-ფუტკრ-ე, მე-კვლ-ე, მე-მანქან-ე, მე-მკვიდრ-ე, მე-მონტაჟ-ე, მე-ნავ-ე, მე-ნახირ-ე, მე-პურ-ე, მე-ღვინ-ე, მე-საათ-ე, მე-სანთლ-ე, მე-საზღვრ-ე, მე-ტიფ-ე, მე-ვალ-ე, მე-ვენახ-ე, მე-წარმ-ე, მე-ყვავილ-ე, მე-ზღაპრ-ე, მე-ძროხ-ე, მე-აგურ-ე, მე-აირ-ე, მე-ბათქაშ-ე, მე-ბრძმედ-ე, მე-ექსკავატორ-ე, მე-ხანძრ-ე
მე-ურ	უმეტესად აქვთ ადიექტივის ფუნქცია	მე-დიდ-ურ-ი, მე-დღე-ურ-ი, მე-თა-ურ-ი, მე-რძე-ულ-ი
მე-ულ	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	მე-ბად-ურ-ი, მე-ბარგ-ულ-ი, მე-ზღვა-ურ-ი
მო-ე	უმეტესად აქვთ სუბსტანტივის ფუნქცია	მო-შაირ-ე, მო-ვალ-ე, მო-ნადირ-ე, მო-კეთ-ე, მო-კრიმანჭულ-ე

მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს, რომ ხელობა-პროფესიის სახელების უმრავლესობა სუბსტანტივია, ოღონდ ისევ სუბსტანტივისგან მიღებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იშვიათ შემთხვევაში ხსენებული მაწარმოებლებით ხდება ადიექტივაციაც. წარმოვადგენთ ხელობა-პროფესიის სართების მეშვეობით განხორციელებული ტრანსლაციის ორიოდე მაგალითის სტრუქტურულ გამოსახულებას.



ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

მე-ე კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

მელორე ყატალა ღორის აფესვაში რომ ეშველებოდა თაყას, – ხელთუყარი, წელიწვევტია, გამონიჭული (ლეონიძე, 2011: 94).

ვანომ ნაღვლიანად გაუღიმა **მეეზოვე** ქალს და გზა განაგრძო (კორპ.: 113).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ოთახის კარებში ჩემი ძველი ნაცნობი **მეეტლე** იდგა (კორპ.: 114).

... და მადლს არიგებთ სხიფამდგარ მუჭით თვით უპოვარი **მეუდაბნოვე** (ჩიტიშვილი, 2010: 46).

მეტივეები სადღაც მღერიან, სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე (ლეონიძე, 2008: 32).

მეურმემ პაპის შუბლზე მხოლოდ ახლა შეამჩნია ნაიარვეი (გოთუა, 1980: 56).

-ვაიმე! – აღმოხდა ჩუმი კენესა **მეჩიბუხეს** და ათივე თითი თმებში იტაცა (კორპ.: 115).

მონადირეს, **მეთევზეს**, **მეწისქვილეს**, პოეტებს ხანდახან უნდა აპატიოთ ოცნების გადადუღება (ლეონიძე, 2011: 178).

კოკამ მთვარიან ღამეს გადააყვანინა დაჭრილი კუკა **მეთევზეებს** კუნძულზე ნაცნობ ქირურგთან (თაბუკაშვილი, 2010: 16).

მე-ურ (// → **მე-ულ**) კონფიქსიანი სიტყვები

ადიექტივის ფუნქციით:

ასე რომ თხრობაში აღწერილ ანგელოზებს სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა „**მეგზურ** სულებს“ (კორპ.: 116).

სიცელქის იშტამ ისევ დარია **მედიღურ** მგზავრს ხელი (კორპ.: 117).

... ჩემს ღურჯთვალება **მეზღავურ** პაპას (კორპ.: 118).

სუბსტანტივის ფუნქციით:

ჩემოდნებიანი **მეზარგული** წინ მიუძღოდა (კორპ.: 119).

წყალს პერანგიანი **მეზადური** დამკლავებული მისდევდა (კორპ.: 120).

მე ვიყავ, ძმანო, ბაღდადეგი **მეზარგული** (კორპ.: 121).

... თავაზიანად მიმართა **მეზუღმა** და მყის დაინახა, რომ მისი ასეთი ჩარევისთანავე კაცი მოეშვა (კორპ.: 122).

- ოჰ, ბატონო მორელ! – შეჰყვირა თვალცრემლიანმა ახალგაზრდა **მეზღვაუტმა** (კორპ.: 123).

მეზღვაუტმა ყანჩას ნისკარტში სტაცა ხელი და ზღვის ზედაპირზე ასე შეჩერდა (კორპ.: 124).

მესამე **მეზღვაუტს** კი დამიზნებული რევოლვერი ხელში შერჩენოდა უაზროდ (კორპ.: 125).

მო–ე კონფიქსიანი სიტყვები

სუბსტანტივის ფუნქციით:

... შემდეგ წელში გადახრილი **მტკიდავე** ისევ თვითონვე გაასწორა და აათამაშა (კორპ.: 126).

ეს **მინადირე** ხალხის წარმომადგენელია (კორპ.: 127).

მხატვრები და **მტქანდაკეები** ხატავენ და აქანდაკებენ პანის გამოსახულებას (კორპ.: 128).

მაჰარაჯამ ბრძანა, სასწრაფოდ შეეკრიბათ იმ მხარის საუკეთესო **მინადირეები** (კორპ.: 129).

როცა განთიადმა მოატანა, უცნაურმა **მტკიდავემ** უთხრა იაკობსა... (კორპ.: 130)

თვითონ წაიქცა და სანამ წამოაყენებდნენ, **მტკიდავეებმა** იცნეს სასტუმროში ნანახი მამულიშვილი (კორპ.: 131).

მოციქულს კი მგოსანს, პოეტს, **მტშიირეს** უწოდებდნენ (კორპ.: 132).

მინადირეს, მეთევზეს, მეწისქვილეს, პოეტებს ხანდახან უნდა აპატიოთ ოცნების გადაღუდება (ლეონიძე, 2011: 178).

არა, უგმირობა კი არ გვჭირს – თავად მარტოხელა გმირს... ცალკე **მტკრიმანჭულეს**... ყავლი გაუვიდა (გოთუა, 1980: 112).

გთხოვთ მომიტევეთ, რომ ეგ თქვენი მოთხოვნა თქვენი ნებითვე უნდა უარყოთ და თქვენს **მტვალედ** უნდა დავრჩე (კორპ.: 133).

§ 9. გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლების გამოყოფისას ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში დიდი სხვაობა შეინიშნება.

ა. შანიძე ამგვარ სახელთა მაწარმოებლებად შემდეგ კონფიქსებს ასახელებს: **სა-ე, სა-ო, სა-ის, სა-ურ**. იგი ამავე დანიშნულებით განიხილავს **-იან, -ოვან** აფიქსებს, **ნა-ეგ, ნა-არ, ნა-ურ** პრეფიქს-სუფიქსებს და იქვე საუბრობს ე.წ. ნაგენეტივარ თუ ოდენ **-ეთ, -ით-ითა** და **სა-ეთ** სართებით გეოგრაფიული სახელების მიღებაზე (შანიძე, 1980: 136-140).

ბ. ტუსკია აღნიშნავს, რომ გეოგრაფიულ ტერმინთა შექმნისთვის ენა მიმართავს ნაირგვარ საშუალებას, ამიტომ იგი საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლებით მიღებულ ფორმებს განიხილავს. ამგვარ ელემენტებად მკვლევარი გამოყოფს შემდეგ სართებს: **-ეთ, სა-ეთ, -ნარ, -ობ, -ო** (ტუსკია, 2004: 114-118).

განსხვავებული ვითარება გვაქვს „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაშიც“. აქ ნაშრომის ავტორები ცალ-ცალკე წარმოადგენენ ადგილის გამომხატველსა და გეოგრაფიულ სახელებს. პირველ მათგანში შეაქვთ **-ობ-ისა** და **-ნარ-ის** დართვით მიღებული სიტყვები, ხოლო მეორე მათგანში აერთიანებენ როგორც ოდენ გეოგრაფიულ სახელთა აფიქსებით (**-ეთ, -ით, სა-ეთ, სა-ის**), ისე სხვადასხვა ფუნქციის მაწარმოებლებით (**-იან, -ოვან, ნა-არ, ნა-ურ, ნა-ეგ, სა-ე, სა-ო, სა-ის, სა-ურ**) შექმნილ ლექსიკურ ერთეულებს (გოგოლაშვილი... 2011: 231-233).

მიუხედავად ამ განსხვავებული თვალთახედვისა, ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა მხოლოდ ამ მაწარმოებელთა ფუნქციურ დატვირთვას აქვს და არა იმას, გამოიყენება თუ არა ჩამოთვლილი აფიქსები სხვა დანიშნულებითაც. გეოგრაფიული თუ ადგილის გამომხატველი სიტყვები, რასაკვირველია, სუბსტანტივებია. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სახელდებისთვის გამოიყენება თვისების სახელები, ნაწარმოები **-იან, -ოვან, სა-ე, სა-ო** სართებით და ამ შემთხვევაში შესაძლოა ვისაუბროთ სიტყვის სუბსტანტივაციაზე. დანარჩენ ვითარებაში მიღებულ სახელს იმთავითვე სუბსტანტივის გაგება აქვს ან ძირეული სიტყვაც სუბსტანტივია და ამდენად ტრანსლაციაზე აქცენტირება ზედმეტია.

ჩვენ გეოგრაფიულ ტერმინთა შესახებ სრულყოფილი სურათის შექმნისთვის გავაანალიზეთ „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მასალა. ყველაზე ხშირად ამგვარ ტერმინთა შესაქმნელად გამოყენებულია შემდეგი მაწარმოებლები:

სა-ე: სა-ბატკნ-ე, სა-ბუ-ე, სა-ირმ-ე, სა-ჯიხე-ე, სა-კალმახ-ე, სა-ნახშირ-ე, სა-ორბ-ე, სა-თივ-ე, სა-თოვლ-ე, სა-თხ-ე

სა-ო: სა-ადამი-ო, სა-ბადლ-ო, სა-ბაჟ-ო, სა-ბერულაგ-ო, სა-გურამ-ო, სა-იმედ-ო, სა-იმერლ-ო, სა-ჯავახ-ო, სა-ლხინ-ო, სა-მადლ-ო, სა-თავად-ო, სა-თემ-ო, სა-წისკვინ-ო

სა-ის: სა-ცხენ-ის-ი

სა-ურ: სა-ბად-ურ-ი, სა-ციხ-ურ-ი

სა-ეთ: სა-ბერ-ეთ-ი, სა-ბუ-ეთ-ი, სა-ცხენ-ეთ-ი, სა-მღერ-ეთ-ი, სა-რკინ-ეთ-ი, სა-სირ-ეთ-ი, სა-ვან-ეთ-ი

-ეთ: აბანო-ეთ-ი, ალგ-ეთ-ი, არგვ-ეთ-ი, ბარალ-ეთ-ი, ბედლ-ეთ-ი, ბევრ-ეთ-ი, ბჟოლ-ეთ-ი, ბუ-ეთ-ი, დადიან-ეთ-ი, გოგოლ-ეთ-ი, გომარ-ეთ-ი, გრიგოლ-ეთ-ი, გველ-ეთ-ი, კვერნ-ეთ-ი, მურმან-ეთ-ი, მზიან-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი ორბ-ეთ-ი, ქვეშ-ეთ-ი, რიყ-ეთ-ი, სიმონ-ეთ-ი, თავგ-ეთ-ი, ტბ-ეთ-ი, თონ-ეთ-ი, ვან-ეთ-ი, ზამთარ-ეთ-ი, ზვარ-ეთ-ი

-ნარ: ბად-ნარ-ი, მუხ-ნარ-ი, პანტ-ნარ-ი, ტივ-ნარ-ი, თხილ-ნარ-ი.

მნიშვნელოვანია, რომ სახელდებისთვის, როგორც ჩანს, ხშირად გადამწყვეტია სანომინაციო ობიექტის გარეგნული მხარე, თვისება და ა.შ. ამ ნიშნით შექმნილ გეოგრაფიულ ტერმინებში, რასაკვირველია, სხვადასხვა ფუნქციის აფიქსებია გამოყენებული. ყველა მაწარმოებელი, როგორც მოსალოდნელიც იყო, არაა ერთნაირად პროდუქტიული. ამ დანიშნულებით გვხვდება შემდეგი მაწარმოებლები:

• **ქონების აფიქსები:**

-ა: ბოსელ-ა, ბოსტან-ა, დიდმუხ-ა, დიდწიფელ-ა, კიბურ-ა, კიდევან-ა, მახათ-ა, ნახშირ-ა, ღრუბელ-ა, რყევის-ა, თბილის-ა, თეთრ-ა, თეთრწყალ-ა, თხელ-ა, თხილ-ა, უნაგირ-ა, ველის-ა, ველურ-ა, წაბლან-ა, წითელ-ა, ზეკარ-ა

-ოვან და -ოვან-ა: ციტრუს-ოვან-ი, ღამ-ოვან-ი, ნარ-ოვან-ი, თხილ-ოვან-ი, ჭალ-ოვან-ი, წიფლ-ოვან-ი; შვინდ-ოვან-ა, წაბლ-ოვან-ა, ზურგ-ოვან-ა


-იან და იან-ა: ბად-იან-ი, ბირკ-იან-ი, ჩიტ-იან-ი, ფიჭვ-იან-ი, გულ-იან-ი, გვიმრ-იან-ი, ჯავშნ-იან-ი, კაკლ-იან-ი, მუხ-იან-ი, მზ-იან-ი, ნაკ-იან-ი, ნარ-იან-ი,

პანტიან-ი, ქარიან-ი, ქვიან-ი, შამბიან-ი, ტეხიან-ი, ტილიან-ი, წაბლიან-ი; თხილიან-ა

- უქონლობის აფიქსი უ-ო: უ-დაბნ-ო, უ-სახელ-ო
- წარმომავლობის აფიქსები: -ელ, -ურ // -ულ, -ეულ: ვან-ელ-ი; ბადია-ურ-ი, ბან-ურ-ი, ტეხ-ურ-ი; არსენა-ულ-ი, სერ-ულ-ი; მზის-ეულ-ი
- წინა ვითარების სახელთა მაწარმოებლები: ნა-არ, ნა-ევ // ნა-ებ, ნა-ურ: ნა-ციხ-არ-ი, ნა-დიკვ-არ-ი, ნა-დუქნ-არ-ი, ნა-ტახტ-არ-ი; ნა-ბაკ-ევ-ი, ნა-ბოსლ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-გომ-ევ-ი, ნა-მარილ-ევ-ი, ნა-ღვარ-ევ-ი, ნა-ვენახ-ევ-ი; ნა-ბოსტნ-ებ-ი; ნა-დაბ-ურ-ი, ნა-ჯიხ-ურ-ი, ნა-ხიდ-ურ-ი.

გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებში გვაქვს როგორც -ებ-იანი, ისე ნართანიანი მარავლობითის გამოყენების შემთხვევებიც: ადაძე-ებ-ი, ბაგ-ებ-ი, ბოსლ-ებ-ი, დარჩიძე-ებ-ი, დიაკონიძე-ებ-ი, გელაძე-ებ-ი, ქვ-ებ-ი, ველ-ებ-ი, წყლ-ებ-ი; რკო-ნ-ი, ღრმა-ნ-ი, თოთიაურ-ნ-ი, აკაურ-თა, ბოსელ-თა, ბუჩუკურ-თა, გულიან-თა, კალო-თა, ლის-თა, ვან-თა, წყარო-თა.

წარმოდგენილ საილუსტრაციო მასლაზე ზედაპირული დაკვირვებითაც კარგად ჩანს, რომ ის შემთხვევები, როდესაც მქონებლობისა და წარმომავლობის აფიქსებიანი ფორმები გამოიყენება გეოგრაფიულ ტერმინთა საწარმოებლად, მაშინ აშკარაა ადრექტიურ ფორმათა სუბსტანტივაცია. ასეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს სა-ე კონფიქსით მიღებული სიტყვებიც. დანარჩენ შემთხვევებში სუბსტანტივაციაზე საუბარი გაჭირდება. თქმულის გათვალისწინებით, სტრუქტურულ გამოსახულებას წარმოვადგენთ მხოლოდ ქონების აფიქსიან და სა-ე მაწარმოებლიანი თითო-თითო შემთხვევისთვის.



§ 10. დასკვნები

წინამდებარე ქვეთავში წარმოვადგინეთ სიტყვათმაწარმოებელი მორფემები და სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზის შედეგად შევეცადეთ მათ კლასიფიკაციას სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით.

მართალია, ნაშრომში აფიქსები დალაგებულია სემანტიკური ნიშნით, როგორც ეს ტრადიციულადაა მიღებული, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი არის არა წარმოების შედეგად მიღებული სიტყვის სემანტიკა (ქონების სახელია, უქონლობის, წინა ვითარების, წარმომავლობის თუ სხვა), არამედ ამ ერთეულის ძირითადი ფუნქციური დატვირთვა წინადადებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრანსლაციის კვლევისთვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა მიმართებას ამყარებს მიღებული სიტყვა სხვა სიტყვებთან, რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება იგი. ტრანსლაციის არსიდან გამომდინარე, უმთავრესია, რომ წარმოების შედეგად ენობრივმა ერთეულმა შეიცვალოს კლასი, ანუ ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები სხვადასხვა კლასის უნდა იყოს. შესაბამისად, თუ სიტყვაწარმოება არ იწვევს კლასის ცვლილებას, მაშინ არ ხდება ტრანსლაცია. **სუბსტანტივაცია-ადიექტივაცია სიტყვის ერთი კლასიდან მეორეში გადასვლას გულისხმობს, სუბსტანტიურობა-ადიექტიურობა კი შესაძლოა ამა თუ იმ ერთეულის პირვანდელი ნიშანი იყოს.** მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ სიტყვა „აზრ-იან-ი“ ადიექტიური გაგების არის, ეს ნიშნავს, რომ ის ან პირველადი ადიექტივია, ან ტრანსლაციის შედეგად მიღებული. ამ ფორმაში ძირეული ერთეული არებითი სახელია, წარმოების შედეგად მიღებული სიტყვა კი – ზედსართავი. ანუ აღნიშნული ფორმა ადიექტივი თავიდან კი არ ყოფილა, არამედ ტრანსლაციის შედეგად გამხდარა, შესაბამისად, **-იან** მაადიექტივებელი ტრანსლაცივი გამოდის. ხდება ისეც, რომ ერთი და იგივე მაწარმოებელი ერთ სიტყვასთან ტრანსლაცივია, ხოლო მეორესთან – არა. მაგალითისთვის განვიხილოთ აბსტრაქტულობის სუფიქსი **-ობა** სიტყვებში „ერთ-ობა“ და „დედ-ობა“. ორივე ფორმა სუბსტანტიური გაგებისაა, ოღონდ პირველში ძირეული სიტყვა რიცხვითი სახელია, მეორეში – არსებითი, ამიტომ სუბსტანტივაციაზე მხოლოდ პირველ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ. მეორე ფორმაში **-ობა** მხოლოდ სუბსტანტიურობის მაჩვენებელია (ინდიკატორია).

მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტრანსლაციისთვის ასევე მნიშვნელოვანია სიტყვის სემანტიკა. ამის დასტურია ისიც, რომ, მაგალითად, **-ეულ** სუფიქსი ხან მადიექტივებელია, ხან – არა. წესით **მარცვლ-ეულ-ი**, **ხილ-ეულ-ი** ადიექტივები უნდა იყოს, რადგან **-ეულ-ით** მიიღება ადიექტივები (**ჩემ-ეულ-ი**, **დედის-ეულ-ი**), მაგრამ ფორმებში „**მარცვლეული**“ და „**ხილეული**“ აღნიშნულმა მაწარმოებელმა არც წარმომავლობა გამოხატა (რაც ამ აფიქსის სემანტიკური ნიშანია) და არც ადიექტივი აწარმოვა, აღნიშნულ სიტყვებს მან მხოლოდ ერთნაირ საგანთა სიმრავლის, კრებითობის ნიუანსი შესძინა. კრებითობის ეს ნიშანი კიდევ უფრო იკვეთება ასეთ სიტყვებზე **-ობა-ს** დართვით: **მარცვლ-ეულ-ობა**, **ხილ-ეულ-ობა** და ა.შ. ენობრივი ერთეულის ამ რთულ ბუნებასა და მისი ანალიზისას კომპლექსური მიდგომის საჭიროებას ხაზი გაუსვა ბ. ჯორბენაძემაც შემდეგი სიტყვებით: „მორფოლოგიური ანალიზის ძირითადი მიზანია სიტყვის ფორმისა და მისი ცვლილების კანონზომიერებათა შესწავლა. მორფოლოგიური ანალიზი ითვალისწინებს: ა) ფორმის სინტაქსურ ფუნქციას, ბ) ფორმის სემანტიკას. ამ მომენტების გათვალისწინება თვით ფორმის სრულყოფილი მორფოლოგიური ანალიზისთვის არის აუცილებელი. სინტაქსური და სემანტიკური ფაქტორები მოქმედებენ ფორმათწარმოებაზე“ (ჯორბენაძე, 1995: 27).

აფიქსთა ზემოთ წარმოდგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით შევეცადეთ წარმოგვეჩინა კონკრეტული სიტყვათმაწარმოებელი სართების მატრანსლირებელი ძალა. საკითხის კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

1. ქართულ ენას შესწევს უნარი ნებისმიერი არასახელი აქციოს სახელად, ანუ გაასუბსტანტივოს, ხოლო სახელთა კლასების ცვლილებისთვის ნაირგვარ საშუალებებს მიმართოს.
2. სახელებისგან სახელთა მიღების ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა სიტყვაწარმოება.
3. სიტყვათმაწარმოებელ აფიქსებს აქვთ ტრანსლაციის უნარი. მათ შეუძლიათ შექმნან ახალი ლექსიკური ერთეული ახალი ფუნქციით;
4. ერთი და იგივე აფიქსი შეიძლება ერთ შემთხვევაში იყოს ტრანსლატივი, მეორე შემთხვევაში – არა.
5. ერთი და იმავე სიტყვიდან სიტყვაწარმოებით შესაძლებელია მივიღოთ ტრანსლირებული ვარიანტი, ან – არა (შდრ.: ერთი მხრივ – **კაც-ობა** და მეორე მხრივ – **კაც-ური**).

6. ტრანსლირებისთვის უმნიშვნელოვანესია სემანტიკური ფაქტორი. ამას ადასტურებს, მაგალითად, ქონების აფიქსიან ატრიბუტულ ფორმათა გასუბსტანტივება სახელდებისათვის ამგვარ ერთეულთა გადააზრებით: ჩიტ-იან-ი, ქვე-იან-ი, ქარ-იან-ი, წაბლ-იან-ი და სხვ.
7. ტრანსლირებისთვის ხშირად გადამწყვეტი არა მარტო სიტყვის, არამედ მაწარმოებლის სემანტიკაცაა (ანუ რა მნიშვნელობის, ფუნქციის ლექსიკურ ერთეულებს ვიღებთ). შევადაროთ ორი ფორმა: **სა-აგენტ-ო** და **სა-აგენტ-ე***. ორივე დანიშნულების კონფიქსთა დართვითაა მიღებული, მაგრამ ენა პირველ ფორმას იყენებს აქტიურად, მეორეს კი უგულებელყოფს მიუხედავად მორფოლოგიური შეზღუდვის არარსებობისა. შდრ.: საკალტე, სალენტე, სისხარტე და ა.შ.
8. ზოგჯერ ენა ერთი სიტყვისგან ერთი და იმავე სემანტიკის აფიქსთა მონაწილეობით ქმნის სიტყვებს: **სა-თავე-ე** და **სა-თავე-ო**. ორივე ლექსიკური ერთეული დანიშნულების კონფიქსების დართვითაა მიღებული, მაგრამ ენამ მათი მნიშვნელობისა და ფუნქციის დიფერენცირება მოახდინა: მდინარის **სათავე** (სუბსტანტივი), **სათავეო** ოფისი (ადიექტივი).
9. შეიძლება ერთი და იგივე სიტყვა კონტექსტში დაკისრებული ფუნქციის მიხედვით სხვადასხვა კლასის კუთვნილება იყოს. შდრ.: **ინგლის-ელ-ი** სტუმარი (ადიექტივი) და **ინგლის-ელ-ები** გვესტუმრენ (სუბსტანტივი). თუმცა ეს მაინც პოზიციური ხასიათის მოვლენაა. **-ელ-ი** მადიექტივებელი ტრანსლატივია. მეორე შემთხვევაში სიტყვის სუბსტანტივაცია მორფოლოგიური კი არა, სინტაქსური მექანიზმის მეშვეობით განხორციელდა.
10. ზოგჯერ მეტაენის თავისებურებანი განსაზღვრავს ამა თუ იმ მაწარმოებლის პროდუქტიულობას. შესაძლებელია რომელიმე აფიქსი ჩვეულებრივ მეტყველებაში ნაკლებაქტიური იყოს, მაგრამ დარგობრივ ტერმინოლოგიაში ძალიან ნაყოფიერად გამოიყენებოდეს.
11. ამა თუ იმ მაწარმოებლის აქტიურობა განსხვავებულია ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, ძველ ქართულში აბსტრაქტულ სახელებს უფრო ხშირად **სი-ე** კონფიქსი აწარმოებდა


მაშინ, როცა ახალ ქართულში ხსენებულმა სართმა პოზიციები დათმო ოდენსუფიქსური წარმოების სასარგებლოდ.

12. მაწარმოებლის პროდუქტიულობა გულისხმობს არა მარტო იმას, რომ იგი ბევრ სიტყვაში გვხვდება, არამედ იმასაც, თუ რამდენად ბევრ მეტყველების ნაწილთან გამოიყენება იგი. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **-ობა** სუფიქსი უფრო მეტი რაგვარობის ფუძეებთან დასტურდება, ვიდრე **-ება**; ამგვარად, ლოგიკურია, რომ პროდუქტიულ მაწარმოებლებს ტრანსლირების მეტი უნარიც აქვთ, რაც ნაირგვარ ფუძეებზე მათი დართვის შანსითაა განპირობებული.
13. ნებისმიერმა ტრანსლირებულმა ფორმამ შეიძლება კიდევ განიცადოს ტრანსლაცია. ამ დანიშნულებით მორფოლოგიურ საშუალებად გამოიყენება ტრანსლაციების კვლავ დართვა, რის შედეგადაც ვიღებთ ორმაგი ტრანსლაციის ფორმებს. ტრანსლირებული ფორმის კვლავტრანსლირების სინტაქსური მექანიზმის არსი კი მოდელში განსხვავებული როლის დაკავებით გამოიხატება (აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ ტრანსლაციის სინტაქსურ საშუალებაში).
14. რამდენიმეჯერადი ტრანსლაციის შემთხვევაში შესაძლებელია ყველა ჯერზე სხვადასხვა მეტყველების ნაწილი მივიღოთ ან, მაგალითად, თავდაპირველი სიტყვა და საბოლოო, ტრანსლირების შედეგად მიღებული, ერთეული ერთი და იმავე კლასის იყოს, შუალედური საფეხურისა კი – სხვა (ორმაგი ტრანსლაციის ორივე შემთხვევის გრაფიკული გამოსახულება წარმოდგენილია ზემოთ).
15. სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები შეგვიძლია დავაჯგუფოთ იმის მიხედვით, ძირითადად სუბსტანტივებს აწარმოებენ, თუ ადიექტივებს. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა აღნიშნული თვალსაზრისით მათი კვალიფიცირება არ ხერხდება.

დასასრულ, სიტყვათმაწარმოებელი აფიქსებისთვის წარმოვადგენთ საილუსტრაციო გამოსახულებას, რომელშიც ელემენტთა განაწილებისას გათვალისწინებულია მათ მიერ ნაწარმოები სიტყვების სუბსტანტიურობა-ადიექტიურობა, როგორც აღნიშნული აფიქსებით სიტყვათა ამა თუ იმ სახის ტრანსლირების რეზულტატიური ნიშანი.

ჩამოთვლილი აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები:

- ✓ ადიექტივებია
- ✓ სუბსტანტივები და ადიექტივებია
- ✓ სუბსტანტივებია



III. ბრუნვის ნიშნები მატრანსლირებელ ელემენტებად

ზოგადად ბრუნვის ნიშნები მიმართებითი მორფემებია, რომელთა ძირითადი დანიშნულება არის სიტყვის იმ ფორმით წარმოდგენა, რომელიც წინადადებაში სხვა სიტყვებთან მიმართებისთვისაა საჭირო. წინადადების სტრუქტურულ მოდელში ბრუნვათა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ჩ. ფილმორი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ბრუნვებს, მათი ფუნქციები სინტაქსის თვალსაზრისით განიხილა და ისინი სიღრმისეულ სტრუქტურულ მოდელშიც წარმოადგინა (ფილმორი, 1977). მიუხედავად ბრუნვის ნიშანთა უმთავრესი (მიმართებითი) დანიშნულებისა, არცთუ იშვიათად მათ შეიძლება შეიცვალონ ფუნქცია და დერივატებად მოგვევლინონ, ამიტომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სიტყვაწარმოების განხილვისას ყოველთვის

აღნიშნავენ ბრუნვის ნიშანთა ამ უნარს. „კარგად არის ცნობილი სახელთა ბრუნვის ნიშნების ორმაგი ბუნება: (1) გარკვეულ პირობებში ბრუნვის ნიშნები, კარგავენ რა ფლექსიურ ბუნებას, ტრანსლირდებიან დერივაციულ ელემენტებად – წარმოქმნიან სხვა მეტყველების ნაწილებს; ფლექსიურ ელემენტთა რანგში მათ ასევე შეუძლიათ მეტყველების სხვა ნაწილთა სახელად მოქცევა. ყოველივე ეს ხორციელდება პარადიგმიდან ამოვარდნით ან პარადიგმაში ჩართვით; (2) ყოველგვარი პირობის გარეშე ბრუნვის ნიშანი მაშინვე დერივაციულ ელემენტად მოქცევა, როგორც კი მას სიტყვაფორმაში იგივე ან სხვა ბრუნვის ნიშანი მოჰყვება, რაც თეორიულად გამორიცხავს ორმაგ და სამმაგ ბრუნებას“, – წერს თ. უთურგაიძე (უთურგაიძე, 2013: 22) და ხაზს უსვამს ბრუნვის ნიშანთა სიტყვათმაწარმოებელ და მატრანსლირებელ ფუნქციებს.

ბრუნვის ნიშნებით ახალი ლექსიკური ერთეულების მიღება ქართული ენის განვითარების ყველა დონეზე აქტიური ჩანს. მაგალითად, ძველ ქართულში არის რიგი სიტყვებისა, რომლებიც ნათესაობითბრუნვიანი ფორმით გამოხატავენ დროის გარემოებას. „ზოგიერთი ასეთი სახელი ამ მნიშვნელობით ხშირი ხმარების გამო ზმნიზედად იქცა. ასეთია, მაგალითად, **გზ-ის** (გზა – გზ-ის) და **მყ-ის** (მეყი – მყ-ის), რომლებიც წარმოშობით დროის ზმნიზედა უნდა იყოს“ (იმნაიშვილი, 1957: 174). ძველ ქართულში ბრუნვის ნიშანთა დერივაციულ უნარს ხაზს უსვამს ზ. სარჯველაძეც: „ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ნიშნები ზოგჯერ ახალ ფუძეს წარმოქმნიან“, – წერს მკვლევარი (სარჯველაძე, 1997: 187). აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე პეტრიწი და ეფრემ მცირე ნაყოფიერად იყენებდნენ ბრუნვის ნიშნებს ახალ ლექსიკურ ერთეულთა მისაღებად (მელიქიშვილი, 1974).

ყოველივე ზემოთქმული უდავოდ ადასტურებს ბრუნვის ნიშანთა სიტყვაწარმოებითი დანიშნულების, როგორც ფაქტის, სიძველეს.

აღსანიშნავია, რომ ბრუნვის ნიშანთა დერივაციული უნარი საკმაოდ აქტიურია თანამედროვე ქართულშიც. მაგალითად, ა. შანიძე მიიჩნევს, რომ -ით და -ად გამოიყენება ზედსართავ სახელთა მისაღებად: **დადებ-ით-ი**, **უარყოფ-ით-ი**, **ჩვენებ-ით-ი**; **თვალ-ად-ი**, **ტან-ად-ი**, **ფერ-ად-ი**, **პურ-ად-ი...** (შანიძე, 1980: 145). მასვე აქვს შენიშნული ამგვარი წარმოების აქტიურობა ტერმინოლოგიურ სიტყვათქმნალობაში. მ. ტუსკიაც იზიარებს აზრს, რომ „ბრუნვის ნიშანთა დერივატებად გამოყენება ქართული ენისთვის დამახასიათებელი მოვლენაა“ (ტუსკია, 2004: 123) და ამ ფუნქციით გამოყოფს ნათესაობითი, მოქმედებითი და

ვითარებითი ბრუნვის ნიშნებს (-ის, -ით, -ივ, -ად). თ. უთურგაიძე კი ხაზს უსვამს მიცემითი ბრუნვის ნიშნის სიტყვაწარმოებით დანიშნულებას: „მრავალი არსებითი სახელის მოქცევა შეიძლება ზმნისართად ისე, რომ ფორმა არ შეეცვალოს; მაგ., **ზაფხულს, შემოდგომას, კვირას...** „ფორმა შეეცვალოს“ ეხება გამოხატულების პლანს, მხოლოდ ბგერობრივ იგივეობას, გრამატიკულად ისინი (საერთო ბგერობრივი შედგენილობის არსებითი სახელი და ზმნისართი) დიდად არიან განსხვავებული: „**ზაფხულს**“ არსებით სახელში -ს ფუძეში არ შედის, ბრუნვის ნიშანია („**ზაფხულს** შემოდგომა მოსდევს“), რომელიც პარადიგმაში შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს სხვა ბრუნვის ნიშნით (**ზაფხულ-ი, ზაფხულ-მა...** „**ზაფხულმა** კარგად ჩიარა“ და სხვ.), ზმნისართ „**ზაფხულს**“ ფორმაში კი -ს დაბოლოება ფუძის კუთვნილებაა, როგორც წარმომქმნელი ელემენტი („ამ **ზაფხულს** ზღვაზე ისვენებდა“). ზმნისართი „**ზაფხულს**“ პარადიგმას მოკლებულია და არც შინაარსობრივად ნიშნავს არსებითი სახელის მიცემითი ბრუნვის „**ზაფხულის**“ ფორმას“ (უთურგაიძე, 2005: 256). მსგავს შემთხვევებს მეცნიერი სახელისგან ზმნისართის ტრანსლირების კვალიფიკაციას აძლევს.

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ წარმოქმნის ელემენტებად მიჩნეულია მხოლოდ ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები, თუმცა ნაშრომში დამატებითაა შენიშნული, რომ „თანამედროვე სალიტერატურო ენაში -ის, როგორც წარმოქმნის ელემენტი, არ გვხვდება, სამეცნიერო ტერმინოლოგიაში კი ხშირად გამოიყენება: **თვალ-ის-ი, აფრ-ის-ი, უჯრედ-ის-ი, საფეხ-ის-ი**“ (გოგოლაშვილი... 2011: 238).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება შევაჯამოთ, რომ დერივაციული დანიშნულებით გამოიყენება შემდეგი ბრუნვის ნიშნები: -ს (მიცემითი), -ის/-ს (ნათესაობითი), -ით (მოქმედებითი) და -ად/-დ (ვითარებითი). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისთვის ზემოთ მითითებული აფიქსების ფუნქციები სამეცნიერო ლიტერატურის (კლასიფიკაციისას ვეყრდნობით „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონს“) შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს გამოიყენება ზმნისართების საწარმოებლად (დღეს, სადამოს, დილას, წელს, ძირს, შორს...).
2. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ის და მისი ვარიანტი -ს (ასევე -თა დაბოლოება ნათესაობითის ფუნქციით) გვხვდება სუბსტანტიური მსაზღვრელის მაწარმოებლად; -ის-ს, როგორც სიტყვათმაწარმოებელ

ფორმანტს, გამოყოფენ პირისა და უკუქცევით სახელთაგან მიღებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებში (მის-ი, იმის-ი, თავის-ი...) და ასევე ისეთ გეოგრაფიულ სახელებში, რომლებმაც სავარაუდოდ დაკარგეს საზღვრული წევრი (შინდ-ის-ი; რუ-ის-ი...) (ჯორბენაძე... 1988: 241) ჩვენი აზრით, ნათესაობითი ბრუნვის ყველა შემოჩამოთვლილი ფუნქციის არსი სიტყვათა ადიექტივაციაში მდგომარეობს.

3. -ით სუფიქსით იწარმოება ზმნისართები შემდეგი მეტყველების ნაწილებისგან: ზედსართავისგან (მაღლ-ით, დაბლ-ით...), დროის აღმნიშვნელი არსებითი სახელებისგან (დილ-ით, ღამ-ით...), მასდარისგან (შემთხვევ-ით, გადაჭარბებ-ით). უკანასკნელი სახის ზმნისართი შეიძლება იქცეს ზედსართავად მთელი ფორმის სახელის ფუძედ გამოყენებით (შემთხვევითი ნაცნობობა, შემთხვევითმა ნაცნობობამ...). გვხვდება -ით-მაწარმოებლიან ფორმათა ხელახალი წარმოებაც (გულ-ით-ად-ი) (ჯორბენაძე... 1988: 227).
4. -ად/-დ თანამედროვე ქართულში აწარმოებს: წილობით რიცხვით სახელებს (მეორე-დ-ი, მესუთე-დ-ი...), ზმნისართებს (მშვენიერ-ად, ცუდ-ად, ბედნიერ-ად...), ზედსართავ სახელებს (გულით-ად-ი, შობა-დ-ი, ფეთქება-დ-ი).

შემომოყვანილის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბრუნვის ნიშნებს ნამდვილად აქვთ სიტყვაწარმოების უნარი. სწორედ ამის გათვალისწინებით წერდა ბ. ჯორბენაძე „სუბსტანტივებისაგან ატრიბუტივების წარმოებისას უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენებულია ბრუნვის ნიშნები“ (ჯორბენაძე, 1995: 56). ჩვენ კი ამ დებულებას შემდეგნაირად დავაზუსტებთ: ქართულში ა დ ი ე ქ ტ ი ვ ე ბ ი ს მ ი ს ა დ ე ბ ა დ გ ვ ხ ვ დ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი - თ ი და ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი, ა მ დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი თ ა რ გ ვ ხ ვ დ ე ბ ა მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ს უ ფ ი ქ ს ი.

ადიექტივაციის მიზნით წარმოშობით ბრუნვის აფიქსთა სიტყვათ-მაწარმოებელი ძალა არაა ერთნაირი. აღსანიშნავია, რომ ისინი ენის სხვადასხვა ფუნქციურ დონეზე განსხვავებული აქტიურობით ხასიათდებიან. მაგალითად, -ად ძალიან პროდუქტიულია ტექნიკური ტერმინების შექმნაში. ის ასევე იფართოებს გამოყენების სფეროს თანამედროვე ქართულის ზეპირ მეტყველებაში მაშინ, როდესაც სალიტერატურო ქართულში შედარებით ნაკლებად ნაყოფიერია.

საინტერესოა დერივატად გამოყენებული თითოეული ბრუნვის ნიშნის ფუნქციის განხილვა სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით. თანამიმდევრობის გათვალისწინებით პირველ რიგში ნათესაობით ბრუნვას შევხებით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გამოიყენება გეოგრაფიულ ტერმინთა საწარმოებლად. ამგვარად მიღებული სახელებია: **ნიჩბ-იხ-ი**, **თბილ-იხ-ი**, **ქუთა-იხ-ი**, **რუ-იხ-ი**, **შინდ-იხ-ი**, **ტბ-იხ-ი**... რაც შეეხება ე. წ. სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმებში ამავე აფიქსის კვალიფიკაციას, ამის შესახებ ქართულ ლინგვისტიკაში არაა ერთგვაროვანი შეხედულებები. არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულ ენაშიც აქტიურად გვხვდებოდა. ნათესაობით ბრუნვისნიშნიან ამგვარ ფორმათა სახელდებისათვის იქნა შემოღებული ტერმინები „მართული“ და „მართულ-შეთანხმებული“ მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსური ურთიერთობის მართვად და მართვა-შეთანხმებად მიჩნევის საფუძველზე. „ხის სახლის“ ტიპის ფორმებს „მართულ მსაზღვრელებს“ უწოდებენ ი. იმნაიშვილი, ც. კალაძე, ა. კიზირია, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე და სხვ. (იმნაიშვილი, 1957; კალაძე, 1961; კიზირია, 1963; შანიძე, 1976; კვაჭაძე, 1996; სარჯველაძე, 1997) ტერმინი „მართული მსაზღვრელი“ განპირობებულია შეხედულებით, რომლის თანახმადაც საზღვრული წევრი მსაზღვრელის მიერ მართულია ნათესაობით ბრუნვაში. ამგვარ ფორმათა შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული ა. დავითიანსა და თ. უთურგაიძეს.

ა. დავითიანი მიიჩნევს, რომ „არსებითი სახელის არსებითთან დაქვემდებარებისათვის აუცილებლად საჭიროა დაქვემდებარებულმა არსებითმა მიიღოს ახალი სემანტიკური დატვირთვა, იგი თავისი სემანტიკით ზედსართავს უნდა დაუახლოვდეს და აღნიშნოს არა საგანი, არამედ ნიშან-თვისება“ (დავითიანი, 1973: 391). მკვლევრის თვალსაზრისით, იმ შემთხვევაში, როცა ხდება მსაზღვრელი არსებითი სახელის ფორმის ცვლილება და ნათესაობით ბრუნვაში ჩაყენება, „ნათესაობითი ბრუნვა მისთვის აღარ არის დამოკიდებულების ფორმა, არამედ სადერივაციო (სემანტიკურად გარდამქმნელი) მნიშვნელობისაა, ამდენად ამგვარ სიტყვათშეხამებაში დამოკიდებულების ფორმა არის შეთანხმება და არა მართვა ან მართვა-შეთანხმება“ (დავითიანი, 1973: 392).

„მართული მსაზღვრელის“ გამოყოფის პრინციპს არ იზიარებს თ. უთურგაიძეც. „რადგან საზღვრულიცა და მსაზღვრელიც – ორივე სახელია და ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორიები (ბრუნება, რიცხვი) აქვთ, საზღვრულსა და

მსაზღვრელს შორის თეორიულად გამორიცხულია მართვა... ძველი ქართულის „მართულ“ და „მართულ-შეთანხმებულ“ ფორმებში -ის/-ისა წარმოქმნის ელემენტებია. სწორედ ამის გამოა შესაძლებელი მათი გამეორება ბრუნების კატეგორიის შეპირისპირებულ ყველა ფორმაში – ბრუნვებში“ – აღნიშნავს მეცნიერი (უთურგაიძე, 2004: 170). მკვლევარი ასევე დაუშვებლად მიიჩნევს ე. წ. ორმაგი და სამმაგი ბრუნების არსებობას ძველ ქართულში: „საერთოდ, ორმაგი და სამმაგი ბრუნების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი არ არსებობს... სახელთა ფორმებში ბრუნვის ნიშანი ერთია მხოლოდ, რაც მის წინ დგას, ყველაფერი ფუძეს განეკუთვნება: თუ ბრუნვის ნიშანის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი აღმოჩნდება, წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა, ასეთი შეიძლება იყოს მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები“ (უთურგაიძე, 2013: 27). თანამედროვე ქართულში ამგვარ სუბსტანტიურ მსაზღვრელთან ბრუნვის ნიშნების მატერიალურ არარსებობას (როცა მსაზღვრელი პოსტპოზიციურია) სიტყვის უბრუნველობით ხსნიან, რაც ასევე უმართებულოდ ჩათვალა თ. უთურგაიძემ, ეს ფაქტი გამოხატულების პლანში ეკონომიურობით განპირობებულად მიიჩნია და საზღვრული წევრი ბრუნვის ნიშანთა ნულოვანი აღმომრფებით წარმოადგინა (უთურგაიძე, 2009: 176).

წარმოდგენილი მოსაზრებების თანახმად, სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმებისათვის ნათესაობითი ბრუნვის -ის (-ს; -თა – ბრ. + მრ. რ.) ნიშანი შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვათმწარმოებელ აფიქსად. **მი უ ხ ე დ ა ვ ა დ ი მ ი ს ა, რ ო მ ა დ ნ ი შ ნ უ ლ ი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ს ა ფ უ ძ ე ლ ზ ე ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა, ი გ ი -ი ლ ს ა რ თ ი ს ს ი ტ ყ ვ ა თ მ ა - წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ფ ო რ მ ა ნ ტ ა დ გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ უ ჭ ე რ ს მ ხ ა რ ს. ა ს ე თ ი -ი ლ მ ა ა დ ი ე ქ ტ ი ვ ე ბ ე ლ ი ს უ ფ ი ქ ს ი ა.**

სუბსტანტიურ მსაზღვრელიანი ფორმები უნდა ყოფილიყო წარმოშობით ის გეოგრაფიული სახელებიც, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ და რომლებშიც საზღვრულის დაკარგვის გამო მხოლოდ მსაზღვრელია დარჩენილი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -ით ასევე გამოიყენება სიტყვათა საწარმოებლად: **აღბათობ-ით-ი, ამორჩევ-ით-ი, შერჩევ-ით-ი, არაარსებ-ით-ი, გამოყენებ-ით-ი, გარჩევ-ით-ი, დროებ-ით-ი, დრო-ით-ი, ზებგერ-ით-ი, მოჩვენებ-ით-ი, ოდენობ-ით-ი, ოცობ-ით-ი, პირობ-ით-ი, ჟანგვ-ით-ი, რიგ-ით-ი, რიგობ-ით-ი, რხევ-ით-ი, შედეგობ-ით-ი, შემოვლ-ით-ი** და სხვ. წარმოდგენილი მაგალითები ადასტურებს, რომ **-ით და ე რ თ ვ ი ს რ ო გ ო რ ც მ ა რ ტ ი ვ,**

ისე წარმოებულ ან რთულ სიტყვებს და ადიექტიური შინაარსის ერთეულებს აწარმოებს არსებითი სახელებისა და მასდარებისგან (საწყისებისგან).

რაც შეეხება წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის -ად სუფიქსს, სიტყვაწარმოების თვალსაზრისით მისი გააქტიურება არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა თუ სტატიის თემად იქცა. ტერმინოლოგიის შექმნაში -ად სართიანი მოდელის პროდუქტიულობას ხაზს უსვამს რ. ღამბაშიძე და ასახელებს მაგალითებს: ფეთქება-დ-ი, კლება-დ-ი, მიღება-დ-ი, გამოსხივება-დ-ი, ანთება-დ-ი, დაშლა-დ-ი, აგზნება-დ-ი... მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ხშირად ასეთი მოდელები სხვა აფიქსებითაა გართულებული: აორთქლება-დ-ობა, გამოსხივება-დ-ობა, თვითაალება-დ-ობა, დასველება-დ-ობა, ხილება-დ-ობა, ზომვა-დ-ობა და სხვ. (ღამბაშიძე, 1986: 132).

-ად-აფიქსიან ფორმებს სტატია მიუძღვნა მ. კობალაძემაც. მან მასალის შესწავლისა და მოქმედი ტენდენციის გაანალიზების საფუძველზე დაასკვნა, რომ „საწყისი + -დ მოდელით ახალ-ახალი ფორმების წარმოება და მათი გავრცელება, როგორც იტყვიან, შეუქცევადი პროცესია“ (კობალაძე, 2003: 63). ს. ოშიაძემ კი -ად/-დ მაწარმოებლიან სიტყვათა კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ აღნიშნული ყალიბით მიღებული ზედსართავი სახელების სემანტიკა განსხვავებულია იმის მიხედვით, ამოსავალი არსებითი სახელია თუ საწყისი: „არსებითთაგან ნაწარმოები ზედსართავებით გამოხატული თვისება აღნიშნის მომენტშიც რეალიზებულია, მაგალითად, ტანადი, თვალადი და სხვ., ხოლო საწყისის ფუძეზე -დ (← ად) სუფიქსის დართვით იმ თვისების გამოხატვა ხდება, რომელიც აღნიშნის მომენტში არ არის რეალიზებული, მაგრამ შესაძლებელია“ (ოშიაძე, 2009: 163).

-ად/-დ ფორმანტით სიტყვაწარმოების ნიმუშებია: აალება-დ-ი, აგზნება-დ-ი, ადვილაალება-დ-ი, ადვილანთება-დ-ი, ადვილაქროლა-დ-ი, ადვილადღებენა-დ-ი, ადვილდნობა-დ-ი, ადვილსხნა-დ-ი, ამორტიზება-დ-ი, ამოსხნა-დ-ი, ანთება-დ-ი, არააალება-დ-ი, არააფეთქება-დ-ი, არააცილება-დ-ი, არაგამოფიტვა-დ-ი, არადაშლა-დ-ი, არადასველება-დ-ი, არადაცემენტება-დ-ი, არადენა-დ-ი, არადე-ფორმირება-დ-ი, არადრეკა-დ-ი, არაზომვა-დ-ი, არათანაზომვა-დ-ი, არათვლა-დ-ი, არამდგრა-დ-ი, არამიღება-დ-ი, არარეგულირება-დ-ი, არალუნვა-დ-ი, აფეთქება-დ-ი, აცილება-დ-ი, გამოსდა-დ-ი, გამოფიტვა-დ-ი, განსაზღვრა-დ-ი, განფენა-დ-ი, განშლა-დ-ი, განხორციელება-დ-ი, გაყოფა-დ-ი, დაშლა-დ-ი, დნობა-დ-ი, ზომვა-დ-ი,


ზრდა-დ-ი, კრება-დ-ი, ორჯერ-ად-ი, მეორ-ად-ი, რეგულირება-დ-ი, ტევა-დ-ი, ღუნვა-დ-ი, შეგუება-დ-ი, შედუღება-დ-ი, შეკვრა-დ-ი, შეღწევა-დ-ი, შეწოვა-დ-ი...

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ნიშანი სიტყვათმწარმოებლად გამოიყენება როგორც მარტივ, ისე თხზულ ფუძეებთან და ამგვარი დერივაციის შედეგად მიიღება ადიექტიური შინაარსის სიტყვები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დავასკვნით:

1. ბრუნვის ნიშნები, რომლებიც მიმართებითი მორფემებია, შეიძლება გამოყენებულ იქნენ წარმომქმნელი მორფემების ფუნქციით. ეს ფაქტი მარტივად აიხსნება ენის ეკონომიზმის პრინციპით. კერძოდ, ენა ახალი ლექსიკური ერთეულების მისაღებად იყენებს უკვე არსებულ ინვენტარს.
2. დერივატებად ქცეული ბრუნვის ნიშნები აწარმოებენ როგორც ზმნისართებს, ისე ზედსართავეებს.
3. ტრანსლაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნებით იწარმოება ადიექტივები. ძირეულ სიტყვებად გამოყენებულია როგორც არსებითი და რიცხვითი სახელები, ასევე – მასდარები.
4. ე. წ. სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმათა ანალიზი ადასტურებს, რომ ამგვარ ფორმებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სწორედ რომ სიტყვათმწარმოებელია. ასეთ შემთხვევებში სუბსტანტივებისგან მიიღება გარკვეული თვისების გამომხატველი სახელი – ადიექტივი.
5. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბრუნვის ნიშანთა წარმომქმნელი უნარი განსხვავებულია ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში, ზეპირ და წერილობით მეტყველებაში.
6. გრამატიკულ მორფემათა დისტრიბუციის ცხრილში ზემოთ განხილული ბრუნვის ნიშნები უნდა განაწილდეს როგორც მიმართებითი, ისე – წარმომქმნელი აფიქსების ველში, ხოლო ტრანსლაციასთან დაკავშირებით კვალიფიკაციისას ისინი სამართლიანად დაიკავებენ ადგილს მაადიექტივებელ ტრანსლაცივთა შორის.

რადგან გარკვეულ ფორმებში ბრუნვის ნიშნები სიტყვათმაწარმოებელ მორფემებად და ამავედროულად მატრანსლირებელ, კერძოდ კი, მაადიექტივებელ, ტრანსლატივებად მივიჩნით, სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ტრანსლირებული ფორმის გრაფიკულ გამოსახულებას.



ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

-ის/-თა მატრანსლირებელ ელემენტებად (წარმოდგენილ მაგალითებში ტრანსლაციის საფუძველი სინტაქსურია):

იმ **ხის** ფესვებში შელანდებოდა **ხალხის მზის** ოქრო და განძეული (ლეონიძე, 2008: 118).

იქ გაირჩევა, ვინა ვართ **ნათლის** და **ბნელის** მგზავრები (ჩიტიშვილი, 2010: 48).

სახეშეშლილი მივეკვრები ცახცახა კარებს, გაიტაცებენ **შიშის** ასულს კოჭლი ქაჯები (იაშვილი, 2011: 37).

... **ცის** ნამს ვსვამ **ლექის** ფიალით (ჩიტიშვილი, 2010: 176).

... **სიყვარულის** სენი, რად შემყარე ურცხვო! (გომელაური, 2010: 36)

ბრუნვით **წისქვილის** ბორბალი რომ იხეთქება საწყალი (მაჭავარიანი, 1990: 165).

... სუსტი ვარ, მაგრამ მენატრება **გმირების** ხმალი! (იაშვილი, 2011: 45)

უწინ **არწიგთა** სამკვიდროს **ყვავყორნის** გუნდი ეხვევა (ჩიტიშვილი, 2010: 23).

-ით მატრანსლირებელ ელემენტად (წარმოდგენილ მაგალითებში ტრანსლაცია მორფოლოგიურია)

ადიექტივის ფუნქციით:

სწორედ აქ არის **არსებითი** განსხვავება ძველი აღმოსავლეთის (შუმერი და აქადი, ფინიკია, ხეთები, ხურიტები, ეგვიპტე...) კულტურებისაგან (კორპ.: 134).

კაცებრივი სული, რომელსაც თავისი **არჩევითი** თავისუფლება აქვს... (კორპ.: 135)

...წინამეცნიერულ ცოდნას **აღწერითი** ხასიათი აქვს, მეცნიერულს კი – **ახსნითი** (კორპ.: 136).

მხატვრობა, ხელსაქმე, **გამოყენებითი** ხელოვნება – რას აღარ შეამჩნევდით ირგვლივ, თუმცა, ბინას არც სიმყუდროვე აკლდა (კორპ.: 137).

მე უნდა მცოდნოდა იმ ადამიანის **დაახლოებითი** ბიოგრაფია, რომელთანაც საქმიან პარტნიორობას ვგეგმავ (კორპ.: 138).

ექვთიმე მონურად არ მისდევს ბერძნულ ტექსტს, შეაქვს შივ სხვადასხვა წყაროდან **დამატებითი** ცნობები, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ქართველებს შეეხება (კორპ.: 139).

ეგ **აღდგენითი** სამუშაოები რაღა შუაშია, დონ (კორპ.: 140).

შემთხვევითი და **დროებითი** არაფერი აინტერესებდა (კორპ.: 141).

საბჭოს წინაშე **აღიარებითი** ჩვენებით უმაღლესი მსაჯულის შვილი გამოდის (კორპ.: 142).

ბალაგარის რომანი, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ყურადღებას იქცევს არა მარტო ფილოსოფიური სიღრმით, არამედ თავისი მხატვრული ღირსებებითა და **აღმზრდელობითი** მნიშვნელობითაც (კორპ.: 143).

-ად მატრანსლირებელ ელემენტად (წარმოდგენილ მაგალითებში ტრანსლაცია მორფოლოგიურია)

ადიექტივის ფუნქციით:

ფიზიკური სივრცე და დრო არის **გრძნობადი, გაზომვადი, დაკვირვებადი** სივრცე და დრო (კორპ.: 144).

ბელურებს **ცვალებადი** ხასიათი აქვთ... (კორპ.: 145)

შარშან გამოცემულმა ორტომეულმა კი ეს **ზრდადი** ნაპრაღი პირდაფჩენილ უფსკრულად აქცია (კორპ.: 146).

ეს ხომ ყველა **გულადი** მეომრის თვისებაა (კორპ.: 147).

მათი დახმარებით ხდება მოდერნიზაციის გავლენის ქვეშ მომხდარი მკვეთრად **ცვლადი** ურბანული გარემოს დაკავშირება ისტორიულ წარსულთან და იგივეობის განცდის გაღვივება (კორპ.: 148).

ამით პაზოლინი ძალაუფლების სტრუქტურათა მიერ **მართვადი** კულტურის მიმთვისებლური ბუნების თემას უბრუნდება (კორპ.: 149).

...მოდიოდნენ ჯგროდ, არეულნი, ნაჯახებითა და ნედლი, **დრეკადი** რტოებით ხელში (კორპ.: 150).

... გოგისგან მოძღვნილი **ტევადი** უბის წიგნაკი სხვადასხვა ჩანაწერით... (კორპ.: 151)

...შეეძლო ცოცხლად დაეწვა ნებისმიერი არსება ან გაენადგურებინა ადვილად და არც ისე ადვილად **აალებადი** ნივთიერებებისაგან შექმნილი სხვადასხვა ობიექტი ამ მანძილზე (კორპ.: 152).

IV. ტრანსლაცია (სუბსტანტივაცია-ადიექტივაცია)

თანდებულების გამოყენებით

ნაშრომის წინა ქვეთავში განვიხილეთ მიმართებითი მორფემების წარმომქმნელ მორფემებად ტრანსფორმაციის შემთხვევები, რომლის დროსაც გამოიკვეთა ენის პოტენცია ახალი დატვირთვა შესძინოს ენაში სხვადასხვა ფუნქციით მოქმედ ელემენტებს. ამჯერად შევჩერდებით არასრულმნიშვნელოვან ენობრივ ერთეულთა, კერძოდ კი თანდებულების, მაწარმოებლების დანიშნულებით გამოყენებაზე. ჩვენთვის დერივაცია იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი წარმოადგენს ტრანსლირების (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის) ერთ-ერთ საშუალებას. ამ თვალსაზრისით თანდებულების კვლევა უდავოდ იმსახურებს ყურადღებას. ჩვენ ამჯერად შევჩერდებით თანდებულების ერთ-ერთ ნიუანსზე, რომელიც გამოიხატება თანდებულების ტრანსლაციებად და ინდიკატორებად ფუნქციონირებაში.

თანდებულს ტრადიციულად განმარტავენ როგორც „დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რომ აღნიშნოს მდებარეობა, მიმართულება, დანიშნულება და სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან“ (შანიძე, 1980: 598). მათ აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ რომელი ბრუნვის ფორმასთან გვხვდებიან და უშუალოდ ერთიან სიტყვას თუ ცალკე

დგანან. საკვლევ საკითხთან მიმართებით ჩვენ შეგვხვებით როგორც ცალკე მდგომ, ისე უშუალოდ სიტყვაზე დართულ თანდებულებს.

ზემოჩამოთვლილ ფუნქციათა გარდა შენიშნულია თანდებულების სიტყვაწარმოების უნარიც. მნიშვნელოვანია, რომ თანდებულები სიტყვათმაწარმოებლად გამოიყენებოდნენ როგორც ძველ, ისე საშუალო ქართულშიც. მაგალითად, დ. მელიქიშვილი აღნიშნავს: „იოანე პეტრიწის სიტყვაწარმოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ხერხთაგანი თანდებულიანი წარმოქმნაა. ახალ სიტყვათა (ტერმინთა) საწარმოებლად იგი იყენებს **-გან, -ებრ, შორის, მიერ, მიმართ, შინა, გამო, კერძო** თანდებულებს“ (მელიქიშვილი, 1974: 119). თანდებულების ამავე ფუნქციას ეხება ქ. გოჩიტაშვილიც, რომელიც ხსენებულ საკითხს საშუალო ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით იკვლევს. აშკარაა თანდებულების სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ძველსა და საშუალო ქართულში, საინტერესოდ გვესახება თანდებულთა ხსენებული დატვირთვით ფუნქციონირების საკითხი თანამედროვე ქართულშიც.

„ერთი თავისებურება ქართული ენისა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია თანდებულდართული ფორმა არსებითი სახელის ფუძედ აქციოს და გამოიყენოს ზედსართავის საწარმოებლად“ (შანიძე, 1980: 116), – აღნიშნავს ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ და მოჰყავს თქმულის დამადასტურებელი მაგალითები: უეჭველია, **თავთაგანი** მაგას ვერ გაბედავდა“, **ლომისებური, თავისებური** და სხვ. სახელთა აფიქსური წარმოების შესწავლისას ამავე საკითხს შეეხო მ. ტუსკია. „თანდებულთაგან ახალ ქართულ ენაში დერივატად გვხვდება: **-ებრ** (← **ებურ**), **-მიერ, -გან**“ (ტუსკია, 2004: 127), – წერს მკვლევარი და საილუსტრაციოდ იმოწმებს შემდეგ სიტყვებს: **ჯაჭვისებრი, თათისებრი... ვარდისებრნი, თუთისებრნი... ბაგისმიერი, ცხვირისმიერი... მღვდელთაგანი, კაცთაგანი...** და სხვ. ამგვარი წარმოების არაერთი სიტყვის მოძიებაა შესაძლებელი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეულში: **ბადისებრი** (თვალის **ბადისებრი** გარსი), **კაცებრი** (**კაცებრი** გული), **მინისებრი, ფარისებრი, ქოლგისებრი, საჭოსებრი, გონებრივი, ზებუნებრივი, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი, მაგნოლიასებრნი, მატიტელასებრნი, მისაკისებრნი, ფითრისებრნი** და სხვ.

გარდა იმისა, რომ მოყვანილი მაგალითებით კარგად ჩანს თანდებულების სიტყვათმაწარმოებელი ძალა, ასევე იკვეთება თანდებულების უნარი – კლასი შეუცვალონ სიტყვას და იგი მეტყველების ნაწილთა ერთი ჯგუფიდან მეორეში

გადაანაცვლონ. ამის შემჩნევა ზემოთ მოხმობილ საილუსტრაციო მასალაზე მარტივი დაკვირვებითაც კი შეიძლება. შდრ: ჯაჭვი (სუბსტ.) → ჯაჭვისებრი (ადიექტ.), ხაჭო (სუბსტ.) → ხაჭოსებრი (ადიექტ.). განსაკუთრებულად აქტიურდება თანდებულების ეს როლი ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისას: **მატიტელასებრი, მიხაკისებრი** და ა.შ.

საინტერესოა, დერივატებად ქცეული თანდებულები ყოველთვის ტრანსლატივებად უნდა მივიჩნიოთ თუ არა. ანალიზისთვის ავიღოთ ფორმები: **ლამაზისთვის** და **მეგობრისთვის**. **ლამაზი** არის ადიექტივი, **ლამაზისთვის** ფორმა კი სუბსტანტიური გაგებისაა. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ **-თვის** ტრანსლატივია?! შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვამ (ლამაზი) ჯერ განიცადა ტრანსლაცია, სინტაქსური მექანიზმის გავლენით გასუბსტანტივდა და შემდეგ დაირთო **-თვის** თანდებული. ასეთ შემთხვევაში **-თვის** თანდებულს არავითარი საერთო არ აქვს ტრანსლატივთან, იგი გვხვდება უკვე გასუბსტანტივებულ სიტყვასთან და თავდაპირველად არასუბსტანტივი ერთეულის გასუბსტანტივების (ტრანსლაციის) ინდიკატორია მხოლოდ. მაგალითად, **-გან, -ზე, -თან...** თანდებულები სუბსტანტივაციის ინდიკატორებია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგივე თანდებულები გვხვდება სუბსტანტივებთანაც, მათ შეიძლება სუბსტანტიურობის / სუბსტანტივაციის ინდიკატორები ვუწოდოთ.

თანდებულიან ფორმებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ **ნებისმიერი არასახელი ჯერ სუბსტანტივდება მოდელის გავლენით და შემდეგ ირთავს თანდებულს. ასეთ შემთხვევებში თანდებული მხოლოდ ტრანსლაციის ინდიკატორია მაშინ, როცა სახელის ადიექტივაცია თანდებულის გავლენით ჩვეულებრივია.**

საილუსტრაციო მაგალითები

თანდებული მადიექტივებელი ტრანსლატივია

ებრ: შენ-ებრ-ი, სხვის-ებრ-ი, თათის-ებრ-ი, უჯრედის-ებრ-ი, ვარსკვლავის-ებრ-ი, ვაზის-ებრ-ი, ხაოს-ებრ-ი, ხავერდის-ებრ-ი, ხაჭოს-ებრ-ი, ზღვის-ებრ-ი, ღრუბლის-ებრ-ი, ფარის-ებრ-ი, ჯაჭვის-ებრ-ი, ქოლგის-ებრ-ი;

მიერ: უკანაენის-მიერ-ი, წინაენის-მიერ-ი, წყვილბაგის-მიერ-ი, ხორხის-მიერ-ი, ძალის-მიერ-ი, ნების-მიერ-ი, ბაგის-მიერ-ი, ცხვირის-მიერ-ი, ენაკბილის-მიერ-ი;

გარეშე: შტატ-გარეშე, კლას-გარეშე, თამაშ-გარეშე.

თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია

-გან:

მაგრამ გამორიცხულია, რომ კარგისგან უკეთესის გაკეთება არ შეიძლებოდეს (კორპ.: 153).

მას მხოლოდ ის მისია გააჩნია, რომ შავი თეთრისგან განარჩევინოს (კორპ.: 154).

მესამე შემთხვევა წინა ორისგან რადიკალურად განსხვავდება (კორპ.: 155).

-ზე:

თეთრზე ეუბნებიან შავიაო, შავზე – თეთრიაო (კორპ.: 156).

მე ის კაცი ვარ, ვისაც ყველა მწვანეზე მეტად უყვარს საქართველოს ბუნება (კორპ.: 157).

სულ მალე კი ოთხის უფლება-მოვალეობები სამზე გადანაწილდება (კორპ.: 158).

-თან:

მახინჯი ლამაზთან ყოფნას მიელტვის მუდამ (კორპ.: 159).

თავის მხრივ თაყა სხვასთან გადადიოდა ალავერდს (ლეონიძე, 2011: 105).

... თუკი ორთან „გაუვიდათ“, მესამესთანაც აუცილებლად „გაუვათ“ (კორპ.: 160).

-თვის:

ყველა ჩემი კლიენტი მასთან მივიდა, რაღა უცხოსთვის გაესაღებინათ (კორპ.: 161).

... მაგრამ ამ სამისთვის ადგილი არ იძებნება (კორპ.: 162).

პირველისთვის ცოდნა არ ეყოფა (კორპ.: 163).

-ურთ:

... რომელსაც მიუძღვის ასეთი სათაური წითლითურთ (კორპ.: 164).

-ში:

...საოცარი, თეთრში გარდამავალი ყავისფრის, თეთრის, მწვანის სხვადასხვა გამოთ გამოხატულ ხილვას მოჰკარით თვალი (კორპ.: 165).

ლამაზში იგულისხმება ტრადიციული ილუსტრაციები... (კორპ.: 166)

მაგ ორში ღია უფროსია (კორპ.: 167).

-კენ:

ბოროტისკენ მიდრეკილი უფრო მეტად ბოროტდებოდა (კორპ.: 168).

მერე კიდევ ისე გაიქცა მაღლისკენ, რომ ვეღარავინ მისწვდა (კორპ.: 169).

ცისფერთვალება ერთ ჯგუფს მოსცილდა და მეორისკენ გაემართა (სოლომანაშვილი, 2010: 570).

-მდე/-მდის:

მხოლოდ დათოს შეეძლო ასეთი ჭრელი, მრავალფეროვანი საზოგადოების შეკრება: ყველაზე მდიდრიდან ყველაზე **ექსტრავაგანტულამდე**, ყველაზე უნიჭოდან ყველაზე **ნიჭიერამდე**, უმწოდან **ლამაზამდე** (კორპ.: 170).

ფერთა დიაპაზონი მკრთალი ყვითლიდან **ყავისფრამდე** იცვლება (კორპ.: 171).

ტაიმის მიწურულს მანვე ანგარიში **ორამდე** გაზარდა (კორპ.: 172).

გარდა:

ამ **ორის გარდა**, გუნდში ადგილობრივი ახალბედა... (კორპ.: 173)

ისინი მთელი 40 წლის განმავლობაში მუსხლიაუხრელად იბრძოდნენ ყველა ფერის წინააღმდეგ, **წითლის გარდა** (კორპ.: 174).

მაგრამ პირში ვინ გაუბედავდა **ორიოდეს გარდა** (ლეონიძე, 2011: 172).

გარეშე:

როგორ იტყოდით სხვანაირად, სიტყვა **შავის გარეშე**? (კორპ.: 175)

თუმცა პირველი არ არსებობს **მეორის გარეშე** (კორპ.: 176).

ერთის აღიარება **მეორის გარეშე** შეზღუდულობაა (კორპ.: 177).

მიერ:

... თუ **პატარის მიერ** თავში ჩასაფარებელი და წამოსარტყმელი აღმოჩნდა... (კორპ.: 178)

ბევრის მიერ მისი შეფასება გარდაცვალების მერე მოხდა (კორპ.: 179).

იცინოდა და დედეგაციის სახეზე **პირველის მიერ** აღბეჭდილ შიშსა და გაოცებას ანელებდა (კორპ.: 180).

მიმართ:

ცულის მიმართ რადიკალურები დავრჩებით (კორპ.: 181).

გაადგიობნ ჩვენში თანდაყოლილი გულისხმიერება როგორც **კარგის**, ასევე **ცულის მიმართ** (კორპ.: 182).

ხოლო უკანასკნელს **პირველის მიმართ** უპირატესობის გრძნობა ვერ დაებადება (კორპ.: 183).

შემდეგ:

...ირაკლი ლაბაძე ჯეიმს ბლეიკს ოთხჯერ შეხვედროდა და წაგებულ პირველის შემდეგ მისთვის ზედიზედ სამი მატჩი მოეგო (კორპ.: 184).

მეორე აფეთქება პირველის შემდეგ მალე მოხდა (კორპ.: 185).

შესახებ:

... პიროვნება ბოროტისა და კეთილის შესახებ ინფორმაციას იღებს არა უშუალოდ, არამედ სხვისგან (კორპ.: 186).

ერთის შესახებ უკვე მოგახსენეთ (კორპ.: 187).

მათგან მხოლოდ ერთის შესახებ ვამცნობ მკითხველს (კორპ.: 188).

შორის:

დაღუპულებს შორის ოთხი გამვლელია (კორპ.: 189).

ეს არის მიჯნა კარგებსა და ცუდებს შორის (კორპ.: 190).

... ამ პირველებს შორის უნდა იყოს ლიდერი (კორპ.: 191).

შუა:

თითქოს გაჩხირული ხარ ამ ორს შუა (კორპ.: 192).

და დღეიდან ჩვენ ორს შუა მოციქული არის ტყვია (კორპ.: 193).

გული მადლია და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს (კორპ.: 194).

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთიც: ე.წ. ცალკე მდგომი თანდებულები, მაგალითად, გარეშე და მიერ, როდესაც ერთვიან სიტყვას უშუალოდ, ვიღებთ ადიექტივებს (ანუ არიან მადიექტივებელი ტრანსლატივები), ხოლო, თუ ისინი ცალკე დგანან, მათთან დაკავშირებული სახელი სუბსტანტივია / გასუბსტანტივებულია, ხოლო თანდებულები – სუბსტანტიურობის/სუბსტანტივაციის ინდიკატორები.

შდრ.:

ქრისტესმიერი, კაცისმიერი...

ქალის/მადლის/მეორის მიერ დახატული სურათი ეკიდა კედელზე.

ასევე:

კლასგარეშე, თამაშგარეშე...

ამ ქალების/მწვანის/ორის გარეშე არ მინახავს ეს სოფელი.




ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე წარმოვადგენთ თანდებულთა კლასიფიკაციის ცხრილს, რომელიც ითვალისწინებს ამ თანდებულთა კვალიფიკაციას ტრანსლაციასთან მიმართებით.

	თანდებული შედის სიტყვის შემადგენლობაში	თანდებული დგას ცალკე
სუბსტანტიურობის / სუბსტანტივაციის ინდიკატორი	-გან, -ზე, -თან, -თვის, -ურთ, -ში, -კენ, -მდე/-მდის	გარდა, გარეშე, მიერ, მიმართ, მომართ, შემდეგ, შესახებ, შორის, შუა
მაადიექტივებელი ტრანსლაცივი	-ებრ, გარეშე, მიერ	

თუ ზემომოყვანილ ცხრილში თანდებულების განაწილებას დავაკვირდებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებით გამოვიტანთ რამდენიმე დასკვნას:

1. თანდებულები, როგორც ტრანსლაცივები, ფუნქციონირებენ მხოლოდ ადიექტიური სიტყვაწარმოების მიმართულებით;
2. სუბსტანტივაციისათვის ენა თანდებულებს არ იყენებს;
3. განსხვავებული ფუნქციით შეიძლება გამოიყენებოდნენ ერთი და იგივე თანდებულები, როდესაც უშუალოდ მიერთვიან სიტყვას და როცა ცალკე დგანან;
4. როგორც ვიცით, თანდებულები განიხილება დამაზუსტებელი მორფემების რანგში, მათი სიტყვაწარმოებაში (რომელსაც უკავშირდება ტრანსლაცია) გამოყენება მათ ფუნქციურ ცვლილებასაც გულისხმობს. კერძოდ, ასეთ ვითარებაში თანდებულები დამაზუსტებელი მორფემების რანგიდან გადადიან წარმომქმნელი მორფემების ჯგუფში;
5. თანდებულების ტრანსლაცივებად გამოყენება, მართალია, არ არის პროდუქტიული, მაგრამ იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წინა თავში ნახსენებ ენის ეკონომიურობის პრინციპს.

თანდებულების ტრანსლაცივად გამოყენების შემთხვევისთვის წარმოვადგენთ ტრანსლაციის გრაფიკულ გამოსახულებებს.



ტრანსლაციის ორივე შემთხვევის
სიმბოლური გრაფიკული გამოსახულება

V. ზმნისაგან სახელების ტრანსლირება თანამედროვე ქართულში

წინა ქვეთავებში ჩვენ განვიხილეთ სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები, ბრუნვის ნიშნები თუ თანდებულები ტრანსლაციასთან მიმართებით. თითოეული ეს შემთხვევა წარმოაჩენდა სახელისაგან სახელის წარმოების მრავალფეროვან ენობრივ უნარს. ამჯერად სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან დაკავშირებით შევეხებით ზმნისგან სახელის (მასდარისა და მიმღეობის) მიღების საშუალებებს.

ტრადიციულად, გრამატიკის სახელმძღვანელოებში მასდარი (საწყისი) და მიმღეობა ცალკეა გატანილი „სახელზმნათა“ ჯგუფში და აღნიშნულია, რომ ბრუნვის უნარის გამო მასდარს (საწყისს) „შეუძლია იყოს წინადადების წევრი: სუბიექტი, ობიექტი (პირდაპირი, ირიბი), დამატება, გარემოება“ (შანიძე, 1980: 559), ხოლო მიმღეობა „ბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი“ (შანიძე, 1980: 567). არაა ერთიანი პოზიცია მასდარისა და მიმღეობის სახელთა თუ ზმნათა ჯგუფისთვის მიკუთვნების თაობაზე. „სახელზმნა განეკუთვნება უპირო ზმნებს ანუ უუღლებელს. უპირო ფორმები ზმნისა ქართულში ყველა ბრუნვიანია და წინადადებაში მათ ისეთივე ფუნქცია აქვთ, როგორც სახელებს“ (შანიძე, 1980: 557). არნ. ჩიქობავასთვის მასდარი და მიმღეობა სახელებია: „ზმნისგან იწარმოება ორგვარი სახელი: 1. ნაზმნარი არსებითი სახელი (მასდარი ანუ „სახელზმნა“) და 2. ნაზმნარი ზედსართავი სახელი (მიმღეობა)“ (ჩიქობავა, 1998: 84). ბ. ჯორბენაძეს მიაჩნია, რომ „მეტყველების ნაწილები უნდა გამოიყოს მათი ფორმობრივი ნიშნის მიხედვით, კერძოდ, ფორმათცვლილების პრინციპების მიხედვით“ (ჯორბენაძე, 1995: 23) და ბუნებრივია, მას მასდარი და მიმღეობა

ზმნისგან ნაწარმოებ სახელებში შეაქვს. უფრო კონკრეტულად კი, მასდარი – სუბსტანტივებში, ხოლო მიმღეობა – ატრიბუტივებში. აზრთა ამ სხვადასხვაობის ერთგვარი პასუხია „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“, რომელშიც გატარებულია ბ. ჯორბენაძის პოზიცია და არსებით სახელთა ჯგუფში „მოქმედების სახელების“ სათაურის ქვეშ განხილულია მასდარი, ხოლო ზედსართავების რიგში დგანან მიმღეობები. „რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ცალკე უნდა ითქვას, რომ ყველა სახის მიმღეობა, როგორც სიტყვაწარმოების პროდუქტი, მიმართებითი ზედსართავი სახელების კლასში ექცევა“ – ვკითხულობთ ხსენებულ ნაშრომში (გოგოლაშვილი... 2011: 149). ე. წ. „სახელზმნების“ ამ ბოლო კვალიფიკაციამ, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად დაუშკვიდრა ადგილი მასდარსა და მიმღეობას სახელთა შორის. ამიტომ, როდესაც ჩვენ სუბსტანტივებსა და ადიექტივებზე ვიმსჯელებთ, ბუნებრივია, მასდარს ზმნისგან მიღებულ სუბსტანტივებში მოვიაზრებთ, ხოლო მიმღეობას – ადიექტივებში.

ზმნის სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის ანალიზისას ჩვენი კვლევის სფეროში, რასაკვირველია, არ შემოვა ისეთი სიტყვები, რომელთა სახელური და ზმნური ფორმები ერთი ძირიდანაა ნაწარმოები და ერთი მეორეს (ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ზმნა – სახელს) ამოსავლად არ ვარაუდობს. ავთ. არაბული მონოგრაფიაში „ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში“ წერს: „ზმნურ და სახელურ ფუძეთა ისტორიული ფორმირების წარმოსადგენად თვალსაჩინო ილუსტრაციად გვევლინება **წით-ს – წით-ელ-** მიმართება... ფორმალურად ზმნისთვისაც და სახელისთვისაც ამოსავალია **წით-**, რომელიც, ერთი მხრივ, გვაძლევს ზმნას (**წით-ს**), მეორე მხრივ – სახელს (**წით-ელ-ი**). ისინი ერთი სინამდვილის გამოხატვის სხვადასხვა ასპექტებია: **წითს** იგივე **წითელი-ა**“ (არაბული, 2001: 303). ასეთი წარმოების სიტყვები, რასაკვირველია, ჩვენს საკვლევ მასალაში ვერ მოექცევა.

არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი სიტყვებისა (მათ ა. შანიძე „უსაწყისო ზმნებს“ უწოდებს), რომელთაც, ა. შანიძის სიტყვებით, საწყისის მაგივრობას თვით ის სახელი უწევს, რომლისაგანაც ნაწარმოებია ეს ზმნები. ასეთი ზმნებია: **ვლახარაკობ** (ლახარაკ-ი), **ვბაასობ** (ბაას-ი), **ვსაუბრობ** (საუბარ-ი)... მსგავსივე ვითარება აქვს იმ საშუალო გვარის ზმნებსაც, რომლებიც ებით არის ნაწარმოები გაორკეცებული ფუძეებისაგან ან **-იად-**ზე გათავებული

სახელებისაგან: **ზანზარებ-ს (ზანზარ-ი)**, **კაშკაშებ-ს (კაშკაშ-ი)**, **კაკანებ-ს (კაკან-ი)** (შანიძე, 1980: 656)...

რა თქმა უნდა, ასეთი სიტყვების ანალიზიც არაა ჩვენი მიზანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულში იყო შესაძლებელი ზმნური ფუძის სახელად ქცევა რაიმე განსაკუთრებული მაწარმოებლის გარეშე. ამის მაგალითია გეოგრაფიული ტერმინი **ხერთვის-ი** (←**ხერთვის** ის მას – ზმნა). ასეთივეა: **არს (ზმნ.) – არს-ი (სახ.)**, **დგამ-ს (ზმნ.) – დგამ-ი (სახ.)** = „საერთო სახელწოდება ოთახის ან ბინის მოსაწყობი ნივთებისა: სკამი, მაგიდა, კარადა – ავეჯი“; ქეგელ, 1951) და სხვ. ზმნისგან სახელის მიღების მსგავს პროცესზე საუბრობს ბ. ჯორბენაძე და ასახელებს შემდეგ მაგალითებს: „**ჩხერ-ს – ჩხირ-ა → ჩხირ-ი**; **უმზერ-ს – უმზირ-ა → მზირ-ი**; **აჩენ-ს – აჩინ-ა → ჩინ-ი**“ (ჯორბენაძე, 1995: 49). უდავოდ საინტერესოა აღნიშნული მაგალითები, როგორც შემთხვევები ზმნის სუბსტანტივაციისა, რომელიც ყოველგვარი ტრანსლაციის გარეშე ხორციელდება. ასეთი მაგალითების ანალიზისას ყურადღებას იქცევს ის, რომ ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი პირის ნიშნების ჩამოცილება საკმარისი ხდება იმისთვის, რომ ზმნამ ზმნურობა დაკარგოს და იგუოს ბრუნვის ნიშნები, როგორც სახელური ნიშან-თვისების გამოხატულება. ასეთი ყალიბითაა მიღებული ადიექტივი „ცქვიტი“, რომლის ფორმირების გზას ბ. ჯორბენაძე შემდეგნაირად წარმოაჩენს: **ცქვეტ-ს – ცქვიტ-ა → ცქვიტ-ი** (ჯორბენაძე, 1995: 56). თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამგვარი წარმოება არაა აქტიური თანამედროვე ქართულში.

წარმოვადგენთ ზმნისგან სახელის მიღების ზემოთ განხილული შემთხვევის გრაფიკულ გამოსახულებას. რამდენადაც ასეთ ფორმებში ტრანსლაცივი არ გვაქვს, ტრანსლაციის გრაფიკული სიმბოლოს („T“-ის) ფეხს არ ექნება ტრანსლაცივისთვის განკუთვნილი ბოლო.



ზმნისგან სახელის მიღების თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს მასდარი და მიმღეობა, როგორც ზმნის სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის

რეზულტატიური შედეგი და ზმნის სახელური ტრანსლაციის ყველაზე პროდუქტიული შემთხვევა. განვიხილოთ მასდარისა და მიმდევობის წარმოება ცალ-ცალკე.

§ 1. მასდარის წარმოება

მასდარი (/საწყისი) ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში არაერთგვაროვნადაა კვალიფიცირებული. მაგალითად, ა. შანიძე, რომელიც ხაზს უსვამს „საწყისის“ ბრუნების უნარს და წინადადების წევრის გამოხატვის მხრივ მის სხვა სახელებისგვარ ქცევას, წერს, რომ „საწყისი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად (პირისა, დროისა, კილოსი და სხვათა)“ (შანიძე, 1980: 558). აღნიშნული განმარტებით მეცნიერი „საწყისის“ „ზმნურობას“ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მის „სახელურ“ ფუნქციებს. არნ. ჩიქობავა მასდარს, მიუხედავად მისი ზმნური წარმომავლობისა, სახელებში აერთიანებს: „მასდარი არსებითი სახელია. სხვა არსებითი სახელებისაგან იგი განსხვავდება როგორც წარმოებით (ზმნისგან ნაწარმოები სახელია!), ისე – შინაარსითაც: მასდარი იმ მოქმედების სახელია, რასაც ზმნა აღნიშნავს ანდა იმ ვითარება-მდგომარეობისა, რაც ზმნაშია აღნიშნული: **კეთება, შენება, ჭრა, კერვა, ხენა, თესვა...** – მოქმედების სახელებია; **კვდომა, ტყდომა, სკდომა, არსებობა...** – ვითარება-მდგომარეობის სახელებია“ (ჩიქობავა, 1998-ა: 85). ანალოგიურ პოზიციაზე დგას ბ. ჯორბენაძეც მასდარის სახელურობასთან დაკავშირებით. „მასდარი ნაზმნარი სუბსტანტივია, ამიტომაც მისი წარმოება სუბსტანტივის წარმოებასთან ერთად უნდა იქნეს განხილული“, – აღნიშნავს მკვლევარი (ჯორბენაძე, 1995: 50). მასდარი, როგორც მოქმედების სახელი, არსებითი სახელისადმი მიძღვნილ თავშია განხილული „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაშიც“.

ბრუნების უნარისა და წინადადებაში დაკისრებული როლის მიხედვით მასდარი ნამდვილად უნდა განვიხილოთ სუბსტანტივთა ჯგუფში. მაგალითად, „ხატვა“ სუბსტანტივია (ზმნისგან ნაწარმოები) ისევე, როგორც – „წებოვანა“ (ადიექტივისგან ტრანსლირებული). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა

მასდარს ვერ მივიჩნევთ ზმნისგან ტრანსლირების შედეგად მიღებულ სუბსტანტივად, რადგან ყველა მათგანი არ მომდინარეობს ზმნისგან, ზოგი, პირიქით, თვითონაა ამოსავალი ზმნისთვის. ლინგვისტურ ლიტერატურაში ასეთ მასდარებს ე. წ. პირველად მასდარებს უწოდებენ. ასეთ მასდარებად არნ. ჩიქობავა ასახელებს შემდეგ სიტყვებს: **შრიალი, გრიალი, ტრიალი, ბიბინი, სისინი, ტიტინი, ქვითინი, გუგუნი, დუდუნი, წუწუნი, ბურტყუნი...** (ჩიქობავა, 1998-ა: 85). თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, ა. შანიძეს „ბრაგუნი“ ტიპის სიტყვები ზმნისგან მომდინარედ მიაჩნია. „მოიპოვება რიგი სახელებისა, რომლებიც ნაწარმოებია ზმნათა ფუძეებისაგან უნდა ან სუფიქსის საშუალებით. ეს ზმნათა ფუძეები უმეტესად ხმოვან-მონაცვლეებია: ზმნის ფუძის ე სახელში ა-დ გადაკეთდება. მნიშვნელობა ასეთი სახელებისა უახლოვდება სათანადო ზმნის საწყისისას: უდარ-უნ-ი = უდერის ხმნა; რაკ-უნ-ი = რეკის ხმა... მსგავსი სახელებია: ბაგუნი, ბაკუნი, ბრაგუნი (=ბრაგვანი), ბრაცუნი, ბრახუნი, გლარჯუნი, დგაფუნი, ზაპუნი, კაპუნი, კნატუნი (← კვნატუნი) და მისთ... ამ სახელებისაგან ადვილად კეთდება ახალი ზმნები: ფეხებს აბაკუნებს, ზურგში უბრაგუნებს (უბაგუნებს)... საყურადღებოა, რომ ასეთ ზმნებს საწყისი არა აქვთ (განსაკუთრებით, თუ ზმნა გარდაუვალია) და საწყისის მაგივრობას ზემოთ მოყვანილი ფორმები ეწევა“, – აღნიშნავს გრამატიკოსი (შანიძე, 1980: 566).

თუ გავიზიარებთ ე. წ. „პირველადი მასდარების“ თეორიას, მაშინ „ბრაგუნი“ ტიპის სახელები ზმნისგან ტრანსლირებით მიღებულ სუბსტანტივებად არ უნდა განვიხილოთ.


რაც შეეხება ისეთ სახელებს, რომლებიც ზმნის სუბსტანტივაციის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, მათი ზმნისგან სახელად ტრანსლირება, ბუნებრივია, გარკვეული მორფოლოგიური ელემენტების საშუალებით ხორციელდება. ზმნისგან სუბსტანტივი მიიღება -ა ტრანსლატივით, რომელიც დაერთვის ზმნის I სერიის გაუვრცობელ თემას.

„მასდარის საწარმოებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: ა) ძირი, ბ) აწმყოს ფუძე, გ) -ნ, -ოლ, -ომ ფორმანტებით გართულებული ფუძე“ (ჯორბენაძე, 1995: 51).

-ა ტრანსლატივის დართვის შედეგად გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიან ზმნურ ფორმაში არსებული თემის ნიშნები. ამის შესახებ ა. შანიძე წერს: „ინიან ზმნებში იკვეცება თემის ნიშანი ი, ხოლო აგ და ამიანებში

იკარგება თემის ნიშნის ხმოვანი ა და რჩება ვ და მ. ამასთანავე თუ ავიან ზმნებში ფუძე თავდება ნარნარა (ნ, რ, ლ) ბგერებით ვ გადაინაცვლებს და ფუძის შიგნით ამოჰყოფს თავს“ (შანიძე, 1980: 560).

აღსანიშნავია ისიც, რომ ზმნისგან სახელის ტრანსლირებისას ზმნური ფორმიდან ამოვარდება პირის, რიცხვის, ქცევისა და გვარის ნიშნები, ზმნისწინი კი შენარჩუნდება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ზმნის სუბსტანტიური ტრანსლაციის (მასდარის წარმოების) მაგალითები გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება:



ტრანსლაციის ორივე შემთხვევის
სიმბოლური გრაფიკული გამოსახულება

ძველი ქართულიდან შემორჩენილია რიგი მასდარებისა, რომელთა სუბსტანტივაციაც **-ილ** ტრანსლაციის ზმნაზე დართვის შედეგად განხორციელდა. ასეთი მასდარები ჩამოთვლილი აქვს ა. შანიძეს: **დულ-ილ-ი** (დულ-ს), **დუმ-ილ-ი** (დუმს), **წუხ-ილ-ი** (წუხს), **ქუხ-ილ-ი** (ქუხს), **ჩხაგ-ილ-ი** (ჩხაგის), **კნაგ-ილ-ი** (კნაგის)... ამავე ჯგუფში შემოჰყავს მეცნიერს **სი-** თავსართით გართულებული **-ილ-იანი** და **-ულ-იანი** (← **-ილ**) ფორმები: **სი-რბ-ილ-ი** (რბის), **სი-კვდ-ილ-ი** (კვდება), **სი-ხარ-ულ-ი**, **სი-ყვარ-ულ-ი** და სხვ. (შანიძე, 1980: 563).

მასდართა პრეფიქსიანი წარმოება თანამედროვე ქართულში პროდუქტიული არაა. არნ. ჩიქობავა მიიჩნევს, რომ მასდარის მაწარმოებლად მხოლოდ **-ა** და **-ლ-** სუფიქსი შეიძლება გამოეყოს: „ეს **-ლ-**, **-ა-** სუფიქსებია, ზმნურ ფუძეს რომ სახელად აქცევენ (წარმოშობით ეს სუფიქსები იგივე დეტერმინანტი სუფიქსებია, რომელნიც გამოიყოფიან სახელებში **ამა-ა**, **დაბ-ა**... **ვაშ-ლ-**, **ცეცხ-ლ-**...)“ (ჩიქობავა, 1942: 231). მისივე აზრით, მასდარის ძველი კონფიქსის თავსართს ნივთის კატეგორიის გამოხატვის ფუნქცია უნდა ჰქონოდა და ქართულში ნივთის კლასკატეგორიის ნიშნით ისევე განზოგადებულად გადმოიცემოდა ამა თუ იმ მოქმედება-მდგომარეობის სახელი, როგორც ეს დღეს არის მთის კავკასიური ენებიდან ხუნძურში – განყენებული უკლასო ფორმის არარსებობის პირობებში ხუნძური მასდარს ზოგადი მნიშვნელობის გადმოსაცემად ნივთის კლასის

ნიშნით აფორმებს და „ნივთის კატეგორიის ფორმას ეკისრება ზოგადი მნიშვნელობის გადმოცემა“ (ჩიქობავა, 1942: 232).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული სთვის მასდართა მაწარმოებლად, ანუ ზმნის მასუბსტანტივებელ ტრანსლატივად, შეიძლება დასახელდეს -ა. -ილ ტრანსლატივი ძველი ქართულიდან შემორჩენილად მიიჩნევა, თანამედროვე ქართულში ის აღარაა პროდუქტიული ელემენტი და მხოლოდ გაქვეავებული ტრანსლაციის მაგალითებში დასტურდება.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

-ა:

შეუძძიმდათ ქართველთ თავისუფლების **დაკარგვა** (გოთუა, 1980: 50).

წერ ამ სამყაროს გავლენით დაიწყო (სამადაშვილი, 2010: 142).

მგონი, ეშინია ჩვენკენ **ზურგით დაჯდომა**... (ნანობაშვილი, 2010: 155)

შუქის **ანთება** არ ღირს (ბახსოლიანი, 2010: 453).

სხვისი საგმირო საქმეების გამგონე თინას მეუღლის **დანახვა** აღარ უნდოდა (იმედაშვილი, 2010: 254).

წიგნის **დაწერ** მართლაც ჰგავს სახლის **აშენებას** (ტურაშვილი, 2011: 5).

მე დიდიდან საღამომდე ვერ ავდიოდი ბრძოლის ველიდან მოსული წერილების **კითხვას** პატრონებისთვის და იქვე, საპასუხო წერილების **წერას**, რადგან **წერა-კითხვა** ბევრმა არ იცოდა (ლეონიძე, 2011: 143).

სი-ულ:

მეზარება ფეხით **სიარული**... (ჯავახიშვილი, 2010: 109)

§ 2. მიმღეობის წარმოება

ზმნისგან სახელის მიღების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა მიმღეობის წარმოება. მიმღეობა ისევეა ზმნის სახელური ტრანსლაციის შედეგი, როგორც – მასდარი, თუმცა წინადადებაში შესასრულებელი ძირითადი როლის თვალსაზრისით მათ შორის სხვაობაა (ამის შესახებ დაწვრილებითი მსჯელობა წარმოდგენილია ქვემოთ).


აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმღეობის შესახებაც, ისევე როგორც ეს მასდარის შემთხვევაში გვქონდა, ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში არაა ერთგვაროვანი პოზიცია. კერძოდ, ა. შანიძე მიმღეობასაც **ზმნის** უუღლებელ ფორმად მიიჩნევს, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ [იგი] „იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი: დამწერი, დასაწერი, დაწერილი, დაუწერელი“ (შანიძე, 1980: 567). არნ. ჩიქობავა მიმღეობას ნაზმნარ სახელად განიხილავს, უფრო კონკრეტულად კი – ნაზმნარ ზედსართავ სახელად. ბ. ჯორბენაძეც ე. წ. „თვისების სახელებს“ მიაკუთვნებს მიმღეობებს და „გაწითლებულსა“ და „გაჯავრებულს“ იმავე სიბრტყეზე აყენებს, რაზეც დგას: „კეთილი“, „ბოროტი“ და „წითელი“ (ჯორბენაძე, 1995: 41). სახელად თვლის მიმღეობას ავთ. არაბულიც: „მიმღეობის ამოსავალი სემანტიკა ზმნურია, ხოლო ის, როგორც სიტყვაწარმოებითი პროდუქტი, სახელთა კლასს განეკუთვნება და მისი ორმაგი ბუნებაც ამაში მდგომარეობს: ერთდროულად შეიცავს როგორც ზმნისგან ნამემკვიდრე კატეგორიებს (გვარი, ანუ სასუბიექტო-საობიექტო მიმართებები, დრო, გეზ-ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი); ამავე დროს, ფორმაწარმოების თვალსაზრისით ექვემდებარება სახელის მორფოლოგიურ სისტემას (ბრუნება, რიცხვი...). ყურადღება განსაკუთრებით ექცევა იმას, რომ მიმღეობა თავისი სახელური ბუნებით ზედსართავის კლასს ეკედლება“ (არაბული, 2001: 286). „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაშიც“ განსხვავებული მოსაზრებების წარმოჩენის შემდეგ მიმღეობა სახელებში არის შეტანილი. „რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ცალკე უნდა ითქვას, რომ ყველა სახის მიმღეობა, როგორც სიტყვაწარმოების პროდუქტი, მიმართებითი ზედსართავი სახელების კლასში ექცევა: **მწუხარე, მღუღარე, მშრალი, მშენებელი, აღწერილი, ნამუშევარი, სათოხნი, დაულაგებელი**“, – ვკითხულობთ ნაშრომში. მიმღეობის სახელების კლასში გაერთიანებას უპირველესად მისი ბრუნების უნარი და

წინადადებაში შესასრულებელი ძირითადი როლი განაპირობებს. ამავე ნიშნით ეკედლება მასდარი სახელებსაც. როგორც ჩანს, ენისთვის უფრო მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სიტყვაფორმის ფუნქციური დატვირთვა და ენობრივ სისტემაში დაკავებული ადგილი, ვიდრე მისი მომდინარეობა რომელიმე კონკრეტული მეტყველების ნაწილიდან. და ეს ასეა თვით ზმნისგან ნაწარმოები ისეთი სიტყვების შემთხვევაშიც, როგორებიცაა მასდარი და მიმღეობა. ზმნისგან ნაწარმოებ სიტყვებს იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ მასდარი და მიმღეობა ინარჩუნებენ ზმნურ კატეგორიებს, მაგრამ ფუნქციური როლით ისინი ერთიანდებიან სახელებთან.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა მიმღეობა არაა ზმნისგან ტრანსლირებით მიღებული სახელი. ქართულ ენაში დასტურდება მასდარისგან ნაწარმოები მიმღეობებიც. ასეთებია: **წ-ოღ-ა → მ-წ-ოღ-ი, ქრ-ოღ-ა → მ-ქრ-ოღ-ი, ბრძ-ოღ-ა → მე-ბრძ-ოღ-ი, თრთ-ოღ-ა → მ-თრთ-ოღ-ი, ძღ-ოღ-ა → მ-ძღ-ოღ-ი...** (გოგოლაშვილი... 2011: 255).

რა თქმა უნდა, მასდარისგან მიმღეობის წარმოება ვერ განიხილება ზმნისგან სახელის წარმოებად. ეს არის სუბსტანტივისგან ადიექტივის მიღების პროცესი. ტრანსლირების ხსენებული გზა (ზმნა → სახელი: მიმღეობა) ზემოთ დამოწმებული მაგალითებისთვის მხოლოდ შუალედური საფეხურის გავლით ხერხდება. კერძოდ, **ზმნა → სუბსტანტივი → ადიექტივი**. ანუ ჯერ ხორციელდება ზმნის სუბსტანტივაცია, შემდეგ კი სუბსტანტივის – ადიექტივაცია. ასეთი მიმღეობები სახელური სუბსტანტივაციის ჩარჩოში მოექცევა, თუ ამოსავლად მასდარს ვივარაუდებთ: **მასდარი (სუბსტანტივი) → მიმღეობა (ადიექტივი)**. ამ დროს ერთსაფეხურიანი (ერთმაგი) სახელური ტრანსლაცია გვექნება. ხოლო თუ აღნიშნული ტრანსლაციის საწყის წერტილად ზმნას მივიჩნევთ, მაშინ მივიღებთ ორსაფეხურიან (ორმაგ) ტრანსლაციას ზმნისგან ადიექტივის მიღების შუალედური – სუბსტანტიური ტრანსლაციის – რგოლის გავლით: **ზმნა → მასდარი (სუბსტანტივი) → მიმღეობა (ადიექტივი)**. ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიმღეობების უმეტესობა წინადადებაში საზღვრულ წევრს ძირითადად აღარ საჭიროებს და ისინი იჩენენ კვლავ გასუბსტანტივების ტენდენციას.


განხილული მაგალითებისთვის სანიმუშოდ წარმოვადგენთ ტრანსლაციის გრაფიკულ გამოსახულებებს:



ზემოთ წარმოდგენილი მაგალითი ეხება სუბსტანტივისგან ადიექტივის, კერძოდ კი, მასდარისგან მიმღეობის მიღებას. აღნიშნული შემთხვევა წინამდებარე პარაგრაფში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ მასდარი, თავის მხრივ, ზმნის სუბსტანტიური ტრანსლაციის შედეგია. გარდა ხსენებულისა, მიმღეობა შეიძლება ასევე იწარმოოს ზედსართავისა და ყველაზე ხშირად – ზმნისაგან. პირველი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ადიექტივისგან ადიექტივის მიღებისათვის ასევე შუალედური საფეხურია გამოყენებული: **ადიექტივი → ზმნა → ადიექტივი**. დაისმის კითხვა, თუ ამოსავალი და რეზულტატიურად მიღებული სიტყვები ერთსა და იმავე კლასს განეკუთვება, რატომ მიმართავს ენა ასეთ ტრანსლირებას?! პასუხი მარტივია – **ასეთი ადიექტივები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სემანტიკურად**. ამის შესახებ ბ. ჯორბენაძე წერს: „ერთმანეთის გვერდით შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველადი ატრიბუტივი და ამ ატრიბუტივის ფუძისგან ნაწარმოები ზმნის მიმღეობა: **შავი – გაშავებული, ღილი – გაღილებული, ავი – გაავეებული, ბოროტი – გაბოროტებული, მშვიდი – დამშვიდებული...** დასაშვებია ამგვარი შეპირისპირებაც: (ბედი →) **ბედნიერი – გაბედნიერებული...** დაპირისპირება ხდება სემანტიკური ნიუანსის მიხედვით: „ავი“ მუდმივი თვისებაა ვილაციის თუ რადაციის, „გაავეებული“ – გარკვეული მომენტებში მისთვის ნიშანდობლივი“ (ჯორბენაძე, 1995: 41). სწორედ ამან

განაპირობა, რომ ენაში აქტიურად გამოიყენება სახელთა წარმოების ხსენებული პროცესი (ადიექტივი → ზმნა → ადიექტივი).

ორმაგი ტრანსლაციის განხილული შემთხვევა გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება:



მიმდევრის მიღების მესამე და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა ზმნისგან მიმდევრის წარმოება. თუ ზემოთ განხილულ ორივე ვარიანტში გვქონდა რამდენიმესაფეხურიანი ტრანსლაცია, უკანასკნელი უფრო მარტივი ტრანსლაციური მექანიზმისაა საფეხურებივი თვალსაზრისით (გამონაკლისს ქმნის ნასახელარი ზმნებისგან მიმდევრის მიღება). ზმნის სახელად ტრანსლირების აღნიშნული მოდელი საკმაოდ მრავალფეროვანია – ერთი და იმავე ზმნისგან სხვადასხვა ელემენტის მეშვეობით სემანტიკურად განსხვავებული სიტყვები იწარმოება. შდრ.: **ხატავს** (ზმნა) → **დახატული** // **დასახატი** // **დაუხატავი** (მიმდ.) და სხვ. რა თქმა უნდა, აქ ჩამოთვლილი თითოეული მიმდევრა სახელია, მაგრამ – განსხვავებული სემანტიკური ელფერისა.

განვიხილოთ ზმნისგან ადიექტივაციური ტრანსლაციით მიმდევრის წარმოების შემთხვევები.

ტრადიციულად განარჩევენ მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის მიმდევრებს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „მოქმედებითი გვარის მიმდევრა არის ფორმა, რომელიც მოქმ. გვარის ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას

წარმოგვიდგენს განყენებულად უღლების კატეგორიებისაგან... ვნებითი გვარის მიმღეობა არის ფორმა, რომელიც მოქმ. გვარის პირდაპირ-ობიექტურ პირზე დამართულ მოქმედებას წარმოგვიდგენს უღლების კატეგორიებისაგან განყენებულად“... და სხვ. (შანიძე, 1980: 570-572).

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ კი მიმღეობები დაყოფილია ორ ჯგუფად: სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობებად. ისინი შემდეგნაირადაა განმარტებული: „სასუბიექტოა მიმღეობა, რომელიც აღნიშნავს მოქმედს, სუბიექტს, ანუ იმ პირს, რომელიც სათანადო ზმნურ ფორმაში სუბიექტის ნიშნებითაა გადმოცემული“ (გოგოლაშვილი... 2011: 256), „საობიექტოა მიმღეობა, რომელიც აღნიშნავს სამოქმედო საგანს, ანუ იმ პირს, რომელიც სათანადო ზმნურ ფორმაში ობიექტის ნიშნებითაა გადმოცემული“ (გოგოლაშვილი... 2011: 259). მიუხედავად იმისა მიმღეობების კლასიფიკაციის რომელ პრინციპს ავირჩევთ (ტერმინოლოგიურად), ზმნის სახელად ტრანსლირებისთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არ ექნება. შესაბამისად, ტრანსლაციის კვლევისათვის საინტერესოა ზმნის ადიექტივაციის საშუალებები და არა მიღებული სიტყვების (მიმღეობების) შემდგომი დაჯგუფება ამა თუ იმ კრიტერიუმების მიხედვით. ამიტომ ჩვენ აქ შევეხებით ზმნისგან მიმღეობის (ადიექტივის) მიღების მექანიზმს.

მიმღეობების მაწარმოებლებია:

პრეფიქსები

მ-: და-მ-წერ-ი, და-მ-ხატ-ავ-ი; **მე-**: მე-რყევ-ი, მე-რხევ-ი; **მო-**: მო-ზარდ-ი, მო-კვდავ-ი;
ნა-: მო-ნა-ბერ-ი, მო-ნა-ხევ-ი; **სა-**: გა-სა-ხევ-ი, და-სა-წერ-ი;
ჟ-: უ-ნახ-ავ-ი, და-ჟ-ხატ-ავ-ი

სუფიქსები

-ილ: და-წერ-ილ-ი, და-თეს-ილ-ი; **-ულ**: ა-მღერ-ებ-ულ-ი, და-ღუმ-ებ-ულ-ი

პრეფიქს-სუფიქსები

მ — ელ: მ-თელ-ელ-ი, მ-ხვნ-ელ-ი; **მა — ელ**: გა-მა-თეთრ-ებ-ელ-ი, გა-მა-დიდ-ებ-ელ-ი;
მ — ე: მო-მ-წონ-ე; **მო — ულ**: მო-ყვარ-ულ-ი; **მო — ე**: მო-კაკან-ე, მო-რაკრაკ-ე;
მ — არე: მ-ქუხ-არე, მ-ღუმ-არე; **მ — არ**: მ-ხატვ-არ-ი, და-მ-დნ-არ-ი;
ნა — არ: ნა-ჩუქ-არ-ი; **ნა — ელ**: გამო-ნა-ცვლ-ელ-ი; **სა — ელ**: სა-კეთ-ებ-ელ-ი, მო-სა-თლ-ელ-ი; **ჟ — ელ**: გა-ჟ-კეთ-ებ-ელ-ი, ა-ჟ-შენ-ებ-ელ-ი (გოგოლაშვილი... 2011: 256-262)

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

რიყეზე მეთევზე იდგა და მარცხენა ხელით **სასროლი** ბადის ლანძვებს, ჩანგის სიმებივით, თითებში იკრეფდა (გოთუა, 1980: 78).

იმ აბჯარში **უდრეკი** მებრძოლი კი აღარ იჯდა, არამედ **გათეღილი** და **გზადანშული** ტყვე ამ აბჯრისა (გოთუა, 1980: 36).

შეფენილი ტყის მწვანე ბოლქვებიან ხალიჩაზე ქვემოდანვე გამოჩნდა ამაყად **აზიდული** გუმბათი (გოთუა, 1980: 8).

იქნებ სულაც ვერ გაეგო მათი უდროო დაღუპვა, ქვეყნის წახდენა – მისი **უძლეველი** მეფის დამარცხება (გოთუა, 1980: 58).

ამას **გარდაცვლილის** ქამარში გარჭობილი **გალესილი** ცულიც ადასტურებდა და ჯიბეში **ჩარჩენილი** არყის ბოთლიც (იმედაშვილი, 2010: 235).

ზემოდან **დალეწილი** შუშის **ნამსხვრევები** ალესილი კბილებით ჰქონდა **ჩასმული**... (სოლომანაშვილი, 2010: 578)

კოკამ მთვარიან ღამეს გადააყვანინა **დაჭრილი** კუკა მეთევზეებს კუნძულზე **ნაცნობ** ქირურგთან (თაბუკაშვილი, 2010: 16).

აკაკის არ უყვარდა ზამთარში წოწიალი, მაგრამ მთელს ქალაქში ყველაზე **განთქმული** და **გამოცდილი მსესხებელი** იყო (მორჩილაძე, 2010: 306).

... რაღაცით მაინც უნდა გამემხნეებინა **ნაწვალები** აღმერა (სულაკაური, 2010: 318).

მშრომელი ხალხის ინტერესთა პირველი **დამცველი** და პირველი ქართველი რევოლუციონერი სწორედ ჯინსებით გაეცილებინათ უკანასკნელ გზაზე (ტურაშვილი, 2010: 414).

უკვირდა ამ ორი **მთკამათე** კაცის... (თაბუკაშვილი, 2010: 16)

იმავე წამს მუსრუტების **საშინელი** ღრჭიალი შემომესმა (ჯავახიშვილი, 2010: 597).

შეეცოდა **უქონელი** გოგო (მეგრელიშვილი, 2010: 437).

დიდად სახელოვანი **მცოდნე** გახლავსთ ვარსკვლავთმრიცხველობისა (ტურაშვილი, 2011: 61).

გამოფხიზლებული თურმე ხელის ფათურით ეძებდა სიზმრად **ნანახ** სარჩოს (ლეონიძე, 2011: 51).

ახლა ქუჩაში შევჩივლე **ნაცნობსა** თუ **უცნობს** (ლეონიძე, 2011: 227).

ელიოზის თვალწინ... **აყვავებული** ხე იდგა და სხვას ვეღარას ხედავდა... (ლეონიძე, 2011: 11)

... ქლარცი ენით **მკმეგარმა**, **კრძალული** და თავაზიანი ლაპარაკი იცოდა (ლეონიძე, 2011: 204).

გზა **დახეთქილი**, მტვრიანი... (ლეონიძე, 2011: 22)

უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ქალები – ყველაზე სვედიანი ემიგრანტები დედამიწის ზურგზე... (ტურაშვილი, 2011: 5)

წინ **საყვარელი** ქალაქი და სოფელი ელოდა, უკვე ასაკოვანი დედა და **აშლილი** ქვეყანა (ტურაშვილი, 2011: 109).


სიჩუმეს მხოლოდ ორღობეში ჭრიჭინობელას **დამღლეელი** ჭრიჭინი არღვევს (ლეონიძე, 2011: 150).

მაგრამ სოფლის **დამცინარ** თვალს რა დაემალებოდა (ლეონიძე, 2011: 41).

ორივენი უცოლშვილონი იყვნენ **შექლებული** მამის **დანატოვარ** სამკვიდროზე (ლეონიძე, 2011: 154).

საინტერესოა, რომ ზოგჯერ ერთი ზმნისგან მიმღეობა იწარმოება სხვადასხვა, თითქოს ერთი და იმავე დანიშნულების, მაწარმოებლით, მაგრამ მიღებული სიტყვები სემანტიკურად განსხვავებულია. ბ. ჯორბენაძეს ასეთ მაგალითებად მოჰყავს: **დამახასიათებელი** (რაც ვისმე ან რასმე ახასიათებს, ვისიმე ან რისამე არსებითი ნიშან-თვისების მაჩვენებელი) და **დამახასიათებელი** (ის, ვინც სხვას ახასიათებს, სხვას დაახასიათებს აძღვევს), **მასესხებელი** (ვინც ასესხებს, რაიმეს ვაღადა აძღვევს სხვას) და **მსესხებელი** (ვინც ისესხა ან სესხულობს, სესხის აძღვები) და სხვ. (ჯორბენაძე, 1985: 176). აღნიშნული მოვლენა საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ იგი წარმოაჩენს ენის უნარს, ზმნისგან სახელები აწარმოოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ნიუანსით, არამედ ტრანსლაციასთან მიმართებითაც. კერძოდ, ზოგი ასეთი სიტყვა გასუბსტანტივების მეტ უნარს იჩანს, ვიდრე – წყვილის მეორე ცალი.

წარმოვადგენთ ზმნისგან მიმღეობის (ადიექტივის) მიღების გრაფიკულ გამოსახულებებს:



ზოგადად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმღეობები ზმნის ადიექტივატიური ტრანსლაციის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ წინადადებაში მათი ძირითადი როლის გამო, თუმცა ისინი გარკვეულ შემთხვევებში იჩენენ სუბსტანტივატივის ტენდენციასაც. ასეთი მოვლენები რომ ბუნებრივია ენაში, ამას მოწმობს ბ. ჯორბენაძის შემდეგი სიტყვებიც: „ატრიბუტივს აქვს პოტენცია, იქცეს სუბსტანტივად, ანუ: კონსტრუქციაში დაიკავოს ის ადგილი, რომელსაც ჩვეულებრივ იკავებს სუბსტანტივი (ამ რიგისაა: **მშობელი, მასწავლებელი, მწერალი, მხატვარი...**) და იბრუნოს სუბსტანტივივით“ (ჯორბენაძე, 1995: 41).

დღეს წინადადებაში მასდარი ძირითადად სუბსტანტივის ფუნქციით თუ გამოიყენება, ხოლო მიმღეობა – ადიექტივის, ეს მეორეული მოვლენა უნდა იყოს (გამოთქმულია მოსაზრება ისტორიულად მასდარისა და მიმღეობის გაუდიფერენცირებლობის შესახებ). თავდაპირველად მნიშვნელოვანი მხოლოდ ზმნისგან სახელის მიღება უნდა ყოფილიყო. „მიმღეობისა და მასდარის დიფერენციაცია მერმინდელია. ეს აპრიორი ცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რა საწარმოებლები გააჩნდა მასდარსა და მიმღეობას ისტორიულად: პრეფიქსიცა და სუფიქსიც ორივეს მოეპოვებოდა. სუფიქსი ფუძის დეტერმინანტი იყო, ე. ი. ისეთი აფიქსი იყო, რასაც ეკისრებოდა ზმნური ფუძის სახელად გაფორმება: -ა, -აღ, -ელ, -ურ... სუფიქსები მასდარსა და მიმღეობას საზიარო ჰქონდა პირველად სახელებთან (ძმ-ა, ძუ-აღ-, -ჯ-ელ-, ყ-ურ-...)“ (ჩიქობავა, 1953: 47). როგორც ჩანს, თავდაპირველად მთავარი იყო ზმნისგან სახელის მიღება, ეს სახელი კი ხან სუბსტანტიურ ფუნქციას იძენდა, ხან – ადიექტიურს. ამის შესახებ ვრცლად მსჯელობს ავთ. არაბული, რომელიც ასკენის: „ამგვარ არქაულ წარმოებებში უპირველესად უნდა დავინახოთ სახელის ფუძის წარმოქმნის დერივატიული მექანიზმი, რომელიც სახელდების ეტაპზე, როგორც ჩანს, უნდა გავიაზროთ, როგორც მხოლოდ საგნის (მოვლენის) სახელი და მასში სახელზმნური შინაარსის აქტუალიზაცია და შესაბამისი მორფოლოგიურ-სემანტიკური დიფერენციაცია მხოლოდ ენის შემდგომი განვითარების ბუნებრივ შედეგად შეიძლება იქნეს მიჩნეული“ (არაბული, 2001: 174).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზმნისგან სახელთა საწარმოებლად იგივე ელემენტები გამოიყენება, რომლებიც ისტორიულად აღდგება სახელთა ფორმირებისთვის. „მიმღეობის სუფიქსები იმეორებენ არსებითი და ზედსართავი სახელების სუფიქსებს“, – აღვნიშნავს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა, 1942: 70). მაწარმოებელთა ანალიზის შედეგად კი მეცნიერი ასკენის, რომ „მიმღეობიდან

კი არ გადასულა არსებითსა და ზედსართავ სახელებში ეს აფიქსები, არამედ, პირუკუ, მიმღეობების საჭიროებისათვის იღებენ იმას, რაც უკვე გამოიყენებოდა არსებითსა და ზედსართავ სახელებში. ეს აფიქსები პირველადია სახელებისთვის, მეორეული – მიმღეობისთვის“ (ჩიქობავა, 1942: 112). საინტერესოა, რომ მასდარის მარკერ -ა-საც სახელის მაწარმოებლად მიიჩნევს ავთ. არაბული: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საწყისის -ა სუფიქსი ისტრიულად უკავშირდება მასუბსტანტივებელ -ა ელემენტს; კერძოდ, ის, რაც სახელური დერივაციის არქაულ ეტაპზე გამოყენებული იყო ზმნური ძირის მასუბსტანტივებელ ელემენტად, შემდეგი პერიოდის მორფოლოგიურ ინვენტარში მოგვევლინა ფუნქციურ-სემანტიკურად მონათესავე პოზიციაში: ზმნური ფუძისაგან სახელზმნის (იგივე – სახელის), კერძოდ, მასდარის მაწარმოებლის როლში“ (არაბული, 2001: 85).

ყურადღებას იქცევს წინა ვითარების სახელთა და წარსული დროის მიმღეობის ფორმების სემანტიკური და მაწარმოებელთა მსგავსება: **ნა-სოფლ-არ-ი, ნა-საუზმ-ეგ-ი – ნა-ვალ-ი, ნა-საუზმ-ებ-ი...** ეს მსგავსება მათი აღრევის მიზეზიც ხდება.

ზემოთმოხმობილი მოსაზრებები განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ტრანსლაციასთან მიმართებით. სახელის (არსებითისა თუ ზედსართავის) მაწარმოებელ ელემენტთა იგივეობრივობა ზმნისგან სახელის (მიმღეობისა თუ მასდარის) მიღების შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ენა სახელური ტრანსლაციისთვის ერთსა და იმავე მარკერებს იყენებს. ის მაგალითები კი, როდესაც მიმღეობა სუბსტანტივდება, მეორეული მოვლენა ჩანს და ხშირ შემთხვევაში შეპირობებული უნდა იყოს წარმოქმნილი სახელის სემანტიკური ნიუანსით. განსაკუთრებით ხშირად სუბსტანტივდება ე. წ. მოქმედებითი გვარის (ანუ აქტიური შინაარსის) მიმღეობები: მასწავლებელი, მატარებელი და სხვ.

§ 3. დასკვნები

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ ქართულ ენას შესწევს უნარი სუბსტანტივი და ადიექტივი მორფოლოგიური ტრანსლაციის გზით იწარმოოს არა მხოლოდ სახელისგან, არამედ – ზმნისგანაც. ზმნისგან სახელის (სუბსტანტივისა თუ ადიექტივის) მიღების საშუალებების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი დებულება:

1. წინადადებაში შესრულებული ძირითადი როლის მიხედვით მასდარი შეგვიძლია მივიჩნიოთ ზმნის სუბსტანტივაციის, ხოლო მიმღეობა – ადიექტივაციის შედეგად. რა თქმა უნდა, თითოეულ წარმოებას აქვს თავისი მატრანსლირებელი ელემენტები.
2. ზმნის სუბსტანტიური ტრანსლაციის სახელით ვერ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზმნისგან კი არ მიიღება მასდარი, არამედ ის თვითონ წარმოადგენს ზმნისთვის ამოსავალ ფორმას: **ლაპარაკი, ბაასი, საუბარი, ზანზარი, კაშკაში, კაკანი, შრიალი, გრიალი, ტრიალი, ბიბინი, სისინი, ტიტინი, ქვითინი, გუგუნი, დუდუნი, წუწუნი, ბურტყუნი** და სხვ.
3. სამეცნიერო ლიტერატურაში შემჩნეულია ზმნის სახელად ქცევის ისეთი შემთხვევები, როდესაც არაა გამოყენებული რაიმე მაწარმოებელი. უკანასკნელის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: **ხერთვის (ზმნ.) → ხერთვის-ი (სუბსტ.), არს (ზმნ.) → არს-ი (სუბსტ.), დგამს (ზმნ.) → დგამ-ი (სუბსტ.), ჩხერს, ჩხირა (ზმნ.) → ჩხირ-ი (სუბსტ.), აჩენს, აჩინა (ზმნ.) → ჩინ-ი (სუბსტ.), ცქვეტს, ცქვიტა (ზმნ.) → ცქვიტ-ი (ადიექტ.)**.
4. ზმნისგან სუბსტანტივი (მასდარი) ძირითადად მიიღება -ა ტრანსლაციის მეშვეობით. **დეღავს (ზმნ.) → დეღვა-ა (სუბსტ.), წერს (ზმნ.) → წერ-ა (სუბსტ.), ხატავს (ზმნ.) → ხატვა-ა (სუბსტ.)**... ეს -ა ელემენტი აქტიურად გამოიყენება სახელური ტრანსლაციისთვისაც როგორც სუბსტანტივაციის, ისე ადიექტივაციის მიმართულებით. **ბარბაც-ა (მდრ.: ბარბაც-ი (სუბსტ.) → ბარბაც-ა (ადიექტ.) → ბარბაც-ა (სემანტიკური გადააზრებით – სუბსტ.), ფარიან-ი (ადიექტ.) → ფარიან-ა (სემანტიკური გადააზრებით – სუბსტ.), ლორწოვან-ი**

(ადიექტ.) → ლორწოვან-ა (სემანტიკური გადააზრებით – სუბსტ.),
 წებოვან-ი (ადიექტ.) → წებოვან-ა (სემანტიკური გადააზრებით –
 სუბსტ.)... მნიშვნელოვანია, რომ ჩამოთვლილ შემთხვევებში წებოვანი
 და წებოვანა ისევე, როგორც ლორწოვანი და ლორწოვანა და სხვ.
 მცირე სემანტიკური სხვაობისა ჩანს. კერძოდ, -ა
 მაწარმოებლიანი ვარიანტები თვისების მუდმივი
 მქონებლობას უნდა გამოხატავდნენ, ამ ელემენ-
 ტის გარეშე არსებული ფორმები კი – თვისების
 კონკრეტულ შემთხვევაში მქონებლობას.
 საინტერესოა, რომ -ა ტრანსლატივი თვისების მუდმივი
 მქონებლობის უნარს უნდა სძენდეს ე. წ. პირველ-
 აღი მასდარებისგან და -ილ/-ულ-იანი (სი-ილ-იანი //
 სი-ულ-იანი) საწყისებისაგან ნაწარმოებ თვისების
 სახელებსაც. შრიალ-ი (სუბსტ.) → შრიალ-ა (ადიექტ.), სისინ-
 ი (სუბსტ.) → სისინ-ა (ადიექტ.), ტიტინ-ი (სუბსტ.) → ტიტინ-ა (ადიექტ.),
 წუწუნ-ი (სუბსტ.) → წუწუნ-ა (ადიექტ.), წუხილ-ი (სუბსტ.) → წუხილ-
 ა (ადიექტ.), სიკვდილ-ი (სუბსტ.) → სიკვდილ-ა (სუბსტ.), სიხარულ-
 ი (სუბსტ.) → სიხარულ-ა (ადიექტ.). თვისების მუდმივი მქონებლობის
 ნიუანსი განაპირობებს იმასაც, რომ ხშირად ასეთი სიტყვები აღარ
 საჭიროებს საზღვრულ წევრს, კარგავს მას და წინადადებაში
 დამოუკიდებლად გამოიყენება. თვისების ეს ექსპრესია იგრძნობა იმ
 შემთხვევაშიც, როცა -ა ნიშან-თვისების ქონაზე უფრო მეტად ამ
 ნიშნის ინტენსიურობას უსვამს ხაზს. ეს კარგად ჩანს ისეთ
 სახელებში, როგორებიცაა: ლურჯ-ა (ძალიან ლურჯი, ლურჯი
 ფერისა), ცხვირ-ა (დიდი ცხვირის მქონე), მუცელ-ა (ვისაც ბევრი ჭამა
 უყვარს = „დიდი მუცელი აქვს“)... უდავოა, რომ კნინობითი ფორმების
 გვერდით, რომელთა ერთ-ერთ მაწარმოებლად ასევე -ა ელემენტი
 გვევლინება, ამ -ა-ს თვისების ინტენსიურობის / მუდმივი მქონებლო-
 ბის ნიუანსიც შეუძლია შესძინოს სიტყვას და ზმნისგან
 სუბსტანტივი, სუბსტანტივისგან კი ადიექტივი აწარმოოს.

5. ზმნისაგან სუბსტანტივის (მასდარის) მისაღებად ასევე გვხვდება -ილ
 ტრანსლატივიც, თუმცა ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართულში

არაა პროდუქტიული. -ილ შეიძლება გართულებული იყოს სითავსართითაც: დუმ-ილ-ი, წუხ-ილ-ი, სი-რბ-ილ-ი...

6. ზმნის ადიექტივაციური ტრანსლაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა მაწარმოებელი. ესენია: მ- (და-მ-წერ-ი, და-მ-ხატ-ავ-ი), მე- (მე-რყევ-ი, მე-რხევ-ი), მო- (მო-ზარდ-ი, მო-კვდავ-ი), ნა- (მო-ნა-ბერ-ი, მო-ნა-ხევ-ი), სა- (გა-სა-ხევ-ი, და-სა-წერ-ი), უ- (უ-ნახ-ავ-ი, და-უ-ხატ-ავ-ი); -ილ (და-წერ-ილ-ი, და-თეს-ილ-ი), -ულ (ა-მღერ-ებ-ულ-ი, და-დუმ-ებ-ულ-ი), მ – ელ (მ-თლ-ელ-ი, მ-ხენ-ელ-ი), მა – ელ (გა-მა-თეთრ-ებ-ელ-ი, გა-მა-დიდ-ებ-ელ-ი), მ – ე (მო-მ-წონ-ე), მო – ულ (მო-ყვარ-ულ-ი), მო – ე (მო-კაკან-ე, მო-რაკრაკ-ე), მ – არე (მ-ქუხ-არე, მ-დუმ-არე), მ – არ (მ-ხატე-არ-ი, და-მ-დნ-არ-ი), ნა – არ (ნა-ჩუქ-არ-ი), ნა – ელ (გამო-ნა-ცვლ-ელ-ი), სა – ელ (სა-კეთ-ებ-ელ-ი, მო-სა-თლ-ელ-ი), უ – ელ (გა-უ-კეთ-ებ-ელ-ი, ა-უ-შენ-ებ-ელ-ი). ეს მრავალფეროვნება განპირობებულია იმით, რომ ერთი და იმავე ძირისგან შესაძლებელია შინაარსობრივად განსხვავებული ადიექტივების წარმოება. მაგალითად, დახატული, დანახატი, დამხატავი, დასახატავი, მხატვარი... საინტერესოა ისიც, რომ აქტიური შინაარსის მიმღებები იხევენ გასუბსტანტივების ტენდენციას, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ამ მიმღებების სემანტიკური ნიუანსით უნდა აიხსნას და მეორეული მოვლენა ჩანს.
7. ყველა მიმღეობა არ მიიღება უშუალოდ ზმნისგან, რამდენადაც ზოგჯერ მიმღეობის ამოსავლად მასდარი ითვლება. ეს მასდარი თავისთავად ზმნისგან ნაწარმოები სახელია, ამიტომ ასეთ შემთხვევებში ზმნის ადიექტიური ტრანსლაცია უშუალოდ საფეხურს (ზმნა → სუბსტანტივი (მასდარი) → ადიექტივი (მიმღეობა) საჭიროებს. ასეთი მიმღეობებია, მაგალითად: მღვთმი, მწოლი, მქროლი, მებრძოლი, მთრთოლი, მძლოლი...
8. თუ მიმღეობას ტრანსლირებით მიღებულ ადიექტივად განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ზოგჯერ გვაქვს ისეთი ადიექტიური წყვილები, რომელთა ერთი ცალი თვისებას ზოგადად გამოხატავს, მეორე კი – კონკრეტულ სიტუაციაში შექმნილ ამ თვისებას. შდრ.: შავი – გაშავებული, დიდი – გადიდებული, ბოროტი – გაბოროტებული... ჩამოთვლილი ადიექტივების მეორე ცალი წარმოადგენს პირველადი

ადიექტივისგან ზმნის გავლით ნაწარმოებ ადიექტივებს (შავი (ადიექტ.) – აშავებს (ზმნ.) – გაშავებული (ადიექტ.).

9. ხდება ისეც, რომ ერთი ზმნისგან მიმღობა იწარმოება სხვადასხვა, თითქოს ერთი და იმავე დანიშნულების, აფიქსებით, მაგრამ მიღებული სიტყვები სემანტიკურად განსხვავებულია. ასეთ წყვილებად ბ. ჯორბენაძე ასახელებს შემდეგ ფორმებს: **დამახასიათებელი – დამხასიათებელი, მასესხებელი – მსესხებელი...** აღნიშნული მოვლენა საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ იგი წარმოაჩენს ენის უნარს, ზმნისგან სახელები აწარმოოს მეტნაკლებად განსხვავებული ნიუანსით, არამედ ტრანსლაციასთან მიმართებითაც. კერძოდ, ზოგი ასეთი სიტყვა გასუბსტანტივების მეტ უნარს იჩანს, ვიდრე – წყვილის მეორე ცალი.
10. გამოთქმულია მოსაზრება მასდარისა და მიმღობის თავდაპირველი გაუდიფერენცირებლობის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ მიმღობის მისაღებად სახელის მაწარმოებელი აფიქსები გამოიყენება. ეს კი საინტერესოა ტრანსლაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, იკვეთება, რომ სახელური ფუძის ქმნადობისათვის საჭირო ელემენტები ენამ ზმნისგან სახელის წარმოებისთვისაც გამოიყენა. გამოდის, რომ განურჩევლად ამოსავლისა, ენა სახელის მისაღებად მიმართავს ერთსა და იმავე ტრანსლაციებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მასდარისა და მიმღობის წარმოება ერთ საინტერესო შტრისს სძენს ტრანსლაციის შესწავლას ზმნისგან სახელის მიღებისა და სახელთა წარმოების ერთ ჭრილში წარმოჩენის კუთხით.

VI. ძირითადი დასკვნები მორფოლოგიურ ტრანსლაციასთან (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან) დაკავშირებით

ნაშრომის დასაწყისშივე აღვნიშნავდით, რომ ენა, კერძოდ კი ამ კონკრეტული შემთხვევისთვის – ქართული, სიტყვათა ტრანსლაციისთვის (კლასის ცვლილებისთვის) მიმართავს როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ საშუალებებს. მორფოლოგიური ტრანსლაციის არსი სიტყვის კლასის ცვლილების ისეთ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც ტრანსლირებისთვის ენა იყენებს გარკვეულ ტრანსლაციებს. ამ ტრანსლაციებს შესაძლოა ჰქონდეთ სხვადასხვა დანიშნულება. მაგალითად, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ქართულში ტრანსლაციების ფუნქციით გვხვდება სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები, ბრუნვის ნიშნები, თანდებულები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი მორფემები სხვადასხვა გრამატიკული თუ ლექსიკური დანიშნულებისაა, ტრანსლაციისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. უფრო მეტიც, ისინი ამ თვალსაზრისით ასრულებენ ერთ ძირითად როლს – სიტყვას უცვლიან კლასს და მეტყველების ნაწილთა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაანაცვლებენ. მატრანსლირებელ ელემენტებს, მიუხედავად თავდაპირველი განსხვავებული ფუნქციისა, აერთიანებთ სიტყვისთვის კლასის ცვლილების უნარი.

ტრანსლაციის მორფოლოგიური საშუალებების შესწავლის შედეგად იკვეთება რამდენიმე ძირითადი დასკვნა:

1. ქართულ ენას აქვს უნარი ნებისმიერი არასახელის სახელად ქცევისა, რისთვისაც მიმართავს მრავალფეროვან ენობრივ საშუალებებს: სიტყვათმაწარმოებელ აფიქსებს, ბრუნვის ნიშნებს, თანდებულებს და სხვ.
2. აღმოჩნდა, რომ ენა ზმნისგან სახელის მიღებისთვისაც იმავე ელემენტებს იყენებს, რომლებიც ისტორიულად სახელთა მაწარმოებლები იყო. ეს ხაზს უსვამს ენის ეკონომიზმის პრინციპს.
3. ერთი და იმავე სემანტიკური ჯგუფის სიტყვათმაწარმოებელ აფიქსთა მატრანსლირებელი ძალა განსხვავებულია. ზოგჯერ გადაჭრით შეუძლებელია იმის მტკიცებაც ესა თუ ის მაწარმოებელი ძირითადად რომელი სახის ტრანსლაცია: მასუბსტანტივებელი თუ მაადიექტივებელი. ხშირად ეს თუ ის ტრანსლაციი მეტად აქტიურია რომელიმე დარგის ტერმინოლოგიაში, ვიდრე, ზოგადად, ენაში.

ტრანსლაციის პროდუქტიულობაზე როდესაც ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მათი სიტყვაწარმოების უნარი შეიძლება განსხვავებული იყოს ენის ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპისათვის. მაგალითად, **სი-ე** ტრანსლაცივი უფრო აქტიური იყო ძველ ქართულში, თანამედროვეში კი მოქმედების ასპარეზი **-ობა-სა** და **-ება-ს** სასარგებლოდ დათმო.

4. ხდება ისეც, რომ ერთი და იმავე სიტყვისაგან მსგავსი დანიშნულების მაწარმოებელთა დართვით ვიღებთ ორ ვარიანტს, რომელთაგან ერთი სუბსტანტივად გამოიყენება, მეორე – ადიექტივად. შდრ.: მდინარის **სათავე** (**სათავე** – სუბსტანტივი), **სათავო** ოფისი (**სათავო** – ადიექტივი).
5. საკვლევე მასალაზე დაკვირვებამ ცხადი გახადა, რომ ხშირად ტრანსლაციისთვის მნიშვნელოვანია სიტყვის სემანტიკა. მაგ., სიტყვებში: **მარცვლ-ეულ-ი**, **ხილ-ეულ-ი** – **-ეულ** სუფიქსი ადიექტიური შინაარსის სიტყვებს კი არ აწარმოებს სუბსტანტივებისგან (როგორც ეს მოსალოდნელი იყო. შდრ.: **ჩემ-ეულ-ი**, **დედის-ეულ-ი** – ადიექტივები), არამედ კრებითობის ნიუანსი შეაქვს აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებში მათთვის კლასის ყოველგვარი ცვლილების გარეშე.
6. როგორც ცნობილია, ბრუნვის ნიშნები მიმართებითი მორფემებია, მაგრამ მათ შესწევთ უნარი გადაინაცვლონ წარმომქმნელ აფიქსთა ჯგუფში და ახალი ლექსიკური ერთეულები აწარმოონ. ამის მაგალითებია: **დადებ-ით-ი**, **ჩვენებ-ით-ი**, **ტან-ად-ი**, **ფერ-ად-ი**... ბრუნვის ნიშნებით მიიღება როგორც ზმნისართები, ისე – ზედსართავები. სუბსტანტივების მაწარმოებლად ისინი არ გამოიყენება და, თუ ბრუნვისნიშნის ფორმა სუბსტანტივის ფუნქციით დასტურდება, ეს მეორეული უნდა იყოს: **რუ-ის-ი**, **შინდ-ის-ი**, **თბილ-ის-ი** და სხვ. ჩამოთვლილი სიტყვები საზღვრულჩავარდნილი წყვილის მსაზღვრელები უნდა ყოფილიყვნენ თავდაპირველად.
7. ე. წ. სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმათა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია ამ ფორმებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი სიტყვათმაწარმოებელ ელემენტად მივიჩნიოთ,

რამდენადაც მისი გამოისობით სუბსტანტივებისგან მიიღება ადიექტიური შინაარსის სიტყვები.

8. მაადიექტივებელ ტრანსლატივებად გვხვდება ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები.
9. გარდა სიტყვათმაწარმოებელი აფიქსებისა და ბრუნვის ნიშნებისა (რომლებიც ამ შემთხვევაში დერივაციულ ელემენტებად გვევლინება), ტრანსლატივებად შეიძლება გამოიყენებოდეს თანდებულებიც. თანდებულებით ახალი სიტყვების მიღების უნარი განსაკუთრებით აქტიურია სპეციალურ ტერმინოლოგიაში: **მინის-ებრ-ი, ფარის-ებრ-ი, გონ-ებრ-ი-ი, საზოგადო-ებრ-ი-ი, მათიტელას-ებრ-ნი, მიხაკის-ებრ-ნი** და სხვ.
10. თანდებულიან ფორმებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ჯერ ხდება ნებისმიერი არასახელის გასუბსტანტივება მოდელის გავლენით და შემდეგ თანდებულის დართვა (ასეთ შემთხვევებში თანდებული მხოლოდ ტრანსლაციის ინდიკატორია) მაშინ, როცა სახელის ადიექტივაცია თანდებულის გავლენით ჩვეულებრივია.
11. ე.წ. ცალკე მდგომი თანდებულები, მაგალითად, **გარეშე** და **მიერ**, როდესაც უშუალოდ ერთიან სიტყვას, ვიღებთ ადიექტივებს (ანუ არიან მაადიექტივებელი ტრანსლატივები), ხოლო, თუ ისინი ცალკე დგანან, მათთან დაკავშირებული სახელი სუბსტანტივია / გასუბსტანტივებულია. ამ შემთხვევაში მათ შეიძლება ვუწოდოთ სუბსტანტიურობის/სუბსტანტივაციის ინდიკატორები. შდრ.: **ქრისტეს-მიერ-ი, კაცის-მიერ-ი** და **ქალის/მადლის/მეორის მიერ** დახატული სურათი ეკიდა კედელზე; **კლას-გარეშე, თამაშ-გარეშე** და ამ ქალების/მწვანის/ორის **გარეშე** არ მინახავს ეს სოფელი.
12. სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ზმნისგან მასდარისა და მიმღეობის, როგორც სუბსტანტივისა და ადიექტივის, მიღება. შესაბამისად, მასდარისა და მიმღეობის მაწარმოებლები განიხილება მასუბსტანტივებელ და მაადიექტივებელ ტრანსლატივებად. მნიშვნელოვანია, რომ მასდარის -ა განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს სახელურ სიტყვაწარმოებაში აქტიურად გამოყენებულ -ა-სთან. საინტერესოა, რომ ზოგჯერ -ა-ს შესწავს ძალა ადიექტიური შინაარსის სიტყვის წარმოებისაც:

შრიალ-ა, სისინ-ა, ტიტინ-ა, წუწუნ-ა, ბრახუნ-ა, მუცელ-ა, ცხვირ-ა და ა.შ. გამოდის, რომ -ა ზმნისგან აწარმოებს სუბსტანტივებს (ხატვ-ა, თესვ-ა, წერ-ა), ხოლო სუბსტანტივებისგან – ადიექტივებს (იხ. ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები).

13. ქართულში ერთმანეთის გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ერთი და იმავე ძირისა და მსგავსი სემანტიკის ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: **მწვანე – გა-მწვან-ებ-ულ-ი, ცივი – გა-ცივ-ებ-ულ-ი** და ა. შ. ამ ადიექტივთა პირველი ცალი პირველადია, მეორე – ადიექტიური ტრანსლაციის გზით ნაწარმოები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში (ჯორბენაძე, 1995: 41) არის შენიშნული, ასეთი პირველადი ადიექტივები თვისების მუდმივ ქონას გამოხატავენ, მეორენი კი – კონკრეტული მომენტისთვის შექმნილ ამ თვისებას.

14. შესაძლებელია მორფოლოგიურად ტრანსლირებულმა სიტყვამ კვლავ განიცადოს მორფოლოგიური ან სინტაქსური ტრანსლაცია. მეორე ჯერზე მორფოლოგიურ ტრანსლაციას იწვევს ახალი მატრანსლირებელი ელემენტი, სინტაქსურს კი – წინადადების აბსტრაქტირებულ მოდელში ამ ერთეულის მიერ დაკავებული ადგილი. თქმულის მაგალითებია:

ა)

ვაჟკაც-ურ-ი საქციელი (ვაჟკაც-ი (სუბსტ.) + -ურ (მაადიექტივ. ტრანსლაცივი) – ვაჟკაც-ურ-ი (ადიექტ.))

ვაჟკაც-ურ-ობა გამოიჩინა (ვაჟკაც-ი (სუბსტ.) + -ურ (მაადიექტივ. ტრანსლაცივი) + -ობა (მასუბსტანტ. ტრანსლაცივი) – ვაჟკაც-ურ-ობა (სუბსტ.))

ბ)

თბილის-ელ-ი ექიმი მოვიდა. (თბილის-ი + -ელ – თბილის-ელ-ი: მორფ. ტრანსლაცია ადიექტივაციის მიმართულებით)

თბილის-ელ-ი მოვიდა. (სინტაქს. ტრანსლაცია, მოდელის გავლენით ადიექტივის სუბსტანტივაცია).

15. ორმაგი მორფოლოგიური ტრანსლაციის შედეგად შესაძლოა მივიღოთ როგორც პირველად სატრანსლირებელი სიტყვის კლასის სიტყვა (**ქალ-ურ-ობა: სუბსტანტივი → ადიექტივი → სუბსტანტივი**),

ასევე მისგან განსხვავებული (აქა-ურ-ობა: ზმნიზება → ადიექტივი → სუბსტანტივი).

16. შესწავლილი მასალის, სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის მექანიზმის, მასუბსტანტივებელი და მაადიექტივებელი ტრანსლაციების ანალიზის შედეგად შეიძლება წარმოვადგინოთ ტრანსლაციების ცხრილი, რომელშიც მათ გავაერთიანებთ მიუხედავად იმისა, ისინი სახელებს სახელებისგან აწარმოებენ თუ ზმნისგან. დაჯგუფების მთავარ პრინციპად მივიჩნევთ რეზულტატიურად მიღებული სიტყვის ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილებას. აქვე უნდა ითქვას ერთიც: მართალია, გარკვეული მიმდევობები იჩენენ გასუბსტანტივების ტენდენციას, მაგრამ ეს მაინც მეორეული მოვლენა უნდა იყოს (განპირობებული ამ სიტყვათა ხშირი გამოყენებით და საზღვრული წევრის დასახელების აუცილებლობის არარსებობით), ამიტომ მიმდევობის მაწარმოებლებს მაადიექტივებელ ტრანსლაცივთა რიგში შევიტანთ. ცხრილში გათვალისწინებულია მიმართებითი და დამაზუსტებელი მორფემების ტრანსლაცივებად გამოყენებაც უნარიც.

	მასუბსტანტივებელი ტრანსლაცივები	მასუბსტანტივებელი და მაადიექტივებელი ტრანსლაცივები	მაადიექტივებელი ტრანსლაცივები
სახელისგან	-ება; -ედ; -ელ (გ); ნა-ურ; -ობა; სი-ე	-ა; მე-ე; მე-ურ//მე-ულ; ნა-არ//ნა-ალ; ნა-ევ//ნა-ებ; სა-არ; სა-ო; სა-ურ; -ეულ; -ეულ (გ); -იან; -იან (გ); -ოვან; -ოვან (გ); სა-ე; სა-ე (გ); -ურ//-ულ; -ურ//-ულ (გ)	-ა; -ელ; -იერ; -იურ; -დელ; -მდელ; -ოსან; სა-; სა-ელ; უ-არ; უ-ურ//უ-ულ; -ად/-დ; -ის/-ს; -ით; -ებრ; -ვით; გარეშე; მიერ
ზმნისგან	სი-ილ//სი-ულ	-ილ	მ; მ-არე; მ-არ-ი; მ-ე; მ-ელ; მ-ელ; მე-; უ-; უ-ელ; მო-; მო-ე; მო-ულ; ნა-; ნა-არ; ნა-ელ
სახელისგან/ ზმნისგან	-ა (გ.); -ა		-ულ

ტრანსლაციის მორფოლოგიური საშუალებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ ქართული ენა სხვადასხვა კლასის სიტყვათა ქმნადობისათვის არ იზღუდება ტრანსლაციების გამოყენებისას და ამ მიზნით თავისუფლად მიმართავს ენაში მოქმედ სხვადასხვა ფუნქციის ელემენტებს. ეს ფაქტი, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ხაზს უსვამს ენის მოქნილობასა და ეკონომიზმის პრინციპს.

II თავი

ტრანსლაციის (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის) სინტაქსური საშუალებები თანამედროვე ქართულში

I. ზოგადი მიმოხილვა

ტრანსლაციის სახეების შესწავლისას უკვე რამდენჯერმე შევეხეთ სიტყვის კლასის ცვლილების იმ მექანიზმებს, რომლებიც ქართულ ენაში მოქმედებს. წინა თავში ვრცლად განვიხილეთ ტრანსლაციის მორფოლოგიური საშუალებები და იქვე მივუთითეთ, რომ ენა კლასის ცვლილებისთვის იყენებს სინტაქსურ ბერკეტსაც. ამჯერად სწორედ ამ უკანასკნელს გავაშუქებთ.

ზოგადად, ტრანსლირების პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ნებისმიერი სიტყვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით მიეკუთვნება ამა თუ იმ კლასს, მაგრამ ენას აქვს უნარი მოსაუბრის სურვილისამებრ, სათქმელის უკეთ გამოხატვის მიზნით, ეს სიტყვა შემოსოს ისეთი საბურველით, რომ სხვა კლასში გადაანაცვლოს. მაგალითად, სიტყვა „ყვავილი“ სუბსტანტივია, „ყვავილიანი“ – ადიექტივი. სუბსტანტივისგან -იანი ტრანსლაციის მეშვეობით ადიექტივი მივიღეთ. მიღებული სიტყვა „ყვავილიანი“ ამჯერად უკვე აღჭურვილია ადიექტივის ძირითადი მახასიათებლებით, თუმცა მას ინერციის ძალით გარკვეულწილად შერჩენილი აქვს სატრანსლირებელი სიტყვის სემანტიკაც. ანალოგიურადაა შესაძლებელი ადიექტივის სუბსტანტივად გადაქცევა.

მაგალითად, „თეთრი“ ადიექტივია, ხოლო „სითეთრე“ – სუბსტანტივი. ადიექტივი სუბსტანტივად გარდაიქმნა მასუბსტანტივებელი ტრანსლაციების – პრეფიქს-სუფიქსის (სი-ე) მეშვეობით და შეიძინა სუბსტანტივის მახასიათებლები. „სითეთრეს“ უკვე ცნებითობა ახასიათებს, თვისებასთან მიმართება კი მას სატრანსლირებელი სიტყვიდან ინერციით შერჩენია. სუბსტანტიური ტრანსლაციის შედეგად მიღებულ სიტყვას მრავლობითი რიცხვის წარმოებისა (თუ, რა თქმა უნდა, სემანტიკური შეზღუდვა არ გვაქვს) და მსახდვრელი წევრის გაჩენის უნარიც შესწევს. იგი წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს ყველა იმ ფუნქციით, რომელიც დამახასიათებელია სუბსტანტივისთვის.

ნაშრომში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ მორფოლოგიური ტრანსლაციის გზით შესაძლებელია ერთმა სიტყვამ ტრანსლაცია რამდენჯერმე განიცადოს. მაგალითად, „აქაურობა“ არის სუბსტანტივი, რომელიც მიღებულია ადიექტივისგან (აქაური), ის კი თავის მხრივ მომდინარეობს ზმნიზედისგან (აქა). ხსენებულ სიტყვაში ტრანსლაციის თითოეული სახე ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა დასაშვებია, ასე არც მომხდარიყო. შდრ.: წიგნ-იერ-ება (სუბსტ.) ← წიგნ-იერ-ი (ადიექტ.) + -ება ← წიგნ-ი (სუბსტ.) + -იერ.

ნ ე ბ ი ს მ ი ე რ მ ა ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი ვ მ ა ა ნ ა დ ი ე ქ ტ ი ვ მ ა ,
 მი უ ხ ე დ ა ვ ა დ ი მ ი ს ა , პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ა თ უ ტ რ ა ნ ს ლ ი რ ე ბ უ ლ ი ,
 შე ი ძ ლ ე ბ ა კ ვ ლ ა ვ გ ა ნ ი ც ა დ ო ს ტ რ ა ნ ს ლ ა ც ი ა რ ო გ ო რ ც
 მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი , ი ს ე ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი ს
 მ ე შ ვ ე ო ბ ი თ. მორფოლოგიური ტრანსლაციის ბუნება წინა თავში საკმაოდ ვრცლად იყო წარმოდგენილი, ამჯერად წარმოვაჩინოთ იმ სინტაქსურ საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც სიტყვა (ან სიტყვასთან გათანაბრებული ერთეული) ტრანსლირდება (ან კვლავ, მეორედ/მესამედ... ტრანსლირდება). მაგალითად, შესიტყვებაში „წითელი ვაშლი“ წითელი ადიექტივია, მაგრამ წინადადებაში „წითლები შევიდნენ ქალაქში“ წითელი (წითლები) სუბსტანტივია. როგორც ვხედავთ, სიტყვამ „წითელი“ ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე შეძლო გასუბსტანტივება და წინადადებაში აქტანტის ფუნქციით გამოსვლა. ამის მიზეზი სინტაქსურია. კერძოდ, სიტყვამ „წითელი“ სტრუქტურულ მოდელში დაიკავა ის ადგილი, რომელიც განკუთვნილი იყო სუბსტანტივისთვის. „ადგილში“ არ ვგულისხმობთ წინადადებაში სიტყვათა რიგს, პოზიციას, ეს უფრო ფუნქციური „ადგილის“ შესაბამისია. თუმცა, რა თქმა უნდა, ხშირად ეს „ადგილი“ პოზიციურადაც არ არის ხოლმე შემთხვევითი. შდრ., სუბსტანტივის

ადიექტივაციის შემდეგი მაგალითი: „ჭიქა ღვინო“. ამ შემთხვევაში „ჭიქა“ პოზიციურად შეპირობებულ ადგილზე, საზღვრულის წინ, დგას. სხვაგვარად იგი ვერ გახდებოდა ადიექტივი.

წინადადების მოდელის როლზე ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ ნაშრომის დასაწყისში და დავიმოწმეთ არაერთი მეცნიერის მოსაზრება. ამჯერად აღნიშნულ საკითხს აღარ მივუბრუნდებით, მხოლოდ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმი სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის განმაპირობებელი საკითხების განხილვის გზით.

ერთს კი აღვნიშნავთ: როგორც ჩანს, ტრანსლაცია, როგორც სიტყვათა კლასების ცვლილების საშუალება, იმდენად რთული ბუნებისაა, რომ იგი მოითხოვს საკითხის მორფოლოგიურ და სინტაქსურ ჭრილში ერთდროულ განხილვას. რამდენადაც „მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებს შორის მჭიდრო კავშირი მათს ურთიერთშეპირობებულობაში გამოიხატება“ (დავითიანი, 1973: 38), სიტყვა არის მორფოლოგიისა და სინტაქსის შესწავლის საგანი, მხოლოდ განსხვავებული თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია, რომ „სიტყვა მორფოლოგიის ძირითადი ერთეულია, იმავე დროს იგი წინადადების შემადგენელი ნაწილიც, ზღვრული სინტაქსური ერთეულიცაა“ (დავითიანი, 1973: 116). უფრო მეტიც, „მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები გრამატიკაში საკმაოდ მკაფიოდ არის გამიჯნული ერთიმეორისგან შემადგენელი ელემენტებისა და ელემენტთა ურთიერთობის კანონზომიერებათა მიხედვით სათანადო დონეთა ფარგლებში, მაგრამ მათი აბსოლუტური გამიჯვნა შეუძლებელია, რადგან ენის გლობალურ სისტემაში ისინი ერთდროულად მოქმედებენ და ერთმანეთის ფუნქციათა რეალიზაციაში სრულიად ბუნებრივად იღებენ მონაწილეობას“ (უთურგაიძე, 2009: 146).

ამრიგად, ტრანსლაცია, როგორც სიტყვათა კლასებისა და მათი გრამატიკული კატეგორიების ცვლილების, ახალ ლექსიკურ ერთეულთა შექმნისა და გადააზრების საშუალება, მორფოლოგიასთან ერთად სინტაქსის კვლევის საგანიცაა.

წინამდებარე თავში, რა თქმა უნდა, სრულად ვერ გავაშუქებთ ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმის ყველა ნიუანსს, მაგრამ შევეცდებით წარმოვადგინოთ ის ძირითადი მექანიზმი, რომელსაც ქართული ენა სუბსტანტივაცია-ადიექტივაციისთვის მიმართავს.

სინტაქსური ტრანსლაციის განხილვამდე აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: მორფოლოგიურისგან განსხვავებით, სინტაქსური ტრანსლაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ტრანსლირდეს არა მხოლოდ სიტყვა, არამედ მთელი ფრაზა, შესიტყვება და წინადადებაც კი. მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსური ტრანსლაციის ზემოქანმოთვლილი ყველა შემთხვევისთვის გამოიყენება ერთი და იგივე მექანიზმი (ვრცლად – ქვემოთ), მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ერთი სიტყვისა და სხვა ენობრივი ოდენობის (ფრაზის, შესიტყვების, წინადადების...) ტრანსლაციის შემთხვევები ცალ-ცალკე უნდა წარმოვადგინოთ.

II. სიტყვათა კლასები და მათი ძირითადი სინტაქსური ფუნქციები

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიტყვას სწავლობს მორფოლოგიაცა და სინტაქსიც, მაგრამ განსხვავებული თვალსაზრისით: მორფოლოგიისთვის სიტყვა საინტერესოა როგორც ავტონომიური ერთეული, მისი ფორმაცვალების უნარი და გრამატიკული კატეგორიები. სინტაქსის საგანი კი სიტყვის სხვა სიტყვებთან მიმართებებია. მიუხედავად იმისა, რომ მორფოლოგიასა და სინტაქსს შესწავლის მიზანი განსხვავებული აქვთ, ისინი ერთმანეთისგან მკაცრად ვერ იმიჯნება საკვლევი ობიექტის (სიტყვაფორმის) იდენტურობის გამო. სიტყვის ესა თუ ის ფორმა, როგორც ფორმაცვალების შედეგი, შეიძლება არსებობდეს იმდენად, რამდენადაც ის საჭიროა სხვა სიტყვებთან მიმართების დასამყარებლად, დასაკავშირებლად. ეს მიმართებები კი, როგორც უკვე ითქვა, სინტაქსის კვლევის სფეროა. გამოდის, რომ სინტაქსური ურთიერთობანი განაპირობებს სიტყვის ფორმას, რომელიც, თავის მხრივ, მორფოლოგიის შესწავლის საგანია. ბუნებრივია, არ გვავიწყდება სემანტიკის როლიც ამა თუ იმ სიტყვაფორმის არსებობის დონეზე. ამდენად, გრამატიკულ-სემანტიკური და ფუნქციური ერთობლიობა წარმოადგენს სიტყვის, როგორც ამა თუ იმ კლასის ერთეულის, ძირითად მახასიათებლებს. სიტყვა თუ იცვლის ამ მახასიათებლებს, ის უკვე სიტყვათა სხვა ჯგუფში გადადის.

თანამედროვე ლინგვისტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ენაში სპეციალური ლექსიკური კლასის არსებობა, კერძოდ, ლექსიკური კლასისა,

რომლის წევრები უკავშირდებიან ერთ სინტაქსურ როლს, ნაკლებ საჭიროს ხდის ამ ენაში ხსენებული როლისა და ფრაზის, რომელშიც ეს როლი გვხვდება, სინტაქსური ან მორფოლოგიური მარკირების აუცილებლობას“ (ჭენგეველი... 2004: 546). შესაბამისად, „ფლექსიური ლექსემების“ შემთხვევაში გარდაუვალია ამ ერთეულების მორფოლოგიური ან სინტაქსური მარკირება. „როდესაც ფლექსიური ლექსემა წარმოითქმის, მსმენელმა უნდა განსაზღვროს, როგორ გამოიყენება ეს ლექსემა, მაგალითად, როგორც ფრაზის მთავარი წევრი (არსებითი სახელის ფუნქციით), თუ როგორც მსაზღვრელი (ზედსართავის ფუნქციით)“ (ჭენგეველი... 2004: 547). ჯერ კიდევ ა. შანიძე წერდა, რომ „ერთი და იგივე სახელი შეიძლება თავისთავადადაც ვიხმაროთ და მსაზღვრელადაც“ (შანიძე, 1980: 49), თუმცა ქართულში სიტყვათა კლასებს მაინც მკაფიოდ აქვთ გამოხატული ძირითადი ფუნქციები, რომლებსაც ისინი უმთავრესად ავლენენ წინადადებებში. სიტყვათა კლასების ძირითადი და მეორეული ფუნქციების შესახებ ა. დავითიანი წერს: „იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილს იკავებენ ესა თუ ის სიტყვები საერთოდ წინადადების ან მისი სტრუქტურული ნაწილების (კონსტრუქციის, შესიტყვების, სიტყვათშეხამების) მოდელში, ვლინდება მათი ფუნქციაც, ე. ი. მოქმედს შეუძლია მოდელს შეუხამოს გარკვეული სიტყვა და ამის მიხედვით იგი წინადადების გარკვეულ წევრად წარმოგვიდგინოს; მაგრამ სიტყვათა კლასს, გარდა ნებისმიერი ფუნქციისა, აქვს სპეციფიკური ნიშანთვისება, რომლის მიხედვითაც ის უფრო ხშირად ასრულებს გარკვეულ ფუნქციას; ე.ი. ყოველ სიტყვას მოეპოვება **ძირითადი**, სპეციფიკური და **მეორეული** (სხვადასხვა მიზეზის გამო შემდგომ შექმნილი) ფუნქცია, უკანასკნელს, ჩვეულებრივ, სიტყვათა კლასის შეცვლა მოჰყვება ხოლმე“ (დავითიანი, 1973: 119). ამიტომაც ხაზგასმით აღვნიშნავდით ტრანსლაციის არსის განხილვისას, რომ სიტყვათა კლასის ცვლილება უპირველესად მისი ძირითადი ფუნქციური როლის, მისი მახასიათებლების შეცვლასთანაა დაკავშირებული. სხვა კლასისადმი სიტყვის მიკუთვნება მხოლოდ რეზულტატის კვალიფიკაციაა. შესაბამისად, სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის სინტაქსურ საშუალებათა შესწავლამდე საჭიროა დაზუსტდეს ხსენებული კლასის სიტყვათა ძირითადი ფუნქციები წინადადებში, რათა შემდგომ ვისაუბროთ ამ ფუნქციათა ცვლილებასა და, შესაბამისად, სინტაქსურ ტრანსლაციაზე.

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვები გარკვეულ ჯგუფებში ერთიანდება ძირითადი მორფოლოგიურ-სემანტიკური (ფორმაცვალების საერთო პრინციპი,

საერთო გრამატიკული კატეგორიები და სემანტიკური მახასიათებლები) და ფუნქციური (წინადადებაში შესასრულებელი ძირითადი როლი) ასპექტების გათვალისწინებით. ამ ჯგუფებს ჩვენ „სიტყვათა კლასებს“ ვუწოდებთ.

როგორც ცნობილია, სუბსტანტივი იბრუნვის, აქვს რიცხვის გრამატიკული კატეგორია და წინადადებაში შეიძლება იყოს ზმნა-შემასმენლით გამოხატული ქმედების მონაწილე – აქტანტი. მნიშვნელოვანია, რომ აქტანტად წინადადებაში შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სუბსტანტივი ან გასუბსტანტივებული სიტყვა (თუ სიტყვა სთან გათანაბრებული ენობრივი ოდენობა). სახელებიდან მხოლოდ სუბსტანტივი გვხვდება „თავისთავად“ სიტყვად, რომელსაც აქვს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები. ა. შანიძის ცნობილი გამონათქვამი („გარკვეულ შემთხვევებში ქართულში შეიძლება ვაბრუნოთ ზმნის პირიანი ფორმებიც და „ფორმა-უცვალელები“ სიტყვებიც“ (შანიძე, 1980: 44) ზმნის პირიანი ფორმებისა თუ ფორმაუცვლელი სიტყვების ბრუნვის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა გასუბსტანტივებული ერთეულების ბრუნვის უნარზე მითითება. უნდა ითქვას ისიც, რომ სუბსტანტივისთვის დამახასიათებელია საგნობრიობა ან ცნებითობა (მიუხედავად იმისა, იგი, როგორც სიტყვა, კონკრეტულ აღსანიშნს მიემართება თუ აბსტრაქტულს).

ადიექტივი კი შეიძლება განიმარტოს, როგორც სიტყვა, რომელიც ახლავს სხვა სიტყვას და მის ნიშან-თვისებას, როგორობას და ა.შ. გამოხატავს. ადიექტივს ბრუნვა და რიცხვი დამოუკიდებლად არ გააჩნია. იგი მხოლოდ საზღვრული წევრის ბრუნვასთან მიმართებით (სინტაქსური ურთიერთობიდან გამომდინარე) გამოხატავს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას. მაგალითად, ა. პაპიძე სამართლიანად აღნიშნავს შემდეგს: „ბუნებრივია, რომ ზედსართავი სახელი, როგორც სახელის ნიშან-თვისების გამომხატველი, არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს საგანი, განსასაზღვრი, ასახსნელი სახელი... მისი გრამატიკული კატეგორიებიც აღნიშნული სემანტიკით არის განსაზღვრული... სემანტიკური ნიშნიდან გამომდინარე, ზედსართავ სახელს არ უნდა (არ შეიძლება!) ჰქონდეს რიცხვის კატეგორია... ამავე კუთხით შეიძლება შევხედოთ ბრუნვის პრობლემასაც... ბრუნება სუბსტანტივის ძირითადი მორფოლოგიური მახასიათებელია და ბრუნვის სრულყოფილი სისტემაც ქართულში (თუმცა არა მარტო ქართულში!) მხოლოდ სუბსტანტივს მოეპოვება... ამოსავალი დებულება ამ საკითხზე მსჯელობისთვის უნდა იყოს ის, რომ არც ზედსართავი და არც

რიცხვითი სახელი დამოუკიდებლად, საზღვრულის გარეშე, ჩვეულებრივ არ ფუნქციონირებენ“ (პაპიძე, 1998: 94-99). უნდა ითქვას, რომ ადიექტივი, როგორც აქტანტი, არ შეიძლება წინადადებაში უკავშირდებოდეს ზმნა-შემასმენელს გასუბსტანტივების გარეშე. იგი თვისების გამომხატველი სიტყვაა, რომელსაც აქვს უნარი უჩვენოს მასთან სინტაქსურ მიმართებაში მყოფი სახელის თვისება (საჭიროებისამებრ – თვისების ხარისხიც), ბრუნვა და, შესაძლოა, რიცხვიც, შეპირობებული სინტაქსურ ურთიერთობაში მყოფი სახელის ბრუნვითა და რიცხვით.

თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: სუბსტანტივსა და ადიექტივს (ისევე, როგორც სხვა ჯგუფის სიტყვებს) აქვთ თავიანთი მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ სემანტიკური მახასიათებლები და ეს მახასიათებლები წყვეტს სუბსტანტივებისა თუ ადიექტივებისადმი სიტყვის მიკუთვნების საკითხს. მახასიათებლების შეცვლა კი განაპირობებს სიტყვის გამოსვლას კონკრეტული ჯგუფიდან და სხვა კლასისადმი მიკედლებას. სიტყვის კლასის ცვლილება ტრანსლაციაა, ხოლო ამ ცვლილების მექანიზმის შესწავლა ტრანსლაციის არსის გარკვევას უკავშირდება. შესაბამისად, სუბსტანტივაციად განიხილება ნებისმიერი ენობრივი ერთეულის სუბსტანტივად მოქცევა, ხოლო ადიექტივაცია წარმოადგენს სიტყვის ადიექტიური ფუნქციით აღჭურვას.

თუ მორფოლოგიური ტრანსლაციის განხილვისას ვეხებოდით იმ ელემენტებს (ტრანსლაციებს), რომლებიც უზრუნველყოფენ სიტყვის კლასის ცვლილებას, სინტაქსური ტრანსლაციის კვლევა ასეთი ცვლილების სინტაქსური ბუნების გამოაშკარავებას ისახავს მიზნად.

ნაშრომის შემდეგ ქვეთავებში ცალ-ცალკე წარმოვადგენთ სუბსტანტივაციისა და ადიექტივაციის სინტაქსურ საშუალებებს ტრანსლაციის შესაძლო მიზეზების მითითებით, თუმცა აქვე აღვნიშნვთ, რომ სინტაქსური ტრანსლაცია იმდენად მასშტაბურია, რომ მას აქ სრულად, რა თქმა უნდა, ვერ განვიხილავთ. მხოლოდ წარმოვაჩინოთ სიტყვათა კლასის ცვლილების იმ ძირითად მექანიზმებს, რომლებსაც ქართული ენა მიმართავს სუბსტანტიური და ადიექტიური ტრანსლაციისთვის.

III. სიტყვის სუბსტანტიური ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმი, ბუნება და გამომწვევი მიზეზები

სიტყვის სუბსტანტივაციის სინტაქსური მექანიზმი გულისხმობს ამ სიტყვის აღჭურვას სუბსტანტივისთვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციით. ამათგან უმთავრესი მისი აქტანტად (ე.წ. „თავისთავად სახელად“) გამოყენების უნარია. რა თქმა უნდა, აქტანტობისთვის ტრანსლაცია არ სჭირდება სიტყვებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია ისედაცაა აქტანტობა. თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „აქტანტის როლში მხოლოდ არსებითი სახელი გამოდის. სხვა მეტყველების ნაწილთათვის აუცილებელია სუბსტანტივაცია – არსებით სახელად მოქცევა, რომ ქმედების მონაწილედ იქცნენ“ (უთურგაიძე, 2009: 48). ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ ის ნაცვალსახელები, რომლებიც შეიძლება წინადადებაში აქტანტებად გამოვიყენოთ, ფაქტობრივად სახელთა მონაცვლეებს წარმოდგენენ. ნაცვალსახელის ამ ბუნების გამო ზოგი მეცნიერი მას ცალკე მეტყველების ნაწილად არც კი გამოყოფს. „ნაცვალსახელი ცალკე მეტყველების ნაწილად არ გამოიყოფა, რადგან ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის სუბსტანტივს, როგორც მეტყველების ნაწილი – სუბსტანტივია (მისი განზოგადებული სახეობა), ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის ატრიბუტივს, როგორც მეტყველების ნაწილი – რჩება ატრიბუტივად, რაც შეეხება I და II პირის ნაცვალსახელებს, სინამდვილეში ისინი არც არიან ნაცვალსახელები: „მე“ არის მოსაუბრე პირის სახელი, მისი სახელდება და არა რომელიმე სახელის შემცველი, „შენ“ – საუბრის ადრესატის სახელი (და არა ნაცვალსახელი)“ (ჯორბენაძე, 1995: 25). მართალია, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ ნაცვალსახელის განმარტებისას გაზიარებულია ბ. ჯორბენაძის შეხედულება, მაგრამ ნაცვალსახელი მაინც დამოუკიდებლად არის გატანილი მეტყველების ნაწილთა ჩამონათვალში. „კიდევ უფრო განსხვავებულია ენობრივი დანიშნულება იმ განზოგადებული (არაკონკრეტიზებული) შინაარსის სიტყვებისა, რომლებიც არც კონკრეტულ საგნობრივ სემანტიკას შეიცავენ (როგორც არსებითი სახელები) და არც განსაზღვრულ ნიშან-თვისებას გადმოსცემენ (როგორც ზედსართავეები), მაგრამ ერთი კლასის სიტყვების ჩანაცვლებაც შეუძლიათ და მეორისაც; ამ „ჩანაცვლებითი“ დანიშნულებიდან გამომდინარე, მათ სუბსტიტუტებსაც უწოდებენ (ლათ. substitutum ← substitutio შენაცვლება, სუბსტიტუცია). ამ კლასის

სიტყვებს ქართულში აერთიანებს ტერმინი „ნაცვალსახელი“, – კკითხულობთ სხენებულ ნაშრომში (გოგოლაშვილი... 2011: 64).

რაც შეეხება ზედსართავ და რიცხვით სახელებს, მათი ძირითადი ფუნქცია სუბსტანტივების თვისება-რაოდენობის გამოხატვაა, ამიტომ ისინი გასუბსტანტივების გარეშე ვერ იქნებიან აქტანტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და ნაცვალსახელების თავისებურების („სუბსტიტუტიურობის“) გათვალისწინებით ნამდვილად საფუძვლიანია თ. უთურგაიძის მოსაზრება მხოლოდ არსებითი სახელების აქტანტობის უნარზე.

თ უ ა ქ ტ ა ნ ტ ო ბ ა ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი ვ ა ც ი ა ს ა ვ ტ ო მ ა ტ უ რ ა დ გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს, გ ა მ ო დ ი ს, რ ო მ ა ქ ტ ა ნ ტ ი ს რ ო ლ შ ი გ ა მ ო ს ვ ლ ა ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი ე ნ ო ბ რ ი ვ ი ე რ თ ე უ ლ ი ს გ ა ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი ვ ე ბ ა ს ა ც უ ნ დ ა უ დ რ ი დ ე ს. ეს მართლაც ასეა. ჩვენ მიერ დამოწმებულ მაგალითებში, როდესაც ერთი სიტყვა (მაგ., **წითელი**) ხან ადიექტივია (**წითელი** ვაშლი) და ხან – სუბსტანტივი (**წითლები** შევიდნენ ქალაქში), მეორე შემთხვევაში სიტყვა „**წითლის**“ აქტანტად გამოყენება სწორედ სუბსტანტიური ტრანსლაციით უნდა აიხსნას.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართულს აქვს უნარი აქტანტად აქციოს ნებისმიერი არასახელი, მათ შორის ფორმაუცვლელი სიტყვები და წინადადებებიც კი. ეს მხოლოდ მათი გასუბსტანტივების შედეგადაა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, გასუბსტანტივების ყველაზე მეტი უნარი აქვს ბრუნების უნარის მქონე სიტყვებს, ანუ სახელებს (ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებს).

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

გასუბსტანტივებულია ზედსართავი სახელი:

ავი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო (სახოკია, 2012: 21).

ლურჯად დაბინდდა, ლურჯი ელო აჩალულ ყანებს (კალანდაძე, 1987: 100).

ისევ მომინდა ჩემი სოფელი ხალხურ ღექსებით და საკრავებით, ეზოში – მწვანე და უშობელი და მოკუნტრუშე თეთრი კრავები (ასათიანი, 1988: 32).

თეთრზე ის იტყვის **შავს**, არას მაგივრად – ხო-ს (გომელაური, 2010: 78).

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი... (ლორთქიფანიძე, 2010: 13)

პირველივე თათბირის დროს ვთქვით და მოვილაპარაკეთ, რომ ახალი სეზონიდან რაღაც **ახალი** და განსხვავებული შევთავაზოთ მაყურებელს (პრაიმტიმე, 2011: 3).

ხელი აუქნია **მაღალმა** ბავშვს (სოლომანაშვილი, 2010: 576).

მამასა და **მაღალთან** ცისფერთვალეობა კაცი მივიდა (სოლომანაშვილი, 2010: 568).

გასუბსტანტივებულია რიცხვითი სახელი:

ბევრი რად უნდა დედასა, **ერთი** ჯობს სახელოვანი (სახოკია, 2012: 41).

თუმცა **ბევრს** უკვე არსებული პრეპარატებით მკურნალობის შესაძლებლობაც არ აქვთ (კვირის პალიტრა, 2012: 36).

ცისფერ კაფეში შევდივართ **ორნი**, ცისფერ მაგიდას შემოვუსხდებით (ასათიანი, 1988: 59).

ჩვენ ორი რამ მივეცით კაცობრიობას... ყველაზე მტკიცე და ყველაზე აღმაფრთოვანებელი – რკინა და ღვინო!.. და მე ვფიქრობ, ქართულ ხასიათში **ორივე** დარჩა (გოთუა, 1980: 114).

მისმა მეგობარმა გოგონებმა **ორივე** გადაარჩინეს (პრაიმტიმე, 2011: 19).

ოქრო და კიდევ **სამნი** წაიყვანეს, საით წაიყვანეს, ისიც არ ვიცოდი (სულაკაური, 2010: 320).

ავიღეთ ფარნები და წავედით **სამივენი** საძებნელად (შატაძე, 2010: 28).

მარიამს არასოდეს გაურჩევია ერთმანეთისგან ბავშვები, ერთი ჯამიდან აჭმევდა **ოთხივეს** (მეგრელიშვილი, 2010: 444).

ხუთივეს ხარისხიანი, მოღური ფესსაცმელი ეცვა (ამირეჯიბი, 2010: 560).

სკამებზე **ორნი** ისხდნენ და ღიმილით შემომყურებდნენ. **ერთი** ოდნავ ჭადარა იყო, **მეორე** – ჩემი ასაკის. **ორივეს** სამხედრო ფორმა ეცვათ (ხვედელიძე, 2010: 355).

ერთი უშველებელ ვერცხლისფერ ბურთს ნაძვის ქვედა ტოტებზე ჰკიდებდა, **მეორეს** მაკრატელი ეჭირა და წითელ ლენტს თანაბარი სიგრძის ნაჭერებად ჭრიდა, **მესამე** საღებავებით სახემოხატულ, ფრთაფარფატა ანგელოზს ხის კენწეროზე ამაგრებდა (ტაველიძე, 2010: 555).

ეს იმიტომ, რომ **მეორე პირველი** არ არის და ვერც გახდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **მეორე** უკანასკნელი არ არის, რადგან მხოლოდ უკანასკნელები გახდებიან **პირველები** (ქართველიშვილი, 2010: 221).

გასუბსტანტივებულია ნაცვალსახელი:

თუ შევეცდებით, გავიგოთ ეს კერძო „მე“, იგი საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ... (ნაიპოლი, 2011: 6)

ჰმ, **ასეთმა** თუ მოაწერა ხელი, უარესად აყუფდება (კიკაჩიიშვილი, 2010: 531).

და რომ უყვარდა, **სხვა** რომ უყვარდა არასდროს უთქვამს თავის ცოლისთვის (ამაღლობელი, 2011: 14).

სხვას უფრო ბევრს ვთხოვთ, ვიდრე საკუთარ თავს (კვირის პალიტრა, 2012: 15).

ტაძრის მისავალში **სხვებიც** იდგნენ, მაგრამ იგი მხოლოდ „ანგელოზს“ ხედავდა (გოთუა, 1980: 10).

გონიერთა მსგავსად **სხვების** გამოცდილებას გავითვალისწინებთ (კვირის პალიტრა, 2012: 25).

ზოგი უკვე დავარდნილიყო, **ზოგიც** დავარდნაზე იყო მისული (გოთუა, 1980: 39).

ღმერთო, მიცოცხლე ჩემი დედ-მამა, კარგად მიმყოფე ყველა **ჩემები!** (ასათიანი, 1988: 78)

...დედამთილი ყოველ კვირას ჩემს ძველ სახლში რეკავს და საშინელებებს უყვება **ჩემებს** (კაკულია, 2010: 64).

იმათ სახლს **ჩვენების** ბომბი ჯერ კიდევ პირველი არეულობისას დეეცა... (ლომოური, 2010: 11).

ჩვენებსაც ჩაეშველნენ მცირე მარქაფნი (გოთუა, 1980: 66).

გასუბსტანტივებულია ფორმაუცვლელი სიტყვა:

არა – **არას**, მე ვისმენდი მხოლოდ **ჰო-ს** (ტაბიძე, 1973: 136).

ჩამომიარა სიკვდილმა, არც **„ჰო“** ვუთხარი, არც – **„არა“** (ჩიტიშვილი, 2010: 60).

რასაც არ მთხოვ, გეტყვი **ხო-ს...** რა მოხდა, რომ ეჭვი მჭამს (გომელაური, 2010: 41).

ერთხელ ვიხილე და ვეღარ ვთქვი თამამი **„არა“** (იაშვილი, 2011: 80).

თავდაპირველად იყვნენ **„თუ“** და **„ან“** და მერე **„ანუ“** (ამაღლობელი, 2011: 170).

ანუ **„თუ“** იყო, თუ რამე იყო თავდაპირველად. და **„თუ“-ში** იყო სიცოცხლე და **„თუ“** გახდა სინათლე, ანუ **„თუ“-მ** გამოიწვია **„ან“** და **„ან“-მა** **„ანუ“...** (ამაღლობელი, 2011: 170)

გიყვარდა ვინმე, უყვარდი ვინმეს? – **„აუ!“** – ელოდი პასუხად **„აუს“?** (ღებანიძე, 2006: 65)

ხოლო როდესაც **„ბრავოს“** **„ბისიც“** და **„ვაშაც“** უერთდება, მურმანი იკმარებს **„აუჰ!“-ს...** (ღებანიძე, 2006: 114)

მუდამ ვიძახი **„ამინ“-ს**, საჭიროა თუ არა (გომელაური, 2010: 134).

აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიურად ტრანსლირებულმა სიტყვამ შეიძლება მრავალჯერ განიცადოს ტრანსლაცია (როგორც კვლავ მორფოლოგიური, ისე – სინტაქსური), ხოლო სინტაქსური ტრანსლაცია ერთჯერადია.

მორფოლოგიურად ტრანსლირებული სიტყვების სინტაქსური მექანიზმით სუბსტანტივაციის არსის ნათელსაყოფად წარმოვადგენთ საილუსტრაციო მაგალითებს და შემდეგ ნიმუშისთვის ერთ-ერთს განვიხილავთ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

რად მინდა მივსწვდე **მიუწვდომელს**, ვრცელს და **უსაზღვროს**? (ტაბიძე, 1973: 38)

შემდეგ **აწოწილმა** ხელი ჯიბისკენ წაიღო (ბაბუნაშვილი, 2010: 376).

განსაკუთრებით კუსპარას **მოყოლილები** უყვარს (ნანობაშვილი, 2010: 152).

გაეცლებოდნენ ის **გასაწყვეტლები**, შესხდებოდნენ, შეიხორხლებოდნენ თუთაზე... (შატაიძე, 2010: 25)

იარადშემართულს ორღობისგან ნაბიჯიდა აშორებდა (ხვედელიძე, 2010: 346).

მის კენწეროზე **შემომჯდარს** ფეხებში შიშის ქარი მივლიდა (არჩუაშვილი, 2010: 427).

უმწობისაგან დაღლილი ადამიანის სახე ჰქონდა ჯვარზე **გაკრულს** (მეგრელიშვილი 2010: 441).

წამსვლელს და **მომსვლელს**, უშეცდომოდ, თითქმის უკლებლივ, ერთმანეთში რომ აღრიცხავენ ჭირისუფლები (ამაღლობელი, 2011: 78).

თავს არ მოიკლავს **ქართველი**, არა... (ასათიანი, 1988: 43)

აღარაა „**შინაური**“ და აბა, მიდი, მოუარე! (გიგაშვილი, 2010: 5)

სოქვი **ნადვლიანი** ძველი ქართლივით, ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ (ლევონიძე, 2008: 32).

„**კოლვო**“ გაჩერდა, საიდანაც სწრაფად გადმოხტა სამი **ნიღბოსანი** (მოსულიშვილი, 2010: 275).

ისინი **ძლიერნი** აღმოჩნდნენ (კაკულია, 2010: 40).

თავისი ხელით სწირავენ კურატს **ურჯულოს** სულის მოსახსენიებლად (არგანაშვილი, 2010: 504).

ეს ის საქართველო იყო, სადაც **უღირსს ღირსეული** საღამს არ აძლევდა (კვირის პალიტრა, 2012: 17).

მერე ომსა და ხეტიალში **უპატრონოს** თურმე ჭლექი შეჰპარვოდა (ლევონიძე, 2011: 41).

მარნისაები მთვრალეები არიან უკვე (ფხაკაძე, 2010: 481).

ქუჩის ღანდმა საგანი ჩაბღუჯა, შემდეგ დაბლა დადო, თოკი შეხსნა და **ფარჯრისას** ნიშანი მისცა (ბაბუნაშვილი, 2010: 368).

განვიხილოთ ერთი მაგალითი (რად მინდა მივსწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?) ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმის ასხნის მიზნით.

მი-უ-წვდ-ომ-ელ-ი ზმნისგან ტრანსლირებით მიღებული ადიექტივია, უ-საზღვრ-ო კი – სახელისგან. ორივე მათგანი წინადადების მოდელში დაკავებული ადგილის გამო გასუბსტანტივებულია და აქტანტებადაა გამოყენებული. თითოეულ შემთხვევაში გვაქვს ორმაგი ტრანსლაცია, პირველი – მორფოლოგიური და ტრანსლაციებით მარკირებული (უ-ელ, უ-ო), მეორე – სინტაქსური. ფორმებში არსებული მიცემითი ბრუნვის ნიშანი შეგვიძლია ტრანსლაციის ინდიკატორად დავასახელოთ. თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „წარმოქმნის უნარი ყველა ბრუნვის ნიშანს აქვს, მაგრამ ამას განსხვავებულად ახორციელებენ პირმიმართი და პირმიუმართავი აქტანტების ბრუნვის ნიშნები, კერძოდ: პირმიმართი აქტანტების (სახ., მოთხ., მიც.) ბრუნვის ნიშნები ნებისმიერ არასახელს სახელად მოაქცევენ ისე, რომ თვითონ ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნის ფუნქციას, სხვანაირად: პირმიმართი აქტანტების ბრუნვის ნიშანთა წინ სხვა მეტყველების ნაწილთა ფორმა სახელის ფუძედ მოიქცევა“ (უთურგაიძე, 2009: 54). ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერის მოსაზრებას სიტყვების აქტანტად მოქცევისას სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნების მიერ ბრუნვის ნიშნის ფუნქციის შენარჩუნების თაობაზე, თუმცა მიგვაჩნია, რომ არასახელების გასუბსტანტივებისა და აქტანტად გამოყენების მიზეზი წინადადების მოდელში დაკავებული ადგილია და ხსენებულ ბრუნვის ნიშნებს მხოლოდ სუბსტანტივაციის ინდიკატორებად ვოვლით. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ მოდელში დაკავებულ ადგილზე როდესაც ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ სიტყვის ფუნქციურ როლს. სუბსტანტივაციის ინდიკატორებად შეიძლება მივიჩნიოთ მრავლობითი რიცხვის ნიშანიც, რომელიც „თავისთავად“ სახელს ბრუნების მთელ პარადიგმაში მიჰყვება. რა თქმა უნდა, ასეთ ინდიკატორებად ვერ განვიხილავთ მრავლობითი რიცხვის იმ ნიშნებს, რომლებიც საზღვრული წევრის რიცხვითაა შეპირობებული ამა თუ იმ ფორმაში. ა. პაპიძე აღნიშნავს: „ბრუნვა და რიცხვი არ არის საკუთრივ ზედსართავი სახელისათვის დამახასიათებელი კატეგორიები. ზედსართავი და რიცხვითი სახელები, როგორც ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები, იღებენ ბრუნვისა და რიცხვითი შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ნიშნებს, როგორც საზღვრულთან შეთანხმებული სინტაქსური კავშირის მაჩვენებელს“ (პაპიძე, 1998: 109). შეიძლება

დავასკვნათ: თუ სიტყვაფორმაში ბრუნვისა და რიცხვის (მრ. რ.) ნიშნების არსებობა არ არის გამოწვეული სხვა სახელის ბრუნვითა და რიცხვით სინტაქსური მიმართების ბაზაზე, მაშინ ეს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები შეიძლება სუბსტანტიური ტრანსლაციის ინდიკატორებად კვალიფიცირდეს.

დაისმის კითხვა: რა არის ფორმაუცვლელი სიტყვებისა და არასუბსტანტივების ტრანსლაციების გარეშე გასუბსტანტივებას მიზეზი?! აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა პრინციპულია ტრანსლაციის სინტაქსური ბუნების წარმოჩენის თვალსაზრისით.

ლინგვისტურ ლიტერატურაში სინტაქსის საკითხთა კვლევისას ყურადღება გამახვილებულია ფრაზის/წინადადების სტრუქტურული მოდელის როლზე სიტყვათა კლასიფიკაციის საქმეში. ა. დავითიანთან მოდელი განმარტებულია შემდეგნაირად: „წინადადება არის მეტყველების გრამატიკულად გაფორმებული ერთეული, რომელიც ობიექტური სინამდვილის რაიმე ნაწილს გამოხატავს. ობიექტური რეალობის გამოხატვა არა მარტო ცნებებით შეიძლება, არამედ – ამ ცნებათა შორის არსებული მიმართებებითაც. მიმართება ლოგიკური ცნებაა, მაგრამ მისი გამოხატვა სათანადო გრამატიკული კატეგორიით ხდება. კატეგორიათა ერთიანობა წინადადების სტრუქტურულ კონფიგურაციას, მის მოდელსა და მოდელის ვარიანტებს ქმნის. წინადადების მოდელი ენაში მზა ფორმით არსებობს და ადამიანს უბნობის მომენტში მხოლოდ მისი შევსება, სარეალიზაციო ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების გამოძებნა და აზრის ლოგიკური გეგმისთვის მათი შესამება სჭირდება“ (დავითიანი, 1973: 107).

როგორც ჩანს, სწორედ წინადადების აბსტრაქტირებულ მოდელში სიტყვის მიერ დაკავებული ადგილი წყვეტს ამ ენობრივი ერთეულის, როგორც ამა თუ იმ კლასის სიტყვის, კვალიფიკაციის საკითხს. **სინტაქსური ტრანსლაცია წინადადების სტრუქტურულ მოდელში სიტყვის არაპირითად ადგილზე განთავსებით ხორციელდება და ამიტომ პოზიციური ხასიათისაა.** სუბსტანტივაციის, როგორც სინტაქსური ტრანსლაციის, მოდელისმიერ მექანიზმთანაა დაკავშირებული ე. წ. „შესიტყვების შეკუმშვის“ ისეთი შემთხვევები, როდესაც სტრუქტურულ მოდელში გაბატონებული წევრის ადგილზე ჯდება დაქვემდებარებული და შესაბამისად, აღიჭურვება დამქვემდებარებლის უნარებითაც (ბრუნვა, მრ. რიცხვი), „ამიტომაც, რომ ყველაზე ხშირია სუბსტანტივაციის ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებითის როლში მეტყველების ის ნაწილები

გვევლინებიან, რომელთა ძირითადი სინტაქსური ფუნქცია განსაზღვრების გამოხატვაა“ (დავითიანი, 1973: 185). მსაზღვრელი სახელის გასუბსტანტივების (ელიფსის) გზას ა. პაპიძე შემდეგნაირად წარმოაჩენს: „წინადადების მოსალოდნელი წევრის გამოტოვება სტილური თუ სხვა დანიშნულებით თავის კვალს ტოვებს შესიტყვების სტრუქტურაზე. ფორმობრივად გაუჩინარებული წევრი სემანტიკურად ისევ წინადადებაში რჩება, მეტიც, მისი გრამატიკული შესაძლებლობანი შენარჩუნებულია რომელიმე წევრის ბაზაზე (საზღვრული სიტყვის გამოტოვების შემთხვევაში ასეთი წევრი, რასაკვირველია, მსაზღვრელია) (პაპიძე, 1998: 109).

საზღვრული წევრის არარსებობა ზოგჯერ განპირობებულია მოსაუბრის სტილისტიკური გადაწყვეტილებით, ანაც წინადადებით გამოხატული შინაარსისათვის მეტი ექსპრესიულობის მინიჭების სურვილით. ხდება ისეც, რომ საზღვრული სიტყვა არცაა საჭირო, რადგან იგი ზმნა-შემასმენლით იგულისხმება. ასეთი ვითარება ხშირად იქმნება მაშინ, როდესაც მსაზღვრელი წევრი მიემართება ან მოსაუბრეს (I პირს) ან მსმენელს (II პირს).

ამრიგად, სუბსტანტივაციის სინტაქსური მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: წინადადების სტრუქტურულ მოდელში სუბსტანტივისთვის განკუთვნილ ადგილას თუ აღმოჩნდება ნებისმიერი არასუბსტანტიური ერთეული, ის მაშინვე შეიძენს იმ უნარს, რომელიც სუბსტანტივისთვისაა დამახასიათებელი და, შესაბამისად, გასუბსტანტივდება. მნიშვნელოვანია, რომ ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნები, რომლებიც არაა განპირობებული სხვა სახელის ბრუნვითა და რიცხვით, შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვის გასუბსტანტივების / სუბსტანტიურობის ინდიკატორებად.

IV. სიტყვის ადიექტივაციის სინტაქსური მექანიზმი, ბუნება და გამომწვევი მიზეზები

ადიექტივის განსაზღვრისას ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი გამოხატავს მასთან სინტაქსურ მიმართებაში მყოფი სახელის ნიშან-თვისებას. ადიექტივის ძირითადი სინტაქსური ფუნქცია მსაზღვრელობაა. შესაბამისად, ადიექტივაციის, როგორც სინტაქსური ტრანსლაციის, არსი სიტყვის ადიექტიური უნარით

ადჭურვისათვის სინტაქსური მექანიზმის გამოყენებაში გამოიხატება. „ადჭურვა“, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ თავდაპირველად ეს სიტყვა ადიექტიური ნიუანსის არ უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საშუალებებით ტრანსლირებისას სიტყვამ კლასი შეიცვალოს. ცნობილია, რომ „სიტყვათა კლასის შენაცვლება ნაირგვარი გზით ხდება; მათგან მთავარია ორი: ა) ლექსიკური ტრანსფორმაცია (სიტყვაწარმოება) და ბ) წინადადებაში ლოგიკურ-გრამატიკული ფუნქციის შეცვლა“ (დავითიანი, 1973: 199). პირველი ტრანსლაციის მორფოლოგიურ საშუალებას განეკუთვნება, მეორე – სინტაქსურს.

სინტაქსური ბერკეტის გამოყენებით ყველაზე ხშირად ადიექტიურ ტრანსლაციას განიცდის სუბსტანტივი, თუმცა გვხვდება სხვა მეტყველების ნაწილების ადიექტივაციის შემთხვევებიც.

სინტაქსური გზით სუბსტანტივის ადიექტიური ტრანსლაცია ხორციელდება: (1) ყოველგვარი მაწარმოებლის გამოყენების გარეშე და (2) გარკვეული ტრანსლაციების, კერძოდ კი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის, მეშვეობით. რამდენადაც ტრანსლაციის უკანასკნელი შემთხვევის მიზეზი სინტაქსურია, ხოლო მატრანსლირებელი ელემენტი – მორფოლოგიური ოდენობა, ტრანსლირების აღნიშნული ტიპი მორფოლოგიური ტრანსლაციის ფარგლებშიც შევიტანეთ და სინტაქსური ტრანსლაციის სათაურის ქვეშაც უნდა განვიხილოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუბსტანტივი ადიექტიური ტრანსლაციის წყალობით შეიძლება მოგვევლინოს სხვა სიტყვის მსაზღვრედ. სინტაქსის სახელმძღვანელოებში ასეთ სიტყვას „ატრიბუტულ განსაზღვრებად“ მოიხსენებენ. „ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩვეულებრივია ზომის სახელი (სანტიმეტრი, მეტრი, მტკაველი, ადლი, კილომეტრი, ჰექტარი, ქცევა...), წონისა (გრამი, მისხალი, კილოგრამი, ტონა, ფუთი...); საწყაოსი (კოდი, კასრი, ჭიქა, აბგა, ბოთლი, ჩაფი, დოქი, ორმო, ურემი, ვაგონი, გოდორი, გიდელი...), პროფესიისა (ექიმი, ვაჭარი, მებაღე, მასწავლებელი...), წოდებათა და თანამდებობათა სახელები (გლეხი, აზნაური, თავადი, პროფესორი, დოცენტი, დირექტორი...), აგრეთვე მიმართვის დროს სახმარებელი სიტყვები (ძია, დეიდა, მამიდა, ამხანაგი, ბატონი...) და ბევრი სხვაც (ხელი, ღერი, ძირი, ფრთა, უღელი, ცალი, წყვილი, თოფი, კომლი...)“, – აღნიშნავს ლ. კვაჭაძე (კვაჭაძე, 1996: 195). მნიშვნელოვანია, რომ ადიექტივად ტრანსლირებული ასეთი სუბსტანტივი უკვე

ბრუნების ისეთივე პარადიგმას გვიჩვენებს, როგორც აქვს მსგავსი ფუძის მქონე ზედსართავს. სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოთ ჩამოთვლილ არსებით სახელებს დანართებსაც უწოდებენ. „თუ დანართი მოსდევს საზღვრულს (ჩვეულებრივ, საკუთარ არსებით სახელს), იგი იბრუნვის, საზღვრული კი უცვლელი რჩება, განურჩევლად იმისა, თანხმობანფუძიანი სახელია თუ ხმობანფუძიანი... თუ დანართი უსწრებს საზღვრულს და ბოლოხმობნიანია, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში (მაგალითად: **რკინა** კაცი, **რკინა** კაცმა, **რკინა** კაცს...); ბოლოთანხმობნიანი კი იბრუნვის“ (ცქიტიშვილი, 1983: 114). როგორც ჩანს, ადიექტივად მოქცეული ასეთი სუბსტანტივი (დანართი სახელი) არა მარტო სემანტიკურად ამუდავნებს საერთოს სხვა ადიექტიურ მსაზღვრელებთან, არამედ ფორმაცვალებითა და სინტაქსური როლითაც მათ გვერდით დგას.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა, თამარ მეფე ლოცვად იდგა ტაძრად... (კალანდაძე, 1987: 51)

ატენის ციხეში მეფის დედა – მარიამ დედოფალი იყო შეხიზნული (გოთუა, 1980: 74).

მხოლოდ საბა მოძღვარი დადიოდა ხალხში... (გოთუა, 1980: 80).

მაგრამ გრიგოლ ბერს არაფერი უგრძენია (გოთუა, 1980: 169).

ეფრემ ბერი ახლა ხელზე ემთხვია თავის დიდ მასწავლებელს (გოთუა, 1980: 175).

სიგელი ხომ ერეკლე მეფის დროს იყო დაწერილი (ლეონიძე, 2011: 63).

ეს ღმერთმა ჩვენს ბატონს, მეფე ერეკლეს გაუმარჯოს (გოთუა, 1980: 63).

როდესაც მისი პირმშო – მეფე ლუარსაბი დამარცხდა და ქვედა ქართლისკენ გაიჭრა ახალი ჯარის საშოვნელად, მარიამ დედოფალმა თავად უთავა, მთელი გორის მხარე დახიზნა (გოთუა, 1980: 75).

ბერი გუგია დიდხანს დაჰყურებდა მიწაზე განრთხმულს (ლორთქიფანიძე, 2010: 15)

ვერა და ვერ გაეგო ბატონ ყაღორს... (ლეონიძე, 2011: 48)

გაცეცხლნათებული მამა ზაქარია კი ხოთხოთითა და წვერის გლეჯით დაბრუნდა სახლში (ლეონიძე, 2011: 279).

მოყვანილი მაგალითებიდან წინადადებაში – „მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა, თამარ მეფე ლოცვად იდგა ტაძრად“ – სიტყვა „მეფეს“ შეძენილი აქვს „თვისების“ სახელთა ნიუანსი და ადიექტიური ტრანსლაციის შედეგად წარმოგვიდგება სხვა სახელის (აქ: თამარის) მსაზღვრელად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუბსტანტივის სინტაქსური ადიექტივაციის ერთ-ერთი შემთხვევაა აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენებით ახალი სიტყვაფორმის წარმოება, რომელშიც ეს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ამოვარდნილია სხვა ბრუნვის ნიშნებთან პარადიგმატული მიმართებიდან, გადასულია სიტყვათმაწარმოებელი ელემენტის რანგში და აწარმოებს ადიექტიური შინაარსის სიტყვებს. **-ის/-ის** (ასევე მრავლობითის ფორმაში გამოყენებული **-თა**) ასეთ დროს კვალიფიცირდება როგორც ტრანსლატივი. ზემოაღნიშნული ადიექტივაცია მორფოლოგიური ელემენტების გამოყენებით ხორციელდება, ტრანსლაციის მიზეზი კი სინტაქსურია, ამიტომ ადიექტივაციის ამგვარი ფაქტები მორფოლოგიისა და სინტაქსის შესწავლის საგანია ერთდროულად.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ისე ბრწყინავდა **ვერცხლის** ხეხილი, გაცდებოდი ფერთამხილველი (ასათიანი, 1988: 22).

... ცერისსიმსხო **ოქროს** ჯვარი ტყავზე თავმომწონედ ამოიგლო (მეტრეველი, 2010: 509).

ოქროს საბადოს არ ეძებდა სხვასავით (ლეონიძე, 2011: 54).

ერთი სული მქონდა, როდის გავცდებოდი ამხელა **რკინის** კარს... (მელაშვილი, 2010: 191)

გაშაღე... ყველა ფურცელი არის **ფოლადის** ნაცარი... (ლეონიძე, 2008: 59)

ხის კუბოს ნელა ვეხები (კაკულია, 2010: 41).

მოშორებით ჟამისაგან განაცრისფერებული **ხის** ულამაზესი საყდარიც მოჩანდა (სულაკაური, 2010: 319).

სახლი გვედგა თეთრი **აგურის**, ორსართულიანი (ფხაკაძე, 2010: 460).

ბრუნვით **წისქვილის** ბორბალი რომ იხეთქება საწყალი (მაჭავარიანი, 1990: 165).

ქუჩის ლანდმა საგანი ჩაბღუჯა... (ბაბუნაშვილი, 2010: 368)

იქნებ ჩვენებური **ვაზის** ძირები გამომიგზავნოთ (ტურაშვილი, 2010: 419).

სახეშეშლილი მივეკვრები ცახცახა კარებს, გაიტაცებენ **შიშის** ასულს კოჭლი ქაჯები (იაშვილი, 2011: 37).

გამოჩნდა რკალი ახალი **მთვარისა... ვერცხლის** ლუმბა... (ლეონიძე, 2011: 55)

ისე მოეწონა მოაზროვნე ბავშვი, რომ მასსოვს, თავისი **საიდუმლოთა** წიგნი აჩუქა მას (ტურაშვილი, 2011: 17).

როგორც ცნობილია, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასეთ მსაზღვრელებს მართულ ან მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელებს უწოდებენ მსაზღვრელად გამოყენებული სახელის პრეპოზიციური თუ პოსტპოზიციური მდებარეობის შესაბამისად. ასევე გამოიყენება ერთმანეთისგან და სხვადასხვანაირი სინტაქსური კვალიფიკაცია ენიჭება ნათესაობითბრუნვის-ნიშნის სახელს იმის მიხედვით ის არსებით სახელს განსაზღვრავს თუ მასდარს. კერძოდ, ტრადიციულად პირველი მსაზღვრელადაა (სუბსტანტიურ მსაზღვრელად) მიჩნეული, მეორე კი – უბრალო დამატებად. მაგალითად, ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ ვკითხულობთ: „ფორმის თვალსაზრისით... განსაზღვრებასა და უბრალო დამატებას შორის განსხვავება არ არის, ხოლო შინაარსის მიხედვით ისინი სხვადასხვაა. სახელთან შეწყობილი სახელი (ამხანაგის წიგნი, წიგნმა ამხანაგისამ) აღნიშნავს კუთვნილებას და განსაზღვრებას, სახელზმნასთან... შეწყობილი სახელი რეალური სუბიექტია (ამხანაგის მოსვლა, მოსვლამ ამხანაგისამ), ან ობიექტი (ამხანაგის წაყვანა, წაყვანამ ამხანაგისამ), ე. ი. დამატება“ (კვაჭაძე, 1996: 217).

ორივე მოსაზრების საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ არსებობს განსხვავებული შეხედულებანი ხსენებულ ფორმათა სინტაქსური მიმართებებისა და კვალიფიკაციის თაობაზე. მაგალითად, ა. დავითიანი აღნიშნავს: „თავდაპირველად ნათესაობითის ფორმით ფუძედ ქცეულ სახელს მხოლოდ კუთვნილების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. კუთვნილების კატეგორია ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა გამოხატული თითქმის ყველა (როგორც ძველ, ისე ახალ) ენაში. კუთვნილება გამოხატულია სიტყვათშეხამებით, რომელთაგან ერთი ასახელებს საგანს, რომელსაც ეკუთვნის, ხოლო მეორე – საგანს, რომელიც მიეკუთვნება (ქალის თმა, სახლი ამხანაგისა და მისთ.). რასაკვირველია, რიგ შემთხვევაში ასეთ სიტყვათშეხამებებს აღარა აქვთ კონკრეტულად კუთვნილების შინაარსი. ისინი უფრო ხშირად განზოგადებულ სემანტიკურ დამოკიდებულებას ქმნიან... ვინაიდან კუთვნილების სემანტიკა უკვე არა საგნობრიობის, არამედ ნიშან-თვისებათა წყებას განეკუთვნება, ბუნებრივია, რომ „ნათესაობითის ფორმა“ უკვე ზედსართავის ფუნქციით გვევლინება... ნათესაობითი ბრუნვისფუძიან მსაზღვრელს სინტაქსური დამოკიდებულება ზუსტად ისევე აქვს გაფორმებული, როგორც – შესაბამისი ფუძის მქონე ატრიბუტულ მსაზღვრელს... ამრიგად, ე. წ. „მართული“ მსაზღვრელი ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებს, როგორსაც – ჩვეულებრივი ატრიბუტული: იგი

შეთანხმებულია. მართალია, სიტყვაში გამოიყოფა ბრუნვის ორი ნიშანი, მაგრამ მიმართებას ქმნის მხოლოდ ბოლო მორფი, მის წინ მდგომი ნათესაობითის მორფი კი აღარ ქმნის მას“ (დავითიანი, 1973: 275-282). მეცნიერი არა მარტო დამაჯერებლად ხსნის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მქონე მსაზღვრელის ადიექტივაციის სინტაქსურ მექანიზმს, არამედ მსჯელობს არსებით სახელსა და მასდართან შეწყობილი ასეთი ფორმების სინტაქსურ დეფინიციის შესახებ. იგი ე. თოფურიას მოსაზრების დამოწმების საფუძველზე წერს: „ნათესაობითარი მსაზღვრელის თავისებურებას გვიჩვენებს ე. წ. უბრალო დამატება ნათესაობითში... სახელთა შორის ლექსიკურ-მორფოლოგიური ურთიერთობა შეთანხმებაა. ამიტომ სრულიად თავისუფლად შეიძლება განსაზღვრებად ჩაგვეთვალოს ნათესაობითის ფორმები ისეთ სიტყვათშეხამებებში, როგორიცაა: **ხის მოჭრა, ნუკრის ნაამბობი და სხვ.**“ (დავითიანი, 1973: 283).

ჟ. ფეიქრიშვილიც მხარს უჭერს „ხის სახლი“ და „ხის მოჭრა“ ტიპის შესიტყვებებში ფორმის „ხის“ განსაზღვრებად მიჩნევას. იგი წერს: „როგორც თვითონ მკვლევრები აღნიშნავენ, ტრანსფორმაციის (გარდაქმნა-გადაკეთების) გზით ყოველთვის ადვილი არ არის უბრალო დამატების წარმოშობის დადგენა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სინტაქსური დამოკიდებულებისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. **ზღვის დეღვა და ზღვის წყალი** ტიპის სინტაგმები სინტაქსურად არ განსხვავდებიან“ (ფეიქრიშვილი, 1996: 104). იგი დამატებით აღნიშნავს, რომ „უხერხულობა ადვილად მოიხსნება, თუკი ნათესაობით ბრუნვაში დასმულ ყოველგვარ მსაზღვრელს განსაზღვრებად მივიჩნევთ“ (ფეიქრიშვილი, 1996: 146). მნიშვნელოვანია, რომ ა. დავითიანის მსგავსად ისიც ე. წ. სუბსტანტიურ განსაზღვრებას (მაგალითად, „ხის“ ფორმა სინტაგმაში „ხის სახლი“) მართულ კი არა, შეთანხმებულ მსაზღვრელად თვლის: „ჩვენი აზრითაც, ყოველგვარი მსაზღვრელი შეთანხმებული წევრია“, – ასკვნის მეცნიერი (ფეიქრიშვილი, 1996: 147).

ა. პაპიძეც შეთანხმებად მიიჩნევს მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობას ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მქონე მსაზღვრელიან კონსტრუქციაში. იგი ადიექტივაციის პროცესად თვლის ე. წ. მართულ-მსაზღვრელიან შესიტყვებაში არსებითის მონაწილეობას და აღნიშნავს: „აქ ნათესაობით ბრუნვას უფრო სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვს, ვიდრე გრამატიკული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პოსტპოზიციური წყობისას ფუძედ აღებულია ნათესაობითის ფორმა და შემდეგ ხდება შეთანხმება

ბრუნვაში... დღეისათვის პატარა სახლისა და ხის სახლის წევრებს შორის სინტაქსური კავშირი ერთნაირია“ (პაპიძე, 1998: 110).

ნათესაობითი ბრუნვისნიშნის მსაზღვრელის კვალიფიკაციის შესახებ ვრცლად მსჯელობს თ. უთურგაიძე. იგი ასეთ ფორმებში -ის/-ისა მორფებს წარმოქმნის ელემენტებად თვლის და „ხის სახლის“ ტიპის კონსტრუქციებში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობას შეთანხმებად მიიჩნევს. მეცნიერს მიუღებლად მიაჩნია მოსაზრება ორმაგი და სამმაგი ბრუნების შესახებაც. „სახელთა ფორმებში ბრუნვის ნიშანი ერთია მხოლოდ, რაც მის წინ დგას, ყველაფერი ფუძეს განეკუთვნება: თუ ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი აღმოჩნდება, წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა“, – აღნიშნავს იგი (უთურგაიძე, 2013: 27). რაც შეეხება ასეთი სახელების ადიექტივაციის მექანიზმს, მკვლევარი მას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „(ა) მსაზღვრელი სუბსტანტივი ადიექტივად ტრანსლირდება, რათა საზღვრული სუბსტანტივის თვისების გამომხატველად მოიქცეს. დერივაცია ჩვეულებრივ ხდება ბრუნვის ნიშანთა წარმოქმნის ელემენტებად ტრანსლირებით საზღვრულთან შემათანხმებელი ბრუნვის ნიშნის წინ... (ბ) შეთანხმებისთვის მსაზღვრელისათვის აუცილებელია ბრუნვის იგივე ნიშანი, რომელიც საზღვრულს აქვს“ (უთურგაიძე, 2013: 25).

ჩვენ ვიზიარებთ თ. უთურგაიძის ზემოთ წარმოდგენილ შეხედულებას სუბსტანტივის ადიექტიური ტრანსლაციის გზის შესახებ და მიგვაჩნია, რომ წინადადების მოდელში ადიექტივისათვის განკუთვნილ ადგილას (მსაზღვრელის როლს ვგულისხმობთ) სუბსტანტივი შეიძლება ჩაჯდეს როგორც ფორმის შეუცვლელად, ისე ფორმის შეცვლით. ამგვარ ვარიანტებს შორის სხვაობა შეიძლება სემანტიკური იყოს. შდრ.: „რკინა კაცი“ და „რკინის კაცი“. მიუხედავად სემანტიკური და ფორმობრივი სხვაობისა (პირველი ფორმის შეუცვლელად იქცა ადიექტივად, მეორე – ფორმის შეცვლით, ტრანსლაციით), სინტაქსურად ისინი ერთმანეთის ტოლფარდია.

მნიშვნელოვანია, რომ სუბსტანტივის ადიექტიური ტრანსლაციის ორივე ზემოაღნიშნული ვარიანტის შესახებ აღნიშნავს ლ. ტენიერი: „ენებში, რომელთაც აქვთ ბრუნება, ადიექტიური ტრანსლაციის მარკერად ჩვეულებრივ გამოიყენება გენეტივი“ (ტენიერი, 1988: 454). ის ასევე დასაშვებად მიიჩნევს სუბსტანტივის უმარკეროდ ადიექტივაციას.

ამრიგად, წარმოდგენილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში სინტაქსური საშუალებებით სუბსტანტივის ადიექტივაცია ხორციელდება როგორც ფორმის შეუცვლელად, ისე ფორმის შეცვლით (წარმომქმნელი მორფემის საშუალებით, რომელიც წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია) მოდელში ადიექტივისათვის განკუთვნილ ადგილას სიტყვის განთავსებით. ზემოთ ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სიტყვათა კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სიტყვის ფუნქცია წინადადებაში.

სუბსტანტივის ადიექტივაციის მიზეზად შეიძლება დასახელდეს საზღვრული წვერის ჩავარდნა, მოსაუბრის სტილისტიკური გადაწყვეტილება, ნათქვამისათვის მეტი ექსპრესიულობის მინიჭების სურვილი და სხვ., რის შედეგადაც, მაგალითად, ადიექტივისათვის განკუთვნილ ადგილას სუბსტანტივის ჩასმით ვიღებთ ადიექტიური შინაარსის სიტყვებს. **ქილა** ერბო, **მზე** ქალი და ა.შ. ა. დავითიანი ე. წ. სუბსტანტიური მსაზღვრელის მიღების გზას კი შესიტყვების შეკუმშვის საფუძველზე შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „სიტყვათშესამებები: ილიას ლექსი, ფალიაშვილის მუსიკა, საქმის კაცი და მისთ. შესიტყვების შეკუმშვის შედეგადაა მიღებული. შდრ.: ილიას დაწერილი ლექსი, ფალიაშვილის შექმნილი მუსიკა, საქმის გამკეთებელი კაცი და მისთ.“ (დავითიანი, 1973: 180).

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის კლასის ცვლილების მიზეზი შეიძლება მრავალგვარი (შესიტყვების შეკუმშვა, ელიფსი, მოსაუბრის სტილისტიკური განზრახვა...) იყოს, ტრანსლაციის თითოეული შემთხვევის სინტაქსური მექანიზმი უკავშირდება წინადადების სტრუქტურულ მოდელში ენობრივი ერთეულის მიერ მისთვის არაძირითადი, სხვა წვერისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავებას.

უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულში სუბსტანტივის ადიექტიური ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმი ახალ ფუნქციურ ერთეულთა შექმნის ერთ-ერთი საკმაოდ პროდუქტიული საშუალებაა.

V. სინტაქსური ტრანსლაციის რამდენიმე სპეციფიკური შემთხვევისათვის

ტრანსლაცია რომ ენობრივ ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური თუ გრამატიკული მოდიფიკაციის მოქნილი საშუალებაა, ამის შესახებ წინამდებარე ნაშრომში უკვე აღვნიშნეთ და საილუსტრაციო მაგალითებიც წარმოვადგინეთ. ვისაუბრეთ იმის თაობაზეც, რომ ტრანსლაციის მეშვეობით შესაძლოა არა მარტო ერთი სიტყვის კლასის შეცვლა, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, – მთელი ფრაზისა თუ წინადადებისა. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი შემთხვევები უფრო რთული ბუნებისაა. ჩვენი მიზანი არ არის ტრანსლაციის ყველა სახეობის დაწვრილებითი ანალიზი, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რამდენიმე სიტყვით შევეხოთ სინტაქსური ტრანსლაციის ამ მეტად საინტერესო სახეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში წინადადების წევრების შესახებ მსჯელობისას არაერთგზისაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ წინადადების წევრად შეიძლება მოგვევლინოს არა მხოლოდ სიტყვა, არამედ მთელი ფრაზა ან წინადადებაც. მაგალითად, ლ. კვაჭაძესთან ვკითხულობთ: „ქვემდებარე შეიძლება გადმოიცეს ყოველგვარი სიტყვით, რომელიც არსებითი სახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული. იგი შეიძლება გადმოიცეს აგრეთვე სიტყვათა შეკავშირებითა და მთელი წინადადებით“ (კვაჭაძე, 1996: 85). ჟ. ფეიქრიშვილიც შენიშნავს, რომ „შესაძლებელია წინადადების წევრი სიტყვათა შეერთებით ან მთელი წინადადებითაც გადმოიცეს“ (ფეიქრიშვილი, 1996: 60). იგი აღნიშნავს იმასაც, რომ „წინადადება შეიძლება გადმოიცეს სიტყვათა მყარი შესამებით – ფრაზეოლოგიზმებით: არა, ზედმეტჯერ თვალში შეჩხირება არ შეიძლება. ასეთ ქვემდებარეს შეიძლება ეწოდოს „ფრაზეოლოგიური ქვემდებარე“ (ფეიქრიშვილი, 1996: 75). ა. დავითიანი კი მიიჩნევს, რომ „სახელდებითს წინადადებას უახლოვდება ნაწარმოების, წიგნის, დაწესებულების, საწარმოს ან სხვა რაიმე დასახელება-სათაურები, რომლებიც, ჩვეულებრივ, კონკრეტულ წინადადებაში მყარ ერთეულებად (ლექსიკალიზებულ შესიტყვებებად) გვევლინებიან, სიტყვათშესამებაში ერთი წევრის როლს ასრულებენ და ამდენად სტრუქტურულ თავისებურებებს არ ქმნიან“ (დავითიანი, 1997: 138).

ფაქტია, რომ ამგვარი ენობრივი ერთეულები მოსაუბრისა და მსმენელის მიერ ერთ ოდენობად აღიქმება აზრობრივად და ისინი წინადადების სხვა წევრებთან სინტაქსურ მიმართებებს ისე ამყარებენ, როგორც – ერთი სიტყვა.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ერთ ოდენობად გაიგება

წინადადება / წინადადების ეკვივალენტი ზმნა-შემასმენელი:

და როცა მამამ „ქრისტე აღსდგა“ გვითხრა მესამედ – მეც „ჭეშმარიტად“ ვუპასუხე მოწაფესავით (ამაღლობელი, 2011: 53).

„გვიბოძეს“ არა გვინდა რაო! – ჯიქური სიამაყით ითმენდა სიღარიბეს (ლეონიძე, 2011: 17).

„დაღამდა“ ფიქრით შინ იყო და სუფრიდან ბარე ორჯერ გაიპარა ცოლის შესამოწმებლად (ლეონიძე, 2011: 108).

რომ გიყვარს „გაგვიძეს, ბერო მინდიაო“, მერე? (ლეონიძე, 2011: 173)

ყოველს წინადადებაზე აუცილებლად დაატანდა „თუ გიყვარდეს“-ს, „მოდი, მაკოცე“-ს (ლეონიძე, 2011: 251).

სიტყვის თავზე „ჩემი ხარ ბატონი“ არ დაავიწყდებოდა (ლეონიძე, 2011: 262).

წარმოდგენილ მაგალითებში წინადადება/წინადადების ეკვივალენტური ზმნა-შემასმენელი სუბსტანტივის ფუნქციით არის გამოყენებული, მისი შესატყვისია.

მყარი გამოთქმა:

დედას ყოველთვის სჯეროდა, რომ ძლიერი ამა ქვეყნისანი ჩვეულებრივ ადამიანებზე ზრუნავენ (ლდოკონენი, 2010: 112).

ძლიერი ამა ქვეყნისა → (სემანტიკური ტრანსფორმაციით) ძალაუფლებიანი (ადიექტ.) → სინტაქსური ტრანსლაციით – სუბსტანტივი.

ჩვენი ერთი მუჭა ჯარი და საქმე განწირული იყო (გოთუა, 1980: 69).

ერთი მუჭა = პატარა (ადიექტივი)

თეთრად ნატეხი ღამეები წითლად უფერავდნენ თვალთა კილოებს (გოთუა, 1980: 76).

თეთრად ნატეხი = უძილო (ადიექტივი)

დასახელება-სახელწოდებები:

კილოც გაარკვია – „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ მღეროდნენ პერობილინი (გოთუა, 1980: 34).

აი – შატბერდული „ოთხთავი“, ბანას გადაწერილი „წმინდათა ცხორებანი“ და სახარება (გოთუა, 1980: 175).

როდესაც ძალიან დაღლილი ხარ, გრძელი სიზმრის ნახვა ისეთივე მარაზმია, როგორც „ქაღალდის ტყვიის“ ორჯერ ყურება (ბახსოლიანი, 2010: 449).

„მთების ენა“ მხოლოდ 20 წუთს გრძელდება, მაგრამ ის შესაძლოა განუწყვეტლივ მიმდინარეობდეს... (პინტერი, 2011: 63)

ახალი სეზონიდან „ნანუკას შოუს“ ახალი პროდიუსერი ეყოლება (პრაიმტაიმი, 2011: 3).

„დარჩი ჩემთან“ პაატას კინოდებიუტია (პრაიმტაიმი, 2011: 26).

ზაზა ურუშაძის „სამი სახლი“ ჩემი საყვარელი ფილმია (პრაიმტაიმი, 2011: 27).

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა ქიმიის მასწავლებელს (კვირის პალიტრა, 2012: 32).

შესიტყვება:

ამდენ ხანს არც მოჰგონებია მხატვარი, ახლა კი ეტკინა ეს „გზაზე დავარდნილი“ (გოთუა, 1980: 26).

დაისმის კითხვა: რა უზრუნველყოფს წინადადებისა თუ ფრაზის ერთ ოდენობად გამოყენებასა და მის ორგანულ ჩასმას მთელი წინადადების ჯაჭვში ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ მსმენელისათვის ასეთ ენობრივ ერთეულიანი წინადადების აზრი გაუგებარი კი არა, ბუნდოვანიც კი არ არის. ამას იგი ენობრივი კომპეტენციის წყალობით ახერხებს. მაგალითად, ციტატაში – „და როცა მამამ „ქრისტე აღსდგა“ გვიტხრა მესამედ – მეც „ჭეშმარიტად“ ვუპასუხე მოწაფესავით“ – წინადადება „ქრისტე აღსდგა“ ერთ ერთეულადაა ქცეული, სუბსტანტივის გაგება (ცნებითობა) აქვს შეძენილი და პირდაპირი ობიექტის ფარდ ოდენობადაა გამოყენებული.

საინტერესოდ გვეჩვენება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფრაზეოლოგიზმები ჯერ სემანტიკურად ტრანსლირდება ერთ ერთეულად და შემდეგ ისინი სინტაქსური ტრანსლაციის მექანიზმის წყალობით (მოდელში დაკავებული ადგილის გამო) წინადადების რომელიმე წევრის როლს ასრულებს. არსებობს მოსაზრება, რომ „იდიომატურ გამოთქმას ზედმიწევნით ისეთივე სინტაქსური სიღრმისეული სტრუქტურა აქვს, როგორც მის სალიტერატურო

შესატყვისს“ (ფრასერი 1970: 26), ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, როგორ ახერხებს მსმენელი მოსაუბრის მიერ იდიომით გადმოცემული აზრის ზედმიწევნით გაგებას. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია თვალსაზრისი ფრაზეოლოგიზმით გადმოცემული წევრისათვის განსხვავებული ტერმინით აღნიშვნის თაობაზეც. ასეთი ტერმინებია, მაგალითად: ფრაზეოლოგიური ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება და ა. შ. ფრაზეოლოგიზმის, როგორც სინტაქსურად ერთი ოდენობის, გამოყენების მიზეზს, ჟ. სორდიაც იმით ხსნის, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტები ერთმანეთში აზრობრივად ღრმად იჭრებიან და სემანტიკურად ერთ მთლიან ცნებად აღიქმებიან (სორდია, 1986: 83). მკვლევარს აღნიშნული საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ სტატიაში მოჰყავს წინადადების წევრების ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემის შემთხვევების მაგალითები და იქვე გვაწვიდის განმარტებებს. მაგალითად, „არა, ზედმეტჯერ თვალში შეჩხირება მაინც არ ვარგა... თვალში შეჩხირება სემანტიკურად იგივეა, რაც „შეხვედრა“... (კიკოლიკი) პოლონელ სტუდენტებთან შედარებით ტყიდან გამოსულს ჰგავდა. ტყიდან გამოსულს = ველურს (ირიბი დამატება)“ (სორდია, 1986: 80)...

ტრანსლირების უკანასკნელი გზა საკმაოდ რთული ბუნებისაა და ასეთ შემთხვევებში სინტაქსური ტრანსლაცია სემანტიკური გარდაქმნის შემდგომი საფეხურია.

წინადადებაში ასევე ერთ ოდენობას უდრის და ერთი წევრის როლში გამოდის არაერთსიტყვიანი სახელწოდებები თუ დასახელებებიც. ფაქტია, რომ ამგვარი სახელწოდება/დასახელება მოსაუბრისა და მსმენელის მიერ მთლიანობაში აღიქმება აზრობრივად. ამგვარი ერთეულები: ფრაზეოლოგიზმები, იდიომები ლექსიკალიზებულ შესიტყვებებად მიიჩნევა. ლექსიკალიზაციის პროცესს ა. დავითიანი შემდეგნაირად წარმოადგენს: „შესიტყვებაში ერთმანეთთან ახლოს განლაგებულ წევრებს შორის ზოგჯერ მჭიდრო სემანტიკური კავშირი მყარდება, რის შედეგადაც ხდება ან მთლიანი შესიტყვების, ან მისი კომპონენტის ლექსიკალიზება. ამ დროს, როგორც წესი, შესიტყვების დანაწევრებულობა იშლება და შესიტყვება ერთ სინტაქსურ ერთეულად გვევლინება. ამ მოვლენის მიზეზი ლოგიკურ-გრამატიკულია“ (დავითიანი, 1973: 365).

გარდა იმისა, რომ სიტყვათა მყარი შეხამებანი და ფრაზეოლოგიზმები ემოციურ-აზრობრივ დონეზე წინადადებას მეტ ექსპრესიულობას სძენენ,

ჩვენთვის ისინი საინტერესოა იმით, რომ დასახელებული ენობრივი ოდენობები (მიუხედავად იმისა, თუ რამდენ სიტყვიანია ესა თუ ის კონკრეტული სიტყვათა მყარი შეხამება, ფრაზეოლოგიზმი, წინადადება...) წინადადებაში ერთი წევრის როლს ასრულებენ. ფაქტია, რომ ასეთ შემთხვევაშიც ჯერ ხორციელდება ამ ენობრივი მასალის სემანტიკური გააზრება ერთ ოდენობად, მთლიანობად, შემდეგ კი შესაძლოა ამ ერთეულმა ტრანსლაციაც განიცადოს და წინადადებაში შეასრულოს სუბსტანტივის, ადიექტივის, ზმნა-შემასმენლისა თუ სხვ. ფუნქციები. ამრიგად, სიტყვასთან გათანაბრებული ასეთი ენობრივი ერთეულების სუბსტანტივისა თუ ადიექტივის ფუნქციით აღჭურვის მიზეზიც მათ მიერ წინადადების სტრუქტურულ მოდელში სუბსტანტივისთვის/ადიექტივისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავებით უნდა აიხსნას. ანუ ასეთი სინტაქსური ტრანსლაციაც პოზიციურია.

ტრანსლაციის სპეციფიკურ, სემანტიკურ-ფუნქციური გარდაქმნის შემთხვევათა შორის საინტერესო სურათს გვიჩვენებს აგრეთვე განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაც, რომელიც განსასაზღვრ წევრს რაიმე ნიშანთვისების მიხედვით ისევე წარმოაჩენს, როგორც ერთსიტყვიანი მსაზღვრელი წევრი...

ფუნქციური ანალოგიის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებენ ამხსნელ-დამაზუსტებელი წევრებიც. ასეთი ერთეულები წინადადებაში ისეთსავე სინტაქსურ როლს ასრულებენ, როგორსაც ის სიტყვები, რომელთა ამხსნელ-დამაზუსტებელნიც არიან და ა. შ.

სინტაქსური ტრანსლაციის ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები, ვფიქრობთ, საინტერესოა ტრანსლაციის მექანიზმის სრულყოფილი წარმოჩენისათვის, თუმცა აღნიშნული საკითხის დიდი მოცულობის გამო მისი სრულად განხილვა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს სცილდება. შესაბამისად, ისინი სამომავლო შესწავლის საგნად გვესახება. უბრალოდ გვსურდა, ამ ქვეთავში გვეჩვენებინა ის მრავალფეროვანი პრობლემატიკა, რომელიც უკავშირდება სინტაქსურ ტრანსლაციას.

VI. ძირითადი დებულებები ტრანსლაციის სინტაქსურ საშუალებებთან დაკავშირებით

ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმის კვლევის შედეგად იკვეთება რამდენიმე ძირითადი დებულება, რომელსაც წარმოვადგენთ ქვემოთ:

1. სიტყვის ტრანსლაციისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საშუალებები. აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიურად უკვე ტრანსლირებული სიტყვა შეიძლება სინტაქსურადაც ტრანსლირდეს.
2. თუ მორფოლოგიურად ერთმა და იმავე ერთეულმა რამდენჯერმე შეიძლება განიცადოს ტრანსლაცია (ანუ ერთ ფორმაში დასტურდებოდეს ტრანსლაციის რამდენიმე მარკერი), სინტაქსური ტრანსლაცია ერთჯერადი მოვლენაა.
3. სიტყვათა კლასების კლასიფიკაციისათვის სემანტიკურთან ერთად საჭიროა ფორმობრივ-ფუნქციური თავისებურებების გათვალისწინებაც. შესაბამისად, სიტყვები კლასებში ერთიანდება ძირითადი მორფოლოგიურ-სემანტიკური (ფორმაცვალების საერთო პრინციპი, საერთო გრამატიკული კატეგორიები და სემანტიკური მახასიათებლები) და ფუნქციური (წინადადებაში შესასრულებელი ძირითადი როლი) ასპექტების გათვალისწინებით. აღნიშნული კრიტერიუმების ერთობლიობა წარმოადგენს სიტყვის, როგორც ამა თუ იმ კლასს მიკუთვნებული ერთეულის, ძირითად მახასიათებლებს. სიტყვა თუ იცვლის ამ მახასიათებლებს, ის უკვე სხვა ჯგუფში გადადის.
4. თუ მორფოლოგიური ტრანსლაცია ერთი სიტყვის კლასის ცვლილებას გულისხმობს, ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმის საშუალებით შესაძლებელია ფრაზისა და წინადადების ტრანსლირებაც. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სინტაქსურად ტრანსლირებული ფრაზა თუ წინადადება წინადადების ერთ წევრს უდრის, ერთი წევრის ფუნქციით გამოიყენება.
5. სინტაქსურად სუბსტანტივაცია გულისხმობს ნებისმიერი სიტყვის (ან სიტყვასთან გათანაბრებული ოდენობის: ფრაზის, წინადადების...)

აღჭურვას აქტანტად გამოყენების უნარით. ადიექტივაცია კი არაადიექტივი სიტყვების ადიექტივად ტრანსლირებაში გამოიხატება.

6. ამა თუ იმ ერთეულის სუბსტანტივაციისა და აქტანტად გამოყენების მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: შესიტყვების შეკუმშვა, ელიფსი და სხვ., თუმცა მექანიზმი ერთია და იგი სტრუქტურულ მოდელში სუბსტანტივისთვის განკუთვნილ ადგილზე ამ ერთეულის განთავსებით ხორციელდება.
7. თუ სიტყვაფორმაში ბრუნვისა და რიცხვის (მრ. რ.) ნიშნების არსებობა არ არის გამოწვეული სხვა სახელის ბრუნვითა და რიცხვით სინტაქსური მიმართების ბაზაზე, მაშინ ეს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები შეიძლება სუბსტანტიური ტრანსლაციის ინდიკატორებად კვალიფიცირდეს.
8. სუბსტანტივის ადიექტივაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე, ისე გარკვეული ტრანსლატივებით.
9. ადიექტივს, მიუხედავად იმისა პირველადია თუ ტრანსლირების გზით მიღებული, საზღვრულ სახელთან მხოლოდ შეთანხმების სახის სინტაქსური ურთიერთობა აქვს.
10. თუ ადიექტივი ბრუნების სრულ პარადიგმას გვიჩვენებს, ან/და მრავლობითი რიცხვის ნიშანი აქვს (რომელიც არ არის განპირობებული საზღვრული წევრის მრავლობითი რიცხვით), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გასუბსტანტივებულია.
11. სინტაქსური ტრანსლაციის ძირითადი მექანიზმი წინადადების სტრუქტურულ მოდელში ამა თუ იმ წევრისათვის განკუთვნილ ადგილას ისეთი სიტყვის ჩასმაა, რომლისთვისაც ეს ადგილი არაძირითადია. ამდენად, სინტაქსური ტრანსლაცია პოზიციურია.

ამრიგად, ქართულ ენას აქვს უნარი ნებისმიერი ენობრივი ერთეულის გასუბსტანტივებისა თუ ადიექტივაციისა, რისთვისაც იგი მიმართავს როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ საშუალებებს და საჭიროებისამებრ მოქნილად იყენებს მათ.

ტრანსლაცია (სუბსტანტივაცია-ადიექტივაცია) თანამედროვე ქართულში

დ ა ს კ გ ნ ე ბ ი

ტრანსლაციის, როგორც სიტყვათა ფორმობრივ-ფუნქციური ცვლილების, ენობრივ ერთეულთა ახალი უნართ ადჭურვის საშუალების, კვლევა გულისხმობს ყველა იმ მექანიზმის წარმოჩენას, რომელსაც ენის მფლობელი ტრანსლაციისთვის მიმართავს. წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო ტრანსლაციის საშუალებების გამოვლენა-ანალიზი, მაგრამ ტრანსლაცია თავისი არსით იმდენად მასშტაბურია (პოტენციურად შეიძლება ნებისმიერ ენობრივ ერთეულს შეეხოს), რომ, ბუნებრივია, მისი სრულყოფილი კვლევა ვერ მოექცეოდა ერთი ნაშრომის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ყველაზე ძირითადი ასპექტები ტრანსლაციასთან დაკავშირებით და წარმოგვეჩინა ის მორფოლოგიური თუ სინტაქსური საშუალებები, რომლებიც თანამედროვე ქართულში ამ მიზნით გამოიყენება.

ტრანსლაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც სიტყვათა კლასისა და, შესაბამისად, ფუნქციის ცვლილება, ხოლო თვით მოვლენა ენის პოტენციისა და სტრუქტურის გამოვლენის საუკეთესო საშუალებად შეფასდეს.

ტრანსლაციის კვლევის შედეგად გამოკვეთილი საკითხები ვრცლად განხილულია წინა თავებსა და ქვეთავებში, ამჯერად აქ ძირითადი დასკვნების სახით მხოლოდ ყველაზე არსებით დებულებებს წარმოვადგენთ.

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ვალიდურობის მიზნით შევეცადეთ შევხებოდით ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროს და ისე წარმოგვეჩინა სიტყვათა ტრანსლირების მექანიზმები, ამიტომ საანალიზო მასალად ავიღეთ თანამედროვე ქართული პროზა-პოეზიის ნიმუშები, პრესა, ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (8-ტომეული), საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონისა და სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების მონაცემები. ტრანსლაციის კვლევისა და შესაბამისი მასალის დამუშავებისთვის ჩვენ ვიყენებთ აღწერით, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს, გრამატიკული მოვლენის

დიაქრონიულ ჭრილში წარმოსაჩენად საჭიროებისამებრ მივმართავთ ისტორიულ-შედარებით მიდგომასაც.

2. მართალია, ტრანსლაციის სახელით ამ გრამატიკული მოვლენის მეცნიერულ შესწავლას არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ თვით მოვლენას მისი არსიდან გამომდინარე არაერთი გრამატიკოსი თუ მკვლევარი შეესო. ქართული ენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრანსლაცია ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე ფუნქციონირებდა.
3. ტრანსლაცია არის გრამატიკული მოვლენა, რომლის მეშვეობითაც სიტყვა/ენობრივი ერთეული იცვლის კლასს. შესაბამისად, სუბსტანტიურ ტრანსლაციად განვიხილავთ თავდაპირველად არასუბსტანტივი სიტყვის/ენობრივი ერთეულის სუბსტანტივის ფუნქციით გამოყენებას, ხოლო ადიექტიური ტრანსლაციის კვალიფიკაციას ვანიჭებთ არაადიექტივ ერთეულთა ადიექტივის ფუნქციით აღჭურვას.
4. სიტყვის, როგორც ამა თუ იმ კლასის ერთეულის, ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს გრამატიკულ-სემანტიკურ და ფუნქციურ თავისებურებათა ერთობლიობა, რომელსაც იგი უმთავრესად წარმოაჩენს წინადადებაში. სიტყვა თუ იცვლის ამ მახასიათებლებს, ის უკვე სხვა ჯგუფში გადადის. სუბსტანტივი ხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიძლება დავახასიათოთ როგორც ბრუნებადი სიტყვა, რომელსაც აქვს რიცხვის გრამატიკული კატეგორია, წინადადებაში არის ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული წევრი – აქტანტი და გამოხატავს საგანს ან ცნებას. ადიექტივი კი ახლავს სხვა სიტყვას და მის ნიშან-თვისებას, როგორც გვიჩვენებს. მას ბრუნვა და რიცხვი დამოუკიდებლად არ გააჩნია. იგი მხოლოდ საზღვრული წევრის ბრუნვასთან მიმართებით (სინტაქსური ურთიერთობიდან გამომდინარე) გამოხატავს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას. ადიექტივი, როგორც აქტანტი, არ შეიძლება წინადადებაში ზმნა-შემასმენელს უკავშირდებოდეს გასუბსტანტივების გარეშე. აღნიშნული თავისებურებანი წყვეტს სუბსტანტივებისა თუ ადიექტივებისადმი სიტყვის მიკუთვნების საკითხს. მახასიათებლების შეცვლა კი განაპირობებს სიტყვის გამოსვლას ამა თუ იმ ჯგუფიდან და სხვა კლასისადმი მიკედლებას.

5. ტრანსლაციისთვის ქართული ენა იყენებს როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ საშუალებებს. ტრანსლაციის მორფოლოგიური მექანიზმი სიტყვის მორფოლოგიური ელემენტებით, ტრანსლაციებით, კლასის შეცვლაში გამოიხატება, სინტაქსური გზით სიტყვის/სიტყვასთან გათანაბრებული ენობრივი ოდენობის ტრანსლირება კი მოდელის გავლენით მის გადააზრებაში და არაძირითადი ფუნქციით აღჭურვაში მდგომარეობს, ამიტომ მორფოლოგიური ტრანსლაცია სრულია, ხოლო სინტაქსური – პოზიციური.
6. მორფოლოგიური გზით ტრანსლაცია შეიძლება იყოს ერთჯერადიც და მრავალჯერადიც. ეს იმას ნიშნავს, რომ ტრანსლაციების მეშვეობით უკვე ტრანსლირებული სიტყვა შეიძლება თავიდან აღმოჩნდეს სატრანსლირებელი ერთეული და კვლავ შეიცვალოს კლასი. სინტაქსური ტრანსლაცია კი, ამ სახეობის სპეციფიკიდან გამომდინარე (ტრანსლირება მოდელის გავლენით), მხოლოდ ერთჯერადია. ანუ მორფოლოგიურად ტრანსლირებული სიტყვა შეიძლება კვლავ ტრანსლირდეს როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური მექანიზმების გავლენით, ხოლო სინტაქსურად ტრანსლირებული სიტყვა აღარ ტრანსლირდება.
7. თუ მორფოლოგიური ტრანსლაცია ერთი სიტყვის ფარგლებს არ სცილდება, სინტაქსური ტრანსლირების გზით ფრაზისა და მთელი წინადადების ფუნქციური გადააზრებაცაა შესაძლებელი.
8. რამდენიმეჯერადი ტრანსლაციის შემთხვევაში შეიძლება ტრანსლირების პირველი და საბოლოო ერთეულები ერთსა და იმავე კლასს მიეკუთვნებოდეს, შუალედური კი – სხვა კლასისა იყოს, თუმცა ასევე ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტრანსლაციის თითოეულ საფეხურზე მიღებული სიტყვა სხვადასხვა კლასის სიტყვაა.
9. მორფოლოგიური ტრანსლაციის განხილვისას ერთმანეთისგან ვმიჯნავთ სახელისგან – სახელისა და ზმისგან სახელის მიღების შემთხვევებს. სახელური სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის საშუალებებად გამოიყენება სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები, ბრუნვის ნიშნები და თანდებულები. უკანაკნელ ორ შემთხვევაში აშკარაა მიმართებითი და დამაზუსტებელი მორფემების ფუნქციური ცვლილება.

10. სუბსტანტივაციად ვერ მივიჩნევთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სუბსტანტიური გაგების სიტყვის ამოსავალიც (ძირეული ერთეულიც) სუბსტანტივია. შესაბამისად, ადიექტიური ტრანსლაციის კვალიფიკაციას ვერ მივცემთ ისეთ ნაწარმოებ ფორმებს, რომელიც ადიექტივისგან მიმდინარეობს. ამგვარ ერთეულებთან მასუბსტანტივებელი ან მაადიექტივებელი ტრანსლაციები მხოლოდ სუბსტანტიურობის ან ადიექტიურობის ინდიკატორებია. ანუ ერთი და იგივე ელემენტი შეიძლება ერთ შემთხვევაში მასუბსტანტივებელი/მაადიექტივებელი ტრანსლაცივი იყოს, სხვა შემთხვევაში მხოლოდ სუბსტანტიურობის/ადიექტიურობის ინდიკატორი. ხშირად ტრანსლირებისთვის გადამწყვეტია სემანტიკური ფაქტორიც.
11. ტრანსლაციის ფაქტის შეფასებისთვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა მიმართებას ამყარებს მიღებული (ნაწარმოები) სიტყვა სხვა სიტყვებთან, რომელ კლასს განეკუთვნება იგი. ტრანსლაციის არსიდან გამომდინარე უმთავრესია, რომ წარმოების შედეგად ენობრივმა ერთეულმა შეიცვალოს კლასი, ანუ ძირეული და წარმოქმნილი სიტყვა სხვადასხვა კლასის ერთეულებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, თუ სიტყვაწარმოება არ იწვევს კლასის ცვლილებას, მაშინ არ ხდება ტრანსლაცია.
12. მორფოლოგიური ტრანსლირებისთვის ქართულში გამოიყენება პრეფიქსებიც, სუფიქსებიცა და კონფიქსებიც.
13. ზოგჯერ შესაძლებელია აფიქსთა კლასიფიცირება იმის გათვალისწინებით კონკრეტული აფიქსი ძირითადად სუბსტანტივებს აწარმოებს, თუ ადიექტივებს, მაგრამ ზოგჯერ ტრანსლაცივთა ამგვარი დიფერენცირება ჭირს. აღსანიშნავია, რომ მაწარმოებელთა პროდუქტიულობა განსხვავებულია ენის განვითარების პერიოდებისა და ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროს მიხედვით. მაწარმოებლის პროდუქტიულობა გულისხმობს არა მარტო იმას, რომ იგი ბევრ სიტყვაში გვხვდება, არამედ იმასაც, თუ რამდენად ბევრ მეტყველების ნაწილთან გამოიყენება იგი. ხდება ისეც, რომ ერთი და იგივე აფიქსი რომელიმე კონკრეტულ ერთეულთან ტრანსლაცივია, სხვასთან კი – არა.

14. ერთი და იმავე სიტყვიდან სიტყვაწარმოებით შეიძლება მივიღოთ ან არ მივიღოთ ტრანსლირებული ერთეული. ეს დამოკიდებულია სატრანსლირებელი ერთეულის კლასსა და ტრანსლატივის მიერ ამა თუ იმ კლასის სიტყვის წარმოების უნარზე.
15. ზოგჯერ ერთი სიტყვისგან იდენტური სემანტიკის აფიქსთა მეშვეობით შექმნილი სიტყვები ტრანსლაციის თვალსაზრისით განსხვავებული კლასის ერთეულებს წარმოადგენენ.
16. სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები, იმის მიხედვით უფრო ხშირად რომელი კლასის სიტყვებს აწარმოებენ, შეიძლება დაგაჯგუფოთ შემდეგნაირად:
- სუბსტანტივებს აწარმოებენ:** -ედ, -ობა, -ება, სი-ე, ნა-ურ; გეოგრაფიულ სახელებში: სა-ე, -ა, -იან, -ოვან, -ელ, -ურ// -ულ, -ეულ;
- ადიექტივებს აწარმოებენ:** -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, უ-ო, უ-ურ//უ-ულ, უ-არ, -ელ, -ურ// -ულ, -იურ, -დელ, -მდელ, -ეულ;
- აწარმოებენ სუბსტანტივებსაც და ადიექტივებსაც:** -ა, სა-ო, სა-ე, სა-ურ, სა-არ, ნა-არ//ნა-ალ, ნა-ევ//ნა-ებ, მე-ურ//მე-ულ, მე-ე.
17. ბრუნვის ნიშნები ზოგჯერ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოიყენებიან. ასეთ შემთხვევაში ისინი აღარ განიხილებიან მიმართებითი მორფემების რანგში. მათი წარმოქმნილი უნარი განსხვავებულია ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში, ზეპირ და წერილობით მეტყველებაში. გარდა იმისა, რომ ბრუნვის ნიშნებს ახალი მნიშვნელობის სიტყვის ქმნალობის უნარი აქვთ, ისინი ამავდროულად გვხვდებიან ტრანსლატივების როლშიც.
18. ტრანსლაციასთან მიმართებით წარმოშობით ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები განიხილება მაადიექტივებელ ტრანსლატივებად. ასეთ შემთხვევებში ძირეულ სიტყვებად გამოიყენება როგორც არსებითი და რიცხვითი სახელები, ასევე – მასდარები.
19. ე. წ. სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმათა ანალიზი ადასტურებს, რომ ამგვარ ფორმებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ფუნქცია სიტყვაწარმოებაა. ამ გზით შესაძლებელია სუბსტანტივებისგან გარკვეული თვისების გამომხატველი სახელის – ადიექტივის – მიღება.
20. ბრუნვის ნიშნების გარდა, თანდებულებიც იჩენენ ტრანსლატივებად ფუნქციონირების უნარს. ამგვარ შესაძლებლობას ისინი მხოლოდ

ადიექტიური სიტყვაწარმოების მიმართულებით გვიჩვენებენ. სუბსტანტივაციისთვის ენა თანდებულებს არ იყენებს. ისინი მხოლოდ სიტყვის სუბსტანტიურობის/სუბსტანტივაციის ინდიკატორები შეიძლება იყვნენ.

21. სუბსტანტივაცია-ადიექტივაციასთან მიმართებით განსხვავებულ ფუნქციას ავლენს ზოგი თანდებული, როდესაც ის უშუალოდ მიერთვის სიტყვას და როცა ცალკე დგას.
22. ზმნისგან სახელის მიღების თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს მასდარი და მიმღობა, როგორც ზმნის სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის რეზულტატიური შედეგი და ზმნის სახელური ტრანსლაციის ყველაზე პროდუქტიული საშუალების რეალიზაცია. იმ მცირე შემთხვევების გარდა, როდესაც მასდარი ან მიმღობა არ მომდინარეობს ზმნისგან, ისინი, ჩვეულებრივ შეგვიძლია მივიჩნიოთ ზმნისგან ტრანსლირებულ სახელებად, უფრო კონკრეტულად კი, სუბსტანტივებად და ადიექტივებად.
23. ზმნის სუბსტანტიური ტრანსლაციის სახელით ვერ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზმნისგან კი არ მიიღება მასდარი, არამედ, პირიქით, ის თვითონაა ამოსავალი ზმნისთვის. ვერც ყველა მიმღობას მივიჩნევთ ზმნისგან ტრანსლირებულ ადიექტივად, რამდენადაც ზოგჯერ მიმღობის ამოსავლად მასდარი ითვლება. მართალია, ეს მასდარი თავისთავად ზმნისგან მიღებული სახელია, მაგრამ შუალედური საფეხურის (ზმნა → სუბსტანტივი (მასდარი) → ადიექტივი (მიმღობა) გავლით.
24. შესაძლებელია ზმნისგან სახელი მივიღოთ ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე: ხერთვის (ზმნ.) → ხერთვის-ი (სუბსტ.), არს (ზმნ.) → არს-ი (სუბსტ.), დგამს (ზმნ.) → დგამ-ი (სუბსტ.), ჩხერს, ჩხირა (ზმნ.) → ჩხირ-ი (სუბსტ.), აჩენს, აჩინა (ზმნ.) → ჩინ-ი (სუბსტ.), ცქვეტს, ცქვიტა (ზმნ.) → ცქვიტ-ი (ადიექტ).
25. ზმნისგან სუბსტანტივი (მასდარი) ძირითადად მიიღება -ა ტრანსლაციის მეშვეობით. დელავს (ზმნ.) → დელვა-ა (სუბსტ.), წერს (ზმნ.) → წერ-ა (სუბსტ.), ხატავს (ზმნ.) → ხატვა-ა (სუბსტ.)... ეს -ა ელემენტი აქტიურად გამოიყენება სახელური ტრანსლაციისთვისაც

